**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

**იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა**

*ხელნაწერის უფლებით*

**ოთარ პავლიაშვილი**

# მკვლელობების კრიმინოლოგიური დახასიათება

სპეციალობა: სისხლის სამართალი;
სისხლის სამართლის პროცესი;
კრიმინალისტიკა;
კრიმინოლოგია;
სასჯელაღსრულებითი სამართალი.

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
სამართლის დოქტორი,
სრული პროფესორი

**გიორგი თოდრია**

**თბილისი**

**2011**

## შინაარსი

**შესავალი.**

**თავი I**

**მკვლელობების ანალიზის მეთოდოლოგიური ასპექტები.**

§1. მკვლელობების კრიმინოლოგიური ცნება და ფორმები.

§2. მკვლელობების გამოკვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები.

§3. მკვლელობების პრობლემის ანალიზის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

**თავი II**

**მკვლელობების შემსწავლელი თეორიები.**

§1. მკვლელობების პრობლემა ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თეორიებში.

§2. მკვლელობების პრობლემა სოციოლოგიურ თეორიებში.

**თავი III**

**მკვლელობების ძირითადი ტენდენციები.**

§1. მკვლელობების ძირითადი ტენდენციები მსოფლიოში.

§2. საქართველოში მკვლელობების ძირითადი ტენდენციების თავისებურებანი.

**თავი IV**

**მკვლელობების დეტერმინაციის თავისებურება.**

§1. მკვლელობების ზოგად-სოციალური დეტერმინანტები.

§2. მკვლელობების უშუალო მიზეზები და პირობები.

## თავი V

## მკვლელობების პრევენცია.

§1. მკვლელობების პრევენციის საერთო ღონისძიებები.

§2. მკვლელობების ადრინდელი პრევენციის ზომები.

§3. მკვლელობების პრევენციის სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომები.

§4. სოციალური რეაბილიტაციის ზომები.

**დასკვნა**.

**ბიბლიოგრაფია**.

**დანართები**.

# შესავალი

## თემის აქტუალობა

გასულ საუკუნეებთან შედარებით კაცობრიობის ისტორიაში დანაშაულობის სტრუქტურაში თავი იჩინეს ახალმა კრიმინალურმა ფორმებმა, რომლებიც ატარებენ უფრო რთულ, დინამიურ და საშიშ ხასიათს. განსაკუთრებით შეიცვალა ძალადობითი დანაშაულობის ისეთი ნაირსახეობა, როგორიცაა დანაშაულობა სიცოცხლის წინააღმდეგ. განზრახ მკვლელობების გავრცელებამ, მსოფლიო ბანკის აღიარებით, მსოფლიოს განვითარებას შეუქმნა სერიოზული დაბრკოლება და მის წინაშე ამ საშიში მოვლენის შედეგების და მოტივების შესწავლის გლობალური ამოცანა დააყენა. განსაკუთრებით კი აფრიკის, ლათინური ამერიკის და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დანაშაულობამ სიცოცხლის წინააღმდეგ ხარისხობრივად ახალი თვისებები შეიძინა. [135][213]

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში განზრახ მკვლელობა, როგორც დანაშაულობის ყველაზე საშიში ფორმა, კაცობრიობის მიერ განიხილება ურთულესი პრობლემის სახით [202, 26-28][203, 32-36] [205, 75-78]. ამ მიმართულებით, მრავალი კრიმინოლოგიური გამოკვლევა ადასტურებს, რომ განზრახ მკვლელობამ "ტრადიციულად" შეინარჩუნა საყოფაცხოვრებო კონფლიქტის გადაწყვეტის ხასიათი. ამასთან ერთად ის გახდა ტრანსნაციონალური და სხვა ჯგუფური დანაშაულობის განხორციელების საშუალება. [132][179, 7-10]

ადამიანის სიცოცხლის მოსპობის საკითხი სპეციალურად იყო განხილული 1995 წ. ქაიროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეცხრე კონგრესის მიერ. ამ დოკუმენტების მოსამზადებელ მასალებში აისახა ევროპული, ლათინო-ამერიკული, აზიური, არაბული და აფრიკული რეგიონების შეშფოთება მკვლელობების ზრდასთან დაკავშირებით. აღნიშნული თემა კრიმინოლოგების მიერ განსაკუთრებით მწვავედ განიხილებოდა იმ ძალადობის ანალიზისას,

რომელიც საშიშროებას წარმოადგენს ბავშვებისათვის და ქალებისათვის, ატარებენ ტრანსნაციონალურ და ტერორისტულ ხასიათს. [82, 13][194][197]

მკვლელობების პრობლემატიკა განსაკუთრებით მწვავეა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც მკვლელობების კოეფიციენტის მიხედვით რუსეთს პირველი ადგილი უკავია, მომდევნო უკრაინას და ყაზახეთს. რუსეთში 100000 მოსახლეზე მოდის 221 მკვლელობა, უკრაინაში – 140, ხოლო ყაზახეთში – 119. მკვლელობების რაოდენობით კოლუმბიის შემდეგ მსოფლიოში რუსეთს უკავია მეორე ადგილი [209]. ამ თემასთან დაკავშირებით რუსეთში მრავალი დისერტაცია არის დაცული [54][59][73][77][93][97]. მკვლელობებთან ბრძოლის პრობლემა უცხო არც საქართველოსათვისაა. გასული საუკუნის მიწურულს საქართველოს დანაშაულობის სტრუქტურაში მკვლელობებმა თავისებურად ასახა მსოფლიოს დანაშაულობის საერთო ტენდენციები, კერძოდ გახშირდა სეპარატისტულ და სხვა სახის ორგანიზებულ ჯგუფებში, დაუკავშირდა შავი ბიზნესის ინტერესებს და ამით ტრანსნაცონალური ხასიათი შეიძინა, გამოვლინდნენ შემკვეთი მკვლელობების სახით, გახშირდა ოჯახის კრიზისის პროცესებში და ა.შ. ამრიგად, როგორც რაოდენობრივი ასევე, ხარისხობრივი მაჩვენებლებით საქართველოში მკვლელობები იძენს გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელ თვისებებს და შესაბამისად ითხოვს სპეციალურ კრიმინოლოგიურ გამოკვლევას.

საქართველოში მკვლელობების პრობლემა ძირითადად განიხილებოდა სისხლის სამართლის კუთხით. [20][36][37][39][47][48] მაგრამ საქართველოს კრიმინოლოგიაში მკვლელობების პრობლემატიკა სპეციალურად არ განხილულა. ძირითადად კრიმინოლოგები ამ მოვლენას აანალიზებდნენ სხვა კრიმინოლოგიური საკითხების შემადგენელი ნაწილის სახით, მაგრამ მკვლელობების დამახასიათებელი მიზეზები და პირობები, მკვლელთა კლასიფიკაცია და მოტივები, პრევენციის სპეციალური განსაზღვრა ჯერჯერობით არაა დადგენილი იმისათვის, რომ კრიმინოლოგიამ ქმედითად შეუწყოს ხელი მკვლელობებთან ბრძოლას, უპირველესად აუცილებელია მისი ღრმა შესწავლა და პრევენციული პროგრამის შემუშავება [2][4][5, 78-82][10, 28-29][11, 172-185][12, 41-42][17, 11-14][26, 71-72][45][46, 28-34][50][51, 62-65][52, 91-98][160, 45-51]. უდავოა, რომ რეფორმების

პერიოდის საქართველოში მკვლელობებმა შეიძინეს მკვეთრად განსხვავებული თვისებები, რაც ლოგიკურად ითხოვს განსაკუთრებულ შესწავლას.

მკვლელობების სპეციალური გამოკვლევის არარსებობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს, როგორც კრიმინოლოგიური თეორიის განვითარებაზე, ასევე ამ დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობაზე. კრიმინოლოგიური აზროვნება, უპირველესად, ემყარება თეორიულ წარმოდგენებს, რომელთა გაღრმავება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დეტალურად იქნება შესწავლილი დანაშაულობის ყველა სახე და ფორმა. განზრახ მკვლელობა წარმოადგენს დანაშაულობის ყველაზე საშიშ ნაირსახეობას. მისი გამოკვლევის უგულებელყოფის გამო დაუდგენელი რჩება დანაშაულობის სტრუქტურის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე შემადგენელი ნაწილები. აქედან გამომდინარე კი გაურკვეველი რჩება ქვეყნის დანაშაულობის საშიშროების პროგნოზი. უფრო მეტიც, პრაქტიკაში დაუზუსტებელი რჩება კრიმინოგენური სიტუაციების მოდელები, კრიმინოტიპების კლასიფიკაცია და მკვლელობებთან ბრძოლის სხვა მნიშვნელოვანი საკითხი.

მკვლელობების ანალიზის არარსებობა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის სიცოცხლისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე. მკვლელობების შესახებ ცოდნა სჭირდება არა მარტო კრიმინოლოგებს, არამედ ფართო საზოგდოებასაც. მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებს შეუძლიათ ობიექტურად შეაფასონ საზოგადოებაში არსებული ძალადობა, თუ მათ ძალადობით დანაშაულობაზე სრულყოფილი ინფორმაცია გააჩნიათ. ამიტომ, მკვლელობების კვლევას გააჩნია არა მარტო კრიმინოლოგიური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც.

კონკრეტული მკვლელობები ავლენენ სხვადასხვა განუმეორებელ მიზეზებს. მიუხედავად ამისა მათ გააჩნიათ ერთიანი გენეზისის თვისებები. მათი უგულებელყოფის შედეგად სხვადასხვა ორგანოები ეყრდნობიან კერძო ხასიათის რეკომენდაციებს, რაც უეჭველად ართულებს პრევენციულ ღონისძიებათა მიზანდასახულობას.

მკვლელობების გამოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნები შეიძლება გამოყენებული იყოს კონფლიქტური სიტუაციების მოდელირებისათვის. ამასთან

დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს გამოკვლევის პროგნოსტული ფუნქცია, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია ინდივიდუალური პროფილაქტიკისათვის, ოპერატიული მოქმედების ჩატარებისათვის და სხვა.

ობიექტური კრიმინოლოგიური დასკვნები სტაბილურ საფუძველს უქმნიან სათანადო კანონთა პროექტების შემუშავებას. მრავალი ნორმატიული საკითხი, რომელიც ეხება დიდი ქალაქის განვითარების, ქალთა შრომის პირობებს, ბავშვთა სწავლას და სხვა. მჭიდროდ არის დაკავშირებული მკვლელობების და სხვა ძალადობითი დანაშაულობის  კრიმინოლოგიური ანალიზის დასკვნებთან [50, 10-20].

მკვლელობების მთლიანი სურათის დადგენა საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ შედარებით - კრიმინოლოგიური პრობლემები, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას ჩვენი ქვეყნის პრევენციულ პრაქტიკაში.

**კვლევის ობიექტი და საგანი**

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის ძალადობითი მკვლელობების სტრუქტურის და დინამიკის თავისებურებანი; მკვლელობების სოციალურ-დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები საქართველოში; მკვლელობებთან  ბრძოლის პრაქტიკა, როგორც  ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში;

კვლევის ობიექტს წარმოადგენს:

1) მკვლელობების სახეებისა და ფორმების მდგომარეობის უწყებრივი ასახვა და მათი კრიმინოლოგიური თვალთახედვა;

2) მკვლელობების სტრუქტურული მახასიათებლები;

3) მკვლელობების დეტერმინაციის დონეები და სტრუქტურული მიმართულებები;

4) მკვლელობების ზოგად-სოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომები.

## კვლევის მიზანი

აღნიშნული დისერტაციის ძირითად მიზნად დასახულია მკვლელობების შესახებ ახალი მეცნიერული ცოდნის მიღება, ამ დანაშაულობასთან ბრძოლის თეორიულ-გამოყენებითი საკითხების გადაწყვეტა.

## კვლევის ამოცანები

ძირითადი მიზნიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებია:

- მკვლელობების ძირითადი ტენდენციების, ფორმების და ხარისხობრივი თვისებების დადგენა;
- მკვლელობების დეტერმინაციის შესწავლა და კლასიფიკაცია როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ დონეზე;
- მკვლელობების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი მიმართულების განსაზღვრა;
- პრევენციული მოდელების ანალიზი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

## კვლევის სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა

დისერტაციაში წამოყენებულია და დასაბუთებულია მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რიგი ახალი დებულებები, მათ შორის:

1. დადგენილია განზრახ მკვლელობების სტრუქტურის და დინამიკის ტენდენციები, რომელიც ტიპიურია საქართველოს გარდამავალი პერიოდისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განზრახ მკვლელობის უწყებრივ ასახვას და მის შეუსაბამობას იმ რაოდენობრივ პარამეტრებთან, რომელიც დგინდება კრიმინოლოგიური ანალიზის შედეგად. კერძოდ, ისეთი მაჩვენებლებთა სტაბილობა, როგორიცაა სსკ-ს 108-ე მუხლით და 109-ე მუხლის გათვალისწინებული ქმედების შეფარდება, მკვლელობებისათვის მსჯავრდებულ პირთა ხვედრითი წილი მსჯავრდებულ პირთა საერთო რაოდენობაში, განზრახი მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის შეფარდება, მკვლელობისათვის მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა ერთ მკვლელობაზე, გვაძლევს საშუალებას

დავასკვნათ, რომ ძალადობრივი სუბკულტურა ინარჩუნებს თავს საზოგადოებაში. ამიტომ, გამოკვლევაში კეთდება დასკვნა, რომ მკვლელობების რაოდენობრივი პარამეტრების შემცირება, რომელსაც გვიჩვენებს სამართალდამცავი ორგანოების სტატისტიკა, ვერ ასახავს ამ მოვლენის სტრუქტურულ თვისებებს და ზოგადად ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ სიტუაციას.

დისერტაციაში უარყოფილია უნიფიცირებული მიდგომა დანაშაულობის განვითარებისადმი. კვლავ მტკიცდება დებულება დანაშაულობის გეოგრაფიის კვლევის შესახებ. ამ მიმართულებით გამოკვეთილია ქვეყნის რეგიონებში განსხვავებული სუბკულტურის არსებობის პრობლემა.

გამოკვლევაში სხვადასხვა ინფორმაციული წყაროებზე დაყრდნობით  რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები გამოიყოფა იმ სოციალური არეალის სახით, სადაც სეპარატისტების მკვლელობებში ნათლად აისახება კულტურათა კონფლიქტების ძალადობრივი გადაწყვეტის მოდელი, რომელიც კანონზომიერია რუსეთის სუბკულტურისათვის.

2. დისერტაციაში განზრახ მკვლელობების დეტერმინაციის ანალიზისას დახასიათებულია საერთო ხასიათის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია, ცხოვრების წესი და ძალადობის სუბკულტურა. საქართველოს გარდამავალ პერიოდში ისინი იძენენ გარკვეულ ფორმას როგორც გავრცელების, ასევე წინააღმდეგობათა გამწვავების გზით.

დისერტაციაში წამოყენებულია დებულება, რომ საერთო ხასიათის  ფაქტორების გათვალისწინება პრევენციის პრაქტიკაში მნიშვნელოვანია, თუ ამავე დროს იქნება გათვალისწინებული განზრახი მკვლელობების უშუალო მიზეზები და პირობები, რომელთა სახით დგინდება განზრახი მკვლელობათა დეტერმინაციის სრული სურათი.

3. მკვლელობების უშუალო მიზეზთა და პირობათა შორის გამოკვეთილია პირთა ასაკის, სოციალური სტატუსის, პიროვნებაზე ოჯახის კრიმინოგენურ

ზეგავლენის, ნასამართლობის, მკვლელობის კონკრეტული კრიმინოგენული სიტუაციის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების დახასიათება.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ საზოგადოებაში არსებული ზოგადი ხასიათის დეტერმინანტები ქმნიან გაუცხოების მდგომარეობას, რომელიც ხელ უწყობს კონკრეტული კრიმინოგენური სიტუაციების არსებობას, სადაც ვითარდება სხვისი სიცოცხლის მოსპობის მოტივაცია და მისი რეალიზაციის პირობები.

4. დისერტაციის პრაქტიკულ მნიშვნელობას ამყარებენ მსჯავრდებულთა ანკეტირების შედეგები და ამ მიზნით სხვა ქვეყნებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები. შედარებით-სამართლებრივი ანალიზის შედეგად ხდება მონაცემთა კორექტირება და სათანადო პროგნოსტული რეკომენდაციების შემუშავება.

5. გამოკვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების პრაქტიკული მნიშვნელობა გამყარებულია მკვლელობების პრევენციის ღონისძიებების ანალიზით და აუცილებელ ღონისძიებათა შესაბამისი კლასიფიკაციით. არსებული ღონისძიებები ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული, დაქსაქულობაა აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ დასახულ პრევენციულ პროგრამებში. ამ მიმართულებით მიგვაჩნია, რომ ზოგადი და სპეციალური სახის პრევენციული ღონისძიებები უნდა წარმოშობდნენ სისტემას.

ჩვენი აზრით, საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, როდესაც ადგილი აქვს უმუშევრობას, დასაქმების ეპიზოდურობას, ეკონომიკური ზრდის შეჩერებას, საარსებო მინიმუმის ქვევით ხელფასის დაცემას და ა.შ., უპირველეს ყოვლისა აქტუალურია დასაქმების კრიზისის დაძლევის მოდელის რეალიზაცია. გამოკვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომითი ბაზრის რეგულირების ზომებს, რომლებიც ერთდროულად ასრულებენ მოსახლეობის დაძაბულობისაგან და კონფლიქტურობისაგან დაცვის ფუნქციას.

6. დისერტაციის სიახლეა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და იქ არსებული პრევენციული მოდელების დანერგვის რეკომენდირება. ამ

მიზნით შემოთავაზებულია ინტერაქციონიზმის თეორიის მიმდევართა მიერ დასახული პროგრამა, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია დაზარალებულთა და პოლიციის მუშაკთა ერთობლივ შეხვედრებს და კონსულტაციებს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საქართველოში დაინერგოს აშშ-ი შემუშავებული რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის თანახმად ჯანდაცვის სისტემის სამსახურების მიერ მარტოხელა დედების რეგულარული მონახულება, იმ ოჯახების კონტროლი, სადაც გამოვლენილია ბავშვებთან სასტიკი მოპყრობის შემთხვევები, კონფლიქტებისადმი მიდრეკილ მოზარდთა გამოვლენა ხორციელდება.

ამასთან ერთად აღინიშნება ძალადობით სუბკულტურის არსებული პირების ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული დახმარების სამსახურის აუცილებლობის საკითხი.

დისერტაციაში ასევე შემოთავაზებულია რეაბილიტაციის გერმანული მოდელი, რომელიც წარმოდგენილია «ამბულატორული» აღმზრდელობითი ჯგუფების სახით, სადაც მოძალადე არასრულწლოვანს სთავაზობენ კონსულტაციებს.

ასევე დასმულია ვიქტიმოლოგიური ხასიათის საკითხი, რომელიც ეხება მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის პრობლემატიკას.

7. დისერტაციის სიახლეა სამართლებრივი აქტების კრიმინოლოგიური ექსპერტიზის საკითხი. ამ მიმართულებით მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებას ხელს უწყობს ნორმატიული აქტების სრულყოფის ღონისძიებები. მკვლელობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმ სამართლებრივი აქტების კრიმინოლოგიური ექსპერტიზა, რომლებიც არეგულირებენ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. ზოგიერთი მათგანი ატარებს ზოგად სოციალურ ხასიათს და უშუალოდ არ უკავშირდება ძალადობის პრობლემატიკას, მაგრამ ზოგიერთი აქტი უშუალოდ ეხება ძალადობის პრობლემატიკას და ამიტომ მოითხოვს მეტად გათვლილ მიდგომას.

8. დისერტაციაში ასევე შემოთავაზებულია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში არსებული რეგიონის მასშტაბით ადრინდელი დევიაციის პროგრამები. ასეთ ამოცანას ახორციელებენ  რესოციალიზაციის სამსახურები რეგიონალურ სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, რომლებიც ასრულებენ მეზობლების, ახლობლების, მეგობრების გამოკითხვებს, აანალიზებენ ოჯახური კონფლიქტების შესახებ შემოსულ  სიგნალებს, კოორდინაციას უწევენ კონფლიქტურ ოჯახებთან მუშაობის ზომებს და ა.შ.

9. სადისერტაციო კვლევამ დაგვანახა, რომ ე.წ. ფონურ მოვლენებთან ბრძოლის პროგრამები არ არიან დაკავშირებული ძალადობრივი სუბკულტურის პრევენციის პროგრამებთან. ამიტომ დასმულია საკითხი მათი სისტემური დაკავშირების შესახებ.

დისერტაციაში გათვალისწინებულია საზღვარგარეთის ქვეყნების ძალადობრივი სუბკულტურის წინააღმდეგ მიმართული პროგრესული მოდელები და ამ კუთხით შემუშავებული პრაქტიკის განვითარების პოლიტიკა. წინამდებარე ნაშრომში მოხდა მათი ანალიზი და შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოს პირობებში მათი რეცეფციის შესახებ.

დისერტაცია წარმოადგენს საქართველოში მკვლელობების სრულყოფილი კრიმინოლოგიური კვლევის პირველ ცდას, რომელიც ზრდის მის ღირებულებას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გამოკვლევა საინტერესო იქნება ძალადობით დანაშაულობაზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, იურიდიული (სამართლის) ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და პროფესორ - მასწავლებლებისათვის, ასევე დაინტერესებულ პირთათვის და ფართო საზოგადოებისათვის.

მიღებული დასკვნები დახმარებას გაუწევს სახელმწიფო უწყებებს, მათ შორის – სამართალდამცავ ორგანოებს. მკვლელობების ამსახველი კანონზომიერებების დადგენით შეიქმნება თეორიული საფუძველი ამ მოვლენისადმი სამართლებრივი, კრიმინალისტური და კრიმინოლოგიური წარმოდგენათა გაღრმავებისათვის. შემუშავებული დასკვნები ხელს შეუწყობენ კრიმინოლოგიურ სწავლას.

ვფიქრობთ, რომ ასეთ გამოკვლევას, გარდა მეთოდოლოგიური და ფუნდამენტური მნიშვნელობისა, ექნება ასევე გამოყენებითი და პრაქტიკული ხასიათი. ნაშრომში გაკეთებული დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები მნიშვნელოვან თეორიულ საფუძველს წარმოადგენს იმ პრაქტიკოსებისთვის, რომელთაც სურთ საქართველოში კრიმინოლოგიური ხასიათის ზომების რეგულირებაში რეალური ცვლილებების განხორციელება და არსებული ნაკლოვანებების გამოსწორება.

## კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ჰუმანისტური მიმართულების ფილოსოფიური შრომები, მეცნიერული გამოკვლევები მკვლელობების საკითხებზე.

კვლევის მეთოდურ საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ხასიათის კონვენციები და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკული პროგრამები; საქართველოს სამთავრობო ორგანოებისა და საზოგადოებრივო ორაგანიზაციების მიერ გაწეული სამუშაო.

გამოკვლევაში პრობლემის კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური, შედარებით-კრიმინოლოგიური, სოციოლოგიური, სტატისტიკური და სხვა მეთოდები.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ოპერაციონალურ მეთოდიკას, რომელიც უშუალოდ მიმართულია მსოფლიოში და საქართველოში არსებული ღონისძიებების ანალიზისაკენ.

## დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა

დისერტაცია შედგება შესავლის, ხუთი თავის, 13 პარაგრაფის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის და დანართებისაგან. ნაშრომის მოცულობა შეადგენს 189 გვერდს, რომელსაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 15 გვერდზე და დანართები 27 გვერდზე – სულ 226 გვერდი.

**გამოყენებული ლიტერატურა**

კვლევის დროს გამოყენებული იქნა როგორ ქართველი, ისე უცხოური მეცნიერების, კერძოდ, ა. გაბიანის, მ. ბაძაღუას, ნ.გაბრიჩიძეს, ი. გოძიაშვილის, გ. ღლონტის, ნ. იმედაძეს, დ. კიკნაძეს, გ. ყვარელაშვილის, თ.შავგულიძეს, ი. წიკლაურის, გ. ჯანაშიას, ს. აბელცევის, ვ. ლუნეევის, რ. მერტონის, დ.შელის, გ. შნაიდერის, ე. შურის, ტ. ალარდის, ა. სტევარტის, ე. ბაუმანის და სხვათა ნაშრომები, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო თუ შიდასამართლებრივი საკანონმდებლო აქტები, პუბლიკაცია, სტატისტიკური მასალა, ინტერნეტ რესურსი და ა.შ.

**ნაშრომის აპრობაცია**

დისერტაციის ძირითად დებულებებზე მოხსენებები გაკეთებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თ.წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის საბჭოზე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ ორგანიზებულ მრგვალი მაგიდის სხდომაზე.

დისერტაციის შინაარსის ამსახველი დებულებები გამოქვეყნებულია შემდეგ სამეცნიერო სტატიაში :

1. ” მკვლელობათა თავიდან აცილების თავისებურებანი და პრობლემები” – ჟურნალი “სამართალი”, 2004წ;

2. ” ძალადობრივი დანაშაულისაგან პიროვნების პროფილაქტიკური დაცვა” – ჟურნალი “სამართალი”, 2004წ.

# თავი I

# მკვლელობების ანალიზის მეთოდოლოგიური ასპექტები

## §1. მკვლელობების კრიმინოლოგიური ცნება და ფორმები

მკვლელობების კრიმინოლოგიური შემეცნება საქართველოს სამართალში მთლიანად ემყარება სისხლისსამართლებრივ ნორმას. ამ მხრივ მკვლელობების კრიმინოლოგიური ცნება ატარებს ლეგალისტურ ხასიათს.

1999 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი სამოციანი წლების კოდექსისაგან განსხვავდება იმით, რომ იწყება ადამიანის წინააღმდეგ დანაშაულის შესახებ კარით, სადაც პირველი ადგილი უკავია თავს "დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ". საქართველოს კონსტიტუციის მიერ აღიარებულია, რომ ადამიანი, მისი ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი არის უზენაესი ღირებულება. ამ უფლებათა და თავისუფლებათა შორის პირველ ადგილზე დგას ადამიანის სიცოცხლე. საქართველოს კონსტიტუციის მე -15 მუხლის თანახმად "სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი". აღნიშნული მოთხოვნა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პუნქტის მე -6 მუხლში აღნიშნულია, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლე არის მისი განუყრელი უფლება და დაცულია კანონით. არავის არ შეუძლია მას სიცოცხლე თვითნებურად წაართვას.

მე-19 თავის სტრუქტურაში დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ წარმოდგენილია ოთხი ნაირსახეობით: ა) უბრალო შემადგენლობა (108-ე მუხლი), ბ) კვალიფიციური შემადგენლობა (109-ე მუხლი), გ) პრივილეგირებული შემადგენლობა (112-ე, 113-ე, 114-ე მუხლები), დ) სიცოცხლის წინააღმდეგ სხვა დანაშაული (115-ე, 116-ე მუხლები). კანონმდებლის მიერ 116-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული მიეკუთვნება სიცოცხლის მოსპობას და არა მკვლელობას.

აქედან გამომდინარე მკვლელობის იდეალური ნაირსახეობა, სადაც ამ მოვლენის ყველა თვისება ჩანს, ასახულია უბრალო და კვალიფიციურ შემადგენლობაში, რაც ხელს უწყობს ღრმა კრიმინოლოგიურ კვლევა-ძიებას.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკაში მკვლელობის ლეგალური განსაზღვრა აწყდება მთელ რიგ ობიექტურ სირთულეს. საქმე იმაშია, რომ კრიმინოლოგიურ გამოკვლევათა ძირითად წყაროს მკვლელობების უწყებრივი აღწერა წარმოადგენს, ხოლო მისი ინდიკატორთა სქემა მთლიანად არ ემთხვევა იმ ნორმების კლასიფიკაციას, რომელიც მიღებულია სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში, მათ შორის საქართველოშიც. საქართველოში შსს ანგარიშგება არეგისტრირებს ფაქტებს დანაშაულების რიცხოვნობით, ხოლო პროკურატურის ანგარიშგება – საქმეების რიცხოვნობით. ლატენტურობის მაჩვენებელი ამ ანგარიშებში განსხვავებულია. შსს-სათვის იგი გამოიხატება ე.წ. გახსნის პროცენტში, ხოლო პროკურატურის სტატისტიკით – შეწყვეტილი საქმეების მაჩვენებლით. ეს მაჩვენებლები არ ატარებენ პირდაპირ ინფორმაციას შეჯერებითობისათვის. ამას გარდა სსკ-ს 109-ე მუხლში გათვალისწინებული შემთხვევები არაა მოცემული კრიმინალურ სტატისტიკაში. ამდენად "მკვლელობის" რუბრიკით კრიმინოლოგია ხშირად განსაზღვრავს ისეთ კონსტრუქციას, რომელიც მკვეთრად განსხვავდება სისხლის სამართლებრივი განსაზღვრისაგან.

ცნებითი შეუსაბამობა არაა შეცდომა, მას გააჩნია გარკვეული ობიექტური საფუძველი. ამ მიმართულებით აღსანიშნავია დანაშაულობის და სამართლის ურთიერთკავშირის ამსახველ ფაქტორთა როლი, კერძოდ: ა) მკვლელობები გარკვეულად უკავშირდება დანაშაულობის ტრანსნაციონალურ ტენდენციებს და ამიტომ დანაშაულობასთან ბრძოლაზე უშუალო ზეგავლენას ახდენს მსოფლიოში შემუშავებული პრევენციის საერთაშორისო სტანდარტები, ბ) მასიური მოვლენის სახით მკვლელობები რეალურად ავლენენ ისეთ თვისებებს და კანონზომიერებებს, რომლებიც არ ემთხვევა ნორმატიულად განსაზღვრულ აქტს, გ) მკვლელობათა ნორმატიული კლასიფიკაცია შედარებით უცვლელია სოციალური ცხოვრების ცვალებადობის და აქედან გამომდინარე დანაშაულთა სტრუქტურის ცვალებადობის ფონზე.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მკვლელობების კრიმინოლოგიურ ცნებას გააჩნია ნორმატიული დოგმატიკის ფარგლებს გარეთ განვითარების თავისებურება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მკვლელობის ცნება ნაწილობრივ ანტილეგალისტურია.

აღსანიშნავია შედარებით-კრიმინოლოგიური ხასიათის ფაქტორთა თავისებურება. როგორც ცნობილია, საერთაშორისო პრაქტიკაში მკვლელობების ცნებისადმი ერთიანი მიდგომა არ არსებობს. განსაკუთრებით ამ სიძნელეებს აწყდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სისხლის სამართლის დოქტრინა, სადაც დღემდე არაა დადგენილი მკაფიო და ყველასათვის მისაღები ცნებები, განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით გაიგივებულია. [204, 50-51]

აშშ-ში მკვლელობების შესწავლის ძირითად სტატისტიკურ წყაროს კრიმინალური სტატისტიკა (USR) წარმოადგენს, სადაც მკვლელობა განსაზღვრულია ანტილეგალისტური მეთოდით, კერძოდ მკვლელობად განიხილება განზრახ და არაგანზრახ (გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა) სიცოცხლის მოსპობა პირის ან პირთა ჯგუფის მიერ. აბსოლუტური მაჩვენებლების და მკვლელობების კოეფიციენტის გარდა ქვეყნის მოსახლეობის აღწერის ბიურო გამოკითხვის მეშვეობით კრიმინალური ვიქტიმიზაციის ეროვნულ მიმოხილვაში (NCVS) აქვეყნებს მონაცემებს იმ დაზარალებულთა და შემთხვევათა შესახებ, რაც არ იყო პოლიციის მიერ პირველად რეგისტრაციაში ასახული.[181, 248-249] აღსანიშნავია, რომ აშშ-ს კრიმინალურ სტატისტიკაში ვიქტიმოლოგიურ მიმართულებას უკავია წამყვანი ადგილი, რადგან რამდენი მსხვერპლიცაა, იმდენივე "მკვლელობა" ფიქსირდება [177, 198]. ინგლისისა და უელსის სტატისტიკურ ბიულეტენებს მკვლელობის ცნებაში შეაქვთ: მკვლელობა, არაპირდაპირი მკვლელობა, ბავშვის მოკვლა, მკვლელობის მცდელობა, შეთქმულება მკვლელობის ჩასადენად, ბავშვის განადგურება, მანქანის სახიფათო ტარება, რომელსაც მოჰყვა სიკვდილი. შვედეთის სტატისტიკა მკვლელობის განსაზღვრისას ითვალისწინებს ყველა სახის განზრახ და არაგანზრახ მკვლელობას [212, 34-36]. საფრანგეთის სტატისტიკური კრებული გამოყოფს განზრახ მკვლელობას და მკვლელობის მცდელობას. რუსეთის სტატისტიკა

“განზრახ მკვლელობის” რუბრიკაში აფიქსირებს განზრახ მკვლელობას დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობას, აფექტურ მდგომარეობაში მკვლელობას, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით და ყველა სხვა შემთხვევა, რომელიც დასრულდა მსხვერპლის სიკვდილით [177, 198]. მკვლელობის ასახვის საკითხი რთულდება, ასევე, სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული სისხლის სამართლის ნორმებისა და კრიმინალური სტატისტიკის შედარებისას. [206]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლებში გათვალისწინებული “ადამიანის განზრახ სიცოცხლის მოსპობა” არის ამავდროულად მკვლელობის კრიმინოლოგიური ცნების მნიშვნელობაც. აქედან გამომდინარე მკვლელობების ფორმების ლეგალისტური კლასიფიკაცია კრიმინოლოგიაში საწყისია.

საქართველოს სისხლის სამართალი გამოყოფს დანაშაულის კვალიფიკაციის ისეთ პირობებს, როდესაც დასაშვებია ადამიანის განზრახ სიცოცხლის მოსპობის ზუსტი განსაზღვრა, კერძოდ: [25, 5-45]

- მკვლელობის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე; მოკვლა შეიძლება მხოლოდ ცოცხალი ადამიანისა;

- თუ პირი ფიქრობს, რომ კლავს ცოცხალ ადამიანს, სინამდვილეში კი მისი ხელყოფა უკვე მკვდარი ადამიანის წინააღმდეგ იყო მიმართული, გვაქვს ე.წ. “მცდელობა უვარგის ობიექტზე”;

- მკვლელობას აქვს ადგილი, თუ თვითმკვლელობის დროს მსხვერპლი იყო გამოყენებული “ბრმა იარაღად” საკუთარი სიცოცხლის მოსასპობად;

- მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით; მკვლელობა შედეგიანი (მატერიალური) დანაშაულია. თუ შედეგი (სიკვდილი) არ განხორციელდა, ადგილი აქვს მკვლელობის მომზადებას ან მცდელობას;

- მოქმედება ან უმოქმედობა უნდა იყოს სიცოცხლის მოსპობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა;

- ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში დასჯად მკვლელობად არ ჩაითვლება;

- თუ პირის განზრახვა მიმართული იყო სხეულის დასაზიანებლად, მაგრამ ამას შედეგად მოჰყვა სიკვდილი, მან შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ სხეულის განზრახ დაზიანებისათვის და, სათანადო პირობების არსებობისას, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის;

- შეცდომა მოკლულის პიროვნებაში ზეგავლენას არ ახდენს პასუხისმგებლობაზე;

- თუ ვინმეს გადაწყვეტილი ჰქონდა განსაზღვრული პირის მოკვლა, მაგრამ მის მიერ ნახმარი იარაღი ან საშუალება ამ პირს ასცდა და სხვა ადამიანს მოუსპო სიცოცხლე, პირი პასუხს აგებს განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის და მეორე პირის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის;

- თუ პირი შეცდომით ფიქრობს, რომ არსებობს მისი მოქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, განზრახ მკვლელობა გამორიცხულია და მან შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ გაუფრთხილებლობით მკვლელობისათვის;

- ამასთან ერთად სსკ-ის 109-ე მუხლი, შესაბამისად, გამოყოფს განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში, რითაც საშუალება გვეძლევა მკვლელობის ფორმების შემდგომი კლასიფიკაციის გაფართოებისათვის. დანაშაულის კვალიფიკაციის მნიშვნელოვან პირობებს მიეკუთვნება:

ა) ორი ან მეტი პირის მკვლელობის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება არის ის, რომ დანაშაული მოცულია ერთი საერთო განზრახვით. სსკ-ის 108-ე და არა 109-ე მუხლის მოთხოვნა ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მეორე პირი მოკლულია შემთხვევით. როდესაც ორი ან რამდენიმე პირის მკვლელობა ერთიანი განზრახვის განხორციელებას არ წარმოადგენს, ადგილი აქვს 108-ე მუხლის "ო" პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. ორი პირის მკვლელობა

არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც მკვლელობა, თუ ერთ-ერთი ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ან ძლიერი სულიერი მღელვარების მდგომარეობაში. განზრახ მკვლელობას და მკვლელობის მცდელობას ადგილი ექნება, თუ არ დადგა მეორე პირის სიკვდილი. თუ დამნაშავეს განზრახული ჰქონდა მარტო ერთი ადამიანის მოკვლა, მაგრამ ის მოქმედებდა მრავალი ადამიანისათვის საშიში საშუალებებით, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 109-ე მუხლის "ზ" პუნქტით;

ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ დამნაშავემ დანამდვილებით იცის ორსული ქალის მდგომარეობა. აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც პირს ეჭვი ჰქონდა ან არ იცოდა ქალის ორსულობის შესახებ;

გ) მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილ მკვლელობისათვის ტიპიურია ისეთი სიტუაცია, როდესაც დაზარალებულის საქმიანობა მართლზომიერია და მკვლელობა უშუალოდ დაკავშირებულია ასეთი საქმიანობის შესრულებასთან. დაზარალებულის უკანონო საქმიანობის შემთხვევაში ნორმის აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება;

დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მკვლელობისათვის დამახასიათებელი თავისებურება არის ის, რომ დამნაშავისთვის დანამდვილებით ცნობილია არასრულწლოვანი დაზარალებულის ასაკი, დაზარალებულის მცირეწლოვანება ან მისი სხვა უმწეო მდგომარეობის შესახებ (შეურაცხადობა, ინვალიდობა, ძილი, სიმთვრალე და ა.შ.). სხვა შემთხვევაში აღნიშნული ნორმის მოთხოვნა არ მოქმედებს;

ე) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით ჩადენილი მკვლელობის შემთხვევაში დანაშაულის ობიექტად მიიჩნევა როგორც მძევალის სიცოცხლე, ასევე იმ პირთა სიცოცხლე, რომლებიც დამნაშავეს ხელს უშლიდნენ მძევლად ხელში ჩაგდებაში ან ცდილობდნენ მძევალის გათავისუფლებას. კანონმდებლის

ეს ნოვაცია შემოღებულია მსოფლიოში ამ დანაშაულობის გავრცელების გამო; [65]

ვ) განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში უნდა გამოვლინდეს უკიდურესი, წრეს გადასული სისასტიკე. დანაშაული, მისი ჩადენის ხერხი უნდა ატარებდეს განსაკუთრებით მწვალებლურ ხასიათს. ამ დანაშაულის კვალიფიკაციისას უნდა დადგენილი იყოს, რომ დამნაშავე განზრახ აწამებდა დაზარალებულს ან სასტიკად ტანჯავდა მას. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სისასტიკე გამოვლინდა აფექტურ მდგომარეობის დროს მკვლელობაში ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას;

ზ) მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ხასიათდება იმით, რომ სიცოცხლის მოსპობისათვის დამნაშავე რეალურად იყენებს საყოველთაოდ საშიშ საშუალებას, რასაც უნდა მოიცავდეს მისი განზრახვა. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩადენის ვითარებაც.

თ) ჯგუფურად ჩადენილ მკვლელობის დახასიათებისას კანონმდებელს მხედველობაში აქვს როგორც თანამონაწილეობის შემთხვევა, ასევე მისი მარტივი სახე – თანააღმსრულებლობა, როდესაც მკვლელობის ყველა მონაწილე ერთობლივად, როლების წინასწარი განაწილების გარეშე ჩადის დანაშაულს. ჯგუფის სტრუქტურის სირთულეს კვალიფიკაციისას არ აქვს მნიშვნელობა.

ი) ანგარებით ან შეკვეთით ჩადენილი მკვლელობა ორი განსხვავებული დანაშაულია, თუმცა კანონმდებლის მიერ ერთი რუბრიკით განიხილება. ანგარებითი მკვლელობა გულისხმობს რაიმე მატერიალური მოგების მიღებას. მკვლელობის ობიექტად შეიძლება იყოს როგორც უშუალოდ დაზარალებულის, ასევე მისი ნათესავის (ბავშვის, მეუღლის და ა.შ.) სიცოცხლე. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მკვლელობა არ შეიძლება ჩაითვალოს ანგარებით ჩადენილად, თუ პირის მიზანია არა ქონების, ქონებრივი უფლების თუ გამორჩენის მიღება ან ასეთივე ვალდებულებისაგან გათავისუფლება, არამედ საკუთარი ქონების შენარჩუნება, თუნდაც მკვლელობაში გამოვლინდეს კერძომესაკუთრული ინტერესი, მისი სიხარბე, გაუმაძღრობა და სხვა [25, 20].

გამორჩენა თავისათვის ან სხვისათვის კანონმდებლის მიერ განიხილება როგორც ანგარებითი დანაშაული. მკვლელობა ყაჩაღობასთან კვალიფიცირდება ერთობლიობით მხოლოდ მაშინ, როდესაც მკვლელობის მიზანი იყო სხვისი ქონების უშუალოდ დაუფლება, როდესაც ეს დაუფლება ხდებოდა დაზარალებულზე თავდასხმის მეშვეობით. თუ ერთ-ერთი პირობა არ არსებობს, ერთობლიობა გამორიცხულია. [25, 22]

შეკვეთით ჩადენილი მკვლელობა ადრე განიხილებოდა, როგორც ანგარებით მკვლელობის კერძო შემთხვევა. მოქმედი კანონმდებლობა ცალკე გამოყოფს ამ შემთხვევას, მსოფლიოში მისი საშიშროების და გავრცელების გამო. ანგარებითი მოტივი არაა დამახასიათებელი შეკვეთით ჩადენილი მკვლელობისათვის, თუმცა გარკვეულად ახასიათებს ამ დანაშაულს.

კ) ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილ მკვლელობის შემთხვევაში პიროვნება აშკარად უპატივცემულოდ ეკიდება საზოგადოებრივ წესრიგს. ხულიგნური ქვენა გრძნობით მკვლელობა უმეტეს შემთხვევაში სიმთვრალეში ხდება, ხშირად ჩხუბის დროს. განზრახ მკვლელობა, ეჭვიანობის მიზეზით, სამაგიეროს გადახდის სურვილით ან რაიმე სხვა მოტივით, რომელიც პირადი ურთიერთობის ნიადაგზე წარმოიშვა, არ განიხილება, როგორც ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი მკვლელობა;

ლ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით ჩადენილი მკვლელობის დახასიათებისას მნიშვნელოვანია დანაშაულის მიზანი. ასეთი მიზანი დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვლება იმისდა მიუხედავად, თუ რა სიმძიმის იყო ის დანაშაული, რომელსაც მკვლელი ფარავდა ან რომლის გასაადვილებლად მან კაცი მოკლა, აგრეთვე იმისდა მიუხედავად, თვითონ ჩაიდინა ეს დანაშაული, თუ სხვა ვინმემ. როდესაც დამნაშავემ მოკლა ადამიანი სხვა დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად ან უკვე ჩადენილი დანაშაულის დასაფარავად, იგი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობის წესით;

მ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო ჩადენილ მკვლელობას არ ახასიათებს პირადი მოტივი. მკვლელი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს შოვინისტური, რელიგიური, ადათობრივი მოტივით.

აღნიშნული დანაშაული განსხვავდება ტერორისტული აქტისაგან, რომლის ჩადენისას დამნაშავემ შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული ანალოგიური მოტივით;

ნ) მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით ჩადენილი მკვლელობა განსხვავდება სსკ-ს 134-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულისაგან იმით, რომ პირველ შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობა წარმოადგენს დანაშაულის ხერხს, რაც მოცულია დამნაშავის განზრახვით;

ო) არაერთგზის (გარდა სსკ-ის 110-114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა) ჩადენილ მკვლელობად ითვლება დანაშაული, რომელზეც ვრცელდება სსკ-ს მე-15 მუხლის მოთხოვნა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სსკ-ის 109-ე მუხლში ასახულია ვიქტიმოლოგიური ასპექტი, რომელიც კრიმინოლოგიურად მეტად მნიშვნელოვანია (“ა” – “დ”, “ნ” პუნქტები), პროცედურული ასპექტი (“ე”, “ვ”, “ზ” პუნქტები), ჯგუფში გაერთიანების ასპექტი (“თ” პუნქტი), მოტივაციური ასპექტი (“ი”, “კ”, “მ” ასპექტები), კრიმინოლოგიური რეციდივის ასპექტი (“ლ”, “ო” ასპექტები).

3. ლეგალისტური კლასიფიკაციის გარდა კრიმინოლოგიაში დასაშვებია კორელაციური კლასიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს მკვლელობების კავშირს ა) სახელმწიფო დანაშაულთან (ტერორისტული აქტთან, ბანდიტიზმთან, მოქმედებასთან, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში); ბ) მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულთან (ხელისუფლების წარმომადგენელისათვის, რომელიც ასრულებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას წინააღმდეგობის გაწევასთან; საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის, პოლიციის მუშაკისათვის ან სახალხო რაზმელისათვის წინააღმდეგობის გაწევასთან; მუქარასთან ან ძალადობასთან თანამდებობის პირის ან მოქალაქის მიმართ, რომელიც საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებს); საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულთან (ხულიგნობასთან; აფეთქებასთან; ტრანსპორტის მუშაკის იძულებასთან; ნავთობმომპოვებელი ობიექტის მუშაკთა იძულებას ან და სხვა); სამხედრო დანაშაულთან (უფროსისათვის

წინააღმდეგობის გაწევასთან ან მის იძულებასთან, სამსახურეობრივი მოვალეობის დარღვევასთან; უფროსის მიმართ ძალმომრეობით მოქმედებასთან და სხვ. ).

მკვლელობების სრული ასახვისათვის, ასევე, მიზანშეწონილია სუბიექტური ნიშნით კლასიფიკაცია. ამ მიმართებით მკვლელობის ყველა ფორმა დაიყოფა ძალადობით, ანგარებით და ძალადობით - ანგარებით სახეებად. აღნიშნულთან დაკავშირებით მართებულად მიგვაჩნია ვ. ლუნეევის მოსაზრება, რომ კრიმინოლოგიური ტრადიციის მიხედვით ყველაზე ხელსაყრელი მიდგომა არის დანაშაულთა დაჯგუფება დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის მიხედვით [71][80, 162][86,16]

## §2. მკვლელობების გამოკვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები

მკვლელობა, როგორც მასობრივი მოვლენა გამოკვლეული უნდა იყოს კომპლექსურად, რადგან მის დეტერმინაციაში მრავალი სოციალური, სოციალურ - ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა სახის ფაქტორი მონაწილეობს. ამიტომ ამ საშიში მოვლენის გააზრება მეთოდოლოგიური პრინციპების სისტემას უნდა ემყარებოდეს.

თანამედროვე კრიმინოლოგიური მეცნიერების მოთხოვნათა ჭრილში მკვლელობა განიხილება, როგორც რთული სოციალური მოვლენა. ამერიკელი კრიმინოლოგები მართებულად აღნიშნავენ, რომ მკვლელობა, როგორც ძალადობის ნაირსახეობა, წარმოიშობა საზოგადოებაში არსებული პროცესების შედეგად. საზოგადოებაში წარმოიშობა ძალადობის სუბკულტურა, რომელიც პიროვნებას უშუალოდ უქმნის მკვლელობის მოტივაციის გარემოს, რა თქმა უნდა, მხოლოდ სოციალური გარემო არ მოქმედებს პიროვნებაზე. [181, 248-249]

მკვლელობის მოტივაციაში თავს იჩენენ ასევე პიროვნების ბიოლოგიური და ფსიქოპათოლოგიური შესაძლებლობები, რომლებიც, ასევე, დეტერმინირებულია სოციალურად. ჯერ ერთი მკვლელობებში ფსიქოპათიის, ნევროზებისა და სხვა ფსიქიკური დაზიანების მოქმედება უმნიშვნელოა [187, 224]. ამას გარდა, ამ

პიროვნული თვისებების მოქმედება მჭიდრო კავშირშია ინდივიდის აღზრდასთან, მის წრესთან, ე.ი. სოციალურ გარემოსთან. [137, 277-280]

მკვლელობის ჩამდენ პირთათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული დანაშაულებრივი მოქმედება. მისი კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვანი თვისებები ვლინდება გადაჭარბებულ თვითშეფასებაში, პრესტიჟულობის გრძნობაში, ძალადობისაკენ სწრაფვაში და სხვა ფსიქოლოგიურ პროცესებში. ეს პიროვნული თვისება, ასევე, განპირობებულია სოციალურად. [68, 44][162, 145]

კრიმინოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მკვლელებისათვის დამახასიათებელი თვითდამკვიდრებისა და თავდაცვისაკენ სწრაფვა განპირობებულია, იმით, რომ ადამიანებს ბავშვობაში არასაკმარისი ემოციური მხარდაჭერა, არასტაბილური ცხოვრება ჰქონდათ. ამ მიმართულებით, ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ადამიანის სიცოცხლის მოსპობისაკენ მიდრეკილება ყალიბდება ძალადობის სუბკულტურაში, სადაც მიღებულია პოზიტიური ძალადობის ეტალონი. ძალადობის სუბკულტურა ვითარდება უპირატესად საზოგადოების დაბალ ფენებში, სადაც ვითარდება ჰიპერტროფირებული თვითშეფასება. ძალადობის სუბკულტურის წარმომადგენლები გრძნობენ აგრესიისადმი მიდრეკილებას, ისინი სწრაფად იცნობენ თავიანთ გარემოცვაში იმ სიტუაციას, რომელიც ხელსაყრელია ძალადობის გამოყენებისათვის. სხვა ადამიანებში მოძალადე ხედავს მხოლოდ სიმბოლოებს და საშუალებებს საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის და არა ცხოვრების პარტნიორებს. იგი ვერ ხვდება იმას, თუ როგორ გადაწყვიტოს პიროვნული კონფლიქტები მშვიდობიანი გზით. [192, 30-31]

მკვლელობების სოციალური არსის ცვალებადობა უშუალოდ ასახავს საზოგადოების გარკვეულ ისტორიულ პერიოდს, რომლის თავისებურებების გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანია მკვლელობის განხილვისას.

გარდამავალი პერიოდის საქართველოში წარმოშობილი სოციალური წინააღმდეგობები ხარისხობრივად განსაზღვრავენ მკვლელობების დეტერმინაციას, რაც გამოკვლეული უნდა იქნას, როგორც დამოუკიდებელი პრობლემა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია დანაშაულთა, დამნაშავეთა

სოციალური წარმოშობის განაწილების და გარდამავალ პერიოდში მკვლელობათა სტრუქტურის სხვა საკითხების დადგენა. განსაკუთრებით აქტუალურია იმ სოციალური სფეროების განსაზღვრა, სადაც ძალადობა აკუმულირდება. მარტო ისტორიულად დასაბუთებული მკვლელობების დინამიკა შეიძლება იყოს პრაქტიკულად მნიშვნელოვანი და პროგნოზის საფუძველი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი დინამიური მიდგომის გამოყენების აუცილებლობაზე არაერთხელ მიუთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. [202, 26-28]

მკვლელობების სოციოლოგიური განხილვის შედეგად შესაძლებელი ხდება იმ პირობების დადგენა, რომელთა ნეიტრალიზაციის ან შესუსტების გათვალისწინება ხელსაყრელია მკვლელობების შემცირებისათვის და ეფექტურია პროფილაქტიკური ზომების მიღებისათვის.

როგორც აშშ-ს მოსახლეობის აღწერის ბიუროს კრიმინალური ვიქტიმიზაციის ეროვნული მიმოხილვა (NCVS) გვიჩვენებს, სახელმწიფო რეგისტრაციის გარდა არსებობს დანაშაულობის ასახვის სხვა მეთოდიც – მკვლელობებზე საზოგადოებრივი აზრის დადგენის მეთოდი. უნდა ითქვას, რომ ქართულ კრიმინოლოგიაში საზოგადოებრივი აზრი დანაშაულთა (მათ შორის მკვლელობათა) შესახებ თვით დანაშაულობის აღწერის განუყრელი ნაწილია. [2, 63-76][13, 55-59][45, 110-124][158]

მკვლელობების ახსნის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კაზუალურ მეთოდს. მკვლელობების თანამედროვე მკვლევარები სულ უფრო ხშირად იყენებენ კორელაციურ თეორიას, რომლითაც უარყოფილია წარსულში არსებულ ფაქტორთა თეორია. როგორც ცნობილია ფაქტორული მიდგომა განპირობებული იყო იმით, რომ აგრესია მრავალფეროვანი მოვლენაა, რომელსაც აქვს ბევრი ფორმა და აღმოცენდება სხვადასხვა წყაროებიდან [189, 243]. ამიტომ ამ თეორიის მიმდევართა აზრით მეცნიერებამ უნდა უარყოს მიზეზობრივი კონცეფცია და მიმართოს მხოლოდ განსაზღვრულ ელემენტებსა და ფაქტებს შორის ფუნქციონალური ურთიერთობების აღნიშვნას [185, 27][129, 65]. ფაქტორთა თეორია თანამედროვე კრიმინოლოგიაში უარყოფილია. მის მაგივრად შემუშავებულია მოვლენათა მდგომარეობის კორელაციური თეორია. ამ

მიმართულებით გამოიყოფა “მატერიალური პირობები”, “ძალადობის სუბკულტურა”, “ცხოვრების წესი”, “სიტუაციური ფაქტორები”, ”მსხვერპლის და დამნაშავის ურთიერთობა” [181, 262-265]

საზოგადოებაში არსებული ნეგატიური პროცესები (უმუშევრობა, დასაქმების ეპიზოდურობა, ეკონომიკური ზრდის შეჩერება, ხელფასის დაცემა საარსებო მინიმუმს ქვევით, ოჯახის დეზორგანიზაცია, დაზარალებულის ქცევის და სხვ.) არსებით ზეგავლენას ახდენენ ძალადობის სუბკულტურის გავრცელებაზე და აქედან გამომდინარე - მკვლელობის მოტივაციაზე. ამ მიმართულებით უფრო ნათლად ჩანს ის ურთიერთობები, რომლებიც გარკვეულ ზეწოლას ახდენენ საზოგადოების ცალკეულ წევრებზე, უბიძგებენ მათ უფრო დაუმორჩილებლობისაკენ, ვიდრე ისეთი ქცევისაკენ, რომელიც საზოგადოებაში მიღებულ წესებს ექვემდებარება. ამიტომ სოციოლოგიური მიდგომა მეთოდოლოგიურად ითვალისწინებს მკვლელის ფსიქოლოგიური სამყაროს დადგენასაც.

ამ მიმართულებით ნათელი ხდება, რომ შემოთავაზებული უფლებებით და წესებით დაუკმაყოფილებელი ინდივიდი იწყებს მათ უარყოფას და მიზნის მიღწევას ნებისმიერ ფასად, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იწყებს ორიენტირებას იმ პირთა ცხოვრების წესზე, რომლებიც არღვევენ სამართლისა და მორალის ნორმებს, ახდენს უწინდელი ფასეულობების ძირეულ გადაფასებას, აღიარებს ფულის ძალაუფლებას და ა. შ. [75, 300][83, 54][84, 37-44][162, 145][166, 78-84]. როგორც მართებულად აღნიშნავს გ. ჯანაშია, სოციოლოგიური მიდგომის მოდელირებისას ჩვენ ვამჩნევთ გაუცხოების მდგომარეობას, რომელიც ღირებულებათა გადაფასების საფუძველში ძევს. გასათვალისწინებელია, რომ გაუცხოების მდგომარეობა ვითარდება ორი მიმართულებით: 1) სახელმწიფოსთან მიმართებაში: კანონის უძლურების, სამართალდამცავ ორგანოებში დახმარებისათვის მიმართვის უაზრობის შესახებ წარმოდგენათა გავრცელების სახით, რაც ბიძგს აძლევს კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტის დამოუკიდებელი ხერხების გამოყენებას; 2) საზოგადოებასთან მიმართებაში კი: არამდგრადობისა და გაუთვალისწინებლობის, გამძვინვარებულობისა და თავაშვებულობის ატმოსფეროს შექმნის სახით. [50, 19]

მკვლელობების ანალიზის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვიქტიმოლოგიურ ასპექტს, რადგან ამ დანაშაულის ჩადენაში გარკვეული როლი უკავია მსხვერპლის მოქმედებას. ამიტომ მკვლელობების მიზეზების დადგენისას მნიშვნელოვანია მსხვერპლის და დამნაშავის ურთიერთობის გარკვევა. [181, 265-266]

მკვლელობების თავიდან აცილების პრაქტიკის გათვალისწინება მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრინციპია. თანამედროვე პირობებში მის საფუძველზე უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი მოთხოვნები:

ა) რეალურად უნდა იყოს ცნობილი საზოგადოების ძირითადი მოთხოვნა ადამიანის უფლებათა და თავისუფლების დაცვის მიმართ, მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვის მექანიზმი. [72][76]

ბ) რეპრესიული რეჟიმებისაგან განსხვავებით, როდესაც მკვლელობებთან ბრძოლა ძირითადად ორიენტირებულია სამართალდამცავ ორგანოების ზომების გამკაცრებაზე, დემოკრატიულ ქვეყნებში წინა პლანზე დგას  რესოციალიზაციის ღონისძიებათა სისტემა. სამართალდამცავი ორგანოების ზომებთან შედარებით სწორედ ამ ზომათა წილი უნდა სჭარბობდეს. [67, 196-197][135, 56][206]

გ) მკვლელობათა თავიდან აცილების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალური პროგრამების (იარაღის უკანონო ბრუნვის არასაიმედო პროფილაქტიკის; ლოთობის, ნარკოტიკებსა და ტოქსიკომანიასთან არაეფექტური ბრძოლის; საყოფაცხოვრებო  და სხვა სახის კონფლიქტების ადრინდელი პროფილაქტიკის სისუსტის; ძალადობის კულტისა და პორნოგრაფიის პროპაგანდის აკრძალვის,  დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მოზარდის ჩაბმის აკრძალვის და ა.შ.) შექმნის აუცილებლობას [65, 76][205]. ამასთან, როგორც გ.ჯანაშია აღნიშნავს, არსებითია საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების კავშირების გაძლიერება. აქ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სპეციალურმა სოციალურმა სამსახურმა, რომელმაც მზრუნველობა უნდა გაუწიოს სოციალურად სუსტად ადაპტირებულ ადამიანებს. საუბარია პირებზე, რომლებიც იმყოფებიან «რისკის ზონაში», ე.ი. პირებზე, რომლებმაც განიცადეს ოჯახური, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის სირთულეები, მაგრამ ჯერ არ დადგომიან

დანაშაულებრივ გზას [57, 19]. პრევენტიული საქმიანობის მოდელირებისას, ასევე, მნიშვნელოვანია ოჯახური კრიზისის აღრიცხვის პრობლემაც. [205]

მკვლელობის ჩამდენ პირთა შორის გარკვეულ პროცენტს წარმოადგენენ პირები, რომლებიც იყვნენ პენიტენციალური ზემოქმედების ქვეშ. აქედან გამომდინარე მკვლელობებთან ბრძოლის პრაქტიკაში მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მდგომარეობისა და მკვლელობების გავრცელების არსებული კავშირის გათვალისწინება.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩატარებული კრიმინოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ აღნიშნული კავშირის უგულებელყოფა განსაკუთრებით ასუსტებს ე.წ. სერიულ და დაქირავებულ მკვლელობებთან ბრძოლას [139, 25]. პენიტენციალური პრაქტიკის გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის საკითხების გადაწყვეტისას [45]. ამ თემაზე ყურადღებას ამახვილებენ მსჯავრდებულებთან მოპყრობის ევროპული და მსოფლიო სტანდარტები.

მკვლელობებთან ბრძოლის პრაქტიკის ეფექტურობა არსებითად არის დაკავშირებული მის სამართლებრივ უზრუნველყოფასთან. ამიტომ რეკომენდაციების შემუშავებისას მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანია კანონთა იმ ხარვეზების გათვალისწინება, რომლებიც ხელს უწყობენ კონფლიქტების, დაძაბულობის გაძლიერებას. გასაგებია კანონპროექტების კრიმინოლოგიური ექსპერტიზის უზრუნველყოფის საკითხი მეთოდოლიგიურად მნიშვნელოვანია.

და ბოლოს ხაზი უნდა გავუსვათ ინდივიდუალური ქცევის გამოკვლევის მნიშვნელობას, რამეთუ კვლევის მოთოდოლოგია ბრალდებულისა და მსჯავრდებულის პიროვნების ღრმად შესწავლას მოითხოვს.

კვლევის მეთოდიკა გამოკვლევის მეთოდოლოგიას ემყარება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 300 მსჯავრდებულის გამოკითხვის ანკეტირებას (იხ. ანკეტა). მონაცემების დაჯგუფება ხორციელდებოდა სამი მიმართულებით: 1) სოცალურ-დემოგრაფიული მონაცემები, 2) სოციალური სტატუსის ამსახველი

მონაცემები და 3) ფსიქოლოგიური მონაცემები. დაკვირვება ხორციელდებოდა კრიმინოლოგიაში დადგენილი წესით [49, 161-168].

## §3. მკვლელობების პრობლემის ანალიზის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

მკვლელობების პრობლემის შესწავლის თეორიამ მოვლენის ახსნის მყარი საფუძვლის შემუშავებაში, როგორც აღნიშნავს რ. აკერსი, ფსიქო-ბიოლოგიური თეორიები ასეთ საფუძველს არ უქმნიან კრიმინოლოგიურ გამოკვლევას [106, 35-57]. კრიმინოლოგიურ გამოკვლევათა რეკომენდაციების ეფექტურობას უზრუნველყოფს მკვლელობათა მდგომარეობის, მიზეზებისა და მკვლელობების თავიდან აცილების სოციოლოგიური ანალიზი.

მკვლელობების მდგომარეობის პირველადი აღწერა, როგორც ცნობილია, მოცემულია სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშგების სახით. უწყებრივი თვალსაზრისი მთლიანად არ პასუხობს მკვლელობების თავიდან აცილების მოთხოვნებს. მკვლელობების მდგომარეობის მიზანდასახული აღწერისათვის აუცილებელია პირველადი მონაცემების სპეციალური განზოგადება, რაც მხოლოდ სოციოლოგიური ანალიზის შედეგად არის შესაძლებელი. ამიტომ მკვლელობების მეცნიერული აღწერა სტატისტიკური ანგარიშგების გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

მკვლელობების კრიმინოლოგიური გამოკვლევის თეორიული უზრუნველყოფა ხელს უწყობს ამ მოვლენის მიზეზების ღრმა შესწავლას. ამ მიმართულებით, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია მკვლელობათა დეტერმინაციის კორელაციური კონცეფცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მატერიალური პირობები, ძალადობის სუბკულტურა, ცხოვრების წესი, სიტუაციური ფაქტორები და მსხვერპლისა და დამნაშავის ურთიერთობა [139, 25] [181, 262-265]. მარტო კონცეფტუალური მიდგომის შედეგად შესაძლებელია, როგორც მსჯავრდებულების, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების გამოკითხვის ობიექტური ანალიზი და მათი შეფასება.

რუსი კრიმინოლოგის ნ. ლ. დენისოვის კვლევის შედეგების მიხედვით შემუშავებულია სემეცნიერო დასკვნები, რომლებიც მიღებულია, როგორც სადისერტაციო კვლევის შედეგად, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე წინადადებების სახით [60]. სამეცნიერო პრობლემების ანალიზთან დაკავშირებით ეს წინადადებები და სამეცნიერო დასკვნები, განზოგადებული სახით, აღნიშნულია დისერტაციის ტექსტში, ხოლო ძირითადი ნაწილი გადმოცემულია მოკლე შინაარსით შემდეგნაირად:

1. საზოგადოების კულტურა წარმოადგენს რთულ სოციალურ წარმონაქმნს, რომელსაც უამრავი ქვესისტემა გააჩნია და მათ მოიხსენიებენ როგორც "სუბკულტურას".

სუბკულტურა, ეს არის განსაკუთრებული მოვლენა, რომლის შემთხვევაშიც ინდივიდები ცდილობენ თვითდამკვიდრებას და თვითრეალიზაციას განსაზღვრულ წრეებში, შესაბამისად ფართო საზოგადოებისგან გარკვეულ დონეზე მოწყვეტილნი არიან. საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა პატივსაცემი სუბკულტურა (მაგალითად, ექიმთა, სამხედრო და სხვა სუბკულტურა), მაგრამ არის ისეთი სუბკულტურაც, რომელთა წევრებიც წარმოადგენენ პირებს, რომლებიც ოფიციალური საზოგადოებისგან განზე დგანან და ამდენად ამტკიცებენ თავიანთ ანტისაზოგადოებრივ მიმართულებას. ერთ-ერთი მათგანი არის კრიმინალური სუბკულტურა. კრიმინალური სუბკულტურა არის სუბკულტურის სახე, რომლის ნორმები ეწინააღმდეგება არამარტო საერთო მიღებულ სოციალურ ნორმებს (რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონებს), არამედ, ასევე, ისეთ ნორმებს, რომლებიც დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დარღვევასთან.

2. პირები რომლებმაც აირჩიეს დანაშაულებრივი გზა წარმოადგენენ არა ბრბოს, არამედ როგორც წესი კონკრეტულად ორგანიზებულ საზოგადოებას. არასრულწლოვანთა კრიმინალური სუბკულტურა, ისევე როგორც ზრდასრულთა, წარმოადგენს განსაკუთრებულ, განსაზღვრული ინდივიდების ურთიერთობის სტრუქტურას, რომელიც გაერთიანებულია საქმიანობის ფასეული ორიენტაციის საფუძველზე შესაბამისს განცალკევებულ გარემოში, რომელიც რეგულირდება

არაფორმარული ნორმების სისტემით, დადგენილი, წარმოდგენილი (ტრადიციებით, ადათ-წესებით, რიტუალებით), რომელიც განსაზღვრავს მისი წარმომადგენელების ქცევას და აისახება დანაშულებრივი სამყაროს გარეგან ატრიბუტებში.

3. ზრდასრულთა და არასწულწლოვანთა კრიმინოლოგიური სუბკულტურის იდენტურობის მიუხედავად, ამ უკანასკნელს გარკვეული თავისებურებანი გააჩნია. პირველ რიგში ეს  განპირობებულია მოზარდის პიროვნების ასაკობრივი თავისებურებებით. 14-18 წლის ასაკში პიროვნება იმყოფება ჩამოყალიბების სტადიაში, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ ასაკშიც არსებობს ინდივიდუალიზმი დამახასიათებელი ეგოცენტრიზმით. მეორე ადამიანი მისთვის არის – სხვა სამყარო, სხვა სისტემა, ხშირ შემთხვევაში სრულიად გაურკვეველი, რომელსაც ეპყრობა როგორც სრულიად უცხოს.  ამ ყველაფერს უფრო ართულებს არასრულწლოვანთა კიდევ ერთი ფსიქიკური თავისებურება – მათი თვითდამკვიდრების საოცრად დიდი სურვილი. არასრულწლოვნებს აკლიათ თვითდაჯერებულობა, საკუთარ თავს მუდმივად ადარებენ უახლოესი გარემოცვის წევრებს სტატუსის და მდგომარეობის მიხედვით, გამუდმებით ცდილობენ დაუმტკიცონ სხვას და საკუთარ თავსაც თუ როგორი ძლიერები და თავდაჯერებულები არიან. ამას ხშირად განსაკუთრებულ სისასტიკემდე მივყავართ, სისასტიკემდე, რაც  კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენისას იჩენს თავს. მათ ასევე ახასიათებთ არაფორმალური ურთიერთობები, როგორც თანატოლებთან, ასევე ასაკით უფროს დამნაშავეებთან, რომლებიც ყველა გზით ხელს უწყობენ მათ ანტისაზოგადოებრივ ქმედებებს.

4. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა [60] გამოიწვია ის, რომ ბავშვები ადრეულ ასაკში დარჩნენ საკუთარი თავის იმედად, პირველ რიგში იდეოლოგიურ ჭრილში. ეს განაპირობა იმან, რომ მშობლები, შესაბამისი ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები საკმარისად არ არიან ჩართულნი ბავშვებში სოციალურად დადებითი ფასეულობებისა და ზნეობრივი ორიენტაციის განსაზღვრაში. ვაკუუმს ძირითადად ავსებს ორგანიზებული დანაშაულობა, დაწყებული სასკოლო მერხიდან, არასრულწლოვანთა გარემოში კრიმინალური სუბკულტურის შექმნით.

შედეგად, ზოგიერთ მოზარდში დანაშაულებრივი ქმედება 10-12 წლის ასაკში იწყებს ჩამოყალიბებას. [60]

5. არასრულწლოვნებში მყარი ანტისაზოგადოებრივი და კრიმინალური მიდრეკილების განვითარების ერთ-ერთ მიზეზს კრიმინალურ სუბკულტურასთან ზიარება წარმოადგენს. ეს მოვლენა უყალიბებს მათ კრიმინალური ცხოვრების წესის უპირატესობის მიმართ რწმენას. კრიმინალური სუბკულტურა თავად ხდება პირველ დანაშაულის ჩადენასა და პირველადი და მეორადი, ასევე პროფესიონალურ დანაშაულობასთან დამაკავშირებელი რგოლი და ხიდი.

6. კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენა არასრულწლოვანებზე, უარყოფითად მოქმედებს მათი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესზე. საზოგადოებისგან რიყავს, ახდენს ფსიქიკის დეფორმაციას, ეწინააღმდეგება ზნეობას და საზოგადოების წესებს, საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. განსაკუთრებით დიდ საშიშროებას წარმოადგენენ არასრულწლოვნები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან დანაშაულებრივ ჯგუფებში. მათი ქცევები და ქმედებები კრიმინალური სუბკულტურის კულტივაციისკენ არის მიმართული შედარებით წარმატებულ არასრულწლოვნებს შორის.

7. გაფრთხილება, თუ რა გავლენას ახდენს კრიმინალური სუბკულტურა, არასრულწლოვანი პიროვნების დამნაშავედ ჩამოყალიბების პერიოდში, მიმართულია იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრისაკენ, რაც კრიმინალური სუბკულტურის ფორმირებისთვის არის სახარბიელო. აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი პირობები, რომლებიც მიზანდასახულად მოსპობს აღნიშნული სუბკულტურის გავლენას მოზარდებზე.

8. კრიმინალური სუბკულტურის არასრულწლოვანებზე ზეგავლენის ნეიტრალიზაციის სისტემაში ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. სწორედ მათ გააჩნიათ ყველაზე აქტიური სადავეები და შესაძლებლობები უშუალო ზეგავლენა მოახდინონ კრიმინალური სუბკულტურის წინააღმდეგ მიმართულ ფაქტორებსა და მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ისინი ზედამხედველობენ და აკონტროლებენ განათლების, კულტურის და სხვა მუნიციპალურ დაწესებულებებსა და სოციალურ

ინსტიტუტებს რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ ახალგაზრდა თაობის ეთიკის წესების ფორმირების პროცესთან და არასრულწლოვანის პიროვნების ჩამოყალიბებასთან.

9. განსაკუთრებული როლი კრიმინალური სუბკულტურის არასრულწლოვნებზე გავლენის პრევენციაში ენიჭება სამართალდამცავ, მათ შორის შინაგან საქმეთა ორგანოებს, როგორც სოციალური კავშირების სუბიექტებს, გააჩნიათ რა ყველაზე ფართო სპექტრი ზოგად და სპეციალური ზომების გატარებაში, რომელთაც შეუძლიათ გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინონ კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის ნეიტრალიზაციასა და შემცირებაზე.

10. ჩვენს ქვეყანაში არსებულ სახელმწიფო ორგანოებს, სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთაც არასრულწლოვანთა პიროვნებად ჩამოყალიბების და ფორმირების საქმიანობის განხორციელება, მათ შორის მათზე  კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის ნეიტრალიზაცია ევალება [60], ყოველთვის ეფექტურად არ იყენებენ თავიანთ უფლებამოსილებას არასაკმარისი დაფინანსებისა და რესურსებით უზრუნველყოფის გამო. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად არ არსებობს კომპლექსური მიდგომა. როგორც წესი, ამ ორგანოების და დაწესებულებების საქმიანობა არასრულწლოვანთა პიროვნებების ფორმირებასა და ჩამოყალიბებაზე, კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის ნეიტრალიზაციაზე ტარდება ეპიზოდურად, არასისტემურად, კონკრეტული დაწესებულების და ორგანიზაციის დაფინანსებისა და შესაძლებლობებისა ფარგლებში.

როგორც დენისოვი წერს, [60] რუსეთში არ არსებობს ერთიანი ცენტრი, რომელიც რეალურად კოორდინაციას გაუწევდა და მიმართავდა ყველა სუბიექტის საქმიანობას, რაც დაკავშირებულია მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესთან და მისი ზნეობრივი ქცევების ფორმირებასთან. ამ მხრივ საჭიროა სერიოზული ცვლილებების შეტანა სახელმწიფო პოლიტიკასა და კანონმდებლობაში.

ამასთან დაკავშირებით ავტორის მიერ კვლევის პროცესში მიღებული მასალა, როგორც თავად იგი ფიქრობს –საშუალებას აძლევს წინ წამოწიოს

არასრულწლოვნებზე კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის ნეიტრალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. ამისათვის ავტორის აზრით, აუცილებელია:

- მიიღონ კანონი: "არასრულწლოვნებს შორის კრიმინალური სუბკულტურის უკუქცევითი ზომების შესახებ", რომელშიც აუცილებელია გაიმიჯნოს მიმართულებები (ფუნქციები) და განისაზღვროს განათლების, კულტურის, შინაგან საქმეთა ორგანოების, ხელისუფლების რეგიონალური და მუნიციპალური ორგანოების და სხვა ორგანოების და დაწესებულებების უფლება-მოვალეობანი, რომლებსაც დაევალებათ არასრულწლოვნებზე კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის ნეიტრალიზაციისა და მოზარდ თაობაში ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების დანერგვის საკითხების გადაჭრა;

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კანონიერად მიენიჭოს ცენტრალური ადგილი, არასრულწლოვნებზე კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის უკუქმედების და ნეიტრალიზაციის სისტემაში, იმავდროულად უზრუნველყონ შესაბამისი სტატუსით, უფლებამოსილებით, ფინანსურ-მატერიალური და სხვა რესურსებით; არასამთავრობო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მოზარდებში ჭეშმარიტი სულიერი ფასეულობების დანერგვაში, მიენიჭოს განსაზღვრული უფლებამოსილებები, რათა ამ გზით თავიანთი წვლილი შეიტანონ არასრულწლოვნებზე კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის უკუქმედების და ნეიტრალიზაციის სისტემაში. იმდენად, რამდენადაც არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, არასამთავრობო სუბიექტთა ქვესისტემა არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის სფეროში ჯერ ვერ განიხილება, როგორც სრულუფლებიანი მონაწილე;

- კანონის ფარგლებში, უფრო კონკრეტულად, განისაზღვროს მასმედიის ჩარჩოები კრიმინალური სუბკულტურის ელემენტების ნებით თუ

უნებლიეთ გავრცელების საკითხში და მათი პერეორიენტაცია ამ გავლენის უკუქმედებაზე;

- ცვლილებები იქნეს შეტანილი ფედერალურ კანონში "განათლების შესახებ", რომელიც ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებს დააკისრებს ზომების გატარების ვალდებულებას, მაღალი სულიერი ღირებულებების ფორმირების მიმართულებასა და მოზარდებზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენის უკუქმედების შესახებ;

- მიღებულ იქნეს საერთო ფედერალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გამოიწვევს არასრულწლოვნებზე კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის უკუქმედებას;

- ზოგადფედერალურ დონეზე შემუშავდეს სპეციალური პროექტების განხორციელება, რომელთა საშუალებით არასრულწლოვნები ეზიარებიან სოციალური მნიშვნელობის მქონე ფასეულობებს, ჩაებმებიან სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობაში, მათ შორის სპორტში, ხელოვნებაში და ა.შ. შესაბამისად, ამ პროექტებმა, მათი საზოგადოებაში ნორმალურად სოციალიზაცია უნდა მოახდინონ.

- საერთაშორისო ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი არასრულწლოვანთა დასჯა სისხლის სამართლის დანაშაულის გზით, თავისუფლების აღკვეთისა და მათი გამოსასწორებელ კოლონიაში დაკავების საკითხები. გატარდეს სხვა, უფრო აქტიური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომები, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთასთან არანაირი კავშირი არა აქვს;

- საზოგადოება უნდა ჩაერთოს იმ არასრულწლოვანთა, ასე ვთქვათ, თავიდან აღზრდის პროცესში, რომლებიც იმყოფებიან სპეციალიზირებულ დაწესებულებებში. ამ მხრივ მიზანშეწონილია საზოგადოების ღირსეული (ავტორიტეტული) წარმომადგენლებისგან შეიქმნას არასაშტატო დამხმარეებისა და თანამშრომლების ინსტიტუტი;

- სასამართლო პრაქტიკაში დაინერგოს არასრულწლოვანთა დასჯის სხვადასხვა სახეები, რომლებიც დაკავშირებულია აღზრდის მეთოდებთან, დამყარებულია ფსიქოთერაპიასა და ფსიქოკორექციაზე თითოეული ადამიანის ინდივიდუალური, ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით;

- მოზარდების მიერ ჩადენილი კანონდარღვევების ობიექტური განხილვის მიზნით, შეიქმნას სპეციალიზირებული არასრულწლოვანთა სასამართლოები;

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:
ა) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს იმ პირებს, რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინებენ არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ, ასევე იმ დანაშაულების შესახებ, რომლებიც ჩადენილია მცირეწლოვანი ბავშვების გამოყენებით;
ბ) მკაცრად განისაზღვროს მშობლებისადმი დაკისრებული პასუხისმგებლობა ბავშვების უმწეო და არასახარბიელო გარემოში მიტოვების და მათი არასათანადო აღზრდის გამო;
გ) მძიმე დანაშაულად ჩაითვალოს არასრულწლოვანთა ჩათრევა დანაშაულის ჩადენაში, ხოლო გარკვეული კვალიფიციური სახეები, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვების ჩათრევა დანაშაულობაში ძალადობრივი გზით – მიჩნეული იქნეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად;

დ) კანონში, რა თქმა უნდა საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნეს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხი იმ არასრულწლოვანი პირების მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული და აგრეთვე აქვთ დადებითი დახასიათება;
ე) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს იმ ზრდასრულ პირებს, ვინც მხილებულნი არიან არასრულწლოვნებთან ერთად ჩადენილ დანაშაულობაში (თანამონაწილეობაში), მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ჩათრევის ნიშნები. [60]

როგორც ავტორი აღნიშნავს, თვით დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რომელშიც არა მხოლოდ 18 წელს მიღწეული პირი, არამედ მასთან ერთად  არასრულწლოვანიც მონაწილეობს, უნდა ჩაითვალოს დანაშაულობად და დაეკისროს საკმაოდ მკაცრი პასუხსიმგებლობა, განურჩევლად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და თვით დამნაშავისა. იმავდროულად, საჭიროა, გაიზარდოს იმ  სუბიექტების პასუხისმგებლობა, როგორებიც არიან მშობლები, პედაგოგები და ა.შ.

- სამართალდამცავმა, განათლებასა და აღზრდაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა აწარმოონ სისტემატიური მონიტორინგი კანონდამრღვევი არასრულწლოვნების ცხოვრების წესზე.  დროულად უნდა ხდებოდეს მათი გამოაშკარავება,  აყვანილ იქნან შესაბამის აღრიცხვაზე და ჩაუტარდეთ მათ საჭირო აღმზრდელობითი სამუშაო.

- იმ ორგანოებმა და დაწესებულებებმა რომლებიც ემსახურებიან განათლებასა და აღზრდას, ინდივიდუალური პროგრამების საფუძველზე ჩაატარონ აღმზრდელობითი სამუშაოები, რომლებიც მიმართული უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ ბავშვში განვითარების ისეთი დონის ფორმირებაზე, რომელიც გააღვივებს მასში სულიერ ფასეულობებს და ამდენად დაუპირისპირდება კრიმინალური სუბკულტურის გავლენას;

- არასრულწლოვნების გამოსასწორებელ დაწესებულებებში უნდა მოიწვიონ არამარტო პედაგოგები, არამედ ფსიქოლოგები და ფსიქიატრებიც მოზარდების უფრო წარმატებული სოციალიზაციისათვის. ამასთან დაკავშირებით, ყოველ მათგანთან მიმართებაში, გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური და ფსიქოფიზიოლოგიური პროფილაქტიკა და დიაგნოსტიკა. მათი ფსიქიკის კორექციისათვის უნდა მოისინჯოს ყველა საშუალება, გამოვიყენოთ ფსიქოლოგების მიერ შემუშავებული  მთელი არსენალი: ტესტები, ფსიქოდრამები, ლოგოთერაპია, თამაშები და სხვა, იმავდროულად საჭიროა აღმზრდელობითი სამუშაოს დახვეწა-გაუმჯობესება, ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში მიღწეული შედეგების გამოყენებით როგორც ზოგად, ასევე ინდივიდუალურ საფეხურზე; შინაგან საქმეთა ორგანოების ეს აქტივობა ემსახურება არასრულწლოვნებში

კრიმინალური სუბკულტურის გავლენის უკუქმედებასა და ნეიტრალიზაციის სრულყოფის მიზანს;

- რუსეთის ფედერაციის კანონში "მილიციის შესახებ" შეტანილ უნდა იქნეს პარაგრაფი, რომელიც შინაგან საქმეთა ორგანოებსა და პროკურატურას დააკისრებს ვალდებულებას არასრულწლოვნებზე კრიმინალური სუბკულტურის ზეგავლენის უკუქმედების შესახებ.

- ყველა სამსახურისა და ქვეგანაყოფისათვის ნორმატიული რიგით დადგინდეს არასრულწლოვანზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენის უკუქმედება და ნეიტრალიზაცია, როგორც საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, მათ შორის ამ უკანასკნელის საცხოვრებელი, სამუშაო თუ სასწავლებლის ადგილის მიხედვით და ამ დარგში ორგანიზება გაუკეთდეს სხვა დაწესებულებებთან – სამართალდამცავი და სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთკავშირს.

- არასრულწლოვანთა განყოფილების, მოზარდებში კრიმინალური სუბკულტურის უკუქცევისა და მისი გავლენის ნეიტრალიზაციის საქმეში, მუშაობის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად შემოტანილ იქნეს გაწეული მუშაობის ეფექტურობა.

- მონაწილეობის მიღება იუსტიციისა და განათლების ორგანოებთან ერთად არასრულწლოვანთა იზოლაციის ადგილებში მათში ზნეობრივი ფასეულობების ჩამოყალიბებასა და მათზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენის ნეიტრალიზაციაში;

- თვითმმართველობის, განათლების და კულტურის ორგანოებთან ერთად მონაწილეობის მიღება იმ პროგრამების რეალიზაციაში, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვნებში კულტურისა და განათლების დონის ამაღლებასთან და აღმზრდელობითი ხასიათის საქმიანობებთან;

- უფრო აქტიური ზემოქმედება მოვახდინოთ ობიექტური ხასიათის ფაქტორებზე (უმეთვალყურეობა, მიუსაფრობა, სოციალურ-ეკონომიკური

ხასიათის დანახარჯები და სხვა.) და გავატაროთ ზომები მათი დაძლევისათვის;

- კრიმინალური სუბკულტურის გავლენასთან ბრძოლა შინაგან საქმეთა ორგანოების სპეციალური საშუალებებით;
- არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი ყოველი დანაშაულის შემთხვევა შინაგან საქმეთა ორგანოებისთვის უნდა გახდეს ანალიზის ობიექტი, რათა გამოავლინონ არამხოლოდ ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც მოზარდი დანაშაულობის ჩადენამდე მიიყვანა, არამედ ისინიც, რომლებმაც ხელი შეუწყვეს არასრულწლოვნებში ანტისაზოგადოებრივი მიმართულების ჩამოყალიბებას, რათა მიიღონ შესაბამისი ზომები მათი აღმოფხვრისა და დამნაშავეების პასუხისმგებლობაში მიცემისთვის;
- საზოგადოებრიობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი მოზარდებთან თანამშრომლობაში. იმ არასრულწლოვანებზე, რომლებიც იმყოფებიან გაუსაძლის ცხოვრებისეულ პირობებში, საჭიროა განხორციელდეს ზედამხედველობის ორგანიზება. [60]

მკვლელობების მიზეზების გამოკვლევის ეფექტურობა დაკავშირებულია სხვადასხვა დარგების მონაცემების გამოყენებისთან, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია კვლევის კონცეფციაზე. საზოგადოებაში არსებული ნეგატიური პროცესები აღწერილია სოციოლოგიის, დემოგრაფიის, სოციალური ფსიქოლოგიის და სხვა დარგების მიერ. მათი საშუალებით მოპოვებული ფაქტები მკვლელობებთან შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ კონცეფტუალური გზით, რითაც უარყოფილია ფაქტორული მიდგომა. ამრიგად, მკვლელობების თეორიული ახსნა აფართოებს პრობლემის კომპლექსური ანალიზის შესაძლებლობებს.

მკვლელობების კრიმინოლოგიურ გამოკვლევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ასევე თეორიული ანალიზის პრევენტიულ ღონისძიებათა მეცნიერულ ანალიზს. სამართალდამცავი ორგანოები, როგორც წესი, ორიენტირებული არიან. დანაშაულობის რაოდენობრივ ცვალებადობაზე და არა შესაძლო კრიმინოგენური

სიტუაციების პროგნოზზე. ამიტომ უწყებათა შეცდომები ხშირია. გასაგებია, რომ ამ ნაკლოვანების დაძლევის მიზნით აუცილებელია უწყებათა რეაგირების ფორმების შესწავლა და განზოგადება.

მკვლელობების კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება რეკომენდაციების ხარისხში და მიზანდასახულობაში, რაც კონცეფტუალური საფუძვლის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ გასაგებია, რომ მარტო მკვლელობების და მათი მიზეზების ღრმა ანალიზის შედეგად შესაძლებელია ქმედითი რეკომენდაციების მომზადება და მათი პრაქტიკული განხორციელება.

მკვლელობების კვლევა ატარებს გარკვეულ იდეოლოგიურ ფუნქციას. მეცნიერული ანალიზი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების იდეოლოგიას, მოსახლეობის მოთხოვნილებებს, ურთიერთობათა დაძაბულობის ფორმებს, კონფლიქტურობის ტენდენციებს და ა.შ. მარტო ამ სოციალური სპექტრის გათვალისწინება ხელს უწყობს ქვეყანაში სოციალური რეფორმების განხორციელებას, სოციალურ-პოლიტიკური ზომების ეფექტურობას საზოგადოების სხვადასხვა სფეროებში სოციალური რეფორმების გატარების პროცესში.

კრიმინოლოგიური კვლევის იდეოლოგიურ ასპექტს პირდაპირი კავშირი აქვს საზოგადოებრივ აზრთან, როგორც მკვლელობებზე, ისე საერთოდ დანაშაულობის შესახებ. მეცნიერული ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ისეთი ფაქტების დაძლევა, როდესაც, მორალური ნორმებისა და ჟურნალისტიკური ეთიკის დარღვევით მასობრივი ინფორმაციის წყაროების თანამშრომლები სცოდავენ მეტისმეტი ნატურალიზმით იმ მკვლელობების ფაქტებს ცალმხრივად აღწერენ, გმირებად წარმოსახავენ დამნაშავეებს და მათ მართლსაწინააღმდეგო მოღვაწეობას, უსაფუძვლოდ და არაკომპეტენტურად აკრიტიკებენ სამართალდამცავ ორგანოებს. სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება შესაძლოა მხოლოდ ობიექტურად მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. ამ მიმართულებით მკვლელობების კრიმინოლოგიური ანალიზი მონაცემები პრესაში ან სხვა წყაროებში მასალების ზედაპირული გადმოცემის წარმატებული გადალახვის საწინდარია.

კრიმინოლოგიური კვლევის იდეოლოგიური მნიშვნელობა გამოიხატება, ასევე, იმაში, რომ მიღებული დასკვნების შედეგად უნდა იყოს დადგენილი მკვლელობების ერთიანი სურათი, რომელიც ერთნაირად უნდა იყოს ასახული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების მიერ. ამით მათ შესაძლებლობა ეძლევათ ერთნაირი პრევენტული პოლიტიკის შემუშავებაში.

პრევენტული პრობლემების გადაწყვეტისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეკომენდაციებს ოპერატიულ-სამძებრო, საგამოძიებო და ექსპერიმენტული ამოცანების გადაწყვეტისათვის. მეცნიერული ანალიზი მკვლელობების გამოძიების მეთოდიკების საშუალებას იძლევა. [110, 33][166, 78-84]

# თავი II

# მკვლელობების შემსწავლელი თეორიები

## §1. მკვლელობების პრობლემა ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თეორიებში

მკვლელობების მეცნიერული შესწავლის პირველი ცდა ეკუთვნის ბიოლოგიურ მიმართულებას, რომელმაც კრიმინოლოგიაში მიზნად დასახა დამნაშავეთა კლასიფიკაცია და მათ შორის მკვლელთა მახასიათებლების გამოყოფა. მე-19 საუკუნის დასაწყისში ამ მიმართულების განვითარებას ბიძგი მისცა ფრენოლოგიამ. მისი დამაარსებელი ავსტრიელი მეცნიერი ფ. გალი ცდილობდა დაედგინა მკვლელის ტვინში გარკვეული ფიზიოლოგიური დარღვევები, რათა აეხსნა მიდრეკილება მკვლელობისაკენ. მისი აზრით გარკვეული ანთროპოლოგიური მაჩვენებლები საფუძველს მოგვცემს დავადგინოთ მკვლელობის ნამდვილი მიზეზი. ევროპის ქვეყნებში მას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. ასე, მაგალითად, 1854 წელს გერმანიაში კასპერმა გამოსცა გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნებოდა მკვლელთა ფიზიონომიას. 1857 წელს საფრანგეთში ფსიქიატრებმა განახორციელეს ანთროპოლოგიური ანომალიებისა და კრიმინალური ქცევის კორელაციის გამოკვლევა და ა.შ. [173, 48-49]

დაგროვილი იდეები განაზოგადა ჩ. ლომბროზომ თავის ნაშრომში "დამნაშავე ადამიანი". სხვა გამოკვლევებისაგან განსხვავებით სისხლისსამართლებრივი ანთროპოლოგია მიზნად ისახავდა მკვლელთა განზოგადოებულ დახასიათებას. მის კონცეფციას საფუძვლად ედო მოსაზრება, რომ დანაშაული არის პირველყოფილი ადამიანისათვის დამახასიათებელი ნორმალური თვისება, რომელიც თავს იჩენს ისტორიის ყველა დროში. დამნაშავეთა ტიპოლოგიაში ავტორი განსაკუთრებით გამოყოფდა მკვლელებს, რომლებსაც ახასიათებს მძიმე ქვედა ყბა, დახრილი შუბლი, მეჩხერი წვერი, შეტყლეჟილი ცხვირი, გრძელი ხელები, მცირე მოცულობის თავის ქალა დიდი თვალის ფოსოები, მორკალული წარბები და ა.შ. მართალია, თავისი ნაშრომის მესამე გამოცემაში ატავიზმის მაჩვენებლების გარდა ჩ. ლომბროზომ კიდევ გამოყო ავადმყოფობის სიმპტომები,

მაგრამ ეს დამატება არ ცვლიდა ავტორის ძირითად კონცეფტუალურ მიდგომას [106, 36-37].

მეცნიერები შეშფოთებით აფასებდნენ „დამნაშავე ადამიანის“ კონცეფციას, რომელიც სასამართლოების მაგივრად ითხოვდა ფსიქიატრიული კომისიების შექმნას. ამ მიდგომის წინააღმდეგ გამოვიდა იტალიელი მეცნიერი ენრიკო ფერი. 1881 წელს გამოცემულ წიგნში „სისხლისამართლებრივი სოციოლოგია“ მან მოახდინა ლომბროზოს იდეების გარკვეული რედაქტირება. მისი აზრით, ბიოლოგიურ თვისებებს აქვთ გარკვეული მნიშვნელობა, თუ გათვალისწინებული იქნება კლიმატური, გეოგრაფიული, განათლების, აღზრდისა და სხვა სახის სოციალური ფაქტორები [94, 201-214].

აღსანიშნავია, რომ ლომბროზოს თეორია მთლიანად არ იყო აღიარებული კრიმინალურ წრეებში. სოციოლოგიური მიმართულების მომხრეები დიდძალი სოციოლოგიური მასალის საფუძველზე ასაბუთებდნენ სოციალური ფაქტორების მნიშვნელობას. ამ გამოკვლევებში გაკეთებული დასკვნები ვრცელდებოდა ყველა კრიმინოტიპზე, მათ შორის მკვლელებზე. ამიტომ 1885წ. რომში სისხლისსამართლებრივი ანთროპოლოგიის პირველ კონგრესზე ბიოლოგიური მიმართულება აღიარებული იყო მარტო ე. ფერის მიერ შემოთავაზებული მოდელის ფარგლებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომის კონგრესზე და მერე 1900წ. პარიზის კონგრესზე რუსი მეცნიერის დ. დრილის მიერ გამოთქმული სოციოლოგიური მოსაზრებები, რომლებიც, ასევე, ასახულია მთელ რიგ წერილებში: "Попытки оздоровления общества и спасения погибающих", "Меры к оздоровлению общества", "Бродяжество и нищенство и меры борьбы с ними" და სხვ. დ. დრილი არ უარყოფდა ბიოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობას, მაგრამ უფრო მეტად ე. ფერის კონცეფციას იზიარებდა. სხვადასხვა დანაშაულთა, და მათ შორის მკვლელობათა ახსნის დროს, ავტორი მიუთითებდა მაწანწალობის, სიღარიბისა და სხვა სოციალური ფაქტორების კრიმინოგენული როლის მნიშვნელობაზე [170, 32-39].

ასეთივე მოსაზრების იყო რომის კონგრესის სხვა მონაწილეც – ვ. ტარნოვსკაია. იმ ქალების შესწავლის შედეგად, რომლებმაც ჩაიდინეს მკვლელობა, ავტორი

აღნიშნავდა: „ამ დროისათვის შეგროვილი მონაცემები დანაშაულის გენეზისის შესახებ ცხადყოფენ, რომ მისი ჩადენა ხდება არა რაიმე ერთი, ყველაფრის გამომრიცხავი მიზეზის გამო, არამედ მრავალ, უკიდურესად რთულ პირობათა გავლენის ერთობლიობის შედეგად. დანაშაულთა ახსნა მხოლოდ სოციალური გავლენის ან მხოლოდ ორგანიზმის თანდაყოლილი თვისებების გამოვლენის გზით, ისეთივე ცალმხრივი და არასაკმარისია, როგორც ხალხთა შორის განსხვავებების დადგენა მათი მხოლოდ ენობრივი, ან კანის ფერის სხვადასხვაობების მიხედვით“. [90, 1-2]

საბოლოდ 1896 წ. ჟენევის მორიგ კონგრესზე კრიტიკულად იყო განხილული თანდაყოლილი დამნაშავის კონცეფცია. განსაკუთრებით კრიტიკულად იყო განხილული მკვლელების გამოკვლევის ლომბროზოსეული დასკვნები, რადგან ლომბროზოს მიერ გამოკვეთილი ანთროპოლოგიური ნიშნები აღმოჩენილი იქნა სხვა კრიმინოტიპების გამოკვლევისას. ამის გარდა, როგორც მართებულად აღნიშნავდა ა. გუროვი, იტალიელი მეცნიერის გამოკვლევებში იყო მეთოდოლოგიური ხასიათის ხარვეზი. მკვლელების ტვინის ე.წ. ანომალიები დადგენილი იყო იმ პირების კვლევის საფუძველზე, რომლებიც გარდაიცვალნენ სიკვდილით დასჯის შედეგად, ხოლო კანომორჩილთა მონაცემები უფრო ახასიათებდა იმ პირებს, რომლებიც გარდაიცვალნენ თავიანთ სახლში [168, 17].

სოციოლოგიურმა მიმართულებამ მთლიანად ვერ უკუაგდო ლომბროზოს კონცეფცია. მის საფუძველზე ფრანგმა კრიმინალისტმა ბერტილიონმა შეიმუშავა დამნაშავეთა იდენტიფიკაციის ანთროპემტრიული მეთოდი, რომელიც შემდგომში გამოიყენეს სიცრუის დეტექტორის შექმნაში [56]. აგრეთვე განვითარდა გრაფოლოგია – დამნაშავეთა ტატუირების კვლევა და ა.შ. მაგრამ მკვლელობების არსებითი მიზეზების დადგენისათვის ბიოლოგიური მიმართულება გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს ლომბროზინობა აღმოცენდა დამნაშავეთა გონებრივი ჩამორჩენილობის კონცეფციებში. საფრანგეთში და შემდგომ აშშ-ი გამოქვეყნდა მრავალი ნაშრომი, სადაც დანაშაულის მიზეზად ცხადდებოდა დამნაშავეთა გონებრივი ჩამორჩენილობა. აღსანიშნავია, რომ მკვლელობის პრობლემა

სპეციალურად არ იყო გამოყოფილი. ბიოგრაფიული მეთოდი და ტესტირება ვრცელდებოდა ყველა სახის კრიმინოტიპზე. ასე მაგალითად, 1877 წ. რ. დაგდეილმა, ხოლო 1912 ჰ. გოდარდმა განახორციელეს იმ დამნაშავეთა ოჯახების შესწავლა, სადაც გონებრივი ჩამორჩენილობა მშობლიდან შვილზე გენეტიკურად გადადიოდა. ამას გარდა ფართოდ იყო გამოყენებული ტესტირება. ჰ. გოდარდის დასკვნის მიხედვით დამნაშავეთა 80%-ს ახასითებს გონებრივი ჩამორჩენილობა. მაგრამ, როგორც ვ. ფოქსი აღნიშნავს, გონებრივი ჩამორჩენილობის თეორია უარყოფილ იქნა 50-იან წლებში აშშ-ში ჩატარებული გამოკვლევების მიერ. გ. ვოლდმა განახორციელა ჯარისკაცთა და მსჯავრდებულთა ინტელექტუალური მაჩვენებლების ტესტირება და მიიღო საპირისპირო დასკვნები: ჯარისკაცებთან შედარებით მსჯავრდებულებმა უფრო ზუსტად უპასუხეს ტესტებში დასმულ ამოცანებს. 50-იან წლებში, როგორც ვ. ფოქსი აღნიშნავს, ამ ტიპის გამოკვლევებმა დაკარგეს მიზანდასახულობა, რადგან დანაშაულობასა და გონებრივი ჩამორჩენილობას შორის მიზეზობრივი კავშირი არ დგინდებოდა. [189, 175]

აღნიშნული შეფასება მომდევნო წლებში გამართლდა შემთხვევით მკვლელთა და დაქირავებულ მკვლელთა შესწავლისას. მაგალითად, ოჯახური კონფლიქტის შედეგად აფექტური მკვლელობა შეეძლო ჩაედინა იმ პირს, რომელსაც არ ახასიათებს გონებრივი ჩამორჩენილობა, ხოლო ბიზნესმენების ან თანამდებობის პირთა მკვლელობისათვის დამკვეთი ირჩევდა, როგორც წესი, ინტელექტუალურად განვითარებულ აღმსრულებელს, რათა დანაშაულის კვალი არ დარჩენილიყო [139, 25].

გონებრივი ჩამორჩენილობის კონცეფციების მოდიფიკაციას წარმოადგენდნენ გამოკვლევები, რომლებიც ელექტროენცეფალოგრაფიისა და ნეიროქირურგიული მეთოდებით ცდილობდნენ მოეხდინათ ზემოქმედება მსჯავრდებულებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ პათოლოგიური მკვლელები. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ "ნორმალური" მკვლელების ტვინის რიტმი აშკარად განსხვავდება პათოლოგიური მკვლელების ტვინის რიტმისაგან. უნდა ითქვას, რომ მიღებული დასკვნები არ იყო გაზიარებული კრიმინოლოგიაში. როგორც ამერიკელი მეცნიერი ვ. ფოქსი აღნიშნავს, ტვინის ბიოლოგიური ფუნქციასა და დევიანტურ ქცევას შორის შეიძლება არსებობდეს

კავშირი, რომელიც განსაკუთრებულ სპეციფიკურ ხასიათს არ ატარებს. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა ნეიროქირურგიული მიმართულებაც. [116, 50-55]

დანაშაულისადმი კონსტიტუციური მიდრეკილების კონცეფციებმა, როგორც გონებრივი ჩამორჩენილობის თეორიებმა, რედაქტირებული სახით გააგრძელეს ლომბროზიანელების კვლევის ტრადიცია. 1939 წ. ჰუტტონმა გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც ამტკიცებდა, რომ, თუ პირს აქვს განვითარებული კონსტიტუციური მაჩვენებლები, ის იდენს მძიმე დანაშაულს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ გააჩნია ასეთი დანაშაულისადმი მიდრეკილება. ასე, მაგალითად, მკვლელისათვის დამახასიათებელია სიმაღლე, ფიზიკურად განვითარებული მხარბეჭი, ფართო ყბა და ა.შ. [122, 393-406]

კლინიკური კრიმინოლოგია უფრო შორს მიდიოდა და ეძებდა მკვლელობის მიზეზს ადამიანის სისხლის ბიოქიმიურ პროცესებში, რამაც უბიძგა აშშ-ს ზოგიერთ ციხეში მსჯავრდებულთა მიმართ ქიმიური პრეპარატების ინტენსიური მეთოდების გამოყენებას. კლინიკური კრიმინოლოგიის მიმდევრები ამ მეთოდის გამოყენებას ითხოვდნენ უპირველეს ყოვლისა იმ პირთა მიმართ, ვინც ჩაიდინა მძიმე ძალადობითი დანაშაული [198, 670-681]. 30-იანი წლების ორგანიზებული დანაშაულობის გამოკვლევებმა ნათლად აჩვენეს სერიული მკვლელობების სოციალური მიზეზები, რითაც ეჭვის ქვეშ დააყენეს კლინიკური კრიმინოლოგიის დასკვნები. კრიმინოლოგები აღნიშნავენ, რომ განგსტერების ომი, კონკურენტების განადგურება ძირითადად განპირობებული იყო მოგების მიღების მოთხოვნით. მთელი საზოგადოება გახვეული იყო ამ მახეში. ხშირად ამ მიზეზის გამო ბავშვები ტოვებდნენ ოჯახებს [207].

გენეტიკის განვითარებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ბიოლოგიური მიმართულების აღმოცენებაზე. ი. ლანგეს, ფ. შტუმფვლის და სხვა ფსიქიატრთა მიერ ე.წ. დანაშაულობის გენის ძიება დაიწყო. მისი საშუალებით ცდილობდნენ აღმოეჩინათ ადამიანის სასქესო უჯრედების ქრომოსომულ სტრუქტურაში სხვადასხვაგვარი გადახრები, რომლებიც ახასიათებს მარტო დამნაშავეს. აღნიშნული მიმართულების გამოკვლევები განსაკუთრებით გავრცელდა აშშ-ში და საფრანგეთში 50-იან წლებში, როდესაც კრიმინალისტური ანალიზის შედეგად

გაიხსნა სექსოპათების მიერ ჩადენილი სერიული მკვლელობები. მისი საშუალებით აღმოჩენილი იქნა ადამიანის სასქესო უჯრედების ქრომოსომულ სტრუქტურაში სხვადასხვაგვარ გადახრათა არსებობის ფაქტი. [173, 123-129]

კლინიკურმა კრიმინოლოგიამ განსაკუთრებით ხმა აიმაღლა აგრესიულ დამნაშავეთა მიმართ. მისი მიმდევრები ცდილობდნენ ინტენსიურად გამოეყენებიათ ქიმიური პრეპარატები და ამ გზით დაეწიათ დამნაშავეთა აგრესიულობის დონე. ამ მიმართულების დასკვნებს სამწუხაროდ იზიარებდა გაეროც, რომელიც ფსიქოთროპული წამლების გამოყენებას აფასებდა, როგორც დანაშაულობასთან ბრძოლაში აღმოჩენას [211]. კლინიკური კრიმინოლოგიის პრეტენზია გაქარწლებული იქნა ფსიქოლოგიური მიმართულების მომხრეთა მიერ. მათი აზრით, ასეთი ზემოქმედების შედეგად არ ხდება დამნაშავის გამოსწორება, არამედ ხორციელდება ძალადობა ტვინზე, რასაც მოყვება ჯანმრთელობის გაუარესება. უფრო მეტი, კლინიკურმა კრიმინოლოგიამ შემოიღო ექიმთა ზედამხედველობის ინსტიტუტი, რომელმაც ხელი შეუწყო განუსაზღვრელი ვადით პატიმრობას. პატიმარი იმყოფებოდა ციხეში იქამდე, სანამ არ იქნებოდა მიღებული ექიმთა დასკვნა. ეს პროცესი გრძელდებოდა უსასრულობამდე და წამებას ემგავსებოდა [99, 91].

მკვლელობების ბიოლოგიურ გამოკვლევებს უპირისპირდებოდნენ ფსიქოანალიტიკური კონცეფციები [88]. XX საუკუნეში მათ საფუძველი ჩაუყარა ფროიდის თეორიამ, რომლის თანახმად კონფლიქტები მატერიალიზებულია არაცნობიერის სფეროში და იმის გამო, რომ ‘‘ეგო’’-ს არ ძალუძს მათი შეკავება, ისინი გამოხატულებას ჰპოვებენ დანაშაულში [95].

მკვლელობის თეორიულ დასაბუთებას ეძღვნება ზ. ფროიდის ნაშრომი “მამის მკვლელობა და დოსტოევსკი”. მისი აზრით, დამნაშავეს ახასიათებს ორი თვისება: საკუთარი თავის უსაზღვრო სიყვარული და ნგრევისაკენ მიდრეკილება. საერთო წანამძღვარია კი უგულობა, ადამიანების ემოციური შეფასების ნაკლი. ამ თვისებების შორის არსებული წინააღმდეგობა წყდება მკვლელობის ჩადენით. მკვლელობის სახით თავს იჩენს მკვლელობისაკენ მიდრეკილება, რომელიც არსებობს პირის შინაგან სამყაროში და ვლინდება განადგურების აქტი [190].

ფროიდის ფსიქოანალიტიკურ თეორიას კრიმინოლოგები დაუბრუნდნენ XX საუკუნის 80-90-იან წლებში, როდესაც გახსნილი იყო რამოდენიმე სენსაციური მკვლელობა. თავის ჩვენებებში ისინი იხსენებდნენ, რომ ბავშვობაში მათ მიმართ განხორციელებული იყო სექსუალური ძალადობა და ისინი მშობლის მიერ ჩადენილი მკვლელობის მოწმეები იყვნენ. მკვლელობის ჩამდენ ქალთა გამოკითხვამაც დაადგინა, რომ ბავშვობაში ისინი იყვნენ მამის, ბიძის ან მათი ახლობლების სექსუალური ძალადობის მსხვერპლი [210]. ამიტომ ფროიდის მიმდევრები კვლავ ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ დამნაშავის ინსტიქტებსა და ზრახვებში, მიეღწიათ მისი პიროვნების ქვეცნობიერ სიღრმისეულ ფენებამდე. [192, 72]

ფსიქოანალიტიკური კონცეფცია განვითარებული იყო გ. საიკსისა და დ. მატზას მიერ შემუშავებულ ნეიტრალიზაციის თეორიაში. მათი აზრით დელიკვენტების აგრესიულობას იწვევს მათი სოციალური დაშორება სხვა პირებთან. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ზნეობრივ ნორმებს. მათი აზრით, მტრის მოკვლაზე ომის დროს არ მოქმედებს ზნეობრივი მოთხოვნა. მაგრამ სხვა შემთხვევებში ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ავტორების აზრით, აგრესიული დანაშაულის ჩადენისას დელიქვენტი ცდილობს გვერდი აუაროს ზნეობრივ პასუხისმგებლობას, რითაც ხდება არსებული ნორმების ნეიტრალიზაცია. ამიტომ წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად, აგრესიული დანაშაული არის დელიკვენტური ქცევის გამართლება ანუ საზოგადოების ნორმების მოთხოვნათა ნეიტრალიზაცია. ნეიტრალიზაციის მეთოდი მოიცავს შემდეგ ელემენტებს: პასუხისმგებლობის უარყოფა; მსხვერპლის არსებობის უარყოფა; იმ პირების გაკიცხვა, რომლებიც მათ კიცხავენ; მათთვის უფრო მნიშვნელოვან გარემოებებთან მიმართვა. [183, 322-332]

ფროიდის ფსიქოანალიტიკური კონცეფცია ნაწილობრივ გაზიარებული იქნა ბიოსოციალური მიმართულების კონცეფციაში, რომელიც განავითარა ე.ფრომმა ნაშრომში "ადამიანის დესტრუქციულობის ანატომია". ავტორი იზიარებდა აგრესიულობის ბიოლოგიურ დასაბუთებას, მაგრამ ფროიდისაგან განსხვავებით ე. ფრომი აგრესიულობის ინსტიქტების სოციოლოგიურ ახსნას ემხრობა.

დაწვრილებით განვიხილოთ აღნიშნული კონცეფცია, რადგან ის უშუალოდ ეხება მკვლელობის პრობლემატიკას.

მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფსიქოანალიზის ფუძემდებელს - ფროიდს იმდენად არ აუხსნია, რამდენადაც შეუნიღბავს აგრესიის ფენომენი, განუვრცია ეს გაგება აგრესიის სრულიად სხვადასხვა ეტაპზე და ასეთი გზით დაუყვანია ყველა ეს ტიპები ერთადერთ ინსტინქტამდე. ამიტომ ფროიდის ფიზიოლოგიურ პრინციპს ე. ფრომი ცვლის ისტორიზმის ევოლუციურ სოციო-ბიოლოგიური პრინციპით.

ე. ფრომის დესტრუქციის თეორიის  თანახმად ადამიანის ცხოველთან შედარება სრულიად არაკორექტულია, როდესაც მკვლელობასა და აგრესიულობის სხვა ფორმებს ვიკვლევთ. მისი აზრით, "ადამიანი განსხვავდება ცხოველისგან ზუსტად იმით, რომ მას გააჩნია მოკვლის უნარი. ეს არის პრიმატების ერთადერთი დამახასიათებელი თვისება, რომელიც ხორციელდება ადამიანის თანატოლებში, რაც მას სიამოვნებას ანიჭებს და არ გამომდინარეობს ბიოლოგიური და ეკონომიკური მდგომარეობიდან" [96, 23].

ე. ფრომი სავსებით დამაჯერებლად აკრიტიკებს ორ უკიდურესად მეცნიერულ მიმართულებას: ინსტინქტივიზმსა და ბიჰევიორიზმს. მკვლევარის აზრით, ერთნაირად ცდებიან ისინი, ვისაც მიაჩნიათ, რომ აგრესიულობა თავს იჩენს მხოლოდ ბიოლოგიურ ინსტინქტებში, და ისინიც, ვინც უარყოფენ, ამ ინსტინქტთა მნიშვნელობასა და განსაზღვრავენ ადამიანს, როგორც სოციალური გარემოს მარიონეტს. მეცნიერი აგრესიულობას მიიჩნევს, როგორც  რთულ ფენომენს, რომლის შემადგენელ კომპონენტებს გააჩნია სხვადასხვა გენეტიკური ბუნება და სხვადასხვა მიზეზობრივი განპირობებულობა. "თუ სიტყვა "აგრესიით" აღვნიშნავთ ყველა "მავნე" ქმედებას, ანუ ყველა იმ ქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს და მიჰყავს ცოცხალი თუ არაცოცხალი ობიექტი განადგურებამდე (მეცნიერების, ცხოველებისა და ადამიანების ჩათვლით), - აღნიშნავს ე. ფრომი, - მაშინ, რა თქმა უნდა, მიზეზის ძიებას აზრი ეკარგება და იმპულსის ხასიათი ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება, რომლის შედეგადაც მოხდა ზემოთ აღნიშნული მავნე ქმედების განხორციელება. იმ შემთხვევაში, თუ ერთი

და იმავე სიტყვით აღვნიშნავთ განადგურებისკენ მიმართულ ქმედებას, ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია დაცვასთან, და ქმედებას, რომელიც კონსტრუქციულ მიზნებს ახორციელებს, მაშინ უშედეგოა იმ "მიზეზის" გაგება, რომელიც ამ ქმედებათა საფუძველში ძევს" [96, 12]. ავტორის აზრით, დესტრუქციის ტალღამ შთანთქა მთელი მსოფლიო, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფსიქოანალიზის საპირისპირო კვლევა შეიძენს სერიოზულ პრაქტიკულ მნიშვნელობას [96, 15].

აგრესიის ფენომენის კვლევისას ე. ფრომი გამოყოფს იმ ქცევას, რომელიც დაკავშირებულია თავდაცვასთან, დაშინებაზე გამოწვეულ საპასუხო რეაქციასთან. ამ ქცევას იგი კეთილთვისებიან აგრესიას უწოდებს. ავტორის აზრით, კეთილთვისებიანი აგრესიის მექანიზმი გენეტიკურად გადაეცემა. გადაცემის ეს პროცესი, ანალოგიურად, გააჩნიათ როგორც ადამიანებს, ასევე ველურ ცხოველებსაც. ასეთი ტიპის აგრესიას ფრომი კეთილთვისებიანს უწოდებს, რადგან სიცოცხლის შენარჩუნება მასში ბუნებით მოთავსებული მდგომარეობაა. ბიოლოგთა დაკვირვების თანახმად, აგრესიის მოცემული ტიპი საკმაოდ იშვიათად ვლინდება კონკურენტის გასანადგურებლად. ასეთი ქცევის ძირითადი ფუნქცია თავდამსხმის მოგერიებაში გამოიხატება.

ა. ფრომის აზრით არსებობს აგრეთვე ავთვისებიანი აგრესია, რომელიც ვლინდება  როგორც ადამიანზე აბსოლუტური ბატონობის სახით.  ამ ტიპის ქმედებას საფუძვლად უდევს სულიერი არსებების  განადგურების სურვილი. მკვლევარის აზრით, ზუსტად ეს არის დესტრუქციულობა. იგი სოციალური ბუნებისაა. დესტრუქციულობის წყაროები ადამიანის ცხოვრების წესისა და კულტურის ნაკლოვანებაში ძევს. არც ცხოველებში და არც წინაპრებში (პირველყოფილი მონადირეები, ნაყოფის შემგროვებლები) დესტრუქციულობას თავი არ უჩენია. ცხოველისგან განსხვავებით ადამიანი დესტრუქციულია თავდაცვის შიშისა და გარე სამყაროში მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დამოუკიდებლად.

ადამიანში კეთილთვისებიანი აგრესიის გამოვლინება ჰიპერტროფირებულია ყოფის სოციალური თვისებებით. ამ პირობების ცვლილებებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეამცირონ აგრესიულობის დონე.

ადამიანი, ისევე როგორც ცხოველი იცავს თავს, როდესაც მათ ვიტალურ ინტერესებს რაიმე უქმნის საფრთხეს. ამრიგად, ცხოველებისგან განსხვავებით ადამიანის ვიტალური ინტერესების სფერო უფრო ფართოა. ადამიანს არსებობისთვის სჭირდება, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური პირობები. მას რამდენადმე უნდა გააჩნდეს ფსიქიკური წონასწორობა იმისთვის, რომ შეინარჩუნოს უნარი მისი ფუნქციების შესასრულებლად. ადამიანისთვის, ცხოვრებისეული გაგებით, ფსიქიკური კომფორტი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ხორციელი კომფორტი. შიში, ისევე როგორც ტკივილი, -აღნიშნავს ა.ფრომი,- არასასიამოვნო გრძნობაა და ადამიანი ცდილობს მის თავიდან აცილებას ნებისმიერი გზით. შიშის განდევნის ერთ- ერთი ხერხი აგრესიულობაა [96, 173].

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ცხოველებში აგრესიას აკავებს, ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმია, რომელსაც ბიოლოგებმა "არ მოკლა" შეარქვეს. ეს მექანიზმი ეწინააღმდეგება აგრესიულობის ირაციონალურ განპირობებულობას. ადამიანის მკვლელობაზე შინაგანი აკრძალვა ემყარება სხვა ადამიანებთან ერთიანობის გრძნობასა და მათ თანაგრძნობას. თანამედროვე საზოგადოება, რომელიც ანადგურებს სოციალურ კავშირებს, იწვევს მოცემული მექანიზმის ფუნქციონირების შეფერხებას. ადამიანთა შორის გარიყულობა შეიძლება იყოს: სპონტანური (ურბანიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პროცესების არასასურველი კვლევა); შეგნებულად კულტივირებადად. მკვლელობა ახასიათებს მარტო ადამიანს, რომელიც მკვლელობით იკმაყოფილებს მოთხოვნილებას და ამით ის განსხვავდება ცხოველისაგან [96, 23].

ა. ფრომის კონცეფციის მიხედვით, ინდივიდუალიზმის განვითარებას გააჩნია ეგოცენტრიზმი და ტრანსფორმაციის ტენდენცია. ეგოისტი არის ადამიანი – ნარცისი, რომელიც დაინტერესებულია მხოლოდ საკუთარი თავით. მას გააჩნია

თვისებები ობიექტურად შეაფასოს, როგორც საკუთარი თავი, ასევე გარშემომყოფები. მისთვის სხვა ადამიანის ცხოვრება ნაკლებად ღირებულია. ადამიანთა ჯგუფური კონფლიქტის პროცესში (ბრძოლის დროს ხდება ჯარისკაცთა იდეოლოგიური დამუშავება ან სუბკულტურის კრიმინალური აღქმა) ადამიანის დეპერსონიფიკაციის მექანიზმი გამოიყენება. ყველა ის ადამიანი, რომელიც არ შედის ასეთ ჯგუფში დეპერსონიფიცირდება. ისინი უკვე ადამიანებად კი არა, არამედ ობიექტებად მიიჩნევიან. მათ სპეციალური ზედმეტსახელები ერქმევათ (მაიმუნები, ფრაერები და ა.შ.), რომელთა მთავარი დანიშნულებაა ვერ შეამჩნიონ მოწინააღმდეგეში ადამიანი.

ავთვისებიანი აგრესიის ფორმებს მოცემულ თეორიაში სადიზმსა და ნეკროფილიას აკუთვნებენ. ტრადიციულად ეს ფენომენები ფსიქიკურ ანომალიებად ითვლებიან. ე. ფრომმა დაამტკიცა, რომ მათი ფესვები ბიოლიგიურ ბუნებაში კი არა, არამედ ადამიანის ხასიათში უნდა ვეძიოთ.

მკვლევარები, როგორც აღნიშნავს ა. ფრომი, ეგზისტენციალურ მოთხოვნილებებად მიიჩნევენ ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდნენ ადამიანის სულიერი კეთილდღეობისათვის. ადამიანის ეგზისტენციალური კონფლიქტი გარკვეულ ფსიქიკურ მოთხოვნილებებს ქმნის, რომელიც ყველა ადამიანს ერთნაირად გააჩნია. ყოველ ადამიანს უნდა შეეძლოს მისი სამყაროში იზოლაციის, შიშის, მიტოვებულობისა და უმწეობის გადალახვა; მან უნდა ეძებოს ის ახალი ფორმები, რომლებიც დაკავშირებულია იმ სამყაროსთან, სადაც იგი სიმშვიდესა და უსაფრთხოებას ჰპოვებს. ა. ფრომი განსაზღვრავს ამ ფსიქიკურ მოთხოვნილებებს, როგორც "ეგზისტენციალურს", რადგან მათი გამომწვევი მიზეზები ადამიანის არსებობის პირობებში შეიძლება იყოს აღმოჩენილი. ასეთი ტიპის მოთხოვნილებები გააჩნია ყველა ადამიანს და მათი დაკმაყოფილება აუცილებელია, როგორც სულიერი ჯამრთელობის, ასევე ადამიანის ფიზიკური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად [96, 197-221].

ეგზისტენციალური მოთხოვნილებების საფუძველზე ადამიანის ხასიათი ვლინდება: ყოველი ეგზისტენციალური მოთხოვნილება შეიძლება სხვადასხვა საშუალებით იქნას დაკმაყოფილებული. ეს განსხვავებები, ყველა შემთხვევაში,

საზოგადოებრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ეგზისტენციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სხვადასხვა საშუალება ვლინდება ისეთ მისწრაფებებში, როგორიცაა სიყვარული, სინაზე, სამართლიანობა, დამოუკიდებლობის, სიმართლისკენ, ზიზღისკენ, სადიზმისკენ, მაზოხიზმისკენ, დესტრუქციულობისა და ნარციზისმისკენ სწრაფვა.

ა. ფრომი მათ იმ ვნებებად მიიჩნევს, რომლებიც არსებობენ ადამიანის ხასიათში, ან იმდენად გვესახებიან უბრალოდ ადამიანურ ვნებებად, რამდენადაც ისინი ერთიანობაში შეადგენენ ადამიანის ხასიათს. ხასიათი, ავტორის აზრით, არის ყველა არაინსტიქტური სწრაფვის შედარებით მუდმივი სისტემა, რომელიც აკავშირებს ადამიანს სოციალურ და ბუნებრივ სამყაროსთან. ინსტინქტები, ბიოლოგიური გატაცებები და ეგზისტენციალური მოთხოვნილებები ერთნაირად გააჩნიათ ადამიანებს, ხოლო ხასიათი კი – ყველას განსხვავებული აქვს: სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვა ვნებები ჭარბობენ. ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანთა ფორმირება ხდება სხვადასხვა პირობებში: "ხასიათის ფორმირების საშუალებებისა და გზების საფუძვლები მნიშვნელოვან წილად შეიძლება კულტურაში ვეძიოთ. საზოგადოება ბავშვს მშობლების მეშვეობით მისი ღირებულებების, ჩვეულებების ტრადიციებისა და ნორმების სამყაროში რთავს. მშობლების გარდა, არსებობენ სოციალიზაციის სხვა გადამცემები მექანიზმები: აღმზრდელები, თანატოლები და უფროსი მასწავლებელი, მიბაძვის მაგალითები და უშუალო გამოცდილება [96, 197-221].

ფრომამდე სადიზმსა და მაზოხიზმს, როგორც სექსუალური ანომალიის ფენომენს მიიჩნევდნენ. მეცნიერი მიდის ასეთ დასკვნამდე: "სადიზმი (და მაზოხიზმი) როგორც სექსუალური გარყვნილობა წარმოადგენს დიდი სფეროს მხოლოდ იმ მცირე ნაწილს, სადაც ეს მოვლენები სექსთან არაფრით არ არიან დაკავშირებულნი. არასექსუალური სადისტური ქცევა ვლინდება იმისთვის, რომ მოიძებნონ უმწეო და დაუცველი არსებები და მიაყენონ მათ ფიზიკური ტანჯვა ცხოვრების შეწირვამდეც კი [96, 247].

ე. ფრომი აკეთებს სრულიად ოპტიმისტურ პროგნოზს საზოგადოების დესტრუქციულობის მძიმე ტვირთისგან გათავისუფლების შესახებ. რამდენადაც

სადიზმი და ნეკროფილია არ არის ადამიანის თანდაყოლილი თვისებები, არამედ ადამიანთა სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების გარკვეული მოვლენები. ამიტომ აგრესიულობის აღკვეთა შეიძლება მარტო საზოგადოების დესტრუქციულობის აღკვეთის გზით [96, 28].

60-იანი წლებიდან აშშ-ში დაიწყო აგრესიული დანაშაულობის ინტენსიური გამოკვლევები. ისინი უმთავრესად ემხრობიან ფსიქოლოგიურ მიმართულებას. დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგიური დიაგნოსტირება წარმოადგენს ამ ტიპის გამოკვლევების ძირითად მეთოდს, ხოლო მათი ტიპოლოგია – რეკომენდაციის საბოლოო მიზანს. როგორც ამერიკელი მეცნიერის ვ. ფოქსის მიერ მოყვანილი მიმოხილვიდან ჩანს, ფსიქოლოგიური მიმართულების მომხრეები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ მკვლელის კრიმინოტიპზე.

დ. ჯიბონსის თეორიის თანახმად მოტივაციის მთავარი ნიშანი არის წარმოდგენა თავის თავზე. ასეთი მიდგომის საფუძველზე ავტორმა განხორციელა დელიკვენტებისა და დამნაშავეთა შედარება. გამოკვლევის შედეგად ავტორმა დასახა დამნაშავეთა ტიპოლოგია, სადაც მკვლელის კრიმინოტიპი მოთავსებულია მძიმე დანაშაულის ჩამდენ პროფესიონალ პირთა ჯგუფში. ამ ჯგუფში შედიან დელიკვენტებიც, რომლებიც ჯგუფურად იდენდნენ დანაშაულს. ჯგუფი, როგორც წესი, ატარებს კონფლიქტურ ხასითს [189, 247], მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ კლასიფიკაციაში ტიპოლოგია ბოლომდე არ არის დასრულებული, რადგან ავტორის მიერ გამოყოფილია ზეაგრესიული დელიკვენტის ტიპი, რომელიც რატომღაც "თეთრსაყელოიან" დამნაშავეთა ტიპთან არის კორელაციაში. ამიტომ გამოდის ალოგიკური დასკვნა, რომ "თეთრსაყელოიან" დანაშაულს იდენს ისეთი პირი, რომელიც ბავშვობაში იყო აგრესიული. ამ კლასიფიკაციის საფუძველზე მეტად რთულია იმის წარმოდგენა, რომ პირი, რომელიც იღებს ქრთამს, ბავშვობაში იდენდა მკვლელობას ან სხვა სახის აგრესიულ დანაშაულს.

ჯ. მაკკინის კონცეფციის თანახმად დამნაშავეთა კლასიფიკაციაში წამყვანი ადგილი უკავია პიროვნების წინააღმდეგ ძალადობით დანაშაულობას, მათ შორის – მკვლელობას. ამ მიდგომას საფუძვლად უდევს ჯგუფური ქცევის

მოდელი. ავტორის აზრით, ყველა შემთხვევაში ჯგუფში ხდება ქცევის ეტალონის ფორმირება და ამიტომ აგრესიულობის მოდელის შეძენის შედეგად პირი იდენს მკვლელობას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მკვლელობის პრობლემას ავტორი არ განიხილავს ჩვეულებრივი დანაშაულის კვლევის დროს [189, 250-251]. ამიტომ სიტუაციური მკვლელობა ამოვარდნილია კლასიფიკაციიდან. ასევე არ არის გათვალისწინებული ორგანიზებული და პროფესიული დანაშაულობის თავისებურება.

უნდა აღვნიშოთ, რომ აღნიშნული კონცეფციების ნაკლი გამოვლენილია მრავალ კრიმონოლოგიურ გამოკვლევაში. ვ. ფოქსის მიერ მოყვანილია კრიმინოლოგთა კლასიფიკაციები, სადაც კრიტერიუმის სახით გამოყოფილია დანაშაულის ჩადენის მოტივი. ასე მაგალითად, მორისონის კონცეფციის თანახმად, არსებობს მკვლელის ოთხი ტიპი: ფსიქიკურად ავადმყოფი მკვლელი; მკვლელი, რომელიც ეწევა ანტისოციალურ ცხოვრებას; "შემთხვევითი" მკვლელი; სუბკულტურული მკვლელი, რომელმაც ჩაიდინა მკვლელობა დაზარალებულის პროვოცირებული ქცევის გამო [189, 251]. ანალოგიური მიდგომა ახასიათებს სხვა მეცნიერთა კლასიფიკაციებს. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ყველა კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მოტივაციის ბუნება. ამიტომ მიღებულია მკვლელთა სამი ტიპის გამოყოფა: 1) მკვლელი-ფსიქოპათი [111], 2) შემთხვევითი მკვლელი [115] და 3) პროფესიონალი მკვლელი. [123]

ფსიქოლოგიური მიმართულება განსაკუთრებით განვითარდა ქართულ კრიმინოლოგიაში, რომელიც ძირითადად ემყარება ცნობილი ფსიქოლოგის დ. უზნაძის განწყობის თეორიას. ნებელობითი მოქმედების განხორციელებისათვის საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია მზაობა, რასაც დ. უზნაძე განწყობას უწოდებს. განწყობას არც მარტო მოთხოვნილების მდგომარეობა ქმნის თავისთავად და არც მარტო ობიექტური სიტუაცია. იმისათვის, რომ განწყობა გაჩნდეს, მოთხოვნილება თავისი დაკმაყოფილების პირობების შემცველ ობიექტურ სიტუაციას უნდა შეხვდეს [41, 95]. ამ კონცეფციის თანახმად, მნიშვნელოვანია დამნაშავის ნების სიმტკიცე და მისი დამოკიდებულება დანაშაულებრივი ქმედებისადმი როგორც მის ჩადენამდე, ისე დანაშაულის განხორციელების შემდეგ. "გადაწყვეტის აქტი თავისთავად მომენტურია. მაგრამ

იმისათვის, რომ ის, რაც გადაწყვეტილია შესრულდეს, აუცილებელია გადაწყვეტილება შეურყეველი დარჩეს, რათა ქცევა ბოლომდე თავისდა შესაფერისად წარიმართოს. ასეთ სტაბილიზებულ გადაწყვეტილებას განზრახვა ეწოდება. განზრახვას ნებელობის აქტში შექმნილი განწყობა უდევს საფუძვლად და რაც უფრო გამძლეა დროის მიმდინარეობაში ეს საფუძველი, რაც უფრო შეურყეველია იგი, მით უფრო მტკიცედ განიცდება განზრახვა და მით უფრო მტკიცეა ნებისყოფა.” [41]

თ. შავგულიძის აზრით, ქცევის ამა თუ იმ შაბლონის არჩევის მიზეზის ასახსნელად, იმის დასადგენად, თუ რატომ ხდება, რომ მრავალ შესაძლებელ ქცევას შორის, რომელთა საშუალებითაც ადამიანს შეუძლია მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, იგი სწორედ დანაშაულებრივ ქცევას ირჩევს, - ამის გაგებას ძირითადად ადამიანის სოციალიზაციის პროცესის ანალიზი იძლევა.

ნებისყოფა ადამიანის თანდაყოლილი თვისება არ არის. ადამიანი ყალიბდება ნებისყოფის სუბიექტად თავისი სოციალიზაციის კვალობაზე. სოციალიზაციის უნარი ადამიანს აქვს იმდენად, რამდენადაც მას ცნობიერება გააჩია. ცნობიერების მეოხებით ადამიანი ახდენს თავისი თავისა და თავისი ქცევის ობიექტივაციას, რაც, თავისი მხრივ, დაკავშირებულია თვითკონტროლის უნართან. თვითკონტროლი იგივე სოციალური კონტროლია, რადგან ადამიანი თავის თავსა და მოქმედებას საზოგადოების თვალით აფასებს. სოციალური კონტროლი შეუძლებელია თვითკონტროლის გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი – “მე” – კონცეფციის გარეშე, “მე” – კონცეფცია ადამიანს უყალიბდება სოციალიზაციის კვალობაზე და დაკავშირებულია თავისი თავის ობიექტური ღირებულების შეცნობის უნართან. “მე” – კონცეფციის ჩამოყალიბება ხდება ღირებულებათა იმ სისტემისა და ქცევის იმ ნორმების მეოხებით, რომლებიც მიღებულია თავის ეტალონურ ჯგუფში. ღირებულებათა ამ სისტემასა და ქცევის ამ ნორმებს ადამიანი ითვისებს, როგორც თავის სოციალურ ღირებულებათა სისტემას და თავისი ქცევის ნორმებს.

ადამიანები ერთიანდებიან სოციალურ ჯგუფად თავიანთი სოციალური ბუნებისა და ინტერესების ერთობის გამო. მათი ერთობლივი საქმიანობა ხერხდება

ჯგუფის მონაწილეთათვის მისაღები ქცევის შაბლონების შემუშავებით. ქცევის საერთო შაბლონები ქცევის სოციალურად სავალდებულო ნორმების ხასიათს იღებს. ეს ნორმები საზოგადოების ოფიციალური სფეროს გარეშეა და მათი შესრულება უზრუნველყოფილია მხოლოდ სოციალური კონტროლით. ყოველგვარი ნორმის დარღვევა შესაძლებელი და მოსალოდნელია. ამიტომ საზოგადოებაში ნორმების დარღვევისათვის დაწესებულია სანქციები. სოციალური ნორმების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად კი საზოგადოებრივი აზრი გვევლინება. საზოგადოებრივი აზრი სამართალზე, არის მიკრო და მაკრო სოციალურ ჯგუფებში გაბატონებული შეხედულება ამა თუ იმ სოციალურ, კერძოდ, სამართლებრივ მოვლენაზე, აგრეთვე პიროვნებაზე, მის ქცევასა და სოციალურ, კერძოდ, სამართლებრივ ღირებულებაზე. [158]

წარმოდგენილი ფსიქოლოგიური კონცეფციის თანახმად, მკვლელობა განიხილება როგორც შაბლონური ქცევის მოდელი. ამ ქცევის ასარჩევად განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ე.წ. "განწყობის ფიქსაციას", რომელიც იმ შემთხვევაში მუშავდება, როცა გარკვეული ქცევა არაერთგზის მეორდება და შესაბამისად არაერთხელ ვლინდება ქცევის გარკვეული განწყობა. ასეთ შემთხვევაში განწყობა სუბიექტში რჩება, როგორც აქტუალიზაციის განსაზღვრული პირობების განმეორების შემთხვევაში ხელმეორე მზაობა.

შაბლონური ქცევა დგინდება ინდივიდის მიერ არა მხოლოდ განწყობის ფიქსაციის წყალობით, არამედ წარმოსახვითი რეაქციის წყალობითაც. ამრიგად, თუ სუბიექტს არაერთხელ წარმოუდგენია ღალატის შემთხვევაში ცოლის მკვლელობის სურათი, იმდენად იგი უშვებს ცოლის მკვლელობას, რაც პროგრამირდება მის ცნობიერებაში შაბლონური ქცევის სახით. ამის შემდეგ პიროვნება, მაგალითად განრისხების აფექტში, გაუცნობიერებლად კლავს ცოლს, მაგრამ დანაშაული სრულდება იმ შაბლონური ქცევის მიხედვით, რომელიც ათვისებულ იქნა სუბიექტის მიერ წარმოსახვითი რეაქციის დროს. [191, 59]

მკვლელების მოტივაციის საკითხებს ქართველი მეცნიერები განიხილავენ გარკვეული ფსიქიკური პროცესების ანალიზისას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნამუშევრები, რომლებიც მიეძღვნა დამნაშავეთა ეთიკურ

თვითშეფასებას [31], დანაშაულებრივ ქცევაში ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების ადგილსა და მნიშვნელობას [155], დანაშაულებრივი ქცევის მოთხოვნილებას და განწყობას. [100] [101]

მკვლელობის მოტივაციის საკითხი სპეციალურად განიხილებოდა არასრულწლოვანთა დანაშაულობასთან მიმართებაში. ნაშრომში ”არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ქცევის ფსიქოლოგიური ფაქტორები” ფ. გობეჩია ცდილობდა წარმოდგენა შეექმნა დანაშაულებრივი ქცევის განწყობაზე [165]. აგრესიული ქცევის დევიანტური სტადიის გამოკვლევები ვითარდებოდა გ. მაღრაძის [153], ასევე თ. ანდღულაძის, ნ. იმედაძის, გ. ცინცაძის ნაშრომებში. [22]

ქართველ კრიმინოლოგთა გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მკვლელობის ვიქტიმოლოგიურ პრობლემატიკას. ამ მიმართულებით, ასევე, გამოყენებული იყო განწყობის თეორია [154]. როგორც მართებულად აღნიშნავს გ. თოდრია, მისი დროულობა არ ყოფილა შემთხვევითი თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ პერიოდისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იზრდებოდა დანაშაულობის მსხვერპლთა რიცხვი, რაც იძულებულს ხდიდა იქ ვიქტიმოლოგიური საზოგადოებების შექმნას. 1979 წ. კი საერთაშორისო კონგრესზე დაფუძნდა ვიქტომოლოგების საერთაშორისო საზოგადოება, რომელმაც კრიმინოლოგიაში ვიქტიმოლოგიური მიმართულების სტიმულირება მოახდინა. გამონაკლისს არ წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი, სადაც ძალადობის შედეგად მსხვერპლთა რაოდენობა ნელ-ნელა იზრდებოდა: თავის კვალს ტოვებდა ფარული უმუშევრობა, უიმედობა, ლოთობა, საბჭოური ოჯახის კრიზისი და ა.შ. [23, 174]

## §2. მკვლელობების პრობლემა სოციოლოგიურ თეორიებში

ადრინდელი სოციოლოგიური მიდგომის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იყო გ. ტარდი. თავის ცნობილ გამოკვლევაში იგი აღნიშნავდა, რომ მკვლელთა უმრავლესობა თავიდან მიტოვებული ბავშვები იყვნენ და დანაშაულის ნამდვილი კერა ჩვენი დიდი და პატარა ქალაქების თითოეულ მოედანსა და გზაჯვარედინზე უნდა ვეძებოთ. ისინი იკრიბებიან საკუთარ სახლებში აღზრდის

უკმარისობისა და უპურობის შედეგად. ფრანგი მეცნიერი არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ მკვლელის ტიპი, როგორც სხვა დანაშაულის ჩამდენი, ყალიბდება სწავლებისა და მიბაძვის შედეგად [89, 56-79].

გ. ტარდის სოციოლოგიური მიდგომა ე. დიურკჰეიმის მიერ იყო გარკვეულად გაზიარებული "ანომიის" თეორიაში. მისი აზრით, იმისათვის რომ გაქრეს მკვლელობა, აუცილებელია სისხლისღვრისადმი ზიზღის ზრდა იმ სოციალურ ჯგუფებში, საიდანაც წარმოიშობა ეს დამნაშავე, მაგრამ ამ პროცესს წინ უნდა უსწრებდეს მთლიანად საზოგადოებაში სისხლის ღვრისადმი ზიზღის განვითარება. ანომიის მდგომარეობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ეს გრძნობა საზოგადოებაში სუსტდება. ამის შედეგად სხვადასხვა ჯგუფებში თავს იჩენს უწესრიგობა, რაც ხელს უწყობს ინდივიდების აგრესიულობის აღმოცენებას. [171, 40]

ანომიის თეორიას ავითარებს ამერიკელი მეცნიერი რ. მერტონი. მისი აზრით, სოციალურ ჯგუფებში პირები ირჩევენ კანონსაწინააღმდეგო გზას, რადგან ლეგიტიმური საშუალების შერჩევის არეალი მათ არ გააჩნიათ [75, 299-312]. მერტონი იკვლევს დევიაციური ქმედებების სიხშირეს ამერიკული საზოგადოების იერარქიაში. ყველა დევიანტური ქმედების წესი მოდის ცალკე მდგომი ინდივიდისაგან, ძირითადად ღარიბებისაგან. გამომდინარე იქიდან, რომ ანომია დევიანტის საფუძველია, მერტონმა გამოიმუშავა ანომიის ცნება, რადგან აეხსნა, როგორ და რატომ არის ანომია ამ ფენაში უფრო ხშირი. მერტონის მიხედვით ანომია არ არის უბრალოდ ნორმების შესუსტება, არამედ წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს საზოგადოებაში მიღებულ მიზნებსა და დაშვებულ საშუალებებს შორის. მაგალითად, ამერიკულ საზოგადოებაში მატერიალური წარმატება, სიმდიდრე და კარიერა საყოველთაოდ მიღებული მიზანია.

ამ მიზნების მისაღწევი ნებადართული საშუალებებია სწავლა, მუშაობა და ეკონომია. ხშირად ღარიბი ფენის წარმომადგენელს არ შეუძლია მიაღწიოს მიზანს დაშვებული საშუალებებით, ამიტომ ანომია ამ ფენაში უფრო ხშირია. ანომიაზე არის რამდენიმე რეაქცია, რომლებიც აჩვენებს, რომ მიზნები და

დაშვებული საშუალებები თითქოს მიღწეულია [146]. შემუშავებული კონცეფციის ფარგლებში რ. მერტონმა განასხვავა ადაპტაციის ხუთი ტიპი.

ადაპტაციის პირველი ტიპია ინოვაცია. ამ შემთხვევაში ინდივიდი ცნობს საზოგადოებაში არსებულ მიზნებს, მაგრამ არ ეგუება მათი დაკმაყოფილების კანონიერ საშუალებებს. რიტუალიზმის დროს ინდივიდი უარყოფს საზოგადოებაში არსებულ მიზნებს, როგორც მიუღწეველს, მაგრამ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას არსებულ საშუალებებისადმი. რეტრიტიზმის ქცევის ტიპი გავრცელებულია ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა და ზოგიერთი სხვა სოციალური ჯგუფების წრეში, რომლებიც საერთოდ არ ცნობენ სოციალურ ფასეულობებს. და ბოლოს, ამბოხების დროს ინდივიდი პროტესტს აცხადებს ურთიერთობათა იმ არსებული სისტემის წინააღმდეგ, რომელიც კანონით დაშვებულ ფარგლებში კანონიერი მიზნების მიღწევის შეუძლებლობას ქმნის (მაგალითად, ტერორისტული აქტები, ბომბის აფეთქებები, უწესრიგობები, ძალადობითი დანაშაულები და ა.შ.). [75, 306-308]

მერტონის თეორიის თანახმად მკვლელობის დეტერმინაციის პრობლემატიკა არ არის განხილული ადაპტაციის ერთი ტიპის ფარგლებში. მაგალითად, მკვლელობის საფუძველი შეიძლება იყოს ინოვაციური ადაპტაციის ტიპი ანდა ამბოხება. ყველა შემთხვევაში, როგორც ჩანს, მერტონმა წარმოადგინა ანომიის თეორიის უფრო გაფართოებული ვერსია.

კულტურათა კონფლიქტის თეორიის თანახმად მკვლელობად ქცევის აღიარება დამოკიდებულია იმ კულტურის ნორმებისაგან, რომელიც გავრცელებულია გარკვეულ საზოგადოებაში ან სოციალურ ჯგუფში. ტ. სელინის მიერ მკვლელობა განიხილება, როგორც ამ კონფლიქტის გადაწყვეტის საშუალება და ერთდროულად როგორც კულტურის მოდელის ფარგლებში მიღებული სოციალური ხერხი.

სელინი ეყრდნობა მკვლევართა მონაცემებს და ამ მიმართულებით ავითარებს დიფერენციალური კავშირის კონცეფციას. ავტორი ამახვილებს ყურადღებას შემდეგი სახის ფაქტებზე. კოლონიალურ ალჟირში, აღნიშნავს ტ. სელინი, საფრანგეთის სისხლის სამართალის კანონების გამოყენებით ჩვენვე ვაქცევდით

ადგილობრივი მოსახლეობის წეს-ჩვეულებებს დანაშაულად. ასე მაგალითად, მოღალატე ცოლის მოკვლა წარმოადგენს რიტუალს, რომელიც სრულდება ცოლის მამის ან ძმის და არა ქმრის მიერ. რიტუალის ეს თავისებურება გამოწვეულია იმით, რომ ქალი თავისი ოჯახით ქმრის ოჯახს წარმოადგენს და ღალატის შემთხვევაში იგი თავის ნათესაობას შეურაცხყოფს. ქალის მამას ან ძმას უფლება აქვთ და მოვალენიც კი არიან, რომ იგი გამოასალმონ სიცოცხლეს, რათა მისი სისხლით ჩამორეცხონ ნათესავებისადმი მიყენებული შეურაცხყოფა. მკვლელობა შეურაცხყოფის მიზნით, ასევე, ხორციელდება მაშინ, როდესაც მოკლულ ან თუნდაც შეურაცხყოფილ იქნა მათი ნათესავი, რომლის მოვალეობაც გვარიდან გვარში გადადის. ვენდენტა დაშვებულია ე.წ. ღირსების კანონით. ფრანგული კანონების თანახმად კი, ეს ქმედებები დანაშაულად მიიჩნევა. მკვლელობა შურისძიების მიზნით, რამდენადაც იგი გაცნობიერებული და წინასწარ დაგეგმილი ქმედებაა, იმდენად დანაშაულს წარმოადგენს და სიკვდილით ისჯება. [186, 282-286]

ანალოგიური ფაქტების განზოგადების საფუძველზე ტ. სელინი სვამს კითხვას: რა ხდება მაშინ, როდესაც, როგორც ეს ხშირად ხდება, ჩვენი ხელისუფლება ეძებს დამნაშავეს, რომელმაც ხელყო ფრანგული მართლწესრიგი, მაგრამ მოქმედებდა არსებული წეს - ჩვეულების თანახმად და თავის სოციალურ წრეში სარგებლობს საყოველთაო აღიარებით? მკვლელობის მოწმეები - ნათესავები ან მეზობლები არ ადანაშაულებენ მკვლელს. დაკითხვის შემთხვევაში ისინი ცდილობენ მოიქცნენ ისე, თითქოს არაფერი იციან და ამგვარად გამოძიება უშედეგოდ წარიმართება. ერთ-ერთ ფრანგ მოსამართლეს საფუძველი ჰქონდა ეთქვა, რომ ალჟირელებს შორის არსებობს სიჩუმის შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავს ტრადიციების შენარჩუნებას, რასაც ყოველთვის იცავენ და ემორჩილებიან ფრანგი ხელისუფლების ხელყოფისგან თავის დაღწევის მიზნით. და აი, კანონთა კონფლიქტის შედეგად დამდგარი ტრაგიკული ასპექტი.

ტ. სელინი აგრძელებს აზრს: ცოტა ხნის წინ მიღებული დეკრეტი უკრძალავს კაბილების ტომიდან მამაკაცებს საკუთარი ცოლის მიტოვების შემთხვევაში მისი ახალი ქმრის მიერ ყოფილი ქმრისათვის არასათანადო კომპენსაციის გადახდას. წინათ ის, ვინც იქორწინებდა განათხოვარ ქალბატონზე, არაფერს არ უხდიდა

მის ყოფილ ქმარს. რამდენადაც ცნობილია, ის, ვინც ეცდებოდა ახალი კანონის თანახმად მოქცეულიყო, ძველი კანონის დარღვევისათვის სიკვდილით ისჯებოდა. ძველი კანონების შეცვლა ზოგჯერ პროტესტსა და ოპოზიციურ მიდგომას იწვევდა. თუმცა ის, რაც ადრე მოვალეობად მიიჩნეოდა, შემდგომ დანაშაულად იქცა და წესრიგი, რომლის დამყარებისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, ხანდახან "ცრურწმენიდანაც" გამომდინარეობს; ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ღმერთი და სულები დასჯიან ყველას, ვინც არ დაიცავს (გაუფრთხილდება) მის ღირსებას.

ორიგინალური კრიმინოლოგიური კონცეფცია შეიმუშავა დიფერენციალური ასოციაციის თეორიის ავტორმა ე. სატერლენდმა. თავის ნაშრომში „კრიმინოლოგიის პრინციპები" მეცნიერი არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ სიცოცხლის მოსპობა, როგორც წესი, განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით. ასევე უშვებდა, რომ მკვლელობის შეფასება დამოკიდებულია იმ კულტურის ნორმებისაგან, რომლებიც ბატონობენ გარკვეულ სოციალურ წრეში, მაგრამ სხვა თეორიებისაგან განსხვავებით ის იკვლევდა შემდეგ საკითხს: კულტურათა კონფლიქტი აისახება უშუალოდ ამ შეფასებაზე, მაგრამ როგორ ხდება კულტურის ნორმების ათვისება და მათი წეს-ჩვეულებად გარდაქმნა?

ავტორის კონცეფციის თანახმად კულტურის ნორმების ათვისება და მათი წეს-ჩვეულებად გარდაქმნა ხდება სწავლების გზით. ამის მაგალითად მოჰყავთ შემდეგი ფაქტი. აშშ-ში 1931 წელს შეიქმნა კრიმინალური საზოგადოება "კოზა ნოსტრა", რომლის ფარგლებში ე.წ. კორპორაცია "მკვლელობა" ფუნქციონირებდა. ეს დანაშაულებრივი გაერთიანება კადრების მომზადებაში სერიოზულ ზრუნვას იჩენდა. მკვლელთა მოსწავლეები, რომლებიც მათ სფეროში პროფესიონალურ დონეს აღწევდნენ, ხელფასს იღებდნენ (კვირაში 50 დოლარის ოდენობით). სწავლება იწყებოდა წვრილმანი დავალებებით – დამრიგებლის მიერ მკვლელობის ჩადენის შემდეგ გვამების გადასატანად ავტომანქანების ქურდობით. სწავლების პროგრამაში შედიოდა სისასტიკით ცემის ტექნიკა და მისი ათვისება, ასევე დაპატიმრების შემთხვევაში პოლიციაში ქცევათა უნარის გამომუშავება. "პრაქტიკანტებს" შესაძლებლობა ეძლეოდათ თვალყური ედევნებინათ მკვლელობისთვის, რომელიც პროფესიონალების მიერ სრულდებოდა.

დანაშაულებრივი დაჯგუფებების ხელმძღვანელები გამუდმებით იზიდავდნენ ახალ მოსწავლეებს და უთვალთვალებდნენ ადგილობრივ მოზარდებს, რომლებიც წვრილმან ქურდობას მისდევდნენ. მათ შორის არჩევდნენ უნარიან მოზარდებსაც და ა.შ. [117, 76]

ა. კოენმა, რ. კლაუარდმა და ლ. ოლინმა საფუძველი ჩაუყარეს სუბკულტურის თეორიას, რომლის ფარგლებში შემუშავებული იყო ძალადობითი სუბკულტურის ცნება. ავტორები, ძირითადად, განიხილავდნენ არასრულწლოვანთა დანაშაულობას. აღნიშნული თეორიის მიხედვით ყოველ კულტურაში არსებობს ძალადობითი სუბკულტურები, რომელიც წარმოადგენს გარკვეული სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელ ნორმათა გაერთიანებას. არასრულწლოვანთა ბანდებში მკვლელობის, სხეულის დაზიანებისა და აგრესიულობის სხვა მოვლენები გამართლებულია გარკვეული ჯგუფური ნორმების მეშვეობით. თანატოლთა წრეში ქუჩის, სკოლის, არაფორმალური დაჯგუფების და ა.შ. ზეგავლენით არსარულწლოვანის აზროვნებაში ყალიბდება აგრესიული ქცევის მოდელი. სუბკულტურას გაბატონებული კულტურისაგან განსხვავებული ფასეულობები და ნორმები აქვს, მაგრამ იგი არ უარყოფს, არ უპირისპირდება გაბატონებულ კულტურას, არ გამოდის მის წინააღმდეგ, არამედ არსებობს მის ფარგლებში. სუბკულტურის წარმომადგენლები არ იბრძვიან იმისათვის, რომ საკუთარი ფასეულობანი, იდეები თუ შეხედულებები საყოველთაოდ აქციონ. პირიქით, ისინი დაინტერესებული არიან საკუთარი განსხვავებულობის შენარჩუნებით.

სუბკულტურის თეორიის თანახმად ძალადობითი სუბკულტურა არსებობს დაბალი და საშუალო სოციალურ ფენებში. ამ წრეში ინდივიდს არ გააჩნია მისთვის მისაღები სტატუსი, რაც იწვევს ფრუსტრაციას. ხალხისადმი აგრესიული დამოკიდებულება, მათ შორის მკვლელობაც, წარმოადგენს ამ ფრუსტრაციულ მდგომარეობაზე არაცნობიერ რეაქციას. ამ წრეში გაზრდილ ახალგაზრდას არ აქვს წარმატების მიღწევის შანსი, ამიტომ კანონის დარღვევა მის ცნობიერებაში ყალიბდება, როგორც წარმატების მიღწევის ერთადერთი საშუალება. [192, 283-290]

სუბკულტურის თეორიის დასკვნები მრავალმა კრიმინოლოგიურმა მიმართულებამ აღიარა. კრიმინოლოგიური გამოკვლევების თანახმად ძალადობის მოტივაცია წარმოიშობა ძალადობითი სუბკულტურის გავლენით [193, 179]. ამასთან აღნიშნავენ, რომ აგრესიულობის გამოვლინებაზე გავლენას ახდენენ, ასევე, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, მაგრამ მათი მოქმედება უმნიშვნელოა [104]. კრიმინოლოგიური გამოკვლევების თანახმად, მოძალადე ბოროტმოქმედთა შორის ფსიქიკური დაზიანების გარეშე პირთა წილი შეადგენს 81,8%-ს, ხოლო იმ პირთა წილი, რომლებსაც ფსიქოპათიის, ნევროზებისა და სხვა ფსიქიკური დაზიანების ნიშნები ახასიათებთ 18,2 %-ს. [187, 224]

კრიმინოლოგთა დასკვნით, ძალადობითი სუბკულტურის ზეგავლენით გარკვეული კრიმინოტიპი ყალიბდება. გერმანელი მეცნიერის ჰ. შნაიდერის მიერ გამოყოფილია პიროვნების ისეთი თვისება, როგორიცაა თვითდამკვიდრებისა და თვითდაცვისაკენ სწრაფვა. აღნიშნული დახასიათება ვრცელდება, ასევე, მკვლელობის ჩამდენ პირებზე. ავტორის აზრით, ძალადობისადმი მიდრეკილების მქონე ადამიანებს ბავშვობაში არ მიუღიათ საკმარისი ემოციონალური მხარდაჭერა და არ უგრძნიათ სტაბილურობა პირად ცხოვრებაში, ამიტომაც არ გამოიმუშავეს პოზიტიური თვითშეფასება. შემდეგი თვისება გამოიხატება სოციალური უმწიფრობის სახით. მოძალადე ბოროტმოქმედი იზრდება ძალადობის სუბკულტურაში, სადაც არსებობს პოზიტიური წარმოდგენა ძალადობაზე, სათანადო ქცევის წესებზე და შეხედულებებზე, რომლებიც გადაეცემა თაობიდან თაობას;

ჰ. შნაიდერი იზიარებს ა.კოენის მოსაზრებას, რომ ძალადობის სუბკულტურა ვითარდება უპირატესად საზოგადოების დაბალ ფენებში. ღარიბების ოჯახებში დედა თამაშობს უფრო დიდ როლს, ვიდრე მამა, რომელიც თითქმის ყოველთვის ხელმოცარულია თავის პროფესიაში. მამაკაცის როლი აღზრდისას ყოველთვის არ იდენტიფიცირდება მამის პიროვნებასთან. ამიტომ მოძალადე ბოროტმოქმედი ჰიპერტროფირებულ თვითშეფასებას თავის საკუთარ მამაკაცურ დარწმუნებლობაზე აგებს.

ძალადობის სუბკულტურის წარმომადგენლებს ახასიათებთ აგრესიისადმი მიდრეკილება, ისინი ხელსაყრელ გარემოში სწრაფად რეაგირებენ ძალადობის გამოყენებისათვის. კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მოდელი მათთვის არ არსებობს. [130, 133-150]

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი კრიმინოლოგები იზიარებენ სუბკულტურის თეორიის პრინციპებს. როგორც გ. ჯანაშია აღნიშნავს, სუბკულტურის თეორიის გამოყენება ძალადობითი დანაშაულობის ანალიზისას გვაძლევს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტის საშუალებას. უპირველეს ყოვლისა, იგი მოითხოვს დანაშაულობის არა ამორფული სტრუქტურის დადგენას, არამედ სწორედ ისეთისას, რომელიც ტიპიურია სუბკულტურის კონკრეტული ისტორიული პერიოდისათვის. საქართველოში გარდამავალი პერიოდის ძალადობითი სუბკულტურა დანაშაულობის ევოლუციის გარკვეული მომენტია და ამიტომ გამოკვლეული უნდა იქნას როგორც დამოუკიდებელი პრობლემა. ამ მიმართულებით ძალადობითი სუბკულტურის გამოვლინება კლასიფიცირდება იმ თანმიმდევრობით, რომელიც რეალურად არსებობს საზოგადოებაში. [50, 13-14]

სტიგმატიზაციის თეორიის შეფასებით ადრინდელი სოციოლოგიური თეორიების უმეტესობა განიხილავდა დანაშაულობას უპირატესად ქცევისა და მისი პირობების დახასიათების ცნებების საშუალებით. ამ თეორიის მომხრეთა აზრით, დანაშაულობა არსებობს სოციალურ სამყაროში და ის ფასდება რაღაც არსებული ღირებულებებით და ნორმატიული მოლოდინებით. ამიტომ ამოსავალი არის არა ქცევა, არამედ სხვების რეაქცია სოციალური კონტროლის ჩათვლით. იმდენად, რამდენადაც სტიგმატიზაციის თეორიის წარმომადგენლები აკავშირებდნენ ქცევის „დანაშაულად“ გადაქცევას სტიგმატიზაციასთან, ძირითადი პუნქტი მდგომარეობს შემდეგში: ინდივიდის სტიგმატიზაცია ხორციელდება მათ მიერ, ვისაც ძალაუფლების პოზიციები უჭირავს. ამიტომ, დანაშაულობის პრობლემა უფრო ზუსტად განისაზღვრება, როგორც მნიშვნელობების გამო ბრძოლა, რომელშიც უფრო მეტი ძალაუფლების მქონე საბოლოოდ აკისრებს სხვებს საკუთარ განსაზღვრებას.

პარსონსის ძირითად კითხვაზე: როგორ ირღვევა სისტემაში წონასწორობა, რას მიმართავს ის წონასწორობის აღსადგენად და როგორ შეიძლება დევიაცია იყოს სისტემის რადიკალური ცვლილების საფუძველი? – სტიგმატიზაციის თეორია პასუხობს საპირისპირო კონცეფტუალური მიდგომით. სტიგმატიზაციის თეორიის უმეტესობისათვის ძირითადია თავად სტიგმატიზირებული ინდივიდები: კანონიერ ქურდად აღიარებული, ბანდაში ლიდერად მიღებული, პროფესიონალ მკვლელად მიღებული და ა.შ. ამიტომ ამ თეორიაში ცენტრალური საკითხია: როგორ აგრძელებენ ინდივიდები ცხოვრებას ამის შემდეგ, როდესაც მათ მიენიჭათ გარკვეული კრიმინალური როლის სახელი?

სტიგმატიზაციის თეორია ამოდის იმ მოსაზრებიდან, რომლის მიხედვითაც ძალაუფლების მქონენი ქმნიან ახალ სტრუქტურებს ინდივიდებისათვის გარკვეული სახელის "მინიჭებით", რომლის შენარჩუნებაშიც ძალაუფლების მქონენი არიან დაინტერესებულები. განვიხილოთ ამ თეორიის დასკვნები მკვლელობის პრობლემასთან დაკავშირებით.

კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერი ფ. ტანენბაუმი ნაშრომში "დანაშაული და საზოგადოება" (1938 წელი) განიხილავდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, როგორც გარკვეულ სოციალურ მდგომარეობაზე ადამიანთა ტიპიურ რეაქციათა სისტემას. მეცნიერის აზრით, საზოგადოების მიერ დანაშაულზე არასწორი რეაგირება ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი კრიმინოგენური ფაქტორია. მისი კონცეფციის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ მოზარდს უარყოფითად აფასებენ, მაშინ იგი სათანადოდ იქცევა. უარყოფით შეფასებას ორი მხარე გააჩნია: ისინი ადამიანს იცავენ ანტისაზოგადოებრივი ქცევისგან, მაგრამ იმავდროულად მათი არასწორი გამოყენების (მიმართულების) შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ინდივიდს დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგონ. უარყოფითი იარლიყების მინიჭება (მიკერება, მიკუთვნება) ხშირად ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრებისეულ კომპასად იქცევა ხოლმე. ხშირად სისხლისსამართლებრივი აკრძალვები საზოგადოების ძალზედ უმნიშვნელო ნაწილის ინტერესებს იცავენ და მათი დაცვა მთელს საზოგადოებას სარგებლის ნაცვლად ზიანს აყენებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლელობისათვის მსჯავრდებული რეციდივისტების ცხოვრების გამოკვლევები ადასტურებდნენ ამ დებულებას. სასჯელის მოხდის შემდეგ მათი პიროვნება საზოგადოების მიერ კვლავ უარყოფითად ფასდებოდა, ხოლო კრიმინალებში იწვევდა დადებით დამოკიდებულებას. სამართალდამცავი ორგანოების მუდმივი დაკვირვება არ აძლევდა მათ უკან დასახევ გზას, რადგან გამოსწორების გამოვლენის სურვილი ეჭვის ქვეშ იდგა. ფ. ტანენბაუმის მიერ დამუშავებული კონცეფცია დანაშაულის შესწავლის ინტერაქციონისტური მიდგომის საფუძვლად იქცა, რომელიც შემდგომში სტიგმის თეორიად ჩამოყალიბდა. [140, 345-359]

სტიგმა ლათინური სიტყვაა და დაღს ნიშნავს. ისტორიიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ დამნაშავეებზე დაღის დასმა ხშირად ახალ მძიმე დამნაშავეთა სახეებს ქმნიდა, როგორც საპასუხო რეაქცია სოციალურ გარიყვაზე. ეს ფაქტი საყოველთაოდ იქნა აღიარებული და კრიმინოლოგები მას დავის საგნად არ ხდიდნენ.

ეს თეორია საკმაოდ სრულად ასახავდა კრიმინალური რეციდივის სიღრმისეულ მექანიზმებს, მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა ბევრი ემპირიული მონაცემების ინტერპრეტირება. მაგალითად, ჯერ კიდევ 1934 წელს ცოლ-ქმარმა გლიუკებმა დაადგინეს, რომ მოზარდის პოლიციაში მიყვანის ფაქტი დანაშაულის კარიერის არჩევის უფრო მეტ საფუძველს ქმნის, ვიდრე სასჯელის მოხდის. როგორც აღმოჩნდა მსჯავრდებულთა შორის პოლიციაში  მოყვანილთა შორის რეციდივის უფრო მაღალი დონე აღმოჩნდა.

სტიგმატიზაციის თეორიაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ფ. სელინის ჰიპოთეზამ იმის შესახებ, რომ დამნაშავეების არადამნაშავეებისგან განსხვავების ძიებისას კრიმინოლოგები იკვლევენ  განსხვავებას მისჯილთა და არამისჯილთა შორის. სინამდვილეში კი ”საზოგადოების ნასამართლევ ნაწილს შორის” ასევე მრავლად მოგვეპოვებიან დამნაშავეები და გასამართლებულებში დამნაშავეებსა და არადამნაშავეებს შორის განსხვავება სრულიად არარსებითია.

სტიგმატიზაციის თეორის დასკვნებს მხარს უჭერდნენ სხვა სოციოლოგიური მიმართულებების მომხრეები. მაგალითად, ე. სატერლენდი მივიდა დასკვნამდე,

რომ ადამიანთა სამი მეოთხედი, რომლებიც იმყოფებიან ა.შ.შ.-ის ციხეებში, დამნაშავეებად არ მიიჩნევიან ამ მნიშვნელობის პირდაპირი გაგებით, თუმცა შესაბამისი დანაშაულებრივი დაღი, რომელიც სასამართლო სისტემითაა მინიჭებული, წარმოშობს მათი საზოგადოებისაგან გარიყვის საფუძველს. ე. სატერლენდის აზრით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების პრაქტიკა არაეფექტურია, არასამართლიანია და სტიგმატიზაციის გზით ადამიანს დანაშაულებრივი კარიერისკენ უბიძგებენ [184, 45-59]. როგორც ცნობილია, ამავე მიმართულებით მსჯელობდა  რ. გაროფალო, რომელიც მოითხოვდა ჯარიმების გამოყენების პრაქტიკის გააფართოებას, რეციდივის წარმოშობასგან თავის არიდების მიზნით.

ე. სატერლენდის დასკვნები. ი. ვალერსტაინის, კ. ვაიდომის, რ. პორტკეცდომისა და დევიანტური ქცევის სხვა მკვლევარების მიერ დადგენილ იქნა ზრდასრული მოსახლეობის პრაქტიკულად ტოტალური კრიმინალიზაციის ფაქტი.

სტიგმატიზაციის თეორის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი ამერიკელმა კრიმინოლოგებმა ედუარდ ლემერტმა და ჰოვარდ ბეკერმა შეიტანეს. თავის ნაშრომში “სოციალური პათოლოგია” (1951წ.) ე. ბეკერმა გამოყო პიროვნების კრიმინალიზაციის ფორმები. მკვლელობის პრობლემა ამ ფორმათა კლასიფიკაციაში ორიგინალურად იყო წარმოდგენილი. საწყის ფორმად ავტორი მიიჩნევდა ქცევის წესების დარღვევას დევიანტურ სტადიაზე. ამ მიმართულებით ფიქსირდებოდა ჩხუბში მკვლელობის მცდელობა, ეჭვიანობის ნიადაგზე კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტა ძალადობით და ა.შ. შემდეგ  ფორმას წარმოადგენდა სოციალური წრის ინტერაქციის თავისებურება: პირთა გარკვეული წრე დადებითად აფასებს ძალადობას და ა.შ. არაერთგზის სამართალდარღვევა, რომელიც გამოწვეულია წყენის გრძნობათა და გარესამყაროსადმი შურისძიების დამოკიდებულებით. მომდევნო ფორმაა სასჯელის დანიშვნა, რომელიც შეიცავს სტიგმატიზაციას. საბოლოო ფორმის სახით ავტორი გამოყოფს ადამიანის დანაშაულებრივ გზაზე დაყენებას, დამნაშავის როლის აღქმას. [55, 10-44]

დევიანტური ქცევის სოციოლოგიურ გამოკვლევაში გ. ბეკერმა გააანალიზა 50 ნარკომანის ცხოვრებისეული გზა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ, თუ თავის დროზე საზოგადოება თავს შეიკავებდა ნეგატიური შეფასებისგან (სტიგმატიზაციისაგან), მაშინ ამას დადებითი შედეგები ექნებოდა. მარიჰუანას მწეველთა ცხოვრებისეული გზის ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით ანალოგიურ დასკვნამდე დ. იანგიც მივიდა. საინტერესოა, რომ ავტორები დევიანტური ქცევის შეფასებას უკავშირებდნენ ორგანიზებულ დანაშაულობას. ისინი ცდილობენ დაუკავშორონ ნარკომანია კრიმინალური ჯგუფის მიერ ჩადენილ ძალადობას. როგორც ცნობილია, სასტიკ მკვლელობას ჯგუფურად სჩადიან ის პირები, რომლებიც ნარკოტიკული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან.

მაგრამ ავტორები ამ საკითხს არ განიხილავენ. გამოკვლევის ამოცანა სულ სხვაა: როგორ იმოქმედა დამნაშავის (მკვლელის) ფსიქოლოგიაზე მის მიერ ნარკოტიკების გამოყენებაზე საზოგადოების უარყოფითმა დამოკიდებულებამ?

გ. ბეკერის აზრით, სოციალური ნორმების თავდაპირველი დარღვევა უმეტეს შემთხვევაში შემთხვევით ხასიათს ატარებს. შემდეგი სამართალდარღვევის მამოძრავებელ ძალად სარგებელი ან დაკმაყოფილება იქცევა. დაპატიმრებას დამნაშავის სტატუსის მინიჭება მოჰყვება (ოფიციალურად ციხეში პატიმრად ყოფნის პერიოდში, რეალურად – პრაქტიკულად სამუდამოდ). მეოთხე სტადიაზე, როგორც წესი, სოციალური სტატუსისა და სოციალური როლის აქტიური რეალიზაცია ხდება, რომლებითაც საზოგადოება მისჯილს დაღს ასვამს. გ. ბეკერის კონცეფციის თანახმად კრიმინალიზაციის დასრულებულ მომენტად ადამიანის დამნაშავეთა დაჯგუფებაში შესვლა გვევლინება, სადაც ინდივიდის კრიმინალური შესაძლებლობები მაქსიმალურად რეალიზდება.

ამრიგად, სტიგმატიზაციის ძირითადი დებულებები შემდეგში მდგომარეობს: – არ არსებობს სიცოცხლის მოსპობის აბსოლუტური ნიშნები. მოძალადედ (მკვლელობისაკენ მიდრეკილი) პირის შეფასება განსაკუთრებით ხალხთა რეაქციაზეა დამოკიდებული;

– დამნაშავეები პრაქტიკულად არაფრით არ განსხვავდებიან არადამნაშავეებისგან. მეტად არსებითია დამნაშავეთა შორის განსასჯელისა  და არაგანსასჯელის გამოვლენა.

– დანაშაულზე სასამართლო სისტემისა და სადამსჯელო აპარატის ზეგავლენა, ატარებს უფრო მეტად ნეგატიურ, ვიდრე დადებით ხასიათს, მას საზოგადოებისათვის ზიანი უფრო მოაქვს ვიდრე სარგებელი.

– არ ღირს "ბოროტების დრამატიზირება", მნიშვნელოვანია არა დასჯა, არამედ იმ ზომების მიღება, რომლებსაც როგორც ადამიანის დანაშაულისგან შეჩერება, ასევე საზოგადოების ორ მტრულ ნაწილებად გაყოფისგან შეჩერება შეუძლია: დამნაშავეებად და არა დამნაშავეებად.

სტიგმის თეორიამ დანაშაულობის პრევენციის პრაქტიკაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა.  მან ისევ მიიპყრო სისხლისსამართლებრივი ზომის პრობლემისაკენ ყურადღება. კერძოდ, დადგენილი იყო, რომ ამ ზომებს არსებითი ნაკლი ახასიათებს, რადგან ისინი ატარებენ არჩევით ხასიათს. პირველად ჩადენილი დანაშაული მკაცრად ისჯება. ზოგადი გაფრთხილების დადებითი ეფექტი ხშირად სტიგმატიზაციის უარყოფითი ეფექტით ნეიტრალიზდება. ეს თეორია დანაშაულობაზე ზემოქმედების პრაქტიკის კორექციას მოითხოვს, კერძოდ ალტერნატიული ზომების გაფართოებას; ისეთი რეპრესიული ზომების ძიებას და დამკვიდრებას, რომლებიც გამორიცხავენ სტიგმას; წინასწარი პატიმრობის ზომების შემცირებას და ა.შ.

# თავი III

# მკვლელობების ძირითადი ტენდენციები

## §1. მკვლელობების ძირითადი ტენდენციები მსოფლიოში

საქართველოში მკვლელობების კვლევის აქტუალობა განპირობებულია მრავალი მიზეზით, კერძოდ:

მკვლელობების შესწავლის შედეგად დასტურდება საქართველოში უცხო ქვეყნისათვის დამახასიათებელი ძალადობითი სუბკულტურის დანერგვის საშიშროების რეალობა. საქართველოსთან მიმართებაში ეს ტენდენცია გამოიხატება რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ანექსიის პოლიტიკით. სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერის შედეგად ძალადობა მოსახლეობისადმი ფაქტობრივად ლეგალიზებულია. ე.წ. პოლიციური რეპრესიები მკვიდრი მოსახლეობის მიმართ, რომლებიც ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებით სრულდება, ფაქტობრივად წარმოადგენენ ლეგალიზებულ მკვლელობებს და სხეულის მძიმე დაზიანებას. მშვიდობისმყოფელთა სტატუსს ამოფარებული რუსეთის ჯარისკაცები თავად ხელს უწყობენ მოსახლეობისადმი ძალადობის არსებობას. აღვირახსნილი მოპყრობა მოხუცთა, ქალთა და ბავშვთა მიმართ ხორციელდება ბრძანებით და ბრძანების გარეშე.

ამ სიტუაციაში ტიპიურია მკვლელობა, რომელიც დაკავშირებულია მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის საქართველოს მოქალაქის მოვალეობის შესრულებასთან. ასევე ტიპიურია მკვლელობა მძევლად ხელში ჩაგდებასთან. როგორც წესი, სეპარატისტები და „მშვიდობისმყოფელები" მიმართავენ ისეთი საშუალებებს, რომლებიც განზრახ უქმნიან საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით მკვლელობის ჩადენაც კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს.

სეპარატისტული ორგანოები სპეციალურად ქმნიან ლატენტობის ველს, სადაც მოქცეულია განზრახ მკვლელობა: ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა; ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა; გ) ხულიგნური ქვენა გრძნობით; დ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; ე) ჯგუფურად.

ასევე სპეციალურად ლატენტობას იძენს განზრახ მკვლელობა: ა) ორი ან მეტი პირისა; ბ) განსაკუთრებული სისასტიკით; გ) შეკვეთით; დ) მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან/და სხვაგვარად გამოყენების მიზნით; ე) არაერთგზის.

ამ მოვლენების ამსახველი სრულყოფილი სტატისტიკა, გასაგები მიზეზების გამო არ არსებობს. მაგრამ, ოპერატიული ინფორმაციისა და მოსახლეობის ჩვენებების საფუძველზე ნათელია, რომ სეპარატისტული რეჟიმების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე მკვლელობა ტიპიურად ხორციელდება, როგორც განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

საქართველოს კრიმინოლოგიისათვის ამ ფაქტების ახსნას განსაკუთებული მნიშვნელობა აქვს. სეპარატისტების მკვლელობებში ნათლად აისახება კულტურათა კონფლიქტების გადაწყვეტის ის მოდელი, რომელიც უცხოა საქართველოს საზოგადოებისათვის, მაგრამ კანონზომიერია რუსეთისათვის. შეიძლება ითქვას, რომ სეპარატისტები იყენებენ სიცოცხლის მოსპობის ხერს იმ არსენალიდან, რომელიც ტიპიურია რუსეთში დამკვიდრებული ძალადობის მოდელისათვის. რუსეთისათვის ძალადობის დამახასიათებელ ფაქტებს ვერ მალავს თვით რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურაც. მისი მონაცემებით რეგისტრირებულ მკვლელობათა კოეფიციენტი 20-ჯერ მეტია იაპონიასთან, 17-ჯერ – გერმანიასთან, 14-ჯერ – საფრანგეთთან, 12-ჯერ – შვედეთთან და 3,5 -ჯერ – აშშ-თან შედარებით. [208]

საქართველოში მკვლელობების შესწავლის გზით შეიძლება ფართო ხასიათის სოციოლოგიური დასკვნა მივიღოთ, რაც დასახულ გამოკვლევას უფრო მნიშვნელოვან აქტუალობას შესძენს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ

მკვლელობების შესწავლის გზით ჩვენ ფაქტიურად ფარდას ავხდით საქართველოში რუსეთისათვის დამახასიათებელ ძალადობრივი კულტურის დანერგვის მცდელობას. გასათვალიწინებელია, რომ ამ საშიში ღირებულებების იმპლანტაცია ხდება საქართველოში, ქვეყანაში, სადაც მკვლელობების კოეფიციენტი სხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლებად იზრდება მარტო 0,8 ერთეულით. ამასთან ერთად ძალადობის სტერეოტიპს ჩვენ თავს გვახვევს ის ქვეყანა, სადაც მკვლელობის კოეფიციენტი უდრის 29-ს. მსოფლიოში ამ მაჩვენებლით რუსეთს უკავია მეორე ადგილი კოლუმბიის შემდეგ [209]. რუსეთში 1997 წელთან შედარებით მომდევნო წლებში მკვლელობები ოჯახებში საშუალოდ იზრდება 14,7% [63], ხოლო აშშ-ი კი მცირდება 0,90 – 1,36. [181, 251]

ამრიგად, სხვა კრიმინოლოგიურ საკითხებთან ერთად მკვლელობების მდგომარეობის ახსნა საშუალებას გვაძლევს დავასაბუთოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იდეა და ამით დავასაბუთოდ ხანგრძლივი ისტორიის მატარებელი ერის უცხო ღირებულებების შეღწევისაგან დაცვის საკითხი.

## §2. საქართველოში მკვლელობების ძირითადი ტენდენციების თავისებურებანი

საქართველოში მკვლელობების კვლევის აქტუალობა განპირობებულია მრავალი მიზეზით, მაგრამ ძირითადად - იმ პრობლემური სიტუაციით, რომელიც არსებობს საზოგადოებაში და სახელმწიფო ორგანოებში ამ მოვლენისადმი არსებული მიდგომით.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ზოგადად ოფიციალური სტატისტიკა აფიქსირებს მკვლელობების კლების ტენდენციას, რაც სახელმწიფო ორგანოებში ქმნის მკვლელობების პრევენიციისადმი ნეიტრალურ დამოკიდებულებას. ძირითადად მანიპულირებენ შემდეგი ფაქტებით:

- თუ 1994 – 2000 წწ. დანაშაულობაში მკვლელობების ხვედრითი წილი უდრიდა 1,5 %-ს, 2001 – 2008 წწ. ეს მაჩვენებელი შემცირდა 0,09%-მდე (იხ. სქემა 1)

- 2001-2004 წწ. მძიმე დანაშაულობაში მკვლელობების ხვედრითი წილი უდრიდა 2,38%-ს, ხოლო 2005-2008 წწ. კი შემცირდა 1,65 %- ით (იხ. სქემა 2).

- მკვლელობებისათვის მსჯავრდებულთა საერთო რიცხვში 1999 - 2008 წწ. სსკ 108-ე მუხლით მსჯავრდებულები შეადგენენ 61,4%-ს, ხოლო 109-ე მუხლით კი – 38,6%-ს (იხ. სქემა 3).

მოვიყვანთ, ასევე, პროკურატურის შეფასებას. როგორც აღინიშნება, 2009 წელს საქართველოში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამოძიების დაწყება ყველაზე ხშირი იყო ჯანმრთელობის განზრახ, ნაკლებად მძიმე დაზიანების და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტებზე:

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან საანგარიშო პერიოდში წინა წელთან შედარებით შემცირებულია ისეთი დანაშაულები როგორებიცაა: განზრახ მკვლელობა – 40,4%-ით, განზრახ მკვლელობის მცდელობა – 22%-ით, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა – 52%-ით.

საანგარიშო პერიოდში სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ქვეყანაში ყოველ 10.000 მოსახლეზე დანაშაულის მაჩვენებელი განზრახ მკვლელობის შემთხვევაში იყო საშუალოდ 0,4, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის შემთხვევაში – 0,1 დანაშაული. ხოლო განზრახ მკვლელობის მცდელობის შემთხვევაში ყოველ 10.000 კაცზე საშუალოდ 3 დანაშაული მოდის. სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დინამიკა თვეების მიხედვით შემდეგნაირია: განზრახ მკვლელობის რაოდენობა 2008 წელს ყველაზე მაღალი იყო მაისში (44 დანაშაული), ხოლო ყველაზე დაბალი – თებერვალში (17). 2009 წელს კი ყველაზე მაღალი იყო იანვარში (26), ხოლო ყველაზე დაბალი – ოქტომბერში (7).

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მაჩვენებელი 2008 წელს ყველაზე მაღალი იყო აგვისტოში (9), ხოლო ყველაზე დაბალი დეკემბერში (1), თებერვალში კი დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. 2009 წელს მოცემული დანაშაულის რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო სექტემბერში (4), ხოლო ყველაზე დაბალი (1 დანაშაული) დაფიქსირდა იანვარში, თებერვალში, აპრილში, ივნისში და დეკემბერში.

როგორც დიაგრამებიდან ჩანს, სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდის თითქმის ყველა თვეში საგრძნობლად იყო შემცირებული წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. რეგიონების მიხედვით საანგარიშო პერიოდში სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ყველაზე მაღალი იყო თბილისში, ხოლო ყველაზე დაბალი სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურაში.

საქართველოში 2009 წელს 10.000 კაცზე გამოთვლით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების საშუალოდ 0,3 დანაშაული აღირიცხებოდა, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების შემთხვევაში კი – საშუალოდ 13 დანაშაული. ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების მაჩვენებელი 2008 წელს ყველაზე მაღალი იყო დეკემბერში (29), ხოლო ყველაზე დაბალი – იანვარში (9). 2009 წელს ყველაზე მაღალი იყო ოქტომბერსა და ნოემბერში (18 დანაშაული), ხოლო ყველაზე დაბალი – მაისში (6). [34]

აღნიშნული კლების ფაქტები ქმნიან ილუზიას, რომ მკვლელობები არ წარმოადგენენ საზოგადოებისათვის სერიოზულ პრობლემას, რომ არსებობენ ნარკობიზნესის, კორუფციის, ტრანსნაციონალური და სხვა სახის რთული წარმონაქმნები, რომლებიც ითხოვენ უფრო აქტიურ ჩარევას. მკვლელობების კლების ფაქტებით პრევენციის მიზანდასახულობით შემოფარგვლა მცდარია, რადგან გაუთვალისწინებელი რჩება მთელი რიგი კანონზომიერებანი.

უპირველეს ყოვლისა ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მკვლელობების კლებადობა – მაჩვენებელია, რომელიც გათვლილია ქვეყნის დანაშაულობის ზრდასთან შედარებით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მკვლელობა მცირდება

სხვა დანაშაულთან შედარებით, მაგრამ სამართალდამცავი ორგანოებისათვის მისი რეალური განვითარება შედარების გარეშე გაუგებარია.

ამის გარდა მკვლელობების ასახვა კლების დინამიკის ჭრილში შეუსაბამობაში მოდის მოსახლეობის აგრესიულობის გამომწვევ ფაქტორების განვითარებასთან. ამ შეუსაბამობის იგნორირება ხელს უწყობს ბუნდოვან და დაქსაქსულ რეკომენდაციების უხვად მომრავლებას. მათი ალოგიზმი მდგომარეობს იმაში, რომ მკვლელობების კლებადობის ფაქტით დაკმაყოფილებამ, უნებლიედ, გვერდი უნდა აუაროს ისეთ სოცალურ მოვლენებს, როგორიცაა ეკონომიკის დონის დაცემა, უმუშევართა ზრდა, ოჯახური კონფლიქტების გახშირება, არაფორმალური ურთიერთობების დეგრადაცია და ა.შ. მეორეს მხრივ ამ მოვლენების გათვალისწინება ლოგიკურად ეჭვის ქვეშ აყენებს მკვლელობების კლებადობის ფაქტს.

საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები გვიბიძგებენ იმ აზრამდე, რომ მკვლელობების შემცირების მიღმა იმალება მთელი რიგი კანონზომიერება, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს. ამ ფარული კანონზომიერებათა არსებობაზე მინიშნებას აკეთებს ზოგიერთი სტაბილური მაჩვენებელი, რომელიც მარტო მეცნიერული გზით შეიძლება იყოს დადგენილი. მათ მიეკუთვნება შემდეგი ფაქტები:

108-ე და 109-ე მუხლებით მსჯავრდებულთა შორის შეფარდება უდრის თითქმის 1:1 და ამრიგად ავლენს სტაბილურ ტენდენციას და არ იცვლება. (იხ. სქემა 4.)

- 2001-2004 და 2005-2008 წლების მიხედვით მკვლელობებისათვის მსჯავრდებულ პირთა ხვედრითი წილი საერთოდ მსჯავრდებულთა შორის, აგრეთვე, ავლენს კანონზომიერების სტაბილურობას: მკვლელობებისათვის მსჯავრდებულ პირთა ხვედრითი წილი მსჯავრდებულ პირთა საერთო რაოდენობაში არ იცვლება და უდრის დაახლოებით 2%-ს. (იხ. სქემა 5, სქემა 6.)

- 8 წლის განმავლობაში ე.წ. არარეალიზებული მკვლელობებისა (ე.ი. მცდელობებისა) და მკვლელობების შეფარდება მყარია და არ იცვლება, რაც იმას

ნიშნავს, რომ საზოგადოებაში დაბუდებული სიცოცხლის მოსპობის განწყობა მოსახლეობის ნაწილში უცვლელია (იხ. სქემა 5, სქემა 6).

- მკვლელობისათვის მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა ერთ მკვლელობაზე სტაბილურია, ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მკვლელობების ფაქტორები სტაბილურად ინარჩუნებენ თავიანთ აქტივობას და ამიტომ მკვლელობების გამომწვევ ფაქტორთა ინტენსივობა საქართველოში არ იცვლება (იხ. სქემა 6).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მკვლელობების რაოდენობრივი პარამეტრების შემცირება ვერ ასახავს ამ მოვლენის სტრუქტურულ თვისებებს და ზოგადად ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ სიტუაციას. თუ მოვიშველიებთ ანალოგიას მედიცინიდან, შეიძლება ითქვას, რომ სიცხის დაწევა არაა საკმარისი ორგანიზმში კიბოს მეტასტაზების გავრცელების დასადგენად, რადგან კლინიკური სიტუაციის მოჩვენებითი გაუმჯობესება ხშირად შეიძლება სიკვდილის დადგომის სიმპტომი იყოს.

პრობლემურია სამხარეო დანაშაულობის ასახვის საკითხიც. პროკურატურის მაჩვენებლებით განზრახ მკვლელობა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობა შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისი – 21% (42%), დასავლეთ საქართველო – 16 % (17%), კახეთი -10% (4%), შიდა ქართლი – 8% (8%), ქვემო ქართლი – 5% (8%), სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4% (4%), აჭარა -3% (4%), სამცხე-ჯავახეთი – 3% (4%).

ქართველი კრიმონოლოგები კი სულ სხვა სურათს აფიქსირებენ. გ. ჯანაშიას აზრით, თუ საზომად ერთ პროცენტს ავიღებთ, მაშინ მხარეები, რომლებიც საწყის საზომს აღემატება ამ მაჩვენებლების მიხედვით შეგვიძლია დავაჯგუფოთ,. მაგალითად, თუ 7 დანაშაულიდან 6 აღემატება 1%-ს, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძალადობითი დანაშაულობის 86 % აღემატება მიღებულ საზომს. ამ პრინციპით დაყოფილი მხარეები გვაძლევენ შემდეგ სურათს: 86 %-თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი; 57 % -გურია, შიდა ქართლი; 43 % -აჭარა-სამეგრელო, იმერეთი, სამხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი. აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ ძალადობითი დანაშაულობა ყველაზე

მეტად აკუმულირებულია თბილისში, კახეთში და მცხეთა-მთიანეთში. სხვა მხარეებთან შედარებით აქ ე.წ. ძალადობის ინდექსი მეტად მაღალია.

მხარეთა შორის ძალადობითი დანაშაულობის კოეფიციენტი ნაწილდება შემდეგნაირად:

ხულიგნობა (3,39%): კახეთი – 37,64; თბილისი – 7,78; სამცხე-ჯავახეთი – 7,66; მცხეთა-მთიანეთი – 7,58; შიდა ქართლი – 5,36; ქვემო ქართლი – 5,21; იმერეთი – 5,02; რაჭა-ლეჩხუმი – 4,56; სამეგრელო – 4,01; აჭარა – 3,23; გურია – 2,97.

განზრახ მკვლელობა (1,99%): კახეთი – 39,64; მცხეთა-მთიანეთი – 4,82; შიდა ქართლი – 4,08; თბილისი – 3,37; იმერეთი – 2,46; რაჭა-ლეჩხუმი – 2,28; აჭარა 2,15; გურია – 2,9; სამეგრელო – 2,5; ქვემო ქართლი – 2,01; სამცხე-ჯავახეთი – 1,62.

სხეულის დაზიანება (1,80%): კახეთი – 35,41; მცხეთა-მთიანეთი – 5,81; შიდა ქართლი – 4,27; გურია – 3,91; რაჭა-ლეჩხუმი – 3,68; აჭარა – 3,11; თბილისი – 3,03; ქვემო ქართლი – 2,68; სამეგრელო – 2,67; იმერეთი – 2,34; სამცხე-ჯავახეთი – 1,75.

მკვლელობის მცდელობა (0,98%): კახეთი – 19,15; რაჭა-ლეჩხუმი – 3,68; თბილისი – 3,34; შიდა ქართლი – 2,67; მცხეთა-მთიანეთი – 1,63; გურია – 1,61; სამეგრელო – 1,31; ქვემო ქართლი – 1,19; იმერეთი – 1,15; სამცხე-ჯავახეთი – 0,83; აჭარა – 0,32.

ადამიანის გატაცება (0,32%): კახეთი – 9,57; რაჭა-ლეჩხუმი – 1,23; შიდა ქართლი – 0,67; თბილისი – 0,55; ; ქვემო ქართლი – 0,46; იმერეთი – 0,43; სამცხე-ჯავახეთი – 0,42; გურია – 0,31; მცხეთა-მთიანეთი – 0,21; აჭარა – 0,15; სამეგრელო – 0,6.

გაუპატიურება (0,29%): კახეთი – 8,46; მცხეთა-მთიანეთი – 1,91; შიდა ქართლი – 0,75; თბილისი – 0,74; გურია – 0,74; ქვემო ქართლი – 0,73; სამეგრელო – 0,62; აჭარა – 0,44; იმერეთი – 0,53; სამცხე-ჯავახეთი – 0,5; რაჭა-ლეჩხუმი – 0.

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ყველაზე კრიმინოგენურ რეგიონს კახეთი წარმოადგენს. ძალადობითი დანაშაულობის ყველა სახე სხვა რეგიონებთან შედარებით განსაკუთრებით კახეთში ჭარბობს. ამასთან ერთად ფიქსირდება კიდევ ერთი ტენდენცია, კერძოდ, მინიმალური მაჩვენებელს გურიაში გვაძლევს ხულიგნობა; სამცხე-ჯავახეთში – განზრახ მკვლელობა და სხეულის დაზიანება; აჭარაში – მკვლელობის მცდელობა; სამეგრელოში – ადამიანის გატაცება; რაჭა-ლეჩხუმში – გაუპატიურება.

აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ასევე ქართველი კრიმინოლოგების მიერ ოჯახური კონფლიქტების შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობის რეგიონალური დახასიათება. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია ნ. გაბრიჩიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქალაქსა და სოფელში არსებული რეგიონალური ფაქტორები განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენენ ძალადობით დანაშაულობაზე, რომელიც ჩადენილია საოჯახო კონფლიქტების შედეგად [5, 46]. როგორც ავტორი მართებულად აღნიშნავს, გლობალური სოციალური კანონზომიერება განაპირობებს განსაკუთრებული ფაქტორების ტიპს – ცხოვრების წესსა და დონეს, ეკონომიკურ და სოციალურ დეტერმინებს და სხვა. სოფელი და ქალაქი ჯერ კიდევ ნამდვილად განსხვავდება სოციალურად და კულტურულად, რაც ახასიათებს ადამიანთა ქცევის თავისებურებებსაც და ცხადია, რომ ესეც განაპირობებს ძალადობას ოჯახურ ურთიერთობებში და მათ შედეგად ჩადენილ ძალადობით დანაშაულებს.

ქალაქისა და სოფლის განსხვავება გავლენას ახდენს ამ სახის დანაშაულის ჩამდენ პირთა ქცევაზე. ყალიბდება უფრო ტიპური ფორმები. ამასთანავე, აღნიშნავს ნ. გაბრიჩიძე, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის ასახავს იმ რთულ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს ჩვენს ცხოვრებაში. ისინი აირეკლებიან ადამიანთა ცხოვრების პირობებსა და ფსიქიკაზე და ერთობლიობაში გავლენას ახდენენ რეგიონალურ სხვაობებზეც.

საოჯახო კონფლიქტის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობის და მკვლელობის მცდელობათა რეგიონალური განაწილება შემდეგ სურათს იძლევა: 112 (55,7%) განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა ჩადენილია სოფელში, ხოლო 89 (44,2%) – ქალაქში, ასე მაგალითად:

2000 წელს მომხდარი 39 განზრახ მკვლელობიდან 20 ჩადენილია სოფელში, ხოლო 19 ქალაქში; 2001 წელში მომხდარი 55 მკვლელობიდან 37 ჩადენილია სოფელში, 18 – ქალაქში; 2002 წელს ჩადენილი 56 მკვლელობიდან სოფელში ჩადენილია 30 განზრახ მკვლელობა, ქალაქში – 26. ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა მკვლელობის მცდელობებთან მიმართებით: 2000 წელს ჩადენილი 13 მკვლელობის მცდელობიდან 7 ჩადენილია ქალაქში, ხოლო 6 – სოფელში, 2001 წელს მომხდარი 14 მკვლელობის მცდელობიდან 9 ჩადენილია ქალაქში, ხოლო 5 – სოფელში; 2002 წელს 24 განზრახ მკვლელობის მცდელობიდან 10 ჩადენილია ქალაქში, ხოლო 14 – სოფელში; ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საოჯახო-სამეზობლო კონფლიქტური სიტუაციის მოუგვარებლობის შედეგად ჩადენილი განზრახ მკვლელობები და მკვლელობის მცდელობები საქართველოს ყველა რეგიონშია გავრცელებული. ამ დანაშაულთა მატების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიგვაჩნია, ასევე, ის, რომ უმეტესი ნაწილი ზემოაღნიშნული დანაშულებისა ჩადენილია არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირების მიერ, დამნაშავეთა უმრავლესობა (96%) უმუშევარი იყო. [5, 47]

1997-2002 წლებში ძალადობითი დანაშაულობის კოეფიციენტის კლების მიხედვით (10 000 მოსახლეზე) რეგიონები ნაწილდება შემდეგნაირად: კახეთი (149); მცხეთა-მთიანეთი (22); თბილისი (18); შიდა ქართლი (17); რაჭა-ლეჩხუმი (15); გურია, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი(12); იმერეთი და სამეგრელო (11); აჭარა (9).

# IV თავი

# მკვლელობის დეტერმინაციის თავისებურება

## §1 მკვლელობების ზოგად-სოციალური დეტერმინანტები

დანაშაულობის სტრუქტურაში მკვლელობები გამოიყოფა მთელი რიგი თვისებებით. მათ შორის არსებითი ადგილი უკავია მკვლელობების საერთო ხასიათის დეტერმინაციის ფაქტორებს. მათ მიეკუთვნება: ა) მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია, ბ) ცხოვრების წესი და გ) ძალადობის სუბკულტურა. განვიხილოთ აღნიშნული ფაქტორები.

სოციალური დიფერენციაციის ფაქტორები არსებით ზეგავლენას ახდენენ ძალადობის სუბკულტურის გავრცელებაზე. როგორც ცნობილია საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლა უაღრესად რთულ პირობებში მიმდინარეობს. არსებულ მდგომარეობაში განსაკუთრებით მწვავეა დასაქმების კრიზისი. მასში აისახება საზოგადოების უარყოფითი სოციალური და ეკონომიკური შედეგები: უმუშევრობა, დასაქმების ეპიზოდურობა, ეკონომიკური ზრდის შეჩერება, ხელფასის დაცემა საარსებო მინიმუმის ქვევით და ა.შ. დღევანდელ მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში მასობრივი უმუშევრობის ფონზე შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება უფრო მწვავდება [156, 47-48]. უპირველეს ყოვლისა ამ უარყოფით პროცესს ხელს უწყობს სახელმწიფო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკის შესაძლებლობების ამოწურვა და კერძო საკუთრების განუვითარებლობა.

90-იანი წლების მიწურულს ქვეყნის წარმოებათა 65% აჩერებს მუშაობას, რის შედეგად სამუშაო ადგილების რაოდენობა თითქმის 1400-ით შემცირდა. ამის საფუძველზე 1500-ი მუშახელი მოწყდა მათ ძირითად საქმიანობას და შრომისუნარიანი მოსახლეობის მოძრაობის ოთხი ნაკადი წარმოიშვა: თვითდასაქმებულები, შრომითი მიგრანტები, ფარული ეკონომიკით დასაქმებულები და დაუსაქმებელნი [156, 48]. სოციალური დიფერენციაციაციის შედეგად წარმოიშობა ის სოციალური ფენა, რომელიც ხდება ძალადობის

სუბკულტურის გავრცელების ხელსაყრელი ნიადაგი. უპირველეს ყოვლისა მას მიეკუთვნება ის ვინც წარსულში მანქანურ-ხელით სამუშაოს ეწეოდა: მათი ხვედრითი წილი უახლოვდება 41%-ს ხოლო მანქანურ სამუშაოებით დაკავებულ პირთა რიცხვი – 36%-ს [156, 48]. დასაქმებულთა პროფესიული შემადგენლობაც იცვლება არასახარბიელოდ. დასაქმებულებიდან ნახევარზე მეტი მუშაობს არასპეციალობით, დასაქმებულია დროებით სამუშაოზე, ეწევა წვრილმან ვაჭრობას, მუშაობს ჩრდილოვან ეკონომიკაში და ა.შ. [156, 49], ე.ი. ჩაბმულია არამყარ, დაძაბულ ურთირთობაში.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სოფლად, სადაც მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი უსახსრობის გამო ვერ იძენს მოვლა-მოყვანისათვის საჭირო ნივთიერებებს, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ მოსავლიანობაზე და აქედან გამომდინარე მათ ცხოვრების დონეზე. საკუთრებაში მიღებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწებიდან თითქმის 40 ათასი ჰექტარი გაჭივრებით გამწარებული გლეხის მიერ სახელმწიფოს უკან უბრუნდება. მთლიანი შემოსავალი ვერ ფარავს ოჯახის ხარჯებს. ქალაქად დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავალი თითქმის სამჯერ და უფრო მეტადაც აღემატება საშუალოდ შესაბამის სოფლის შემოსავალს. ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნება თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების მხრიდანაც. [148, 39-40]

ძალადობის სუბკულტურის გავრცელებას, აგრეთვე, ხელი შეუწყო საფინანსო-საბანკო სისტემაში არსებულმა მდგომარეობამ. 90-იან წლებში საფინანსო მახინაციების გავრცელების შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაღარიბდა და იძულებული გახდა გაეყიდა ბინა, აეღო ვალი და ა.შ. [91. 66] ამასთან ერთად ინფლაციურმა პროცესებმა გააუფასურეს შენატანები შემნახველ სალაროებში და ამით გაზარდეს სიღარიბის დონე. [156, 48][161, 5]

მთლიანობაში სოციალურ-ეკონომიკურ წინააღმდეგობათა გამწვავების შედეგად მოსახლეობის 75% რჩება საარსებო წყაროს გარეშე, მნიშვნელოვნად მცირდება საარსებო მინიმუმი. ამასთან ერთად წარმოიშობა მდიდართა ფენა (5%), რომელთა შემოსავალი მკვეთრად აღემატება უმრავლესობის შემოსავალს.

სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგად იცვლება მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა. ამ ცვალებადობის ამსახველი მოვლენებია:

ა) ლტოლვილთა იძულებითი გადაადგილება, ბ) ქვეყნის დატოვება და გ) შიდა მიგრაციული გადაადგილება.

აფხაზეთის და სამაჩაბლოს ოკუპაციის და სეპარატისტული რეჟიმების დამყარების შედეგად ამ რეგიონებიდან იძულებით განდევნილია მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობა. მარტო აფხაზეთის 300 ათასზე მეტი მკვიდრი ქართველი და სხვა ეროვნების მაცხოვრებელი განდევნილ იქნა მშობლიურ მიწიდან, ათასობით მშვიდობიანი მოსახლე სადისტურად აწამეს და 50 ათასზე მეტი პირი ფიზიკურად მოსპეს [30, 268]. სეპარატისტების მიერ დაქირავებული შეიარაღებული ძალების გამოყენებით და გარე ძალების ჩარევით რეგიონში განხორციელდა ეთნიკური წმენდა, რის შედეგადაც ქართული მოსახლეობა, რომელიც შეადგენდა მოსახლეობის 64 %- ს ძალით იქნა დეპორტირებული ავტონომიის საზღვრებს გარეთ [21, 259]. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სეპარატიზმის მიერ დამკვიდრებული ძალადობის სუბკულტურა მოქმედებს მოსახლეობის ცხოვრებაზე რამოდენიმე გზით. ჯერ ერთი ის იწყებს განვითარებას ძალადობის ყველაზე საშიში ფორმების მეშვეობით. კრიმინალურ დაჯგუფებებზე, ტერორისტულ და რადიკალურ-რელიგიურ ორგანიზაციებზე დაყრდნობით რეჟიმი სიცოცხლის მოსპობის აუცილებლობას ნიღბავს ე.წ. სახელმწიფო სტრუქტურების და მიღებული ნორმების მეშვეობით. სეპარატისტული რეჟიმის მიერ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება სინამდვილეში წარმოადგენს მკვლელობას. იარაღის უკანონო ვაჭრობა, ნარკობიზნესი, ტრეფიკინგი ასევე ხელს უწყობს მასობრივ ფსიქოლოგიაში ძალადობის დამკვირებას, რადგან ავითარებს მოთხოვნილებას ძალადობაზე.

გენოციდის პოლიტიკით დევნილი მოსახლეობა იძულებულია თავი შეაფაროს ქვეყნის სხვადასხვა რეგონებს. ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსხვავებით ლტოლვილები უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მძიმე საბინაო პირობები, შიმშილი, მწირი სახელმწიფო დახმარება და სხვა ნეგატური სოციალური პირობები უფრო ამწვავებს ლტოლვილთა მდგომარეობას. მათ

ცნობიერებაში ფეხს იკიდებს უიმედობა, პიროვნება ხდება უფრო აგრესიული, ნერვოტიპური, კონფლიქტური. ლტოლვილთა ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს დაბალი პენსიები, სამედიცინო და სხვა სოციალური დახმარების არარსებობა. გადატანილი ტრაგედია და მძიმე სოციალური პირობები მათ სოციალური ცხოვრების "რისკის ზონაში" ათავსებს.

მძიმე საცხოვრებელი პირობები, რომელიც შექმნილია საქართველოში, აიძულებს ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობას დატოვოს საცხოვრებელი ადგილები და სხვაგან გადასახლდეს. ეს პროცესი ჩვენს ქვეყანაში 1990 წელს დაიწყო, როდესაც უარყოფითმა სალდომ 15,7 ათასი კაცი შეადგინა. შემდგომ წლებში (1990 – 2000) საქართველო დატოვა 1200 ათასზე მეტმა ადამიანმა. რაც შეეხება 2001 წელს, ამ დროისათვის უარყოფითი მიგრაციული სალდო 1287 ადამიანს უდრიდა [156, 29]. ემიგრანტთა ნაწილი უცხო ქვეყანაში არსებული სუბკულტურის ნორმებს ეგუება, "წევრიანდება" კრიმინალურ დაჯგუფებაში და ცდილობს ყაჩაღობით, ძარცვით ან მკვლელობით გამდიდრდეს. ხშირდება მათ მიერ მიტოვებულ ოჯახთა რაოდენობა. ე.წ. "ქურდულ" კანონებს ამოფარებული კრიმინალი-ემიგრანტები მონაწილეობენ ბანდიტურ გარჩევებში, რაც ხშირად თავდება მოწინააღმდეგის მკვლელობით, მოწმეთა მოშორებით და ა.შ. მარტო ევროპის ქვეყნებში ათასზე მეტი საქართველოდან ემიგრირებული პირი იხდის სასჯელს.

ძალადობის სუბკულტურის ნორმების ათვისებას, გარკვეულად, ხელს უწყობს ემიგრაციაში ქვეყნის მოსახლეობის ნაწილის ყოფნა. ის ხდება, როგორც კანონიერი, ასევე, კრიმინალური ექსპლუატაციის ობიექტი. სექსუალურ სფეროში კანონით დაშვებული ბიზნესი (სტრიპტიზბარში, სექსსახლებში და ა.შ.) მსხვერპლს სხვადასხვა საშუალებით აიძულებს შეასრულოს ასეთი სამუშაო ან აწარმოოს ამგვარი მომსახურება. საყოფაცხოვრებო, საწარმოო ან სხვა სფეროში დასაქმებული ემიგრანტი, როგორც წესი, იღებს ძალზე დაბალ ხელფასს. ადგილობრივი მოსახლეობის შრომის პირობებთან შედარებით მისი მუშაობის პირობები ძალზე მძიმეა. განსაკუთრებულ კრიტიკულ მდგომარეობაშია იმ ემიგრანტთა ნაწილი, რომელიც საქმიანობს არაკანონიერ ბიზნესში.

ფაქტიურად ისინი მონის მდგომარეობაში არიან, რომელმაც უნდა ითმინოს შიში, დაცინვა, შეეგუოს აზრს, რადგან მის პატრონს უფლება აქვს უსაზღვროდ განკარგოს მისი სიცოცხლე [78].

ემიგრაციის პირობებში ძალადობის მსხვერპლად ხშირად გვევლინება ქალი. ასეთი სიტუაცია მას შეიძლება შეექმნას მაშინ, როდესაც ის ცდილობს ემიგრაციაში ოჯახის შექმნას. როგორც წესი, უცხო ქვეყანაში ქალი ხვდება სოციალურ იზოლაციაში. ის იძულებულია ითმინოს ცემა, დაცინვა, შეურაცხყოფა, რადგან ქმარს შეუძლია დეპორტირებითაც დაემუქროს უცხოელ ცოლს, ვინაიდან, როგორც წესი, მოქალაქეობის მიცემა ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების რამდენიმე წლის შემდეგ ხდება. ფიქტიურ ქორწინებაში ყოფნისას ქალი შეიძლება გახდეს სექსინდუსტრიის მსხვერპლი. ქორწინების საფარველის ქვეშ ექსპლუატაციისათვის გადაყვანილი ქალი, ამგვარად შეიძლება მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდეს "ქმარზე", რომელიც რეალურად შეიძლება კლუბის მფლობელი ან სუტენიორი იყოს [21, 322].

აღნიშნულ პროცესებთან ერთად თავს იჩენს, აგრეთვე, მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის შიგნით, რაც აუარესებს მის სქესობრივ, ასაკობრივ, პროფესიულ შემადგენლობას და ა.შ. ამ პროცესის შედეგად 2000 წლისათვის ქალაქის მოსახლეობა იზრდება 60 %-მდე. სწავლის, სამუშაოს და საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო ქალაქში გადახვეწილი მოსახლეობის ახალგაზრდა ნაწილი წყვეტს კავშირს ოჯახთან, ახლობლებთან და მეგობრებთან, ახალ გარემოში კი ითვისებს უარყოფით ზნე-ჩვეულებებს. ქართველი კრიმინოლოგების მიერ დადგენილია, რომ ბევრი ახალგაზრდა რაიონიდან ჩამოდის სწავლის, მუშაობის თუ სხვა მიზნით, ქალაქში კი მაღალია დანაშაულობის ხვედრითი წილი, ამიტომაც ხშირ შემთხვევაში, სწორედ ქალაქში ხდება სუბკულტურული ფასეულობების ჩამოყალიბება. დღეს მიგრაცია უკვე ერთხმად არის აღიარებული დანაშაულობის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად. [149, 108]

აღნიშნულიდან გამომდინარე სოფლიდან ქალაქში მიგრირებული მოსახლეობა ურთულესი პრობლემების წინაშე დგას. ქალაქში ყალიბდება ისეთი სახის

სუბკულტურა, რომელიც მოიცავს ქალაქის და სოფლის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ნორმათა წინააღმდეგობას, შეუთავსებლობას და ა.შ.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა განსაკუთრებით ვლინდება ოჯახზე უარყოფითი ზეგავლენის სახით. ურბანიზაციის რთული პროცესების გამო მკვეთრად იზრდება მობილურობა, სუსტდება ნათესაური, შიდაოჯახური კავშირები. ისინი მეორეხარისხოვანნი ხდება [136]. მკვეთრად მცირდება დროის ის მონაკვეთი, რომელსაც მეუღლეები ბაშვებთან ერთად ატარებენ. ადამიანები საზოგადოებაში მოქმედებენ, როგორც ოჯახს მოწყვეტილი ინდივიდები და არა როგორც ოჯახის წევრები, რაც ხელს უშლის ოჯახის კონსოლიდაციასა და ქორწინების განმტკიცებას. ურბანიზაციის ზეგავლენის შედეგად ოჯახი კარგავს თავის უმნიშვნელო ფუნქციას, ის ხდება ნაკლებად სოლიდარული სოციალური ჯგუფი [142, 92].

ამრიგად, ქვეყანაში არსებული ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები რთული პროცესის სახით კრიმინოგენულ როლს ასრულებენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია, რომლის ერთ-ერთ გამოვლენას გაუცხოებულ პირთა ფენის არსებობა წარმოადგენს. ამ ფენაში ძალადობის სუბკულტურის გავრცელება განპირობებულია უმუშევრობით, მოსახლეობის დიდი ნაწილის გენოციდით, შიდა რეგიონალური მიგრაციით და სხვა ფაქტორებით, რომლებიც ცვლიან ინდივიდთა ცხოვრების წესს და აქედან – ზრდიან გაუცხოებას, გაბოროტებას, ხელს უწყობენ ძალადობის სუბკულტურის არსებობას. აქედან გამომდინარე ეკონომიკური ფაქტორები ცხოვრების წესის შეცვლასთან და სუბკულტურის წარმოშობასთან ერთად იწყებენ მკვლელობათა განპირობებას. აღსანიშნავია, რომ თეორიულად ცხოვრების წესის კრიმინოგენური როლისადმი ასეთი მიდგომა სამართლიანად არის გაზიარებული ი. გოძიაშვილის მიერ [11, 92].

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, მოქმედებენ ცხოვრების წესის ამსახველი ფაქტორები. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ხელს უწყობენ არსებული სოციალური ურთიერთობების დაშლას. ქუჩაში "განდევნილი" ქალაქის მოსახლეობის

მნიშვნელოვანი ნაწილი თავს ირჩენს სახლიდან გამოტანილი ნივთების, ბინების გაყიდვით და სხვა ხერხებით. როგორც წესი, თავის გადარჩენის მიზნით მოსახლეობის ნაწილი იძულებულია ლეგალურად მიმართოს წვრილმან ვაჭრობას, არაკვალიფიციურ შრომას ან მათხოვრობას.

ამ ახალ სოციალურ პირობებში ინდივიდი კარგავს ძველ კავშირებს და ერთვება მისთვის უჩვეულო, ახალ ურთიერთობებში. განსაკუთრებით იცვლება სოფლიდან ქალაქში მიგრირებული მოსახლეობის ქცევა. ქალაქში ახალგაზრდები ლეგალური ხერხების უგულვებელყოფის გზით ცდილობენ ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევას. ქალაქში არსებულ არაფორმალურ ურთიერთობებში მიგრანტები იძინენ კანონის, მეგობრობის, დროის გატარების, შემოსავლის მიღებისა და სხვა ფასეულობების კრიმინოტიპური ან დევიანტური "გამართლების" სტანდარტებს. [214, 46]

ქვეყნაში არსებულ პირობებში "რისკის" ზონაშია მოსახლეობის მამაკაცთა უმრავლესობა. ეკონომიკის განუვითარებლობის შრომის ბაზარზე მასზე მოთხოვნილება არაა. სოციალური დიფერენციაციის შედეგად წარმოიშობა ეკონომიკური ველი, სადაც ფეხს იკიდებს დაბალი ფენის შრომისუნარიანობა, რაც "განსაკუთრებული სიცხადით დიდ ქალაქებში ჩანს. დაბალი ფენების მიერ შესრულებულ სამუშაოს არავითარი შემოქმედებითი ინტერესი არ გააჩნია, მონოტონურია და უხალისო. ასეთ შრომას არ შეუძლია ადამიანისთვის კმაყოფილების მინიჭება. უაზრო ცხოვრება, სიცოცხლის საზრისს მოკლებული პირი ფაქტობრივად იმყოფება ფრუსტრაციის მდგომარეობაში. ამგვარი მდგომარეობა განაპირობებს ცხოვრებისაგან გაქცევას ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიის სახით [11, 92]. სისასტიკე და გაბოროტება ნელ-ნელა იწყებს დამკვიდრებას მათ პიროვნულ თვისებებში.

მატერიალური პირობების გაუარესება განსკუთრებით მწვავედ შეეხო ქალებს, რომელთა ხვედრითი წილი მოსახლეობაში 75%-ს სცდება [145, 29]. ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ზემოაღნიშნულმა პროცესებმა უარყოფითი ასახვა ჰპოვა ოჯახში ქალის სოციალურ სტატუსისადმი, შობადობაში და ა.შ. მარტო 90-იანი წლების ბოლოს ერთავშვილიანი ოჯახების რაოდენობა 3,7 პროცენტული

პუნქტით გაიზარდა და 36% შეადგინა, ხოლო 3 და მეტი ბავშვიანი ოჯახების პროცენტული წილი იმავე პერიოდში 31,7- დან 22%- მდე შემცირდა. ამავე პერიოდში 16,5%- დან 17,8%- მდე გაიზარდა არასრული ოჯახების წილი, რომლებიც შედგება განქორწინებული დედის (მამის) და შვილებისაგან, აგრეთვე ქვრივებისაგან. მკვეთრი ცვლილებები განიცადა ბავშვთა შობადობამ. თუ ქალი 1989 წელს მარტივი აღწარმოების ზღვარზე იმყოფებოდა და 2,136-ს შეადგენდა, 90-იანი წლების ბოლოს აღნიშნულმა კოეფიციენტმა 1, 692 შეადგინა [3, 216]. 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით ახალშობილთა რიცხვი საქართველოში უდრის 8,9 ბავშვს, ხოლო გარდაცვლილთა – 9,1- ს. აღნიშნულის გამო ჩვენთან მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნაცვლად 2000 წელს პირველად დაფიქსირდა მისი კლება და ეს მაჩვენებელი – 0,2 პროცენტს შეადგენდა [145, 29].

საარსებო წყაროს მოკლებულ ქალთა ნაწილი მიმართავს პროსტიტუციას. ქალთა გაუცხოებული ფენა არსებობის წყაროდ, აგრეთვე, ირჩევს ნარკოტიკებით ვაჭრობას, ქურდობას, თაღლითობას, მაწანწალობას და სოციალური პათოლოგიის სხვა გზებს. არჩეული ცხოვრების წესის გამო ისინი ხშირად ხდებიან ძალადობის, საეჭვო, კრიმინალური კავშირების ზეწოლის ობიექტი, რაც თავის მხრივ წარმოშობს მათში აგრესიულ, გაბოროტებულ დამოკიდებულებას ხალხის მიმართ. უკიდურესად გაჭირვებული ზოგიერთი ქალი ქუჩაში ახალშობილ ბავშს ტოვებს, მიმართავს ბავშვის გაყიდვას, მცირეწლოვანს უბიძგებს პროსტიტუციასა და მაწანწალობისკენ.

ამრიგად ცხოვრების წესის არსებითი ცვლილება წარმოადგენს იმ პროცესს, რომელიც საზოგადოებაში არსებულ ძალადობის ნორმებს გარდაქმნის ყველა სიტუაციაზე ინდივიდისათვის მისაღებ რეაქციაში. აღნიშნული კანონზომიერება ფიქსირდება, აგრეთვე, საზღვარგარეთელ მეცნიერთა მიერ. [181, 262-285]

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ცხოვრების წესის ცვლილების სიმპტომს წარმოადგენს მოსახლეობის უმრავლესობის გადასვლა იმ პირთა კატეგორიაში, რომელიც მუდმივი არსებობის წყაროს მოკლებულია. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებულია მიმართოს არსებობის ნებისმიერ გზას. ამიტომ ობიექტურად მათი ცნობიერება ორიენტირებულია დევიანტის

ცხოვრების წესზე, სადაც კანონისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება - ნებისმიერი ნეგატიური ქცევის მოტივაციის არსებითი ფაქტორია.

მნიშვნელოვან უარყოფით ცვლილებას განიცდის ოჯახი. ოჯახური ურთიერთობების მერყეობის და განქორწინების ზრდა არსებითი უარყოფით ზეგავლენას ახდენს ოჯახის სოციალურ ფუნქციაზე. გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებით ზარალდება შთამომავლობის მოვლა-აღზრდის ფუნქცია. ამ მიმართულებით თავს იჩენს ისეთი კანონზომიერება, როგორიცაა: ა)მოუწყობელი, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახის პირდაპირი, უშუალო უარყოფითი ზეგავლენა არასრულწლოვანზე, ბ) ოჯახის ანტიპედაგოგიური პოზიცია, ოჯახის წევრთა შორის აღმზრდელობითი ზეგავლენის ჩვენების არარსებობა, გ) ობიექტური სიძნელეები რომლებიც ხელს უშლიან სრულყოფილ აღზრდას [142, 92]. ამ პროცესში ვლინდება ოჯახის კრიზისისა და მისი წევრების ცხოვრების წესის ნეგატიური ცვლილების კავშირი. [3]

არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობაზე, განსაკუთრებით არასრულწლოვანებზე. არასრულწლოვან დევიანტთა "რეზერვის" წყაროს ძირითადად წარმოადგენენ მათხოვრობაში, მაწანწალობასა და პროსტიტუციაში შემჩნეული პირები. ასეთი კატეგორიის მოზარდთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება რკინიგზის ვაგზლებში, ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებზე და ა.შ. არასრულწლოვანთა მასობრივი დაუსაქმებლობა და თავისუფალი დროის გამოყენების ორგანიზაციაში არსებული პრობლემები, ასევე, ასრულებენ ნეგატიურ როლს. დევიაციის გავრცელებას ხელს უწყობს მრავალი ბავშვის დარჩენა სკოლის გარეთ და სხვა ფაქტორები [44, 224-225]. მათი არსებობის პირობები მთლიანობაში ძალადობის განწყობას წარმოშობენ.

ძალადობის სუბკულტურა თავს იჩენს იმ რთული სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების პირობებში, სადაც ვითარდება ცხოვრების წესთა სოციალური დიფუზია და აქედან გამომდინარე - ქცევის ეტალონთა აღრევა და დაპირისპირება. მოსახლეობა ირთვება იმ ურთიერთობაში, რომელიც ადრე უცნობი იყო მისთვის. უმუშევრობა და უპერსპექტივობა სტიმულირებენ

მეგობართა, ნაცნობთა და შემთხვევით გაცნობილ პირთა წრეში არსებულ ურთიერთობათა სწრაფ ცვალებადობას. ძირითადად ეს ურთიერთობები ატარებენ სიტუაციურ ხასიათს. იმის გამო, რომ ინდივიდები ვერ აღწევენ მათთვის ხელსაყრელ მიზანს, ისინი ხშირად არღვევენ ძველ კავშირებს და იძენენ ახალს. ამ ურთიერთობებში "შემთხვევითობის" ფაქტორი ძალზე დიდია. ამიტომ ასეთ ურთიერთობაში ჩაბმული პირები ძალზე დაძაბული და ნერვიული არიან, ხოლო მათ ქცევაში ჩხუბი, "საქმის გარჩევა" და სხვა სახის სიტუაციური დაპირისპირება ბუნებრივია. აღნიშნულ სიტუაციაში, როგორც მართებულად მიუთითებენ კრიმინოლოგები, ინდივიდთა ცხოვრების წესი ძალადობის ნორმებს მისაღებ რეაქციაში გარდაქმნის. [193, 182]

აღნიშნული ნორმები ატარებენ განსხვავებულ ხასიათს. მაგრამ მიუხედავად ამისა მათ ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირები გარკვეულად ხასიათდებიან საერთო თვისებით - სოციალური საზრისის, პერსპექტივის არარსებობით. ამ პირთა წრეს ძირითადად წარმოშობენ ისინი ვინც ეწევიან არაკვალიფიციურ შრომას. მათთვის დამახასიათებელია დევიანტური ქცევა და ძალადობისაკენ მიდრეკილება. შემთხვევითი არაა, რომ, თუ 1970 წელს მუშათა შორის კრიმინალური აგრესიულობა (ძალადობითი დანაშაულობის სიხშირით) უდრიდა 13,8 %-ს, დღეისათვის ეს მაჩვენებელი უახლოვდება 30,5%-ს. [50][4, 60]

ამ პირთა კატეგორიას, აგრეთვე, მიეკუთვნება სოფლის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც უშუალოდ შეეხო ცხოვრების დონის დაცემა და ოჯახის კრიზისი. მათ ცხოვრებაში სულ უფრო ხშირად იჭრება ოჯახური კონფლიქტი, ძალადობა და ა.შ. [4, 79]. ამ დევიანტთა კატეგორიაში შედიან ის პირებიც, რომლებმაც ბავშვობაში მშობლების გაუმართლები აგრესიულობის, ოჯახური კონფლიქტის, უკიდურესი გაჭირვების გამო ძალადობითი ქცევის მოდელი შეიძინეს [44, 224-225]. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებულ კატეგორიის პირთა ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელია ისეთი დევიაცია, რომლისაგანაც ძალადობისაკენ მიდრეკილება აიგება.

ამ ფენაში კრიმინოლოგები გამოყოფენ მარგინალებს (მუქთახორებს, ალკოჰოლიკებს, ნარკომანებს, მეძავებს, პირებს კრიმინალური წარსულით და

სხვ.), რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობის განსაკუთრებულ კატეგორიას. ისინი ქმნიან არამდგრად სოციალურ გარემოს. მოსახლეობის ამ ნაწილს ახასიათებს დაბალი ინტელექტუალური განვითარება. რიგ შემთხვევაში მოქმედებს გენეტიკური ფაქტორიც; მათ არ შეუძლიათ ინტელექტუალურად და კულტურულად განვითარდნენ.

ზოგიერთ მათგანს, როგორც კრიმინოლოგები თვლიან, მათი ინტელექტის განუვითარებლობას ფსიქოფიზიოლოგიური ფაქტორებიც ხელს უწყობენ. მარგინალთა შორის ბევრია ისეთი, რომელმაც V-VII კლასებში სწავლა შეწყვიტა. ხშირია ოლიგოფრენიით დაავადებულთა (დებილთა, იმბეცილთა, იდიოტთა) შემთხვევა. მარგინალებისათვის ტიპიურია ნარკომანია, უწესრიგო სქესობრივი კავშირები, ინტიმური ცხოვრება ადრინდელ ასაკში, უწმაწური ლექსიკა, ვანდალიზმი, ხულიგნობა სადისტური გამოვლენით და ა.შ. ხშირად ქუჩაში, "მეგობრებში", ოჯახში ისინი მიმართავენ სიცოცხლის მოსპობას, როგორც ცხოვრების პრობლემის გადაწყვეტის ხერხს. მარგინალთა წრეში ტიპიურია ვენერიულ დაავადებათა გავრცელება, უკანონო აბორტის გაკეთება, გარყვნილება, ძალადობა, სისასტიკე, ცემა, წამება და ა.შ. [162, 41-42]

ამრიგად, ყველა შემთხვევაში მკვლელობა, როგორც სოციალური რეაქცია, შესაძლებელია ნებისმიერი სოციალური წარმოშობის პირთათვის, თუ საზოგადოებაში შეზღუდულია კანონიერი გზით წარმატების მიღწევის საშუალება, ხოლო ძალადობრივი ქცევის არჩეული სტანდარტი კი ხელს უწყობს წარმატების მიღწევას. ძალადობის სტანდარტს შეუძლია შეასრულოს ჯგუფის ჩამოყალიბების და გაერთიანების როლი, იმოქმედოს დანაშაულის ხერხის შერჩევაზე და სხვა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საბოლოოდ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია სხვადასხვა გზებით მჭიდროდ უკავშირდება მკვლელობათა ცვალებადობას. როგორც კრიმინოლოგები აღნიშნავენ, ეს "უნივერსალური" კავშირი განსაკუთრებით ტიპიურია ღარიბთა შორის როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ასევე განვითარებად ქვეყნებშიც. [125]

მკვლელობათა მნიშვნელოვანი დეტარმინანტია ძალადობის სუბკულტურა. მისი კვალი უნდა ვეძებოთ ადრე არსებული ღირებულებებისა და ზნეობრივი პრინციპების გადაფასების პროცესში, რომელსაც უბიძგებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაციის მკვეთრი ზრდა. მასობრივი ცნობიერება სულ უფრო აღიარებს "ფულის ძალას", მატერიალური ფაქტორის, როგორც ერთადერთი ღირებულების, მნიშვნელობას. საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრება გაუფასურებულია, თუ ის არაა გამყარებული მატერიალური ფაქტორით.

ყოველივე ეს პრაქტიკულად ყველა სოციალურ ჯგუფში ქმნის გარკვეულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, არამდგრადობის, დაუცველობის, სისასტიკისა და ყოვლად ნება დართულობის ატმოსფეროს. საზოგადოებაში სულ უფრო მეტად იშლება მორალურისა და ამორალურის ზღვარი. ხალხი ხშირად აწყდება სისასტიკეს, გულგრილობას, გამოძალვას, უკანონო გზით საქონლის შეძენას, კანონის და ზნეობის დარღვევებს. საზოგადოებაში ვითარდება სამართლებრივი ნიჰილიზმი. წარმოდგენა კანონის სისუსტის შესახებ გარკვეულად განაპირობებს სამართალდამცავ ორგანოებში მიმართვის უიმედობას და კომფლიქტური სიტუაციების დამოუკიდებლად გადაწყვეტის მოთხოვნილებას. ამასთან ერთად ძალადობის ნორმები მოსახლეობის ცნობიერებაში მკვიდრდება ტელეხედვიდან, კინოდან და პრესიდან (პორნოგრაფიული ჟურნალებიდან და ა.შ.). ამ გზით საზღვარგარეთ არსებული სუბკულტურა მკვიდრდება მოსახლეობის ცნობიერებაში. მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არაფორმალური ურთიერთობები, სადაც პირები ამართლებენ ძალადობას, როგორც ცხოვრების წესს, ასწავლიან ძალადობის სტანდარტებს და ა.შ. [58][60][98]

სოციალური კონფლიქტურობის გაძლიერება ხელს უწყობს ძალადობითი ქცევის დაშვებულობის, კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტის ოპტიმალური ხერხის შესახებ წარმოდგენათა განვითარებას. ამრიგად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია ვლინდება იმ სოციალურ ნორმათა მეშვეობით, რომლებიც ამართლებენ ძალადობას. ძალადობის სუბკულტურა (ამერიკელი კრიმინოლოგების ტერმინოლოგიის მიხედვით) [193, 79] აშუალედებს

სიტუაციური ფაქტორებისა და საზოგადოების საერთო პირობების კავშირს და მარტო ამ გზით თავს იჩენს სიცოცხლის მოსპობაში.

ძალადობის სუბკულტურის განვითარება ტიპიურია ყველა ყოფილი საბჭოური რესპუბლიკებისათვის [105], მაგრამ საქართველოსათვის ეს კანონზომიერება ხასიათდება გარკვეული თავისებურებით.

უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია მოსახლეობის შემცირების ფაქტორი. საქართველოდან გადახვეწილი მოსახლეობის ნაწილი უცხო ქვეყანაში ხვდება სხვა სოციალურ გარემოში არსებული ძალადობის სუბკულტურის უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ [21, 322]. გასაგებია, რომ უცხო ქვეყნის სუბკულტურა ხარისხობრივად განსხვავდება იმ სუბკულტურისაგან, რომელიც ვითარდება საქართველოში. მაგრამ მთლიანად მათ შორის არ არსებობს მკვეთრი ზღვარი. ნათესავებთან სატელეფონო ან წერილობით ურთიერთობაში შესაძლებელია ძალადობის სტანდარტის გამართლება. წარუმატებლობის შემთხვევაში ემიგრანტი ბრუნდება სამშობლოში და ფაქტიურად ხდება ძალადობის ნორმების მატარებელი. ყოფილი ემიგრანტი თავისი "გამოცდილების" საფუძველზე არა მარტო ავრცელებს უარყოფით ნავაციას, არამედ არაფორმალურ ურთიერთობებში სულიერი განცდის გარეშე ნებისმიერ ძალადობით სატნდარტს ითვისებს. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით მწვავედ ვითარდება იმ ემიგრანტ პირთა ცხოვრებაში, რომლებიც იმალებიან პოლიციისაგან ან იქ მოიხადეს სასჯელი.

აღსანიშნავია, რომ სუბკულტურის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინებიან სოციალური წინააღმდდეგობები, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქში სოფლის მოსახლეობის მიგრაციასთან. მართალია, "რისკის ზონაში" მყოფ ღარიბთა შორის შესაძლოა იმყოფებოდნენ ლტოლვილები, რომელთა აგრესიულობაზე მოქმედებენ მათი მატერიალური მდგომარეობა, კულტურათა კონფლიქტი, სოციალური დიფერენციაცია ლტოლვილთა შორის და ა.შ. უფრო მეტი მათი ნაწილის აგრესიულობამ შეიძლება მიაღწიოს გარკვეულ პიკს, როგორც ეს იყო 1986-1992 წლებში. [177, 111]

მაგრამ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ლტოლვილთა ძალადობრივი რეაქცია არა მარტო არ იზრდება, არამედ მცირდება. და ეს გასაგებია რადგან ცხოვრების

წესის შეცვლა ხდება ქვეყნის ერთი რეგონიდან სხვა რეგიონში გადაადგილების და არა ერთი კულტურიდან მეორე კულტურაში გადანაცვლების შედეგად, როგორც ეს ტიპიურია, მაგალითად, აშშ-ში ჩინელების, იტალიელების, კორეელებისათვის და ა.შ. ამიტომ ლტოლვილთა შორის ძალადობის სუბკულტურის გავრცელება აშშ-ში წარმოადგენს კულტურათა დაპირისპირების პრობლემას [189, 143], ხოლო საქართველოში – სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემას.

მოუწყობლობა, პერსპექტივის არარსებობა, სიღარიბე და ა.შ. წარმოადგენენ ძალადობის სუბკულტურის მატარებელი პირის ცხოვრების წესის სუბიექტურ და ობიექტურ ნიშნებს. ეს ცხოვრების წესი წარმოიშობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების მოსახლეობის ეთნო-კულტურული, სოციალურ - ფსიქოლოგიური ფაქტორების აღრევის და მათი წინააღმდეგობების შედეგად. კონფლიქტურობის სიტუაციაში წარმოიშობა დაძაბულობა ჯგუფთაშორის ურთიერთობებში, იმ ღირებულებათა მყარი სისტემა, რომლის მეშვეობით ინდივიდი მიმართავს ძალადობას როგორც ცხოვრებაში მიღწევის ხერხს. [189, 145]

ძალადობის სუბკულტურა – ერთგვარი კონტრკულტურაა, რომელიც მოქმედებს თავისი კანონზომიერებით. ამ მიმართულებით, როგორც ფოქსი აღნიშნავს, მკვლელობა ფორმირდება როგორც სუბკულტურული ფენომენი [189, 145]. ძალადობის სუბკულტურა ისეთი სოციალური გარემოა, რომელშიც ლეგალური სოციალური კონტროლი სუსტდება, ხოლო აგრესიის ალბათობა იზრდება. აღნიშნულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დავეთანხმოთ შურს, რომელიც თვლის, რომ დაბალი კლასის კულტურას ახასიათებს "ფოკალურო შეწუხების" მომენტები და წარმოშობენ მარტო გარკვეულ დანაშაულს, განსკუთრებით კი – მკვლელს [193, 180]. აქვე აღნიშნავენ, რომ ძალადობის სუბკულტურის პირობებში შესაძლოა რეპრესიის ზრდაც, რაც თავის მხრივ უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. [193, 549]

## §2 მკვლელობების უშუალო მიზეზები და პირობები

მკვლელობისათვის მსჯავრდებულთა ძირითად მასას წარმოადგენენ მამაკაცები (75%), ხოლო ქალები – 25%-ს. რაოდენობრივი მაჩვენებლების განსხვავება აიხსნება იმ ურთულესი სოციალური ფაქტორების კომპლექსით, რომელიც განსაზღვრავს ქალის და მამაკაცის ქცევას. ქალის მიერ ჩადენილ მკვლელობაში სპეციფიკურად ვლინდება მისი მდგომარეობა ოჯახში, შვილების მოვლის აუცილებლობა და ა.შ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალთა შორის ალკოჰოლიზმი და ნარკომანია ნაკლებად არის გავრცელებული. გრინ ბენის, მარტინ ბლინდერის, ენ გოტინგის და სხვა კრიმინოლოგების მონაცემებით ქალთა ბიოფიზიოლოგიური თვისებები განსაკუთრებით ვლინდება მკვლელობის ჩადენის ხერხში, კონფლიქტური სიტუაციის ასახვაში და ა.შ. [81, 185-187]

ანალოგიურ დასკვნებს აკეთებენ რუსი კრიმინოლოგები. ა.პაკის, ი. ლიხოლატის და ს. სუშენკოს გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ ქალებს ნაკლებად ახასიათებს ე.წ. ანტისოციალური განწყობა, არ ფიქსირდება მყარი კრიმინალური ორიენტაცია. ამრიგად სქესთან დაკავშირებული ბიოფიზიოლოგიური თვისებები თამაშობენ გარკვეულ როლს მკვლელობის ჩადენაში და გასათვალისწინებელია ამ დანაშაულთან ბრძოლის ორგანიზაციისას.

მკვლელთა ძირითადი კონტიგენტია 35 წელს მიღწეული ახალგაზრდა პირები. მათ შორის ყველაზე ხშირად დანაშაულს იდენენ 25-29 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები. ამერიკელი მკვლევარის გრემ ჩესტერის აზრით, ასაკობრივი ფაქტორი მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ე.წ. შემთხვევით დამნაშავეთა მიერ მკვლელობის ჩადენისას. ამ ასაკობრივ პერიოდში ახალგაზრდას არ გააჩნია მყარი ორიენტაცის უნარი, ის დევიანტი ადვილად ხდება, კრიტიკის გარეშე ითვისებს კრიმინალურ ღირებულებებს. გაუთანასწორებული ხასიათი და ტემპერამენტი - პიროვნების ტიპიური ასაკობრივი მაჩვენებელია. ამ პერიოდში ცხოვრებისეული გამოცდილება არასაკმარისია და პიროვნებას აგრესიულობის შეჩერების მექანიზმი მკაფიოდ არ აქვს ჩამოყალიბებული. [115]

მკვლელობებს ხშირად სჩადიან პირები, რომლებმაც დაკარგეს ყოფილი სოციალური სტატუსი. დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მსჯავრდებულები საქმიანობის მიხედვით ნაწილდებიან შემდეგნაირად: სსკ-ს 108 მუხლით – 1

(უმუშავარი – 75,9%), 2 ( მუშაობდა – 24,1%). აღსანიშნავია, რომ უმრავლესობა ადრე იყო დაკავებული მატერიალურ სფეროში არაკვალიფიციური შრომით (75%). ანალოგიურ მდგომარეობაში იყო სოფლად მომუშავე (პირობითად "გლეხი") – 24%. მეტად დაბალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება ყოფილ მოსამსახურეთა შორის. ცხოვრების გამნავლობაში მსჯავრდებულებს საშუალოდ გააჩნიათ მცირე სტაჟი (5-10 წლ.).

სოციალური სტატუსის დაკარგვისა და შემთხვევითი შემოსავლების შედეგად, პირები ძლიერ განიცდიან უიმედობას, ცხოვრების საზრისის დაკარგვას, ბოროტდებიან, უვითარდებათ აგრესიულობა. ზნეობრივი პრინციპები ირღვევა. ნარკოტიკების მოხმარება და ალკოჰოლური სასმელების გამუდმებული გამოყენება ხდება "კანონზომიერი". უმუშევართა შორის ადრე დასაქმებული იყო მუშები – 8% (მუხლი 108) – არარეგულარული სამუშაოთი – 8,6% (მუხლი 109).

კრიმინოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მკვლელობების ჩადენაში გარკვეული ადგილი უკავია ოჯახის კრიმინოგენურ ზეგავლენას პიროვნებაზე [4][53][74][93][103]. პოსტსაბჭოურ სივრცეში ამ ფაქტორის გავრცელებამ უბიძგა ინტენსიურ კრიმინოლოგიურ გამოკვლევებს.

ამ მიმართულებით კრიმინოლოგები ერთსულოვანნი არიან, რომ მკვლელობისათვის მსჯავრდებულთა ოჯახურ მდგომარეობას ასახავს შემდეგი მაჩვენებლები: მსჯავრდებულთა განაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება ოჯახის სიმყარის მდგომარეობის მიხედვით და მსჯავრდებულთა განაწილება ოჯახურ მდგომარეობაზე ნასამართლობის გავლენის მიხედვით.

როგორც გამოკვლევა გვიჩვენებს, მკვლელობისათვის მსჯავრდებულ პირთა უმრავლესობა (77,5%) დაოჯახებულია, ხოლო 22,5% არაა დაოჯახებული (არ შეუქმნიათ ოჯახი, განქორწინებულები). მკვლელობისათვის მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა შორის 30% ცხოვრობს არასრულ ოჯახში. ამ კანონზომიერებით კვლავ ვლინდება მრავალი კრიმინოლოგების მიერ დადგენილი ფაქტი, რომ არასრულ ოჯახში, სადაც მატერიალური თუ სხვა მიზეზების გამო შესუსტებულია კონტროლი, არასრულწლოვანები ჩაბმულნი

არიან ოჯახის გარე არაფორმალურ ჯგუფურ ურთიერთობაში, მუდმივად გრძნობენ ცხოვრებისებულ დისკომფორტს, გაუცხოებული დამოუკიდებლობა აქვთ იმ პირების მიმართ, რომლებიც უფრო წარმატებულნი არიან და ა.შ. [4, 85]

ოჯახური მდგომარეობის უარყოფითი ზეგავლენა აგრეთვე თავს იჩენს მკვლელობისათვის მსჯავრდებულ მოზრდილთა ცხოვრებაში. პირველად მსჯავრდებულთა შორის ოჯახი უნარჩუნდება 75.0%-ს, ქორწინება კი უწყდება თითქმის 11.0%-ს. ხოლო მეორედ მსჯავრდებულთა შორის ოჯახი უნარჩუნდება მარტო 4.5%-ს, უმრავლესობას კი (9.5%) არა ჰყავთ თავისი ოჯახი, არიან განქორწინებულები. აღსანიშნავია, რომ მკვლელთა ძირითადი კონტიგენტი ახალგაზრდები არიან, მათ ნაწილს ოჯახისადმი ქარაფშუტული დამოკიდებულება აქვთ. ოჯახურ კონფლიქტში ეს გარემოება თავს იჩენს ძალადობასა და აგრესიულობაში.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების წინააღმდეგობები უარყოფით დემოგრაფიული მოვლენებს იწვევენ. ქალაქებში იზრდება მიგრანტთა რიცხვი, რომელსაც ემატება ლტოლვილთა მობილური მოძრაობა და ა.შ. ქალაქთან შედარებით სოფელში ცხოვრების დონემ უფრო დაიწია, უმუშევრობამ მიიღო საყოველთაო ხასიათი. სწორედ ამ მოვლენებმა შექმნეს სოფლის ცხოვრებაში დაძაბულობა და აგრესიულობა, გამუდმებული ლოთობა, ჩხუბი, საოჯახო დავები და ა.შ. ამიტომ მკვლელობისათვის მსჯავრდებულები ძირითადად მიეკუთვნებიან სოფლის მოსახლეობას და ძირითადად იქ იდენენ დანაშაულს (61,5%). შედარებით ნაკლები მაჩვენებელია ქალაქში (38,5%) [70]. თუმცა, როგორც მრავალი კრიმინოლოგის მიერ აღინიშნება, სხვა სახის ძალადობითი დანაშაულობის გავრცელებას ადგილი აქვს ქალაქებში.

როგორც ცნობილია, პიროვნების ზნეობრივ ფორმირებაზე მრავალ სოციალურ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანი როლი უკავია საბინაო პირობებს. აღსანიშნავია, რომ საბინაო პირობები განსაკუთრებით ვლინდება სამეზობლო-საოჯახო ურთიერთობებში.

საცხოვრებელი ბინის კეთილმოუწყობლობა, დავები მიწის ნაკვეთის გამო და ა.შ., როგორც კრიმინოლოგები ადასტურებენ, ხშირად ხდება მკვლელობის საბაბი.

ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ საბინაო პირობები კრიმინოგენური ფაქტორის სახით  მოქმედებენ კომპლექსში დაბალ მატერიალურ დონესთან ერთად. მარტო მათი ერთობლივი კავშირით შესაძლებელია დანაშაულის რეალიზაცია. [4, 127][53]

მკვლელობისათვის მსჯავრდებულთა შორის ნასამართლევ პირებს (საშუალოდ )უკავია 14%, როდესაც პირველად ჩადენილ დამნაშავეთა რაოდენობა უახლოვდება 86%-ს. ამ პირთა შორის დომინირებენ საზღვარგარეთ გაქცეული პირები (სადაც ეწევიან შავ ბიზნესს), სეპარატისნულ დაჯგუფებებში და ორგანიზებულ კრიმინალურ ჯგუფებში გაერთიანებულები. მათთვის დამახასიათებელია მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და ოჯახის არქონა, ქრონიკული უმუშევრობა.

აღსანიშნავია, რომ ნასამართლევ პირებს ახასიათებს კრიმინოლოგიური რეციდივი. ამ კანონზომიერებას აფიქსირებს მრავალი ქვეყნის კრიმინოლოგი. კრისტი ვიშერის მონაცემებით 52%-ს წარსულში ჩაუდენია სხვადასხვა სახის სამართალდარღვევა და დანაშაული. [57, 675][61][92]

გამოკითხულ მკვლელთა პასუხებიდან ვლინდება, რომ უმრავლესობას 18 წლამდე ( 60%) ადრე ჩაუდენია სამართალდარღვევა. აბელცევის აზრით ნასამრთლეობის რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება რეციდიულ მკვლელობათა რიცხვი [162, 153]. ანალოგიური მონაცემები ფიქსირდება საქართველოში. როგორც ცხრილიდან ჩანს. უმრავლესობა (60%) ადასტურებს, რომ მათ ჩადენილია აქვთ წვრილმანი გადაცდომა.

მკვლელობის დეტერმინაციის სწორი გაგებისათვის აუცილებელია მისი მოტივაციის ფაქტორების გაგება. მარტო ამ ფაქტორთა სისტემის გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ იმ სუბიექტური და ობიექტური დეტერმინანთა ჯაჭვი, რომელიც საბოლოოდ ვლინდება განზრახ მკვლელობის სახით.

ზოგადი პრინციპი, რომელზეც უნდა აიგოს მკვლელობის კაუზალური ახსნა, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დებულების სახით: თუ ადამიანში არსებობს

ადამიანის სიცოცხლის მოსპობის გამართლების ზოგადი მოტივი, მაშინ ცხადია, მას შეუძლია იგივე მოქმედება გაიმეოროს მოთხოვნილების დაკმაყოფილების სხვა ვითარებაშიც და სხვა საშუალებათა მიმართ. ასეთი მოქმედების საფუძველზე, ადამიანისა და მისი დანაშაულის შეფასებისათვის იმას კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ ვისზე ხელყო მან (თუმცა კონკრეტულ სიტუაციაში ვიქტიმოლოგიურ ფაქტორს ზოგჯერ გააჩნია გარკვეული საბაბის დატვირთვა), არამედ იმას, რომ მას ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ზოგადი მოტივი და განწყობა აქვს, რომელიც ხელსაყრელ ვითარებაში ყოველთვის მოქმედებაში გადავა.

აღნიშნული პრინციპის მეშვეობით აიგება დეტერმინაციის შემდეგი სურათი. კონფლიქტის, ჩხუბის, ცემის, სხეულის დაზიანების და სხვა ყოველივე კონკრეტული მოქმედების მოტივს წარმოშობს მოტივაციის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. თავის მხრივ კონკრეტული მოტივები შინაგანად ერთიანდებიან და მოქმედებათა გარკვეულ სფეროში ქმნიან ზოგად – განსაკუთრებულ და საყოველთაო მოტივს - რწმენას ადამიანის სიცოცხლის მცირე მნიშვნელობის შესახებ. ზოგადი მოტივები აყალიბებენ დამოკიდებულებას, ხოლო დამოკიდებულებათა ერთობლიობა – პიროვნებას. (დ.კიკნაძე, დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისათვის 138).

მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური ფაქტორებიდან განსაკუთრებულ როლს მეცნიერება ანიჭებს მოთხოვნილებებს, ინტერესებს, ღირებულებით ორიენტაციებს, ადრე ჩამოყალიბებულ მიზნებს, მოტივებს, დამოკიდებულებებს და სხვა; ობიექტური ფაქტორებიდან კი – მოთხოვნილების საგანს, მისი მოპოვებისა და მოხმარების სოციალურად განსაზღვრულ სამართლებრივ და მორალურ ნორმებს, მათი დაცვის მდგომარეობას, საზოგადოებაში გაბატონებულ ინტერესებს, ღირებულებით ორიენტაციებს და სხვა [151, 172-185]

მოტივაციის ფაქტორთა შორის გამოიყოფა მიკროგარემო ანუ კრიმინოგენური სიტუაცია და პიროვნების ინდივიდუალური თვისებები. აღნიშნული ფაქტორები უშუალო კავშირშია მკვლელობის ჩადენის ფაქტთან. ამ აქტის ჩადენის მოთხოვნილება მოქმედებს აღნიშნული ფაქტორების მეშვეობით, მაგრამ

საბოლოოდ განისაზღვრება საზოგადოებაში არსებული ურთიერთობებით. გამოყოფს რა საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელობას, ვ. კუდრიავცევი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეკონომიკის, სოციალური და სულიერი ცხოვრების კრიზისის პირობებში მიკროგარემო განიცდის გარკვეულ დაძაბულობას, კონფლიქტურობას. უშუალოდ ამ მიკროგარემოში წარმოიშობა ანომია, რომელიც ხასიათდება სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების რღვევით. მნიშვნელოვნად ეს პროცესი ხორციელდება უასამართლობის, უხეშობის, სისასტიკის და სხვა უარყოფითი ფაქტების განცდის შედეგად. პიროვნების უარყოფით ჩამოყალიბებაზე, ასევე, მოქმედებს სახელმწიფო ორგანოების არასწორი და მცდარი გადაწყვეტილებანი. ყოველივე ეს არწმუნებს პიროვნებას იმაში, რომ საზოგადოებრივი მორალი უსუსურია, ხოლო სამართალი კი – უძლური. საზოგადოებრივი ურთიერთობები პიროვნებაზე სხვადასხვა გზებით ახდენენ კრიმინოგენურ გავლენას. საერთო ჯამში წარმოიშობა საზოგადოებისადმი პიროვნების დაპირისპირება, რომელიც დანაშაულს საფუძვლად უდევს. [67, 19]

დანაშაულობის ფორმირებაში საზოგადოებრივი ურთიერთობების როლის ზოგადი დახასიათება ვრცელდება დანაშაულობის ყველა სახესა და ფორმაზე, მაგრამ მკვლელობებთან მიმართებაში მათი ზეგავლენა ხასიათდება გარკვეული თავისებურებით. მკვლელობა, როგორც აგრესიის ფორმა, საზოგადოებაში არსებული კონფლიქტურობის და დაძაბულობის გამოვლენაა. ამ უკანასკნელს კი ასუსტებს ან აძლიერებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია. ე.წ. ჩვეულებრივი მკვლელობა (მათ შორის ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში) მასობრივად ვრცელდება მხოლოდ გარკვეულ ფენებში. მარტო გარკვეული სოციალური მდგომარეობა (უმუშევრობა, სიღარიბე და ა.შ.) სისასტიკისაკენ პიროვნებას უბიძგებს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ფაქტორები ერთი მიმართულებით მოქმედებენ საერთო მოტივების ჩამოყალიბებაზე, ქმნიან კალაპოტს, სადაც მიედინება ადამიანის სიცოცხლისადმი გაუცხოებული დამოკიდებულება. ამიტომ კონკრეტული მკვლელის მამართ სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია გამოდის მეტად მნიშვნელოვან ობიექტურ ფაქტორად. [60][131, 53-105]

არანაკლებ მნიშვნელოვანია ცხოვრების წესის ნეგატიური ცვალებადობა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცხოვრების წესი მრავალჯერ განმეორების შედეგად აყალიბებს ზოგად მოტივს და ამიტომ კონკრეტული მოტივების მიმართ გამოდის ობიექტური ფაქტორის სახით. დაძაბული ურთიერთობა ოჯახში, სამსახურის დაკარგვის შემდეგ ახლობლებთან ურთიერთობების შეცვლა, გამუდმებულ სმაში "გულის გადაყოლა", აგრესიულობა, სისასტიკე და ა.შ. საბოლოოდ პიროვნების თვისებებად გადაიქცევიან. მკვლელობისაკენ მიდრეკილება ცხოვრების წესის მეშვეობით აიგება იმ დევიანტური ხასიათის მომენტებიდან, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას.

მკვლელობის მოტივაციის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ძალადობის სუბკულტურას – ღირებულებათა სისტემას, რომელიც ამართლებს ძალადობას, სისასტიკეს. აღნიშნული სისტემა არსებობს თავისი კანონზომიერებით და სერიოზულად უპირისპირდება საზოგადოებას. მისი მეშვეობით ხორციელდება მკვლელის იდეალის "აღწარმოება", ძალადობის კულტურის შენარჩუნება. [60]

ერთობლიობაში აღნიშნული ფაქტორები წარმოშობენ იმ ობიექტურ ურთიერთობებს, რომლებიც ვლინდებიან მკვლელობაში მიკროგარემოს და პიროვნების ინდივიდუალური თვისებების მეშვეობით. ეს ფაქტორები მიუთითებენ იმაზედ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მექანიკურად არ იწვევს დანაშაულს. მკვლელობის ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობს მიკროგარემოსა და პიროვნული თვისებების ურთიერთკავშირი.

უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ კრიმინოგენური სიტუაციის ელემენტები: დანაშაულის ჩადენის ადგილი, ხერხი და დაზარალებული.

ადგილის ჩადენის მიხედვით მკვლელობას ხშირად იდენენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (53%) და ქუჩაში (41,5%). ამრიგად, როგორც ჩანს მკვლელობა ატარებს სიტუაციურ ხასიათს.

მკვლელობის ჩადენის ხერხი – კრიმინოგენური სიტუაციის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. დანაშაულის ხერხის ტიპის გავრცელებაზე მოქმედებს ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები, იარაღის საკითხის რეგლამენტაციის თავისებურება და ა.შ. რუსეთში, მაგალითად, გავრცელებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება [162]. ანალოგიური მდგომარეობაა აშშ-ში, სადაც იარაღს ხშირად იყენებენ 20-24 ასაკის ახალგაზრდები. [193, 656]

საქართველოში შედარებით განსხვავებული მდგომარეობაა. მკვლელობისას ძირითადად იყენებენ დანას (64%), ხოლო ცეცხლსასროლ იარაღს - 25%.

მკვლელობების ჩადენის სიტუაციას განაპირობებს დაზარალებულის ქცევა. მრავალი კრიმინოლოგი სამართლიანად აღნიშნავს დანაშაულის ჩადენაში დაზარალებულის ასაკის, სქესის, დამნაშავისადმი მისი დამოკიდებულების მნიშვნელობას. [70][78][87]

როგორც გამოკვლევა გვიჩვენებს ხშირად მსხვერპლის სახით გამოდის 25-35 წლის ასაკის პირი, ხოლო მომდევნო ადგილი უკავია უფრო 36-49 ასაკის პირებს.

სიტუაციური ურთიერთობები, კონფლიქტურობა, ალკოჰოლიზმი და ნარკომანია ერთიობლიობაში უფრო გავრცელებულია მამაკაცებში და ამიტომ კრიმინოგენური შედეგებიც მათში არის უფრო გავრცელებული. 67% მამაკაცი ხდება მკვლელობის მსხვერპლი. როგორც კრიმინოლოგთა მრავალი გამოკვლევა ადასტურებს, ქალი ხშირად საოჯახო და სამეზობლო კონფლიქტის მსხვერპლია. ქაცებთან შედარებით მას 33% უკავია.

კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი – ქალაქთან შედარებით მკვლელობა სოფლად უფრო ხშირია, რადგან უმუშევრობის და აგრესიულობის დონე აქ უფრო მაღალია, მოსახლეობა მოკლებულია ელტმენტარულ საარსებო და საკომუნიკაციო პირობებს.

საინტერესოა მსხვერპლთა განაწილება სპეციალობის მიხედვით. დასაქმების მაჩვენებლი მსხვერპლთა შორის ძალზე დაბალია (35%), უმრავლესობა – უმუშევარია (65%). დასაქმებულთა შორის 31% მოდის დიასახლისებზე, ხოლო 3,5% დასაქმების ცალკეულ სახეებზე.

ადამიანის ნებისმიერი მოქმედების ძირითად წყაროდ, საწყის სუბიექტურ ფაქტორად მოთხოვნილება გამოდის. მოთხოვნილების ბუნება ყოველთვის სოციალურია, რადგან: 1) მოთხოვნილების საგანი და დაკმაყოფილების ხერხი ატარებენ საზოგადოებრივ ხასიათს და 2) მოქმედების მიმართულება განპირობებულია საზოგადოებაში არსებული ნორმებით, ჩვეულებებით, ტრადიციებით და სხვა. მოთხოვნილება ყოველთვის არსებობს იმ საგნებისა და ხერხებისადმი გაცნობიერებული დამოკიდებულების სახით, რომელთა მეშვეობით ინდივიდი კმაყოფილდება. დაკმაყოფილებული მოთხოვნილება აქტუალურად რჩება როგორც დამოკიდებულება.

მოთხოვნილებათა შინაარსი, მათი ხასიათი, პიროვნების უნარები –ინდივიდის განვითარების დონის პირველი მაჩვენებელია [150, 38]. იმ შემთხვევაში, თუ პირმა თავი შეიკავა მოთხოვნილების  დაკმაყოფილებისაგან ან განიცდის განმეორებითი  მოქმედების აუცილებლობას, მას ამ მოთხოვნილების საფუძველზე უჩნდება ინტერესები, სურვილები, გრძნობები და ა.შ., რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მომდევნო მოქმედებების განხორციელებაში. მოთხოვნილებას შეუძლია წარმოშოს გარკვეული მოქმედების მოტივაცია.

მოთხოვნილებათა ფორმირებაზე განსაკუთრებით ზემოქმედებენ: ა) ინდივიდთა ურთიერთობები, ბ)სოციალური ჯგუფის ინტერესები.

ამრიგად, მოტივაციის სუბიექტური ფაქტორებიდან გამოიყოფა მოთხოვნილება. მაგალითად, მკვლელობას წინ უძღვის კონფლიქტური სიტუაციის დაძლევის, მისი გადაწყვეტის ხერხის, დაზარალებულის მოშორების და ა.შ. მოთხოვნილების წარმოშობა. ზოგერთ შემთხვევაში მოთხოვნილება უშუალოდ არ გადადის მოქმედებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირი მიმართავს მოტივაციის პროცესს, რომლის შედეგად მოცემულ ვითარებაში ყალიბდება მკვლელობის მიზანშეწონილობის და აუცილებლობის რწმენა ანუ მოტივი.

მკვლელობების ნაწილი რეალიზდება ნებისმიერი მოქმედების გზით. დასაშვებია ისეთი სიტუაცია, როდესაც მკვლელობა ხორციელდება იმპულსურად. ქუჩაში მომხდარი ჩხუბის დროს ან ოჯახური კონფლიქტის სიტუაციაში შესაძლოა ისეთი მკვლელობის ჩადენა, რომელიც წარიმართება მოთხოვნილების იმპულსის

გაცნობიერებით, მოტივაციის გარეშე. მაგრამ აქაც, როგორც აღნიშნავს დ. კიკნაძე, იმპულსურ მოქმედებაში მონაწილეობს ნებისმიერ მოქმედებათა პოტენციური ველი, რაც ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული შეგნებული, ნებისმიერი პროცესების საფუძველზე ყალიბდება. [150, 127]

ამ მიმართულებით მსჯავრდებულებს დაუსვეს კითხვა: ადრე ჩაგიდენიათ ძალადობა ადამანის მიმართ? რესპოდენტთა პასუხების მიხედვით მონაცემები ნაწილდება შემდეგნაირად: ცემა (57,5%), სასტიკი მოპყრობა (14,0%), სხეულის დაზიანება (11,5%). ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ მსჯავრდებულები მალავენ პასუხს – 17% თავს არიდებს პასუხის გაცემისაგან. მკვლელობის მოთხოვნილების შეფასებისას რესპოდენტთა პასუხები ნაწილდება შემდეგნაირად: თავისი სიმართლის დამტკიცება (20.5%), რეაქცია შეურაცხყოფაზე (16.5%), შურისძიება (12.5%), დაბრკოლების აცილება (11.5%), მატერიალური ინტერესი (10.0%). 29% უჭირს პასუხის გაცემა.

როგორც ვხედავთ მათ მოქმედებაში ჭარბობს ეგოცენტრული, გადაჭარბებული წარმოდგენები, პირადული "მე"-ს დამკვიდრების სურვილი. ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ მკვლელობის მიზეზების დადგენაში მოთხოვნილების კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

მოთხოვნილებასთან ემოციები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. მათ შეუძლიათ გააძლიერონ ან შეასუსტონ მოთხოვნილება. არის შემთხვევები, როდესაც ემოციის საფუძველზე წარმოშობილი ძლიერი მოთხოვნილება სხვა ფაქტორების დომინირებას ახდენს და მოთხოვნილება მოტივაციის პროცესის გარეშე გაუთვალისწინებლად, უშუალოდ გადადის აფექტურ მდგომარეობაში. ასეთი მოქმედება უახლოვდება იმპულსურ მოქმედებას, მაგრამ იმპულსურ მოქმედებად არც მისი ჩათვლა არ შეიძლება, რადგან მის განხორციელებაში მონაწილეობს ნებისმიერ მოქმედებათა პოტენციური ველი, რაც ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მის მიერ ნებისმიერი პროცესების საფუძველზე ყალიბდება. ამიტომ ჩხუბი, ცემა, სხეულის დაზიანება და ძალადობის სხვა მოვლენები არც ისეთი შემთხვევითი მოვლენაა

ინდივიდისათვის, თუ გავითვალისწინებთ ზოგადი მოტივების არსებობას ადამიანის ცხოვრებაში.

მკვლელთა შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ემოციური მდგომარეობის, მკვლელობამდე არსებული ნერვიული სისტემის და ფსიქიკის თავისებურების გამოკვლევას. ამ დანაშაულის ემოციურ საფუძველს წარმოადგენს აღგზნებადობის პროცესების სიჭარბე, უზომო იმპულსირება. კრიმინოლოგები აღნიშნავენ, რომ 60% ფიქსირდება გადაჭარბებული აღგზნებადობა, ფსიქიკის დეფექტები და ა.შ. [162, 41-42] ანალოგიური მონაცემები ფიქსირდება ჩვენს მიერ. გამოკითხულთა უმრავლესობა (32,5%) თვლის, რომ მკვლელობის წინ პირი ხშირად არის აღელვებული. ანალოგიურ პასუხს გვაძლევს მსჯავრდებულთა 29%. [40]

მოთხოვნილებასთან ერთად უნარი მოიცავს ინდიდივიდის ყველა თვისებასა და თავისებურებას, რაც კი მის მოქმედებაში მჟღავნდება და ვითარდება. უნარი განსაზღვრავს მოთხოვნილების ინტენსივობას, ექსტენსივობასა და ხანგრძლივობას, ზეგავლენას ახდენს მოქმედების ვარიანტის შერჩევაზე.

უნარი და მოთხოვნილება ერთმანეთს განაპირობენ. უნარის გარეშე არ არსებობს მოთხოვნილება. მოთხოვნილება კი, თავის მხრივ, წარმოშობს მოქმედების სტიმულსა და მოთხოვნილებათა შემდგომ განვითარებას იწვევს. პიროვნების მოთხოვნილებასა და უნარს შორის არსებული კავშირი, ასევე, ვლინდება პასიური უნარის არსებობის შემთხვევაში. ინდივიდებს მრავალი მოთხოვნილება აქვთ, მაგრამ ზოგიერთი მათგანის დაკმაყოფილებისათვის ისინი აქტიურობის არავითარ ფორმას არ მიმართავენ. ასეთი მოთხოვნილებები მთელი სიცოცხლის ან გარკვეული პერიოდის მანძილზე არ იქცევა მათი მოქმედების მიზნად და ამოცანად. ეს იმიტომ, რომ მათ არ გააჩნიათ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობები როგორც საკუთარი უნარის, ისე შესატყვისი ობიექტური გარემოს სახით. [150, 133-137]

კრიმინოლოგიისათვის ამ დებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან განხორციელებული მოქმედება (მკვლელობა) მიუთითებს ცხოვრებაში, აღზრდაში დადასტურებულ უნარზე. დანაშაულშიც ვლინდება ის ფაქტი უნარისა და მოთხოვნილების განვითარების ობიექტურ წყაროს წარმოადგენს მისი ცხოვრება.

სუბიექტურ ფაქტორთა შორის გამოიყოფა ასევე ინტერესი, რომელშიც აისახება პიროვნების ბუნება. მკვლელობის მოთხოვნილება ყოველთვის ვერ ხორციელდება მკვლელობით. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება დაემსგავსებოდა ცხოველთა სამყაროს. შესაძლოა მკვლელობა დარჩეს მკვლელობის მცდელობად, რადგან საზოგადოებაში არსებული ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმები, სოციალური კონტროლი ასეთი საშიში მოთხოვნილების წინაშე ყოველთვის წარმოშობენ დაბრკოლებას. ასეთ სიტუაციაში წარმოიშობა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხერხების და პირობების პრობლემა. ინტერესის მეშვეობით ხდება მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამიტომ ინტერესის ანალიზისას შეიძლება გამოვარკვიოთ კითხვა: რატომ აირჩია პიროვნებამ მკვლელობა კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტის ხერხად?

ინტერესი მოთხოვნილების გარდა მოტივი-რწმენის ჩამოყალიბების მთავარი ფაქტორია. მოთხოვნილება, რომელმაც გაიარა მოტივაციის სტადია, მაგრამ არ დაკმაყოფილდა, ადამიანში არსებობს მომავალში მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მიმართული ინტერესის სახით. ინტერესის უშუალო საგანია მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების საშუალება. ყველა შემთხვევაში ინტერესი მიმართულია მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებისაკენ. ინტერესი კმაყოფილდება, თუ მოძებნილია მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება და პირობები. აღსანიშნავია, რომ ძალადობის სუბკულტურის ნორმა ვლინდება მკვლელობაში, თუ ის აღიქმება ინდივიდის მიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებად.

მოთხოვნილება, უშუალოდ, მხოლოდ აზროვნების, როგორც შინაგანი ქმედების, მოტივის როლში გამოდის. რადგან ნებისმიერი მოქმედების მოტივაცია ყოველთვის ცნებითი აზროვნების საშუალებით მიმდინარეობს, ამიტომ მოქმედების განხორციელებაში არსებით როლს ცოდნა, რწმენა და დამოკიდებულება ასრულებენ.

დამნაშავეთა ძირითადი კონტიგენტი ატარებს დემორალიზილებულ ხასიათს. ზნეობრივი დაცემა იწყება დანაშაულის ჩადენამდე უფრო ადრინდელ პერიოდში.

ამორალური ქცევა ხშირად მეორდება და წინ უძღვის კრიმინოტიპის რეალიზაციას. ამაზე მეტყველებენ ის ფაქტები, რომ უმრავლესობის მიმართ ადრე გამოყენებული იყო ადმინისტრაციული ზომები. აქ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ოჯახს, სადაც კონფლიქტურობის, ჩხუბის, ალკოჰოლიზმის პირობებში ვითარდება მომავალი მკვლელის დევიანტური ქცევის მოდელი.

მკვლელობას ხშირად პირი მთვრალ მდგომარეობაში სჩადის. ამიტომ, როგორც წესი მსხვერპლი ხდება ახლო გარემოცვა ან უცნობები, რომლებიც გარკვეულ კონტაქტში იყვნენ დამნაშავესთან. ამ მიმართულებით ჩვენ კვლავ დავუსვით მსჯავრდებულებს საკონტროლო კითხვა: რა ინტერესი უნდა ამოძრავებდეს ადამიანს? ძირითადად ასახელებენ გამდიდრებას ნებისმიერი გზით (39%) და თავისი თავის დამკვიდრებას (30%). მომდევნო ადგილი უკავიასაიმედო სამუშაოს ძებნის მომენტს (20%).

გარემოსთან პრაქტიკული ურთიერთკავშირის დამყარებაში ინდივიდს არსებით დახმარებას უწევს ცოდნა. ის არის შემეცნების შედეგი, მაგრამ მისი, როგორც პიროვნების, მოქმედება განისაზღვრება არა ცოდნით, არამედ ცოდნის ობიექტური შინაარსისადმი ინდივიდის დამოკიდებულებით. ცოდნა მოქმედებისაკენ ერთმნიშვნელოვნად არასდროს არ უბიძგებს.

ცოდნა, როგორც მოქმედების სუბიექტური ფაქტორი რეალიზდება, როდესაც ის მოტივაციის პროცესის საშუალებით შინაგან რწმენად და პრაქტიკულ დამოკიდებულებად იქცევა. მოტივაციის პროცესში ცოდნას შეუძლია მოთხოვნილების და ინტერესის დაკმაყოფილებაში ხელი შეუწყოს ან წინააღმდეგობა გაუწიოს. მაგრამ ცოდნას მნიშვნელობა აქვს მარტო იმ შემთხვევაში, თუ ის შინაგანი რწმენის და შესაბამისი პრაქტიკული დამოკიდებულების სახით არის მოცემული.

მკვლელობის აკრძალვის ნორმა, ამ აქტისადმი საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება ყველასათვის ცნობილია, მაგრამ მიუხედავად ამისა ზოგიერთი ინდივიდი  მაინც სჩადის ამ დანაშაულს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოტივაციის პროცესი განხორციელდა და მის შედეგად ცოდნა მკვლელობის

შესახებ შინაგანი რწმენის და შესაბამისი პრაქტიკული დამოკიდებულების სახით ჩამოყალიბდა.

განხორციელებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მკვლელთა შორის დომინირებენ ნაკლებად განათლებული, დაბალი კულტურის პირები. გამოკითხულთა უმრავლესობას გააჩნდა არასრული(58%) და საშუალო (39%) განათლება, ხოლო 2%-ს უმაღლესი განათლების მიღება არ  დაუსრულებია.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა უმრავლესობა ძირითადად იღებს "განათლებას" საეჭვო ხასიათის ვიდეოფილმებიდან და ჟურნალებიდან (85%). მარტო მცირე ნაწილი ერთობა კინოთი (11%) და წიგნებით (4%).

სათანადო განათლების დონის არარსებობას განაპირობებებს მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი (სკოლის უკონტროლობა, სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, გაჭირვება და ა.შ.) ამ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დამნაშავის გარემოცვის განათლებასაც. ამ მხრივ მეტად ყურადსაღებია ნ. გაბრიჩიძის  მკვლელთა ოჯახების წევრთა გამოკვლევის ზოგიერთი მონაცემი. როგორც ავტორი აღნიშნავს,  არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მამებს (80%) და დედებს (76,7%) ჰქონდათ საშუალო განათლება. პირველად მსჯავრდებულთა გარემოცვის შორის, რომლებსაც მსჯავრი დაედოთ მეუღლის მიმართ ჩადენილ დანაშაულში, დომინირებენ ასევე საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე პირები: საშუალო განათლება – 38% (მამები), 42% (დედები) და 67% (მეუღლეები); არასრული საშუალო – 32% (მამები), 26% (დედები) და 20% (მეუღლეები). ასეთივე ტენდენცია აღინიშნება განმეორებით მსჯავრდებულ გარემოცვას შორის: საშუალო განათლება – 62% (მამები), 52% (დედები), 32 % (მეუღლეები); არასრული საშუალო – 4% (მამა), 16% (დედა).

ამდენად, საქართველოში ჩატარებული გამოკვლებიდან გამომდინარეობს შემდეგი სახის დასკვნა:  მსჯავრდებულთა გარემოცვის წრეს ძირითადად საშუალო ან არასრული საშუალო განათლება აქვს. აქედან გამომდინარე მსჯავრდებულთა გარემოცვის მსოფლმხედველობა მეტად შეზღუდულია და შესაბამისად შეზღუდულია მათი მოთხოვნილებებიც. ეს კი ნიშნავს იმას, რომ

მსჯავრდებულთა ასეულობათა ორიენტაცია იმყოფება ჩვეულებრივი "ობივატელური" წარმოდგენის ინტენსიური გავლენის ქვეშ [143]. ამგვარი ცოდნის არეალს არ შეუძლია შეასრულოს აგრესის განვითარების შემაკავებელი ფაქტორის როლი და ამრიგად ხელს უწყობს პიროვნების კრიმინოტიპის ჩამოყალიბებას.

ადამიანი რასაც აკეთებს აკეთებს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება მოცემულ სიტუაციაში მისთვის ყველაზე მიზანშეწონილი და აუცილებელია. მოტივის ფორმირება – რწმენის ფორმირების საფუძველია. რწმენაში ცოდნა გადაიზრდება პრაქტიკის, პირადი ცხოვრების პროცესში. მაგრამ საბოლოოდ რწმენა გამომუშავდება ინდივიდუალური მსჯელობის შედეგად. ცოდნა, რომელიც რწმენა გახდა, შეიძლება გადაიზარდოს ურთიერთობაში, აქტიურ დამოკიდებულებაში. რწმენის გამომუშავება არის ინდივიდის რწმენა ცოდნის ჭეშმარიტებაში, პრაქტიკული მოქმედების მიზანშეწონილობა. მოტივაციის პროცესში განიხილება პრაქტიკული მოქმედების შესაძლო ვარიანტები და გამომუშავდება მოტივი მოქმედების აუცილებლობის შესახებ.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ დ. კიკნაძის სიტყვებით, რომ განათლება პიროვნების შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებისა და განვითარების მხოლოდ სამშენებლო მასალას ამზადებს, მაგრამ როგორი ძვირფასიც არ უნდა იყოს ეს მასალა, შესაძლებელია იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოუყენებელი დარჩეს შესაბამისი მიზნის და მოტივის, მოქმედების აუცილებლობის რწმენის გარეშე, რასაც მხოლოდ და მხოლოდ მოტივაციის პროცესი აყალიბებს. [150, 38-40]

როგორც პასუხები გვიჩვენებენ, მკვლელობის ჩამდენ პირთა შორის რწმენისათვის პირადი კეთილდღეობა ძირითადი მახასიათებელია (32%). მომდევნო ადგილი უკავია "მეგობრებთან" ურთიერთობას (22,5%), ხოლო ოჯახი (22%) და საზოგადოება (19%) ბოლო ადგილზე დგას.

ურთიერთობა განსაზღვრავს ცოდნის ადგილს ადამიანის მოთხოვნილებათა სისტემაში. ყოველი ურთიერთობა, როგორც წესი, არის ცოდნა, მაგრამ ყველა

ცოდნა არ არის ურთიერთობა. ურთიერთობა – პრაქტიკის, აღზრდის შედეგია. ცოდნა გადაიზრდება რწმენაში და ურთიერთობაში მოტივაციის პროცესში.

ურთიერთობები ზოგად მოტივებთან ერთად წარმოშობენ ადამიანის მოქმედების საფუძველს. ამიტომ კონკრეტულ მოქმედებათა სისტემა არის ზოგადი მოტივის გაგების გასაღები. მაგალითად, ინდივიდი ჩხუბობს, აზიანებს დაზარალებულის სხეულს და სხვ., ე.ი. მოქმედებს ზოგადი მოტივის საფუძველზე. პიროვნება შედგება ურთიერთობებისაგან – ურთიერთობები განისაზღვრება ზოგადი მოტივით – ზოგადი მოტივი კი ფორმირდება კონკრეტული მოტივებით მოტივაციის პროცესში. ამიტომ კონკრეტული ურთიერთობათა სისტემის ჩამოყალიბების მიზეზის დადგენის მიზნით რესპოდენტთა მიმართ დასმულია კითხვა.

როგორც ვხედავთ, ურთიერთობების დამყარების მიზეზი ნაწილდება შემდეგნაირად:

1) მატერიალური ინტერესი (72%); ოჯახის სფეროში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია (55%);

2) დროის გატარება (51%); მეგობრებთან ურთიერთობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (76%);

3) ჩვევა (41%); ოჯახთან ურთიერთობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (68 %);

4) მოვალეობა (25%); ოჯახთან ურთიერთობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (64 %); 5)კულტურა და განათლება (11%); მეგობრებთან ურთიერთობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (45 %);

მთლიანობაში მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის უცნობ სიტუაციაში ინდივიდს წარმოექმნება სამოტივაციო განწყობა, რომელიც ინდივიდის ყველა უნარის (ცოდნის, ინეტერესის, სურვილის და ა.შ.) მობილიზაციას ახდენს. მის საფუძველზე ინდივიდმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება (გაამწვავოს კონფლიქტი, აღადგინოს მეხსიერებაში წარსული ურთიერთობები და ა.შ.) მოტივის შემუშავებისათვის და გადაწყვეტილების მიღებისათვის.

აღნიშნული სუბიექტური ფაქტორები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მკვლელობის დეტერმინაციაში და ამიტომ ამ დანაშაულის გაგებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ.

დასკვნის სახით, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ზეგავლენის შედეგად წარმოიშობა ქცევის  თავისებური მოტივაცია, რომლის შედეგია ნებისმიერი ხერხით კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტა. სისასტიკე აღიქმება, როგორც ურთიერთობების ნორმა. კონფლიქტურ სიტუაციაში ყოველი რეაქცია დაკავშირებულია მსხვერპლის დამცირებასთან, სისასტიკესთან, თავის დამკვიდრებასთან. მკვლელობა განიხილება, როგორც „წარმატების“ მიღწევის საშუალება. საზოგადოებაში არსებობს პიროვნებაზე მუდმივი ფსიქოლოგიური ზეწოლა. მარტო ამერიკული ფსიქოლოგიური ასოციაციის მონაცემებით მოზრდილი საშუალოდ ტელეხედვაში უყურებს 8000 მკვლელობას და 100000 ძალადობის აქტს [173, 258].  ამ მხრივ საინტერესოა სიტუაციური მკვლელობების გავრცელება, როგორც ოჯახში, ასევე ოჯახის გარეთ [175, 171]. დამნაშავეთა ამ ჯგუფს კრიმინოლოგები უწოდებენ „შემთხვევით“ მკვლელებს. ისინი ტიპიურად იდენენ მკვლელობას შემთხვევითი გარემოებების სიტუაციაში [162, 152]. ამასთან ერთად, საზღვარგარეთის ქვეყნებში 60-იან წლებში სპეციალურად იყო დაწყებული კრიმინოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც ადასტურებდნენ სიტუაციურ ფაქტორებსა და საზოგადოებაში არსებული ძალადობის გავრცელებას შორის არსებულ კავშირებს [113, 315]. სიტუაციური მკვლელობებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ვიქტიმურობა (კონფლიქტები ოჯახში, მეზობლებთან, ახლობლებთან და ა.შ.).

ამასთან ერთად გამოიყოფა მომზადებული მკვლელობის დეტერმინაციის ფაქტორთა რიცხვი. განსაკუთრებით გავრცელდა მასიური მკვლელობები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში,რაც დღემდე ინარჩუნებ თავის „როლს“ სეპარატისტების პოლიტიკაში და მეწარმეობაში.

მსოფლიოში სულ უფრო ხშირდება პათოლოგიური მკვლელობები, ფსიქიკური ანომალიების როლი მკვლელობებში და ა.შ. [162, 155]

# V თავი

# მკვლელობების პრევენცია

## §1. მკვლელობების პრევენციის საერთო ღონისძიებები

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციისა და ძალადობის სუბკულტურის ფაქტორები, როგორც აღნიშნული იყო, არსებით ზეგავლენას ახდენენ მკვლელობების გავრცელებაზე. ამიტომ მკვლელობებთან ბრძოლის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის რეფორმებს. საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, როდესაც ადგილი აქვს უმუშევრობას, დასაქმების ეპიზოდურობას, ეკონომიკური ზრდის შეჩერებას, საარსებო მინიმუმის ქვევით ხელფასის დაცემას და ა.შ., უპირველეს ყოვლისა აქტუალურია დასაქმების კრიზისის დაძლევის მოდელის რეალიზაცია [156, 48]. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია:

ა) სახელმწიფო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკის შესაძლებლობების ამოწურვისა და კერძო საკუთრების განუვითარებლობის შედეგად წარმოშობილი წინააღმდეგობების დაძლევის სახელმწიფოს რეგიონალური პოლიტიკა. სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმამ უნდა მოიცვას ქვეყნის ყველა რეგიონი, განსაკუთრებით სოფელი, სადაც მასობრივი უმუშევრობის ფონზე შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება უფრო მწვავდება;

ბ) კერძო სექტორის ინტენსიური განვითარებისა და შრომითი ბაზრის ორგანიზაციულ-ეკონომიკური რეგულირების მექანიზმის დანერგვა. აღსანიშნავია, რომ შრომითი ბაზრის რეგულირების ზომები ერთდროულად ასრულებენ მოსახლეობის დაძაბულობისაგან და კონფლიქტურობისაგან დაცვის ფუნქციას;

გ) უმუშევრობის «სარისკო ზონის» გაფართოების შეჩერება განსაკუთრებით საწარმოთა პრივატიზაციისა ან ლიკვიდაციის დროს, როდესაც მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს კოლექტივების ინტერესების გათვალისწინებას. [159]

დ) ეკონომიკური გარანტიების დანერგვა. ანტიინფლაციური ზრდის, კომპენსაციის მექანიზმის და სხვა ანალოგიური მეთოდების განხორციელება შედარებით აჩერებს ღარიბთა ფენის გაფართოებას, მასთან დაკავშირებულ აგრესიულობას და კონფლიქტურობას, ასუსტებს ძალადობითი დანაშაულობის სტიმულს; [32, 35-37]

ე) სოციალურად ყველაზე უფრო დაუცველი მოსახლეობის ფენებისსაარსებო მდგომარეობის უზრუნველყოფა. გარანტირებული საპენსიო უზრუნველყოფის, კერძო სადაზღვევო ორგანოების ქსელის გაფართოების და სხვა ანალოგიური ზომების დანერგვა აღწევენ როგორც ეკონომიკურ, ასევე ვიქტიმოლოგიურ ეფექტს (მათ დაცვას საეჭვო პირთა «დახმარებისაგან», პატრონებისათვის ბინის გაქირავებისაგან და ა.შ.);

ვ) ალკოჰოლური სასმელებით უკონტროლო ვაჭრობის შეზღუდვა და მათი გაყიდვის აკრძალვა მცირეწლოვან და არასრულწლოვან პირებზე [164, 40-64]. ამ მიმართულებით ფრიად მნიშვნელოვანია სამართალდამრღვევთა რეაბილიტაციის სისტემის დანერგვა, რომლის მეშვეობით პოლიციის და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ ხორციელდება ამ კატეგორიის პირთა აღრიცხვა და მათი ჩართვა პრევენტული ხასიათის სპეციალურ პროგრამებში. [187, 158-159]

ზ) საქართველოში, როგორც ტრანზიტულ ქვეყანაში, ანტინარკოტიკული ზომების გამკაცრება. თანამედროვე ქვეყნის პირობებში მოსახლეობა შეიძლება იქცეს უცხოური ნარკობიზნესის ობიექტად, კრიზისულ პერიოდში – ტოქსიკური ნივთიერებების განსაკუთრებულ მომხმარებლად, ხოლო საზოგადოება – მაღალი დაძაბულობის და რისკის ზონად [50, 86]. ანტინარკოტიკული ბრძოლის ეკონომიკური ასპექტი მრავალსახოვანია, რადგან მოიცავს:

-მაკონტროლებელი ხასიათის ზომებს – განსაკუთრებით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ადმინისტრაციულ საზღვრებზე,

-ეკონომიკურ ზომებს იმ ღარიბ რეგიონებში, სადაც მოსახლეობას ნარკოტიკული საშუალებები მოჰყავს, [24, 38]

-სააფთიაქო სისტემაში ორგანიზაციული ხასიათის ზომებს,

-სხვა ქვეყნების გამოცდილების რეცეფციას; არსებული მოდელების ფარგლებში კანონმდებლობით აკრძალულია ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერებები და სპეციალურ ცენტრებში რეგლამენტირებულია ამ ნივთიერებების გაყიდვა, რომელთა მიმართ არ ფიქსირდება მკვეთრად გამოხატული ნარკოტიკული დამოკიდებულება. [112]

თ) იარაღის შენახვისა და გამოყენების სისტემის დანერგვა  გაერთიანებული ერების ორგანიზაციის IX კონგრესის მოთხოვნების შესაბამისად [201, 37-40].  ამ მიმართულებით იარაღის შენახვისა და გამოყენების ძირითადი პირობები განსაზღვრულა "ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ" 1993 წლის საქართველოს კანონით. ჯერჯერობით პრობლემურია იარაღზე საერთაშორისო კონტროლის თანმიმდევრული კონტროლის განხორციელების საკითხი. განსაკუთრებით მწვავედაა მოსახლეობაში იარაღის უკონტროლო მიმოქცევის პროცესი იმ რეგიონებში, სადაც განლაგებულია სამხედრო ბაზები. [24, 37]

როგორც აღნიშნული იყო, ძალადობის სუბკულტურა ზოგიერთ სოციალურ ჯგუფებში ქმნის არამდგრადობის, დაუცველობის, სისასტიკისა და ყოვლად ნება დართულობის ატმოსფეროს. მორალურის და ამორალურის ზღვრის წაშლა, სისასტიკე, გულგრილობა,  კანონსაწინააღმდეგო გზით წარმატების მოპოვება, სამართლებრივი ნიჰილიზმი წარმოადგენენ ძალადობის სუბკულტურის შემადგენელ ელემენტებს. მათი ასახვა მოსახლეობის ცნობიერებაში მკვიდრდება ტელეხედვიდან, კინოდან და პრესიდან. როგორც ქვეყანაში ჩამოყალიბებული, ასევე საზღვარგარეთ არსებული სუბკულტურა მკვიდრდება მოსახლეობის ცნობიერებაში გარკვეული ინფორმაციული არხებით. ამიტომ მკვლელებთან ბრძოლის სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მოსახლეობის ინფორმირება [58][98]. იმისათვის, რომ განხორციელდეს ინფორმირების პროცესის პრევენტული ფუნქცია აუცილებელია საზოგადოებისათვის მისაღები მორალური პრინციპების, ფასეულობებისა და სამართლის ნორმების შემუშავება და მათი აქტიური დანერგვა მოსახლეობის გონებაში ფორმირდებოდეს სახელმწიფოს აქტიური

მონაწილეობით. ამ მიმართულებით სახელმწიფომ უშუალოდ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. [174]

მკვლელობებთან ბრძოლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ვიქტიმოლოგიური ასპექტი, კერძოდ“ რისკის ზონის” შემცირების მიზნით პორნოგრაფიული ლიტერატურისა და ძალადობის პროპაგანდის წყაროების გაყიდვის აღკვეთა. ამ მიმართულებით ქმედით ზომას წარმოადგენს განათლების, იუსტიციის, შსს სამინისტროების კომპლექსური გეგმის შემუშავება, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ძალადობის, მკვლელობების, სექსის, კრიმინალური სამყაროს ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გარკვეულად მოწესრიგება. აღსანიშნავია, რომ წამყვან ქვეყნებში დანერგილია შესაბამისი ლიცენზირებისა და კონტროლის მექანიზმი.

ამასთან ერთად ინტერაქციონიზმის თეორიის მიმდევრები უარყოფენ მოსახლეობის პასიურ ინფორმირებას და ითხოვენ მის გარკვეულ მონაწილეობას დანაშაულობასთან ბრძოლაში. მათ მიერ დასახულ პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი უკავია დაზარალებულთა და პოლიციის მუშაკთა ერთობლივ შეხვედრებს და კონსულტაციებს. ინტერაქციული მიდგომის ნაირსახეობას წარმოადგენენ პოლიციის მუშაობის ამსახველი ტელეგადაცემები, კრიმინოლოგიური სიტუაციების შესახებ ინფორმაციის გაშუქება, ძალადობის მიზეზების შესახებ სპეციალური ანალიტიკური ხასიათის პროგრამები, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი საინფორმაციო საშუალებების გაშუქება და სხვა.

მკვლელობების ზოგად პრევენტულ ზომათა შორის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება რეაბილიტაციის სისტემას, სადაც ძირითადი ყურადღება ექცევა იმას, რომ დანაშაულზე სწორი რეაქციის გზით დაეხმარონ დამნაშავეს, დაზარალებულს და საზოგადოებას. სოციალური რეაბილიტაციის მოდელი გარკვეულწილად მიზნად ისახავს ადამიანური ურთიერთობების ხარისხის გაუმჯობესებას საზოგადოებაში. სამართალდამრღვევმა აქ უნდა დაამყაროს ურთიერთობები თავის ოჯახთან, სკოლასთან (თუ საუბარია მოზარდზე), მეზობელთან, შრომით კოლექტივთან და მათთან, ვისთანაც ატარებს თავისუფალ

დროს. ამრიგად საზოგადოება მნიშვნელოვანწილად ჩართულია არასადამსჯელო ზემოქმედების პროცესში და აღწევს სოციალური მშვიდობისა და წესრიგის აღდგენას. [192, 424]

მრავალ ქვეყანაში პოლიციურ მეთოდებთან შედარებით რეაბილიტაციის სისტემას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გარდა მნიშვნელოვანია ისეთი პირობების შექმნა, როდესაც მოხდება კრიმინოგენური ფაქტორების აღმოფხვრა ან ნეიტრალიზაცია [173, 257-258][177, 220-221]. პოლიციური რეაგირება დაკავშირებულია კონკრეტულ სიტუაციასთან და ამიტომ ის კონკრეტული და განუმეორებელია. რეაბილიტაციის სისტემა კი ატარებს განზოგადოებულ ხასიათს და გასაგები მიზეზების გამო კომპლექსურ სისტემას წამოადგენს. ამაზე მიუთითებენ მრავალი ქვეყნის რეგიონში, ქალაქსა და რაიონში საზოგადოების მიერ შექმნილი თავიდან აცილების საბჭოები, რომლებიც პატრულირებენ "კრიმინოგენურ» ქუჩებს, ავლენენ ძალადობის შესახებ ინფორმაციას, აღმოუჩენენ კონფლიქტურ ოჯახებს მატერიალურ და პედაგოგიურ დახმარებას, ორგანიზებას უწევენ დევიანტების დასვენებას და ა.შ. ამას გარდა ყურადსაღებია სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ასოციაციების პრევენტული საქმიანობა და სხვა.

მკვლელობების რეაბილიტაციის სისტემა სოციალური ფუნქციის გარდა ასრულებს მედიკო-პედაგოგიური ზემოქმედების ფუნქციასაც. ამ მიმართულებისათვის ტიპიურია ჯანდაცვის სისტემის სამსახურების მიერ მარტოხელა დედების რეგულარული მონახულება, იმ ოჯახების კონტროლი, სადაც გამოვლენილია ბავშვებთან სასტიკი მოპყრობის შემთხვევები, კონფლიქტებისადმი მიდრეკილ მოზარდთა გამოვლენა და ა.შ. [107]

მკვლელობების მოტივაციის ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ისეთი ბიო-ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა ნერვიულობა, ფსიქოლოგიური დაძაბულობა, ფსიქიკის პათოლოგია, ბიოლოგიური განვითარების ნაკლოვანებები და ა.შ. ამიტომ რეაბილიტაციის სისტემის წინაშე ასევე დგას ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული დახმარების ამოცანა. ამ ფუნქციას, როგორც ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, ასრულებენ ფსიქოლოგებისაგან, სოციოლოგებისაგან,

იურისტებისაგან და ექიმებისაგან დაკომფლექტებული კონსულტაციური ცენტრები, რომლებშიც ხდება ბავშვების ფსიქიკური განვითარების გადახრების ადრინდელი გამოვლენა, სასწავლო დაწესებულებათა დიაგნოსტირება, მეუღლეთა ფსიქოლოგიური დახმარება და ა.შ. [174, 460]

მკვლელობებთან ბრძოლაში რეაბილიტაცია განვითარებულ ქვეყნებში განიხილება, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი პროგრამის განუყრელი ნაწილი. აშშ-ს საზოგადოების გაჯანსაღების ფედერალური პროგრამა ითვალისწინებს: 1) ზომებს, რომლებიც არეგულირებენ ძალადობისაკენ მიდრეკილ პირთა სწავლების, შრომითი საქმიანობის და დასვენების საკითხებს; 2) ზომებს, რომლებიც არეგულირებენ ძალადობის ცხოვრების წესს; 3) რასობრივი და კულტურულ-ეროვნული შუღლის გაღვივების აღკვეთის და თავიდან აცილების ზომებს; მოზრდილების ორგანიზაციებს შორის ძალადობის თავიდან აცილების ზომებს; 4) მოქალაქეთა შორის იარაღის გავრცელების შეზღუდვის ზომებს; 5) ძალადობის რეკლამის შემცირების ზომებს; 6) მკვლელობების მდგომარეობისა და მიზეზების გამოკვლევათა განხორციელების ზომების [163, 5-7] აღსანიშნავია, რომ აშშ-ში, ასევე, ინერგება პროგრამები, რომელთა ფარგლებში მოსამართლე პროკურორთან, დამცველთან, ბრალდებულთან და მსხვერპლთან ერთად უნდა შეხვდნენ და შეეცადონ კონფლიქტის მოგვარებას მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

რეაბილიტაციის გერმანული მოდელი წარმოდგენილია «ამბულატორული» აღმზრდელობითი ჯგუფების სახით, სადაც დაპატიმრების სანაცვლოდ მოძალადე არასრულწლოვანს სთავაზობენ კონსულტაციებს [192, 426-427]. იაპონიის იუსტიციის სამინისტროს რეაბილიტაციური დაცვის დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია და განხორციელებულია დანაშაულობის თავიდან აცილების პროგრამა მოდელური რაიონისათვის. დეპარტამენტის წინაშე დგას გარკვეული პროგნოსტიკული ამოცანა, რადგან მან უნდა გამოავლინოს ძალადობისაკენ მიდრეკილი ფენა და დასახოს პრევენციის შედარებით ეფექტური პრიორიტეტი [187]. ანალოგიურ მოდელს ამუშავებენ რუსეთის კრიმინოლოგებიც. [62]

კონფლიქტური სიტუაციების გამწვავების ვარაუდი, გარკვეულ კრიმინოგენურ სიტუაციაში მოსალოდნელი  საშიში შედეგის დადგომის ალბათობა და სხვა ვიქტიმოლოგიური მოვლენების როლი მკვლელობების დეტერმინაციაში მრავალი ქვეყნის სახელმწიფოთა წინაშე წარმოშობს ძალადობითი დანაშაულის მსხვერპლთან სპეციალური მუშაობის პროგრამის აუცილებლობას. ამ მიმართულებით მკვლელობის პრობლემატიკა განიხილება, როგორც ვიქტიმოლოგიური პროგრამის შემადგენელი ნაწილი. სახელმწიფოს მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გფრ-ში მოსახლეობისათვის ვრცელდება ვიქტიმოლოგიური ხასიათის სპეციალური ინფორმაცია, ფინანსირდება მოქალაქეთა ძალადობისაგან დაცვის სპეციალური დამატებითი პროგრამები, ხორციელდება მსხვერპლებისა და მოწმეებისათვის დახმარების და დაზარალებულთათვის სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების პროგრამა. [69, 123-124]

მსხვერპლთა და მოწმეთა დახმარების პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფსიქოლოგიური დაწყნარების სიტუაციას, კერძოდ  სასამართლო დარბაზებში კარგად მოწყობილი მოსაცდელი ოთახების მოწყობას, მოწმის სასამართლოში ყოფნის დროს მისი ბავშვების მოვლას, სასამართლო პროცესის გაჭიანურებისაგან მსხვერპლის დაცვას  და ა. შ. საყურადღებოა რიგ ქვეყნებში არსებული მსხვერპლ-მოწმეთა სპეციალური რეგიონალური პროგრამების არსებობა. ამ საკითხთთან დაკავშირებით გ. ჯანაშია მართებულად აღნიშნავს, რომ “სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი სპეციალური პროგრამა არ არსებობს.

ამასთანავე, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობამ სეპარატიზმის ზეწოლის შედეგად მიიღო არა მარტო მატერიალური, ასევე ფსიქოლოგიური ზარალი. მათ მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ უჭირთ საარსებო საშუალებების მოპოვება. ისინი იმყოფებიან ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, ხდებიან არაპროგნოზირებადი ძალადობის, საყოფაცხოვრებო კონფლიქტების რეალური მსხვერპლები და ა. შ. მიგვაჩნია, რომ ასეთი პროგრამის ინიციატორად უნდა გამოვიდეს სახალხო დამცველი, როგორც თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს ძალზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი. [50, 94]. იმ კრიმინოგენური სიტუაციის აღსაკვეთად, სადაც სავარაუდოა მძიმე შედეგის დადგომა, ზოგიერთ

ევროპულ ქვეყანაში ხორციელდება დაზარალებულთათვის სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების პროგრამა, რომელსაც ძირითადად ახორციელებენ მსხვერპლთა დახმარების სპეციალური ცენტრები.

მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლების ზომები წარმოადგენენ აქტუალურ მიმართულებას მკვლელობებთან ბრძოლის სისტემაში. როგორც აღნიშნავენ განსაკუთრებული როლი უკავია "რისკის ზონაში" მყოფი მოსახლეობის (უმუშევართა, ალკოჰოლის სისტემატურ მომხმარებელთა, ნარკომანთა, მათხოვრთა, მაწანწალათა, ადრე ნასამართლევ პირთა და ა.შ.) სამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხებს. [131, 53-105]

მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლების ზომებს კრიმინოლოგები მართებულად მიაკუთვნებენ სამართლებრივ პროპაგანდას. ა. გუროვის აზრით მოსახლეობის სამართლებრივ ინფორმირებას გააჩნია შედარებით გარკვეული როლი, რადგან  დაზარალებულის ქცევაზე მოქალაქეთა ბუნდოვანი წარმოდგენა, საეჭვო პუბლიკაციათა ტირაჟირება და ა.შ. გარკვეულად ხელს უწყობენ ცნობიერებაში ძალადობის ეტალონის ჩამოყალიბებას [167, 281]. ამასთან ერთად, როგორც დ. კიკნაძე აღნიშნავს,  სამართლებრივი პროპაგანდა მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ის მონაწილეობს რწმენის ჩამოყალიბებაში და ქცევის მოტივაციაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. [150]

მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებას ხელს უწყობს ნორმატიული აქტების სრულყოფის ღონისძიებები. მკვლელობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმ სამართლებრივი აქტების კრიმინოლოგიური ექსპერტიზა, რომლებიც არეგულირებენ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. ზოგიერთი მათგანი ატარებს ზოგად სოციალურ ხასიათს და უშუალოდ არ უკავშირდება ძალადობის პრობლემატიკას, მაგრამ ზოგიერთი აქტი უშუალოდ ეხება ძალადობის პრობლემატიკას და ამიტომ მოითხოვს მეტად გათვლილ მიდგომას. ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, საოჯახო სამართლის და ა.შ. ნორმების ექსპერტიზის საკითხები. ამდენად კანონპროექტის მომზადებისას

კანონმდებელმა წინდაწინ უნდა განსაზღვროს მისაღები ნორმების სოციალური ეფექტი.

მკვლელობების თავიდან აცილების საერთო ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიცოცხლის უფლების დაცვის პოლიტიკას. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

როგორც ცნობილია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით. არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე განზრახ, გარდა კანონით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პირის მსჯავრდების შემდგომ სასამართლოს განაჩენის აღსრულებისას. სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, როდესაც იგი არა უმეტეს აბსოლუტურად აუცილებელი ძალის გამოყენების შედეგია: ა) ნებისმიერი პირის არამართლზომიერი ძალადობისაგან დასაცავად; ბ) კანონიერი დაპატიმრების განხორციელების ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევისათვის ხელის შეშლის მიზნით; გ) აჯანყების ან ამბოხების ჩახშობისათვის კანონიერად განხორციელებული მოქმედებისას.

1999 წლის 17 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა მე -6 ოქმს მშვიდობიანობის დროს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 1 მაისს. 2002 წლის 3 მაისს საქართველომ ხელი მოაწერა მე -13 ოქმს ომის დროს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. ეს ოქმი ძალაში შევიდა 2003 წლის 1 სექტემბერს. ამასთანავე, 1999 წლის 22 მარტს საქართველო შეუერთდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე -2 ფაკულტატურ ოქმს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, რომელიც საქართველოსათვის ძალაში შევიდა 1999 წლის 22 ივნისს.

სიცოცხლის უფლება არის ადამიანის ძირითადი უფლება, რომელიც ყველა სხვა უფლების ლოგიკური წინაპირობაა. ევროპული კონვენციის მე -2 მუხლი უზრუნველყოფს პირთა დაცვას სახელმწიფოს მხრიდან სიცოცხლის თვითნებური ხელყოფისაგან;

კონვენციის მე -2 მუხლი, ასევე, ეხება «უმოქმედობით განხორციელებულ ქმედებას», რომელზეც პასუხი უნდა აგოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა. მაგალითად, როდესაც არ არსებობს სამართლებრივი დაცვის საშუალებები, მათი უზრუნველყოფა კი მოეთხოვება სახელმწიფო ხელისუფლებას. ამავე დროს, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის აზრით, ა) სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები სიცოცხლის დაცვის მიზნით და ბ) იკისროს პოზიტიური ვალდებულებები.

აღნიშნული მუხლის მნიშვნელობაზე ხაზგასმით მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც «უპირატესობას ანიჭებს მე -2 მუხლს, როგორც კონვენციის ერთ-ერთ ძირითად დებულებას. ეს მუხლი იცავს სიცოცხლის უფლებას, რომლის გარეშეც ნებისმიერი სხვა უფლების განხორციელება ყოველგვარ აზრს მოკლებულია.»

კონვენციის მე -2 მუხლი ვრცელდება არა მარტო განზრახ მკვლელობებზე, არამედ აგრეთვე იმ სიტუაციებზე, როდესაც დასაშვებია «ძალის გამოყენება», რასაც შედეგად შეიძლება გაუთვალისწინებელი სიკვდილი მოჰყვეს.

ევროპული კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოს, არა მარტო თავი შეიკავოს სიცოცხლის განზრახ ხელყოფისაგან, არამედ მიიღოს შესაბამისი ზომები თავის იურისდიქციაში მყოფი პირების სიცოცხლის უზრუნველსაყოფად. ამგვარი არა მარტო ნეგატიური, არამედ პოზიტიური ვალდებულებები ამ მიმართულებით სამართალდარღვევათა ჩადენის თავიდან ასაცილებლად, დაშვებულია სამართალდამცავი მექანიზმი დარღვევათა აღკვეთის, ჩახშობისა და დასჯის მიზნით. აღნიშნული პოზიტიური ვალდებულებები მოიცავენ პირის მკვლელობის ეფექტურ გამოძიებასა და განსაზღვრულ შემთხვევებში (პირის დასაცავად, რომლის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის სხვა პირი) დანაშაულის აღკვეთის ოპერატიული ზომების მიღებას. აქვე, კონვენცია მოითხოვს იმ პატიმართა დაცვასაც, როდესაც ისინი სულიერად არიან დაავადებულნი და «ავლენენ თვითმკვლელობის საფრთხის ნიშნებს''.

სიკვდილით დასჯა საქართველოში გაუქმდა 1997 წელს, რის შესახებაც დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია კონვენციის მე -6 და მე -13 ოქმების განხილვის ჩარჩოებში.

საქართველოს კონსტიტუციის მე -15 მუხლის მიხედვით: სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

ქართველ მეცნიერთა მიერ აღნიშნულია, რომ კონსტიტუციის მე -15 მუხლის მე -2 პუნქტი გარკვეულწილად ანაქრონიზმია, რამდენადაც კანონმა «სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ» საქართველოში ბოლო მოუღო «სიცოცხლის კანონიერი მოსპობის» პრაქტიკას. ამ საკითხთან დაკავშირებული კანონი ძალაში შევიდა 1997 წლის 11 ოქტომბერს. სიკვდილით დასჯა საქართველოში ბოლოს 1995 წლის თებერვალში განხორციელდა.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის უმკაცრეს ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს (მე -40 მუხლის (ი) პუნქტი); არასრულწლოვნებისათვის (16 წლამდე) სასჯელის უმკაცრეს ზომად 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთათვის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა განსაზღვრული (88-ე მუხლის 1-ლი და მე -2 პუნქტები).

სისხლის სამართლის კოდექსში წარმოდგენილია კარი «დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ», რომელიც მოიცავს თავებს: დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (108-ე-116-ე მუხლები) და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (127-ე-136-ე მუხლები).

კოდექსი ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობის აქტს განიხილავს სისხლისსამართლებრივ დანაშაულად და ითვალისწინებს შესაბამისს სანქციებს ამგვარი სამართალდარღვევებისათვის. მკვლელობა, ჩადენილი განზრახ თუ

დამამძიმებელ გარემოებებში, ითვლება ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად. სასჯელის სახით სხვადასხვა ხანგრძლივობის თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული ისეთი დანაშაულებისათვის, როგორიცაა: განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით და თვითმკვლელობამდე მიყვანა.

კანონმდებლობის თანახმად, მკვლელობის ნებისმიერ ფაქტთან დაკავშირებით უნდა ჩატარდეს ამომწურავი და ეფექტური გამოძიება. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მკვლელობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებას აწარმოებს გენერალური პროკურატურა (და არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები).

მნიშვნელოვანია ომის საფრთხის შემცირების ზომები და ამასთან დაკავშირებით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემცირება.

საქართველოს სამხედრო პოლიტიკა მყარად ეფუძნება დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს პრინციპებს, სახელმწიფოსი, რომლის ამოცანას ომის თავიდან აცილება და შესაძლო აგრესიისაგან ქვეყნის დაცვა წარმოადგენს. კერძოდ, საქართველოს სამხედრო პოლიტიკა ითვალისწინებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივი ძალისხმევის მხარდაჭერას ომისა და შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე – უარს საქართველოში ბირთვული იარაღის წარმოებაზე, განლაგებასა და მისი ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სისხლისსამართლებრივ დანაშაულად განიხილავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა: აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება (404-ე მუხლი), მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ (405-ე მუხლი), მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება, შეძენა ან გასაღება (406-ე მუხლი), გენოციდი (407-ე მუხლი) და დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (408-ე მუხლი). სისხლის სამართლის კოდექსი აგრეთვე ითვალისწინებს უაღრესად მკაცრ სასჯელს საერთაშორისო

ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევებისათვის (411-ე-413-ე მუხლები). სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება სისხლის სამართლის დანაშაულია (232-ე მუხლი). საქართველო მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან მიმართებით განუხრელად ახორციელებს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას და მტკიცედ უჭერს მხარს ყველა შიდა თუ საერთაშორისო კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარების პრინციპს.

ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დროს ჩადენილი სამხედრო დანაშაულები. ამ ტიპის დანაშაულზე შესაძლოა შემდეგი სახის რეაგირება: საქართველოს სისხლის სამართლის იუსტიციის მექანიზმის ამოქმედებას (საქმის აღძვრას, გასამართლებას); საერთაშორისო ძებნის მექანიზმის ამოქმედებას (ინტერპოლში მიმართვით); საერთაშორისო სასამართლოებში მიმართვის გზით; დიპლომატიური გზით.

სიცოცხლის კონსტიტუციური უფლების დასაცავად მნიშვნელოვანია უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის პროცესი. მოკლედ შევეხოთ ისტორიულ ასპექტს. 2008 წ. მთავრობის მიერ მიღებულ იქნა პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხის დასაქმებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ამ კუთხით ადამიანის სიცოცხლის დაცვა, როგორც საერთაშორისო პრობლემა, იმავდროულად წარმოადგენს აქტუალურ კრიმინოლოგიურ პრობლემას, რადგან უმუშევრობას, სიღარიბესა და დანაშაულობას შორის არსებობს უშუალო კრიმინოგენური ურთიერთკავშირი და ურთიერთზემოქმედება.

2003-2007 წლებში საქართველოში ჩატარებული ცალკეულ დანაშაულთა კატეგორიების კრიმინოლოგიური გამოკვლევებისა და დანაშაულობის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, დამნაშავეთა საერთო რიცხვში უმუშევარ და ღარიბ დამნაშავე პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ხვედრითი წილი 40%-ს აღემატება, რაც ძალზედ საგანგაშო მაჩვენებელია.

დანაშაულობის ზრდის ტემპი არსებითად დაკავშირებულია უმუშევრობისა და სიღარიბის განვითარებასთან და აქედან – დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილების

ზრდასთან. ქართველი კრიმინოლოგების აზრით, ამის საფუძველია წარმოების დონის დაცემა ქვეყანაში. კერძოდ, ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ ქვეყნის ბევრ მხარეში უქმად მყოფი, გაჩერებული საწარმოების რაოდენობა 35%-65%-მდე მერყეობს. პროდუქციის 100 მნიშვნელოვანი სახეობიდან 50 საერთოდ აღარ იწარმოება. წარმოების შემცირება შეინიშნება იმ ძირითად დარგებში, რომლებიც აღწარმოებით ციკლში ქმნიან (აწარმოებენ) ღირებულებას (მსუბუქი მრეწველობა, გადამამუშავებელი და მომპოვებელი მრეწველობა და ა.შ.) წარმოების შემცირება შეინიშნება სოფლის მეურნეობაშიც. სარეგისტრაციო ნამსახურები ადასტურებენ, რომ რეგრესის შედეგად სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, 2,4% გაიზარდა, მათ შორის 97% სწორედ უმუშევრები არიან.

უმუშევრობისა და სიღარიბის ზრდა დანაშაულობასთან მჭიდრო კორელაციურ კავშირშია. მარტო 1997 წლიდან 2003 წლამდე უმუშევრობის დონე გაიზარდა 7,6 % - 11,5%-მდე და დღეისათვის გასცდა 14%-ს. თავის მხრივ ზრდის ტენდენცია დანაშაულობაშიც ფიქსირდება: განსაკუთრებით 2001 წლიდან 2006 წლამდე დანაშაულთა რაოდენობა 50 ათასიდან გაიზარდა 130 ათასამდე. დაუსაქმებლების ზრდასთან ერთად იზრდება უმუშევართა ხვედრითი წილი დამნაშავეთა შორის, რამაც თავი იჩინა დანაშაულობის სტრუქტურის მაჩვენებლებში:

უმუშევართა და ღარიბთა წილი განსაკუთრებით მაღალია ანგარებით დანაშაულობაში: ყაჩაღობა, ძარცვა და ქურდობა ძირითადად ჩადენილია სწორედ მათ მიერ (85%). განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო უმუშევართა მონაწილეობამ ჯგუფურ დანაშაულობაში. მარტო 25-53 წლის ასაკის პირები შეადგენენ 48,24%-ს.

ძალადობითი დანაშაულობის ჩამდენ პირთა ნახევარზე მეტი (63,5%) – უმუშევარია. ეს კანონზომიერება განსაკუთრებით ვლინდება საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილ ძალადობით დანაშაულობაში. მსჯავრდებულთა შორის დანაშაულის ჩადენის მომენტში მუშაობს 28%, ხოლო უმუშევარია – 69%. ამასთანავე, დასაქმებულთა შორის გამოიყოფა სოფელში მომუშავე პირები (13,0%); შემდგომ მოდიან მუშები (10,0%) და მოსამსახურეები (5,0%). აქაც

ნათლად ჩანს ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური პირობები: სოფელში ქალაქთან შედარებით ფიქსირდება ცხოვრების დაბალი დონე, უმუშევრობა, რაც სტიმულირებას ახდენს ოჯახში დაძაბულობისა და აგრესიულობის გამოვლენაზე. ამდენად, სავსებით კანონზომიერია, რომ პირველად მსჯავრდებულებები სწორედ სოფელში იდენენ უფრო მეტი რაოდენობის დანაშაულს (37%), ვიდრე ქალაქში (26%). ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნება განმეორებით დანაშაულის ჩამდენთა შორისაც: სოფელი- 17%, ქალაქი- 10%. ნარკოტიკულ საშუალებების შეძენისათვის, გადაზიდვისათვის ან გასაღებისათვის მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა 2001 წლიდან 2005 წლამდე გაიზარდა 932 პირიდან 1149 პირამდე. მათ შორის უმრავლესობა უმუშევარია.

უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის კრიმინოგენული როლი ერთ-ერთ მწვავე პრობლემად იქცა. ის ზიანს აყენებს არა მხოლოდ არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არამედ ცხოვრების განვითარების პერსპექტივასაც. სასჯელის მოხდის შემდეგ პირთა უმრავლესობას აღარ გააჩნია შრომისუნარიანობა და მიმართავს არსებობის კრიმინალურ საშუალებებს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ადამიანების გამტაცებელთა უმრავლესობა წარმოადგენენ კრიმინალური ორიენტაციის პირებს. ძირითადად ისინი არიან უმუშევრები. მათ მიერ ჩადენილ დანაშაულში რეციდივს უკავია 66,7% - 84,6% ხოლო არაერთგზის ჩადენილ დანაშაულს – 15,4%-30%.

პროგრამის მოთხოვნები ატარებენ კომპლექსურ ხასიათს და ძირითადად ისახავენ შემდეგ მიზნებს:

- მოსახლეობის საარსებო პირობებისა და მატერიალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება;
- ეფექტიანი შრომითი გარემოს მოწყობისა და დასაქმების უზრუნველყოფა, სამუშაო ძალის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- დასაქმების, სოციალური დაცვის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის სფეროებში კონსტიტუციური გარანტიების რეალიზაციის უზრუნველყოფა;

- სოციალური პოლიტიკის სფეროში აქცენტის გადატანა ოჯახზე, ოჯახის, ქალების, ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებებისა და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება და სოციალური ინფრასტრუქტურის სრულყოფა.

მნიშვნელოვანია ბავშვების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა. საქართველოში შემუშავდა და ამოქმედდა სახელმწიფო სამედიცინო პროგრამები: «მეანობა» და «სამედიცინო დახმარება ბავშვებისათვის». ორივე პროგრამა აგებულია სადაზღვევო პრინციპებზე. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის აღმოფხვრის ეფექტურ გზებს. დედაქალაქსა და მიმდებარე რაიონებში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე ორსული, მშობიარე და მელოგინე ქალებისა და ახალშობილთათვის შეიქმნა რეფერალური სისტემა, რომლის მიზანია მშობიარობასთან დაკავშირებულ გართულებათა რიცხვის შემცირება, ორსული, მშობიარე და მელოგინე ქალების მკურნალობა, ავადმყოფი და დღენაკლული ბავშვების შობადობის ალბათობის შემცირება, ისევე როგორც მათი მკურნალობა.

1997 წლის იანვარში საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება «ახალშობილთა კვების რეგულირებადი სისტემის შექმნის შესახებ». ჩამოყალიბდა ძუძუთი კვების ეროვნული კომიტეტი, რომელმაც ჯანდაცვის მუშაკებისათვის ჩაატარა ტრენინგები შემდეგ თემებზე: «ძუძუთი კვება», «ინიციატივა ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საავადმყოფოს შესახებ», «ქალის რძის შემცვლელების მარკეტინგის საერთაშორისო კოდექსი». გაეროს ბავშვთა ფონდისა ( Iჩ ) და არასამთავრობო ორგანიზაცია «კარიტასთან» («ჩარიტას») ერთად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც განსახილველ საკითხთან უშუალოდ არის დაკავშირებული. კერძოდ, საქართველოს რვა რეგიონში ქალის რძის შემცვლელების მარკეტინგის საერთაშორისო კოდექსის მონიტორინგის მიზნით

განისაზღვრა პროცედურა, რომლის განხორციელებისას მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული მოხსენება აღიარებულ იქნა ერთ-ერთ საუკეთესო დოკუმენტად და წარედგინა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას.

1999 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი «ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ», რომელსაც საფუძვლად დაედო დედის რძის შემცვლელების მარკეტინგის საერთაშორისო კოდექსის დებულებები.

გარდა ამისა, შემუშავდა და დაინერგა სახელმწიფო სტანდარტი «ბავშვთა კვების ფორმულა N1».

1995 წლიდან ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამები უსაფრთხო დედობისა და ბავშვთა გადარჩენის შესახებ. მათი მიზანია ორსულ ქალთა მეთვალყურეობა, ორსულობასთან დაკავშირებული გართულებების თავიდან აცილება, უსაფრთხო მშობიარობის უზრუნველყოფა და, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

1999 წელს ჩამოყალიბებულმა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისა და დაფინანსების ახალმა მექანიზმმა აუცილებელი გახადა ბავშვთა ჯანმრთელობის დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება. ამ პროგრამაში გაერთიანებულია შემდეგი ქვეპროგრამები:

1. 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამა;
2. ქ. თბილისში 3 წლამდე ასაკის ბავშვთა მწვავე ავადმყოფობის შემთხვევათა მართვის სახელმწიფო პროგრამა;
3. ბავშვთა კარდიოქირურგიული დახმარების სახელმწიფო პროგრამა;
4. მშობელთა ზრუნვას მოკლებული ადრეული ასაკის ბავშვთა სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამა;
5. მშობელთა ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა, აგრეთვე, იმ ბავშვთა სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამა, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ მკურნალობას.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობდნენ: ბავშვთა დაავადებების ინტეგრირებული მართვის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. ამასთან დაკავშირებით 1999 წლის დეკემბრიდან UNICEF-ის დახმარებით დაიწყო შესაბამისი ადაპტირებული ეროვნული პროგრამის შემუშავება. ადაპტაციის გეგმის მომზადებისა და IMCI-ს სასწავლო პროგრამების განხორციელების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

საქართველომ შესაბამისს სახელშეკრულებო ორგანოებს წარუდგინა პირველადი და მეორე პერიოდული მოხსენებები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო ფაქტის, ბავშვის უფლებათა კონვენციისა და ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ. აღნიშნულმა სახელშეკრულებო ორგანოებმა წარმოდგენილი პირველადი მოხსენებები განიხილეს და შეიმუშავეს სათანადო რეკომენდაციები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ სამედიცინო დახმარების პრობლემა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, 2000 წლიდან დღემდე ამბულატორიულ ვიზიტორთა მაჩვენებელი მერყეობს 48,9% - 51,05%- მდე. იმ პირთა რაოდენობა, ვისაც ჩაუტარდა ამბოლატორიული მკურნალობა 47,6% - 52,4%- მდე.

1998 წლიდან პატიმართა შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელი თანდათანობით მცირდება. 1996 წელს სხვადასხვა დაავადების გამო გარდაცვლილ პირთა ხვედრითი წილი უდრიდა 0,8%, 1997 წელს - 0,9% , 1998 წელს – 0,8%, 1999 წელს – 0,6%, 2000 წელს – 0,5%, 2001 წელს – 0,5%, ხოლო 2002 წელს – 0,45%. აღნიშნული ტენდენცია ინარჩუნებს ძალას 2008 წლისათვისაც.

მეტად მნიშვნელოვანია პატიმართა სიკვდილის მიზეზების საკითხის კვლევა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2001 – 2003 წწ. მონაცემებით პატიმართა გარდაცვალების მიზეზებია: ტუბერკულოზი – 34,4%; გულის დაავადება – 30,3%; მკვლელობა – 8,2%; თვითმკვლელობა – 8,1%; ღვიძლის კიბო – 5,7%; უბედური შემთხვევა- 4,9%; ინტოქსიკაცია – 4,0%; ელექტროტრავმა; სასუნთქი გზების

დაავადება; მწვავე ცერებრალური თრომბოზი; ტვინის მწვავე შეშუპება - 2,4%; სეფსისი; სხეულის დაზიანება; კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადება – 1,6%; დისტროფია – 0,8%

ქართველ მეცნიერთა მიერ მართებულად არის აღნიშნული, რომ «პატიმრობის შესახებ» კანონი (1999 წლის 22 ივლისი) არ ითვალისწინებს მექანიზმს, რომელიც საშუალებას მოგვცემს თავისუფლებააღკვეთილ პირთა და მსჯავრდებულთა შორის შესაძლო თვითმკვლელობისადმი მიდრეკილების ტენდენციას. კლასიფიკაციის ცენტრის ინსტიტუტი ამ მხრივ არ არის სათანადოდ დახვეწილი.

ევროპის საბჭოს წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის (CPT) მიერ საქართველოს შესახებ გაკეთებული მოხსენების შემდეგ, იუსტიციის სამინისტრომ მიიღო კონკრეტული ზომები სასჯელთა აღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, იუსტიციის მინისტრმა დაამტკიცა ციხის სამედიცინო დაწესებულებების დროებითი დებულებები, რომელთა თანახმად, სამედიცინო დეპარტამენტი საბოლოოდ გამოეყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტს. მიღებულ იქნა შიდასაუწყებო პროგრამები თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, კერძოდ, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის/შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომისა (HIV/AIDS) და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების წინააღმდეგ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, იუსტიციის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის შედეგად თავისუფლებააღკვეთილ პირთა სამკურნალო დაწესებულებიდან ჩვეულებრივი კლინიკისათვის გადაცემის შესახებ.

სათანადოდ იქნა აღჭურვილი არასრულწლოვანთა გამოსასწორებელი დაწესებულებისა და ერთ-ერთი საერთო პენიტენციალური დაწესებულების სამედიცინო განყოფილებები; გარემონტდა პალატები ქალთა კოლონიაში და საკანი-პალატა ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრებისათვის.

ტუბერკულოზის პრობლემასთან დაკავშირებით, მეცნიერთა აზრით, მიზანშეწონლია აღინიშნოს, რომ 2002 წელს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) თანამშრომლობით 6142 პატიმარს ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება ტუბერკულოზის ნიშნების გამოვლენის მიზნით. ყველა გამოვლენილი ავადმყოფი პატიმარი ჩაება TS - ის პროგრამაში. 353 პატიმარი გადაყვანილ იქნა ციხის სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო დანარჩენებს მკურნალობა ჩაუტარდათ შესაბამის პენიტენციარულ დაწესებულებებში.

ასევე მნიშვნელოვანია აუცილებელი მოგერიებისას განხორციელებული ქმედებების ანალიზი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. ამავე დროს, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით განიხილება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და ისჯება კანონით (სისხლის სამართლის კოდექსი, 113-ე მუხლი).

სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად. ამასთან, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით განიხილება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და ისჯება კანონით (სისხლის სამართლის კოდექსი, 114-ე მუხლი).

პრევენტულ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევთანაზიის საკითხის ანალიზს. «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» კანონის 148-ე მუხლის შესაბამისად, ტერმინალურ სტადიაში მყოფ ქმედუნარიან, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე ავადმყოფს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელ და პალიატიურ მკურნალობაზე. ტერმინალურ სტადიაში ავადმყოფის უგონო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, მომაკვდავი ადამიანის ღირსების დაცვის მიზნით და მისი (პაციენტის)

პიროვნული შეხედულებების გათვალისწინებით, უარი განაცხადოს სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელ და პალიატიურ მკურნალობაზე.

მიუხედავად ამისა, უგონო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს უტარდება სათანადო მკურნალობა იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფს წინასწარ, როცა მას ჰქონდა გაცნობირებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, არ ჰქონია განცხადებული უარი სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელ და პალიატიურ მკურნალობაზე (149-ე მუხლი).

აღნიშნული კანონის 151-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო პერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, ეკრძალება ევთანაზიის განხორციელება ან მასში მონაწილეობა.

ანალოგიური შინაარსის დებულებებს ითვალისწინებს აგრეთვე კანონი «პაციენტის უფლებების შესახებ» (24-ე მუხლი). საქართველოს სამართლებრივ სისტემაში მკვლელობა არ არის ნებადართული მსხვერპლის სურვილის შემთხვევაშიც კი. სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად, ევთანაზია (ანუ «მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით») განიხილება, როგორც მკვლელობა და ისჯება თავისუფლების აღკვეთით.

სოციოლოგიური კვლევა, ასევე, მოითხოვს აბორტების ანალიზს და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის კვლევას. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ადამიანის სიცოცხლე იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ახალშობილი დედის მუცელს მოსცილდება. შესაბამისად, საუბარი მკვლელობის შესახებ მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ნაყოფი ნაწილობრივ მაინც გამოეყოფა დედის საშოს, თუნდაც არ სუნთქავდეს. ამის გამო კანონი არ ახდენს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის კრიმინალიზაციას, თუ, რა თქმა უნდა, დაცული იქნება კანონის ყველა მოთხოვნა. ამავე დროს, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს საკმაოდ მკაცრ სანქციებს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთას უკანონო აბორტის განხორციელებისათვის. 2000 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო «აბორტის შესახებ» კანონი. იგი

შემუშავებულ იქნა ადამიანის უფლებათა სფეროში იმ საერთაშორისო აქტების შესაბამისად, რომელთა მონაწილე სახელმწიფოც არის საქართველო.

ასევე მნიშვნელოვანია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საკითხი. სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საკითხებს აწესრიგებს კანონი «პოლიციის შესახებ». კანონის მე-13 მუხლი კრძალავს ამგვარი იარაღის გამოყენებას ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლოა სხვა პირთა დაშავება, აგრეთვე ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი შეიარაღებულნი არიან ან ჯგუფურად ესხმიან თავს, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქის ან პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლეს.

ანალოგიური შინაარსის დებულებას ითვალისწინებს აგრეთვე «სახელმწიფო უშიშროების შესახებ» კანონის მე-11 მუხლი. ამასთან, ორივე კანონი კრძალავს ისეთი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენებას, რომელიც «ადამიანის მძიმე დასახიჩრებას იწვევს, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან და იკრძალება საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით».

პოლიციის თანამშრომელთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის არამართლზომიერი გამოყენების ფაქტების აღკვეთის მიზნით, შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა ბრძანება პოლიციის თანამშრომელთა საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების საკითხებში რეგულარული მეცადინეობების ჩატარების შესახებ. ამ ბრძანებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა «პოლიციის შესახებ» კანონის შესწავლას, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ყველა შემთხვევას, როდესაც პოლიციის მოხელეებს შეუძლიათ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.

ასევე აღსანიშნავია არანებაყოფლობითი გაუჩინარების პრობლემატიკის გაშუქება. ღონისძიებები ადამიანების გაუჩინარების აღკვეთის მიზნით, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია სიცოცხლის თვითნებურად მოსპობის თავიდან აცილების ვალდებულების კონტექსტში.

ადამიანთა გაურკვეველი გაუჩინარების შესახებ შეტყობინება, წერილობითი თუ ზეპირი ფორმით, მათ შორის ტელეფონის მეშვეობით, შეტანილ უნდა იქნეს შინაგან საქმეთა ორგანოებში. იგი ექვემდებარება დაუყოვნებლივ რეგისტრაციას. ასეთი შეტყობინების მიღებისთანავე შემდეგი ღონისძიებები უნდა გატარდეს: დადგინდეს პირის გაუჩინარების დრო და გარემოებები, ისევე როგორც მისი გარეგნობა და ჩაცმულობა, «ცხელ კვალზე» მიღებულ იქნეს ზომები გაუჩინარებული ადამიანის ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით. ინფორმაცია ადამიანის გაუჩინარების შესახებ გადაიცემა ტელევიზიით და ქვეყნდება მედიის სხვა საშუალებებით, აგრეთვე ამ პირის ფოტოსურათები და მონაცემები ეგზავნება ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს.

გარდა ამისა, ხორციელდება ზომები ამოუცნობი გვამების იდენტიფიკაციისათვის, შემოწმება ტარდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში, შესაბამისი მითითებები ეძლევა სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს გაუჩინარებული პირის საზღვარზე დაკავების მიზნით და ა.შ. თუ ხუთი დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა პირის აღმოჩენა, იწყება სასამართლო გამოძიება. იმ ღონისძიებათა დაწვრილებითი ნუსხა, რომლებიც უნდა განხორციელდეს გაუჩინარებული პირის ადგილსამყოფელის დასადგენად, განსაზღვრულია შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით. თუ სასამართლო გამოძიების პროცესში ცხადი ხდება, რომ გაუჩინარებული პირი არის სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი, პროკურატურამ უნდა აღძრას სისხლის სამართლის საქმე.

გაუჩინარებული პირის ძებნა წყდება ორ შემთხვევაში: თუ დადგინდება პირის ადგილსამყოფელი ან პირი გარდაცვლილად გამოცხადდება კანონის საფუძველზე. არც ხელისუფლების ორგანოებსა და არც საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) აპარატს არ მიუღია რაიმე შეტყობინება გაუჩინარების თაობაზე ისეთ გარემოებებში, როდესაც არსებობდა საფუძველი, ეჭვი მიეტანათ მასში სამართალდამცავი ორგანოების ან უშიშროების ძალების მონაწილეობაზე.

## § 2. მკვლელობების ადრინდელი პრევენციის ზომები

მკვლელობების თავიდან აცილების სისტემაში წამყვანი ადგილი უკავია როგორც სიტუაციური, ასევე დევიანტური ქცევის პროფილაქტიკას – ადრინდელი პრევენციის ზომებს. განმეორებითი მკვლელობა არის წვრილმან დარღვევათა, ხანგრძლივი დაძაბულობის, კონფლიქტური პიროვნების ჩამოყალიბების შედეგი. მკვლელობის ჩადენას წინ უძღვის გარკვეული დევიაციის მდგომარეობა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებისას. [85]

დევიაციის პროფილაქტიკა მრავალსაფეხურიანი სისტემაა. პირველ საფეხურზე გამოიყოფა ის ზომები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ძალადობისაკენ მიდრეკილების ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული ზომები განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როდესაც ისინი გამოიყენება მცირეწლოვანთა და არასრულწლოვანთა მიმართ. [45, 130]

პრევენტული ზომები უშუალოდ შეეხებიან იმ გარემოს (ოჯახში, სკოლაში, ქუჩაში და ა.შ.), სადაც ყალიბდება დევიანტური ქცევა. ამ მიმართულებით კრიმინოფამილისტიკური გამოკვლევები გამოყოფენ პროფილაქტიკურ ზემოქმედებას იმ ოჯახებზე, რომლებშიც ურთიერთობების კონფლიქტური ხასიათი განპირობებულია ფსიქიკური შეუთავსებლობით ან მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების საშუალებების ანტაგონიზმით [78][84, 45]. კონფლიქტური ოჯახების მიმართ განხორციელებული პროფილაქტიკა მიზნად ისახავს ოჯახში არსებული კონფლიქტურობის ნეიტრალიზაციას.

როგორც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში არსებული პრევენტული პრაქტიკა გვიჩვენებს ასეთ ამოცანას ახორციელებენ რესოციალიზაციის სამსახურები რეგიონალურ სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, რომლებიც ასრულებენ მეზობლების, ახლობლების, მეგობრების გამოკითხვებს, აანალიზებენ ოჯახური კონფლიქტების შესახებ შემოსულ სიგნალებს, კოორდინაციას უწევენ კონფლიქტურ ოჯახებთან მუშაობის ზომებს და ა.შ. ძალადობისაკენ მიდრეკილი პირის მოტივების დადგენის მიზნით კონფლიქტური ოჯახების წევრებს ხვდებიან ფსიქოლოგები და სოციოლოგები. განსაკუთრებული როლი

ენიჭება ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს, დიაგნოსტირებას, კონფლიქტური პირის ინტერესების დადგენის გათვალისწინებას, თვითშეგნების ამაღლებას და ა.შ., რადგან ოჯახში ხანგრძლივი ხასიათის კონფლიქტი, ხშირად, სხვებისაგან დამალულ ხასიათს ატარებს. [108]

მკვლელობებთან მიმართებაში ვ. ფოქსი სთავაზობს რესოციალიზაციის სამსახურებს საწყისი მონაცემების ძებნის პროგრამას, რომელშიც განსაზღვრულია ფსიქიატრიული კონსულტაციები, სპეციალური რეკომენდაციები, პათოლოგიური ორიენტაციის შეცვლის მეთოდიკა და სხვ [189, 253]. ანალოგიური ძებნის პროგრამა განხილულია ვ. კუდრიავცევის მიერ. მისი აზრით მნიშვნელოვანია შრომისადმი დამოკიდებულება, სამუშაო (სწავლის) ადგილის დახასიათება, კავშირები სამართალდამრღვევ პირებთან და სხვ. [67, 176]

პროფილაქტიკის ძირითადი ამოცანაა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტორების გამოვლენა და მათზე პრევენტული ღონისძიებების გამოყენება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბავშვო ასაკში აგრესიულობის გამოვლენა და სათანადო აღმზრდელობითი ზომების მიღება. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბავშვო ასაკში აგრესიულობის განვითარების ფსიქოლოგიური დიაგნოსტირება [147, 72-80]. თვით სამართალდამრღვევის ინტერესების გათვალისწინება [1, 82][134]. ნებისყოფისა და მოთხოვნილების აღზრდის ფორმირება თვითშეგნების ამაღლების პირობაა [60][165, 73]. მართლწესრიგისათვის შესაბამისი მიზნის, მოტივის შემუშავება და გენერალური ქცევის დადგენა. [9, 64][158]

ფსიქოლოგიური დიაგნოსტირების გარდა ადრინდელ პროფილაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოცილური ხასიათის ღონისძიებებს. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით, გამოყოფენ მშობლის მიერ ბავშვის აღზრდისათვის დროის ორგანიზაციის საკითხს [187, 215], სოციალურ–მზრუნველ მუშაკთა და მეუღლეთა ერთობლივ მონაწილეობას კონფლიქტური ბავშვების აღზრდაში [192, 430], სოციალური რეაბილიტაციის კომუნების არსებობის ფაქტი [126] მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა ოჯახური ვითარების გათვალისწინებას. [33, 145]

ადრინდელი პრევენციის ზომათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება სკოლის პედაგოგების მუშაობაში და მოსწავლეთა ურთიერთობებში ძალადობის გამოვლენასა და აღმოფხვრას [187, 206-207]. ამ მიმართულებით აშშ-ში ძალადობის პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა სპეციალურად ითვალისწინებს სკოლებში რეგულარულ სწავლებას. აღნიშნული პროგრამა ეხება მოსწავლეებში სექსის პრობლემებისადმი, უცხოური ფილმების, მოზრდილების «რჩევებისა» და სხვა უარყოფითი ინფორმაციისადმი კრიტიკული დამოკიდებულების განვითარებას, პედაგოგების აგრესიული დამოკიდებულების აღკვეთას, მოსწავლეთა დაპირისპირებას პედაგოგიური კოლექტივისადმი და სხვა. პროგრამის ამოცანებს წყვეტს ფსიქოლოგების, სექსოპათოლოგების, სოციოლოგების და იურისტების მიზანდასახული მუშაობა [163, 5] პოზიტიური მოტივების ფორმირების მიზნით სოციალური პროგრამები ითვალისწინებენ დევიანტების ჩაბმას სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში. [114]

სიტუაციური მკვლელობების აღსაკვეთად მნიშვნელოვანია იმ კრიმინოგენური სიტუაციის ნეიტრალიზაცია, სადაც მოსალოდნელია ძალადობითი დანაშაულობა. ამ მიმართულებით კრიმინოლოგიაში დასახულია შემდეგი სახის ღონისძიებები, კერძოდ: შს ორგანოებში არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების სამსახურის აღდგენა, განმტკიცება და ავტორიტეტის ამაღლება; შესაბამისი სტრუქტურების (არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო, სამხარეო და ადგილობრივი კომისიების) ამოქმედება და მუშაობის ეფექტიანი ორგანიზაცია; ნორმატიული აქტებისა და სპეციალური მეთოდური ლიტერატურის მომზადება; შესაბამისი სტრუქტურების (არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო, სამხარეო და ადგილობრივი კომისიების) ამოქმედება და მუშაობის ეფექტიანი ორგანიზაცია; შს სამინისტროს სახელმწიფო ორგანოებთან (განათლებისა და იუსტიციის სამინისტროებთან, პროკურატურასთან, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტთან, სამთავრობო კომისიის საკოორდინაციო ცენტრთან, ფსიქიატრიისა და ფსიქოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთან და სხვ.) და არასამთავრობო ორგანიზაციებთან («ბავშვის დაცვის ლიგა»-სთან, «საქართველოს ბავშვები»-ს, «ალგეთი»-ს და ა.შ.) საქმიანი კონტაქტების განმტკიცება; ქალაქების ბაზრობებზე, სადგურებში, ღამის

ბარებსა და კაზინოებში, ახალგაზრდობის მასობრივი თავშეყრის და სხვა ადგილებში რეიდების, პრაქტიკული, ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების ორგანიზაცია; ოპერატიული ვითარების რეგულარული ანალიზი, პროგნოზი და რეკომენდაციების შემუშავება; ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებთან და სამსახურებთან კონტაქტები, პრაქტიკული დახმარების ორგანიზაცია; ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის ორგანიზაცია არასრულწლოვანთა და სტუდენტთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გახსნის მიზნით; სტუდენტების მონაწილეობა არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში ე.წ. ქუჩის ბავშვებთან მუშაობის მიზნით და სხვ. [50, 94-98]

აშშ-ს კრიმინოლოგთა აზრით ქუჩურ ბანდებში მკვლელობების ხშირი გავრცელება წარმოშობს სპეციალური ზომების გამოყენების აუცილებლობას, კერძოდ, ჯგუფებში ოპერატიული მუშაობის გაძლიერებას და მათზე სრულყოფილი ინფორმაციის მოგროვებას. [166, 78-87][188, 1-4]

“რისკის ზონაში” მყოფი პირების (ლოთების, ნარკომანების, მეძავების, მაწანწალების და სხვ.) ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი აგრესიულობა, კონფლიქტურობა, ურთიერთობების დაძაბულობა წარმოშობს იმ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობას, რომლებიც ანეიტრალებენ სიცოცხლის მოსპობის დადგომის ალბათობას.

აღნიშნულ ზომათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნარკომანიის თავიდან აცილების ზომებს. ნარკომანიასთან წინააღმდეგ ბრძოლის 1998-2000 წლებისათვის შემუშავებული პროგრამის მიხედვით პრევენტულ ზომებს მიეკუთვნება: ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, მათი ანალოგებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფა და რეგულირება, მათი დადგენილი წესით ბრუნვის სისტემატიზაცია; ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სისტმების განვითარება და სრულყოფა; ნარკომანიის მიმართ საზოგადოებაში აქტიური ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და საზოგადოებრივი აზრის ფორმირება; ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკული საშუალებების,

ფსიქოტროპული ნივთიერებების და მათი ანალოგების, პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში სამართლებრივი ორგანოების გააქტიურებას და მათ აღჭურვას სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით; ნარკომანიის პრევენცია მოსახლეობაში, განსაკუთრებით არასრულწლოვანებსა და ახალგაზრდებში სამედიცინო-პროფილაქტიკური, საინფორმაციო-საგანმანათლებლო აქტივობის მიზნით; უწყებათაშორისო კორდინაციის მყარი საფუძვლის შექმნა და მისი ეფექტიანი მართვა; საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება; საყოველთაო ანტინარკოტიკული კონტროლის შემოღება ცენტრალურ, რეგიონალურ და რაიონულ (სამოქალაქო) დონეზე; ეპიდომოლოგიური კვლევების საფუძველზე პრევენტული და სამკურნალო ღონისძიებების ეფექტურობის კრიტერიუმების დადგენა; ექსპერტიზისა და ნარკომანთა რეგისტრაციის სისტემის შექმნა [157]. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ნარკომანათა მიერ ჩადენილი მკვლელობების ანალიზმა დასახა პრევენტული ზომების ორი მიმართულება: 1) ნარკომანათა კავშირების დადგენა მკვლელობების შეკვეთის გამოძიებისას და 2) საზოგადოებრიობის მონაწილეობის აქტივიზაცია «პოტენციური» ნარკომანების გამოსავლენად. [44, 219][80, 272-273]

ადრინდელი პრევენციის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მედიკო-ფსიქოლოგიურ ზომებს, რომლებიც განსაკუთრებით ითვალისწინებენ ასაკობრივ ფაქტორს. როგორც აღნიშნავენ ადრეული მოზარდობის ფაზა იწყება პუბერტული პერიოდიდან, დაახლოებით 10-11 წლიდან გოგონებში და 12-13 წლიდან ვაჟებში. ძირითადად გამოხატულია სწრაფი ზრდა-განვითარება. მოზარდი ცდილობს დაეწიოს თავის ცვლილებს გარეგნობაში და მოახდინოს კონტროლი მის სწრაფად მზარდ ორგანიზმზე. ამ ასაკში სხეულის იმიჯი განისაზღვრება ისე, როგორც მას წარმოუდგენია საკუთარი თავი. ეს ყოველთვის იგივე არ არის, რაც სარკეში მიღებული სხეულის გამოსახულება, არამედ მოიცავს ინდივიდის სუბიექტურ გრძნობებს საკუთარი სხეულის შესახებ. სხეულის იმიჯი აყალიბებს საკუთარ იმიჯს მოგვიანებით პერიოდში. [152, 114]

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ოპერატიული აზროვნების ფორმირება, რაც არის კოგნიტური განვითარების საბოლოო ეტაპი. ყალიბდება აზროვნების ანალიზის და სინთეზის უნარი. როცა მოზარდები აანალიზებენ, რომ დრო მიდის და

ისინი იწყებენ გეგმების ჩამოყალიბებას მომავლისთვის, სახავენ გზებს ამ მიზნის "ცხოვრების აზრის" მისაღწევად. მეგობრობა ამ პერიოდში წინა პლანზეა წამოსული. ასევე იზრდება ინტერესი საპირისპირო სქესისადმი. ამ პერიოდში ეს ურთიერთობები ნაკლებადაა დაკავშირებული ემოციებთან. [152, 115]

იცვლება დამოკიდებულება ოჯახის მიმართაც. მოზარდი ამ პერიოდში ცდილობს უფრო მეტად იყო შესამჩნევი გარშემომყოფთათვის, ამჟღავნებს საკუთარ თავს და ცდილობს საკუთარი აზრები იყოს დაფასებული ოჯახის მხრიდან.

შუა მოზარდობის პერიოდი: ამ ფაზას მიეკუთვნებიან პირები 15-დან 18-წლამდე. ეს ეტაპი ხასიათდება ემოციური ლაბილობით, სოციალური იდენ-ტურობით და კონფლიქტით ავტორიტეტულ პირებთან. მეგობრობის ფორმა იცვლება. თანატოლთა (Peer) ჯგუფები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს მოზარდის განვითარებაში. ემოციური ლაბილობა აისახება ყველასთან მიმართებაში. ამ პერიოდს ახასიათებს ლეგენდარული რომანტიული სიყვარული და დანაკარგის ტკივილი. ძლიერდება მიჯაჭვულობა მეგობრებთან, მშობლები თავს გრძნობენ უარყოფილად და რაღაც ეტაპზე შეიძლება ხელიც კი შეუშალონ შვილების მეგობრობას. ამ კონფლიქტურ პირობებში მოზარდი ცდილობს დაამტკიცოს საკუთარი დამოუკიდებლობა და თავისი ინდივიდუალურობა მშობლების თუ მეგობრების წინაშე. [152, 114]

შემდგომი პერიოდი: ეს ფაზა მოიცავს 19 წელსა და ზევით ასაკობრივ ჯგუფის პირებს. სოციალურ-კულტურული ფაქტორები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ამ ფაზისათვის დამახასიათებელი ნიშნების განვითარებაში.

უკანასკნელი ფაზა ხასიათდება იდენტურობის გადაწყვეტით და სენსიტიურობის განვითარებით. მეტაფორულად მოზარდი თავს უყრის გამოცდილებას, ცოდნას, ინფორმაციას და ფასეულობებს. ეს არის ყოველი ინდივიდისთვის პასუხი კითხვაზე "ვინ ვარ მე?" როდესაც იდენტურობის ფორმირება დასრულებულია მოზარდს გააჩნია საკუთარი ფასეულობები, რაც მას განუმეორებელს ხდის.

გვიანი მოზარდობა ეს არის პერიოდი, როცა ისინი შედიან მჭიდრო კონტაქტში მომავალ საქმიანობასთან. ეს არის მომავლის დაგეგმარების, აქტივობისა და

იდეოლოგიების განსაზღვრის პერიოდი. იდენტურობის ფორმირების ჩავარდნა იწვევს ფსიქოლოგიურ დარღვევას, რაც გამოიხატება იდენტურობის დაკარგვით, რაც კლინიკურად შეიძლება გამოიხატოს მრავლობითი ფსიქიკური დარღვევის სიმპტომებით მსუბუქი დეპრესიიდან დაწყებული მწვავე ფსიქოზური მდგომარეობით დამთავრებული.

მოზარდთა პერიოდის ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, კლინიკური თავისებურებანი. მოზარდებისათვის დამახასიათებელია ღრმა ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარების ცვლილებები. მოზარდობა სწრაფი ტრანსფორმაციისა და ასევე მომატებული რისკისა და დისფუნქციის პერიოდია. ეპიდემიოლოგიური კვლევების საფუძველზე მოზარდთა დაახლოებით 20%-ს აღენიშნებათ გამოხატული გონებრივი დარღვევები. ვლინდება სარისკო ქცევა, ხშირია დეპრესიული დაავადებები, რაც ხშირად დაკავშირებულია დანაშაულებრივ ქცევასთან.

მოზარდობის პერიოდში ხორციელდება გენეტიკურად დეტერმინირებული ორგანიზმის განვითარების პროგრამის რეალიზაცია, კონსტიტუციური ტიპის ჩამოყალიბება. ასევე მორფოლოგიური და ფუნქციონალური სტრუქტურების, რეპროდუქტიული სისტემების და შესაბამისი სექსუალური ქცევის ჩამოყალიბება. წამყვანია ზრდის ნახტომი, შესაბამისი ნეიროენდოკრინული ცვლილებებით. ამ პერიოდში მიმდინარეობს სისტემებისა და ორგანოების ჰეტეროქრონიკული, არათანაბარზომიერი განვითარება, რასაც თან ახლავს შინაგანი [152, 116] ორგანოების ჰორმონული, ნეიროგენული და ვეგეტატიური მარეგულირებელი სისტემების არასტაბილურობა. სწორედ ამ პერიოდში ვლინდება ისეთი პათოლოგიები როგორებიცაა დისტონიები, დისკინეზიები და რეფლუქსები, სომატური და ფსიქიკური მოსაზღვრე მდგომარეობანი, პუბერტატული პერიოდისათვის სპეციფიკური დაავადებები (ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერპლაზია, იუვენილური შაქრიანი დიაბეტი, ოსტეოქონდროპათიები, ცვლილებები კანზე და სხვ). მოზარდობის პერიოდში ვლინდება ფსიქოქარაქტეროლოგიური თა-ვისებურებები, ყალიბდება ქცევის სტერეოტიპები.

ფიზიკურად გაზრდილი და სქესობრივად მომწიფებული მოზარდები თავს უკვე დიდებად თვლიან და ცდილობენ გახდნენ დამოუკიდებლები, რასაც, ბუნებრივია, მშობლების მხრიდან წინააღმდეგობა ხვდება და იწყება კონ-ფლიქტი. ოჯახში იცვლება ურთიერთობები, მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ შვილების პრობლემები როდია. ხშირად მოზარდობის, სიჭაბუკის პერიოდს ემთხვევა მშობლების ე.წ ,,საშუალო ასაკის კრიზისი'', როცა ადამიანი იწ-ყებს განვლილი ცხოვრების შეფასებას და აცნობიერებს, რომ აწმყოდ იქცა დრო, რომელშიც უმთავრესი მიზნებისა და გეგმების განხორციელება ჰქონდა განზრახული. ხშირ შემთხვევაში კი მშობლები საკუთარი განუხორციელებელი გეგმების განხორციელებას მიზნად უსახავენ საკუთარ შვილებს მოზარდობის პერიოდში, რაც ზრდის მოთხოვნებს საკუთარი შვილისადმი და აძლიერებს მოზარდის აგრესიულობასა და დეპრესიას.

სოციალური სფერო. გარდამავალი ასაკის ძირითად სირთულედ მიიჩნევენ კონფლიქტს მშობლებთან და სხვა უფროსებთან, რომლებიც მოზარდთა დამოუკიდებლობისა და ავტონომიისაკენ სწრაფვას ეწინააღმდეგებიან. როგორც ირკვევა, არც მოზარდთა ემოციური გაუწონასწორებლობა და არც უფროსებთან კონფლიქტი არ წარმოადგენს განვითარების აუცილებელ ატრიბუტს. მოზარდების დიდი ნაწილი მოზრდილებთან მშვიდობიან და კეთილგანწყობილ ურთიერთობას ინარჩუნებს.

ავტონომიის განსაზღვრაში ძირითადი აქცენტი კეთდება უფროსების ზეგავ-ლენისგან განთავისუფლებაზე, მაგრამ შეუძლებელია, რომ გარდამავალ ასაკში ადამიანი არ იყოს მათზე დამოკიდებული. სრული თავისუფლება არც მოზარდებისთვის არის ხელსაყრელი, რადგან აფრთხობთ პასუხისმგებლობა, რომელიც დამოუკიდებლობას ახლავს თან.

აბსტრაქტული აზროვნების ჩამოყალიბების საფუძველზე იწყება თვითშემეცნების რთული პროცესი, პასუხის ძიება კითხვებზე «ვინ ვარ?", «როგორი ვარ?" გამუდმებული დაკვირვება საკუთარ თავზე და იდეალებთან შედარება. პარალელურად, მოზარდები სხვათა შეცნობას, სხვების აზრის წვდომასაც ცდილობენ.

საკუთარი ფიზიკური ცვლილებების მიმართ გააქტიურებული ყურადღება მოზარდებში გარკვეულწილად ეგოცენტრიზმის გაძლიერებას იწვევს. მათ მიაჩნიათ, რომ მათი ქცევა ისევე საინტერესოა გარშემომყოფთათვის, როგორც მათთვის. მოზარდებს პატარებზე ბევრად მეტად აინტერესებთ, რას ფიქრობენ მათზე სხვები – ისინი თითქოს გამუდმებით სცენაზე არიან წარმოსახვითი მაყურებლის წინაშე და თავს ახალ-ახალ როლებში სცდიან. 15-16 წლისათვის ასეთი ეგოცენტრიზმი კლებულობს: ხვდებიან, რომ ადამიანთა უმრავლესობა არ არის დაინტერესებული მათი პიროვნებით და ისინი არც ისე უნიკალურები და განსაკუთრებულები არიან, რომ საყოველთაო ყურადღებას იმსახურებდნენ.

გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებით იზრდება თანატოლთა ჯგუფების მნიშვნელობა. ფიზიკური, ემოციური და სოციალური ცვლილებებით გამოწვეულ პრობლემებთან გასამკლავებლად მათ თანაგრძნობა და მხარდაჭერა ესაჭიროებათ. ამას კი ბუნებრივია, იმათთან ეძებენ, ვისაც მსგავსი პრობლემები აწუხებს, ანუ თანატოლებთან [152, 117]. თანატოლთა წრე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოზარდის სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაში. ამ წრეში არსებული თანასწორუფლებიანი ურთიერთობები ხელს უწყობს სოციალური კომპეტენციის ჩამოყალიბებას. მოზარდები, რომლებიც ერთი შეხედვით ყოველგვარ ნორმებს და წესებს აპროტესტებენ, საკმაოდ მკაცრად იცავენ თანატოლთა ჯგუფებში არსებულ ნორმებს. აქ სწავლობენ ჯგუფისადმი სოლიდარობას, ჯგუფში აღიარებული წესების დაცვას და ჯგუფში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას.

ფსიქოლოგების აზრით ზრდასრული ადამიანების მხოლოდ 40%-ს აქვს ე.წ გაწონასწორებული ხასიათი. ეს არის მოქნილი, სტრესულ სიტუაციაში მდგრადი, ზომიერად მგრძნობიარე ხასიათი შფოთვის დაბალი დონით. მოზარდებს შორის ასეთი გაწონასწორებული ხასიათი მხოლოდ 5%-ს აქვს. ამდენად, ადამიანთა უმრავლესობას აქვს არა გაწონასწორებული, არამედ აქცენტუირებული ხასიათი. ეს არის არა ნორმიდან გადახრა, არამედ ნორმის უკიდურესი ხასიათი, რომლის დროსაც ხასიათის ესა თუ ის თავისებურება მკვეთრად არის გამოხატული, უფრო თვალშისაცემია.

აქცენტუირებული ხასიათის მქონე ადამიანი გადაჭარბებულად მგრძნობიარეა ზოგიერთი ფაქტორის მიმართ. მაშინ როცა სხვა, თუნდაც პრობლემური ფაქტორებისადმი სიმყარეს ავლენს. შესაბამისად, ერთსა და იმავე სიტუაციაში ზოგიერთი ადამიანი კარგად და მშვიდად გრძნობს თავს, ზოგი კი იბნევა, ღელავს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი არანორმალურია.

გამოყოფენ მოზარდთა ხასიათის აქცენტუაციის სხვადასხვა ტიპებს, თითოეულ ტიპს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ე.წ. „სუსტი წერტილი", რაც იმას ნიშნავს, რომ ხასიათის თავისებურებების გამო გარკვეულ სიტუაციში მოზარდი თავს ცუდად გრძნობს, იქცევა არაადეკვატურად. ერთი შეხედვით მშობლებისათვის თითქოს უმტკივნეულო მიმართვამ, შენიშვნამ ან ქცევამ შესაძლოა გამოიწვიოს მოზარდის დეპრესია, პროტესტი, გაღიზიანება. თუმცა ხასიათის აქცენტუაციის გათალისწინებით მოზარდები შესაძლოა ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რაც მათ კარგად გამოსდით. მნიშვნელოვანია მათ ასაკობრივი სირთულეების დაძლევაში დავეხმაროთ.

ჰიპერთიმული მოზარდები ხალისიანი გუნებგანწყობით გამოირჩევიან, იზიდავთ ახალი ურთიერთობები, უჩნდებათ სურვილი მოსინჯონ საკუთარი ძალები ახალ სიტუაციაში, უყვართ რისკი და თავგადასავლები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ასეთმა მოზარდებმა შეიძლება თანატოლებზე ადრე დაიწყონ ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მიღება, სექსუალური აქტივობა. მათ გამძაფრებული აქვთ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, ენერგიულობისა და ხალისიანობის წყალობით ადვილად იკავებენ ლიდერის ადგილს თანატოლთა ჯგუფში.

ციკლოიდური ტიპი ბავშვობაში ხშირად ჰიპერთიმულს წააგავს. მხოლოდ გარდატეხის ასაკში იწყება პერიოდული უგუნებობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია აპათიურობა, უხალისობა, გულს ვერაფერს უდებენ, უჭირთ მეცადინეობა, აღიზიანებთ ხალხთან ურთიეთობა, თანატოლებსაც თავს არიდებენ. ყველაფერს პესიმისტურად აღიქვამენ. საყვედურმა ან უმნიშვნელო წარუმატებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს დეპრესია ან მძაფრი აფექტური რეაქცია თვითმკვლელობის მცდელობით.

ლაბილური ტიპის მოზარდები ბავშვობაში არ გამოირჩევიან თანატოლებისაგან, ამ ტიპის ბავშვებისათვის დამახასიათებელია გუნებგანწყობის მკვეთრი და ხშირი ცვალებადობა. მათ ახარებთ და სტიმულს მატებთ ყოველგვარი [152, 118] ყურადღების გამოვლენა, საყვედურებს და გაკიცხვას ძალიან მტკივნეულად განიცდიან. სერიოზულმა პრობლემებმა, ფსიქიკურმა ტრავმებმა შეიძლება მძიმე ნევროზული რეაქციები გამოიწვიონ.

ფსიქასთენიური ტიპისათვის კრიტიკულია სკოლაში სწავლის დაწყება, როცა იზრდება პასუხისმგებლობა, ძლიერდება შფოთვა, სიძნელეების და წარუმატებლობის შიში. ამიტომაც ისეთმა კრიტიკულმა სიტუაციამ, როგორიცაა გამოცდები შესაძლებელია გამოიწვიოს სულიერი წონასწორობის დაკარგვა. ამ ტიპის მოზარდებში შესაძლებელია გამოვლინდეს ისეთი პათოლოგიური ქცევა, როგორიცაა სახლიდან გაქცევის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღების, თვითმკვლელობის მცდელობის სურვილი.

შიზოიდური (აუტისტური) ტიპის მოზარდებისათვის დამახასიათებელია გარიყულობა და ჩაკეტილობა. ხშირად მათი გატაცებები გამოირჩევა უჩვეულობით, ხშირია ინტელექტუალ-ესთეტიკური ჰობი, მაგრამ გატაცებები ყველასგან დამალულია.

ეპილეპტოიდური ტიპის მოზარდებისათვის დამახასიათებელია მუდმივი ჭირვეულობა, ზოგჯერ ისინი სისასტიკეს იჩენენ, აწვალებენ ცხოველებს, თავისზე პატარებს და სუსტებს. თანატოლებთან ურთიერთობაში ცდილობენ მოიპოვონ ძალაუფლება, დაამყარონ ჯგუფში თავიანთი წესები.

ისტეროიდული (დემონსტრატიული) ტიპის მთავარი დამახასიათებელია ყურადღების ცენტრში ყოფნის დაუცხრომელი სურვილი. გარდატეხის ასაკში თანატოლების ყურადღების მისაპყრობად ხშირად მიმართავენ წესრიგის დარღვევას, შეიძლება იტრაბახონ, რომ ბევრს სვამენ ან ნარკოტიკებს იღებენ, მაგრამ ეს მხოლოდ შთაბეჭდილების მოსახდენად კეთდება.

არამდგრადი ტიპი ბავშვობიდანვე გამოირჩევა მოუსვენრობით, მშიშარაა, მუდმივად თვალ-ყური ჭირდებათ. ასეთი ტიპის მოზარდები არ გამოირჩევიან

სკოლაში სწავლის სურვილით, არ უნდათ რაიმე მოვალეობის შესრულება. განსაკუთრებით მიილტვიან სიამოვნების მიღებისაკენ.

მოზარდობის პერიოდშივე ისწრაფვიან მძაფრი განცდებისა და შთაბეჭდილებისაკენ. ამ მიზნით შეიძლება ალკოჰოლს ან ნარკოტიკებსაც მიმართონ, წესრიგის დარღვევა ან წვრილმანი სამართალდარღვევებიც უფრო გართობის მიზნით ხდება.

კონფორმული ტიპისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია გარემოს გადაჭარბებული კონფორმულობა. კარგ გარემოში ყალიბდებიან დადებით, შემსრულებელ პიროვნებებად, ხოლო ცუდ წრეში თანდათან ითვისებენ ამ წრისათვის დამახასიათებელ ქცევებსა და მანერებს.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ხასიათის აქცენტუაციის საფუძველზე ნარკოტიკების მომხმარებისათვის მოტივაცია უპირატესად გამოხატული აქვთ ჰიპერთიმულ, ფსიქასთენიურ, ისტეროიდული და არამდგრადი ქცევის ფსიქოლოგიური ტიპის მოზარდებს.

გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი გამძაფრებული ცნობისმოყვარეობა, (4, 11, 12) ხასიათის პარადოქსულობა, ეგოცენტრიზმი, ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნილება, მძაფრი შთაბეჭდილებებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, პრობლემებთან გამკლავებისა და ადაპტაციის არასაკმარისი უნარი მოზარდს ბევრ სირთულეს უქმნის. ეს სირთულეები იწვევენ შფოთვას, დაძაბულობას, დაურწმუნებლობის გრძნობას და შინაგანი [152, 119] წონასწორობის დაკარგვას. ამ უსიამოვნო განცდებისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება გამოყენებული იყოს ფსიქოაქტიური ნივთიერება, რასაც შემდგომში ადიქტიური ქცევის ჩამოყალიბება მოყვება.

ადიქტიური ქცევა მავნე ჩვევების ნაირსახეობას წარმოადგენს. ეს არის, ერთგვარი ჩამოყალიბებული სტერეოტიპი, რომელიც განმტკიცებულია მრავალჯერადი განმეორებით. ჩვევა შეიძლება იყოს სასარგებლო, უსარგებლო და მავნე. თუ მავნე ჩვევა სტაბილურია, მყარია, ძნელად კორექტირდება, ზიანს აყენებს თავად პიროვნებას და ირგვლივმყოფებს, საქმე გვაქვს პათოლოგიასთან.

ადიქტური ქცევის არსი იმაში მდგომარეობს, რომ რეალობისაგან გასვლის მიზნით, ადამიანები ცდილობენ ხელოვნური გზით შეცვალონ თავიანთი ფსიქიკური მდგომარეობა, რაც მათ უსაფრთხოების, შინაგანი წონასწორობის აღდგენის ილუზიას უქმნის. ფსიქიკური მდგომარეობის შეცვლა ხდება ქიმიური ნივთიერებების მიღებით ან გარკვეულ საქმიანობაზე ყურადღების მუდმივი გადატანით, რასაც თან ინტენსიური ემოციური რეაქცია ახლავს. ადიქტიური მექანიზმით გუნება-განწყობის შეცვლის სურვილი კმაყოფილდება სხვადასხვა ადიქტიური აგენტების საშუალებით. ასეთ აგენტებს მიეკუთვნება: 1) ნივთიერებები, რომელიც ცვლიან ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობას. ფსიქოაქტიური ნივთიერებები (ალკოჰოლი, ნარკოტიკები, მედიკამენტები, ტოქსიკური ნივთიერებები); 2) ქცევის (საქმიანობის) სხვადასხვა ფორმები – აზარტული თამაშები, კომპიუტერი, სექსი, სამსახური, რიტმული მუსიკის მოსმენა, ბევრი ჭამა ან შიმშილობა და ა.შ.

ნებისმიერი ტიპის დამოკიდებულების დროს ეს წამალთდამოკიდებულებაა თუ ქცევითი დამოკიდებულება, არსი ერთი აქვს: ადამიანს არ შეუძლია, უარი თქვას დამოკიდებულების ობიექტზე (კონტროლის დაკარგვა, თავის შეკავების შეუძლებლობა); ადამიანი ცდილობს, დამალოს ან შეარბილოს თავისი მდგომარეობის სერიოზულობა; უფასურდება სხვა ინტერესები-ადამიანის ინტერესების სფერო თანდათან ვიწროვდება და ბოლოს მხოლოდ დამოკიდებულების ობიექტით შემოიფარგლება.

დამოკიდებულება არის რეალურობისაგან გაქცევისა და მისი მიღწევის საშუალებებზე მუდმივი ფიქრის მდგომარეობა, რასაც ადამიანის დროისა და ენერგიის უდიდესი ნაწილი მიაქვს, ასეთი ინდივიდების შიგნით მეორე „ადიქტიური პიროვნება" ცხოვრობს, რომელსაც თავისი საკუთარი ლოგიკა, ემოციები, ღირებულებები და ფსიქოლოგიური დაცვის სისტემა გააჩნია.

რეალობიდან გასვლა ძლიერ ემოციურ განცდებთან არის დაკავშირებული. თუკი ადამიანი ერთხელ წამოეგო „ემოციურ სატყუარას", მერე მისი მართვა ძალიან ადვილი ხდება. ფაქტიურად დამოკიდებულია არა პრეპარატზე, არამედ ემოციაზე. [152, 119]

11-14 წელი – ნარკოტიკების შესახებ ამ ასაკობრივ ჯგუფში საკმაოდ ბევრი იციან. ინფორმაციის ძირითად წყაროს თანატოლები წარმოადგენენ, ნარკოტიკების მიმართ განწყობა უფრო პოზიტიურია, რომელსაც თან ახლავს გარკვეული "მომხიბვლელობა". ამ ასაკში უფრო ხელმისაწვდომია საყოფაცხოვრებო ქიმიური ნაწარმი და მედიკამენტები (ბენზინი, წებო, აცეტონი, დამამშვიდებლი აბები).

14-17 წელი – ყველაზე კრიტიკული ასაკია ნებისმიერი ფსიქოაქტიური ნივთიერებებით ექსპერიმენტირების დაწყების თვალსაზრისით. რაც ხშირად ხდება დისკოთეკებზე, ახალგაზრდულ წვეულებებზე, ღამის კლუბებში. მოზარდების დიდ ნაწილს აქვს საკუთარი გამოცდილება ნარკოტიკების მოხმარების მიმართ.

ნარკომანიის გავრცელება დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებულ კრიზისზე, იმაზე თუ როგორია აღზრდის ხარისხი, საზოგადოებრივი ზნეობისა და სოციალური სამართლიანობის დონე, საზოგადოების უნარი მოაგვაროს სოციალური პრობლემები. მოზარდზე დიდ გავლენას ახდენს ოჯახი, სკოლა, მასობრივი ინფორმაცის საშუალებები და საზოგადოება.

ბავშვის სოციალიზაციის პირველი ინსტიტუტი ოჯახია თავისი მრავალი ფუნქციითა და სხვადასხვაგვარი სტრუქტურით. ოჯახის ფუნქცია მრავალგვარია, როგორიცაა აღმზრდელობითი, ემოციური, სულიერი ურთიერთობის, პირველადი სოციალური კონტროლის ფუნქციები და სხვა. იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოზარდის სოციალურ მომწიფებას, ერთი მხრივ მშობლებმა შვილებს უნდა შეუქმნან თბილი, მოსიყვარულე გარემო, მეორე მხრივ, უნდა შეეგუონ მოზარდის მზარდ ავტონომიას, ის ხომ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ემზადება. ამ პროცესის წარმატებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მშობლების ქცევის სტილი. მშობლების შვილებთან ურთიერთობის ოთხ ძირითად სტილს გამოყოფენ: დემოკრატიული, ავტორიტარული, ლიბერალური და ინდეფერენტული. ნათელია, რომ მხოლოდ დემოკრატიული მშობლები ინარჩუნებენ ავტორიტეტს შვილების თვალში. მხოლოდ ნდობაზე დამყარებულ კონტროლს შეუძლია უზრუნველყოს მოზარდში სიმშვიდე და საკუთარი თავის რწმენა, ექსპერიმენტების მოყვარულ მოზარდებს შეუძლიათ წარუმატებლობის

შემთხვევაში მშობლებთან მსჯელობა თავიანთ პრობლემებზე, მიიღონ მხარდაჭერა და აღიდგინონ სულიერი წონასწორობა.

სკოლა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებასა და განვითრების პერსპექტივაზე. სკოლას მრავალგვარი ფუნქცია აკისრია: ცოდნის გადაცემა, კულტურული და მორალური ღირებულებების ჩამოყალიბება, სოციალური ადაპტაციისა და პიროვნული ზრდის ხელშეწყობა. სკოლა ის ადგილია, სადაც თანატოლთა გარემოცვაში მოზარდი სხვადასხვა ქცევების მოსინჯვასა და ექსპერიმენტირებას იწყებს (მათ შორის ნარკოტიკების გასინჯვასაც); ხოლო მეორე მხრივ სკოლა ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის უნიკალურ საშუალებას იძლევა. მოზარდის პიროვნული ზრდისა და სოციალური მომწიფების ხელშეწყობა ადიქტიური ქცევის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. [152, 122]

ადრინდელი პრევენციის ზომებს მიეკუთვნება პედაგოგიური საქმიანობის სრულყოფა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ ურთიერთობის სტილი და ხელმძღვანელობა არსებითად განსაზღვრავს სწავლებისა და აღზრდის ეფექტურობას, პირველი ექსპერიმენტული კვლევები ხელმძღვანელობის სტილის საკითხებზე ჩატარებულ იქნა 1938 წელს გერმანელი ფსიქოლოგის კურტ ლევინის მიერ. აქვე მოყვანილი იყო დღეისათვის გავრცელებული მმართველობის სტილის კლასიფიკაციაც, რომელიც კვალიფიცირდება ავტორიტარულ, დემოკრატიულ და მიმნებებლურ სტილად.

ხელმძღვანელობის ავტორიტარული სტილისათვის დამახასიათებელია მკაცრი მართვა, ყოვლისმომცველი კონტროლი, მასწავლებელი ხშირად მიმართავს მბრძანებლურ ტონს, აკეთებს მკვეთრ შენიშვნებს, თვალშისაცემია უტაქტო გამოხტომები ცალკეული ჯგუფის წევრების მიმართ, ხოლო ზოგიერთების უსაფუძვლო ქება. ავტორიტარული პედაგოგი არა მარტო განსაზღვრავს სამუშაოს საერთო მიზანს, არამედ აჩვენებს შესრულების მეთოდებსაც, მკაცრად განსაზღვრავს ვინ ვისთან იმუშავებს. ასეთი მიდგომა ამცირებს მოქმედების მოტივაციას, რადგან ადამიანმა არ იცის შესრულებული სამუშაოს მიზანი და რა ელის შემდეგ. პედაგოგის ასეთი საქციელი ავტორიტარული სტილისათვის

გამოწვეულია ავტორიტეტის დაკარგვის შიშით. ავტორიტარული ლიდერი, როგორც წესი სუბიექტურად აფასებს თავის ქვეშევმრდომებს, შენიშვნებს გამოთქვამს არა შესრულებულ სამუშაოზე, არამედ შემსრულებლის პიროვნებაზე.

რაც შეეხება ხელმძღვანელობის დემოკრატიულ სტილს, აქ პირველ რიგში ფასდება სამუშაო, ხოლო შემდეგ – პიროვნება, აქ ჯგუფი აქტიურად მონაწილეობს სამუშაოს ორგანიზაციაში, სტიმულირდება თვითმმართველობა.

ხელმძღვანელობის მიმნებებლური სტილის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია საქმისაგან თავის არიდება და ყოველგვარი მომხდარისაგან პასუხისმგებლობის მოხსნა. როგორც ექსპერიმენტებმა აჩვენა ეს სტილი ხასიათდება სამუშაოს მცირე მოცულობით და დაბალი ხარისხით. თვით ექსპერიმენტის მონაწილენიც კი არ იყვნენ კმაყოფილი მსგავსი სამუშაოთი, მიუხედავად იმისა, რომ მათ არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ.

ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილის უპირატესობა პედაგოგიურ ურთიერთობაში დაადასტურეს შემდგომმა გამოკვლევებმა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე დაწყებითიდან უფროსკლასელებამდე:

ავტორიტარული სტილის პედაგოგები ვერ აფასებენ მოსწავლეებს ისეთი პარამეტრებით, როგორებიცაა დამოუკიდებლობა, სხვებისადმი მომთხოვნელობა, კოლექტიურობის გრძნობა, ინიციატივის გამოჩენის უნარი და სხვა. ისინი ბავშვებს აფასებენ ისეთი კრიტერიუმებით, როგორებიცაა იმპულსურობა, სიზარმაცე, უდისციპლინობა, უპასუხისმგებლობა... ასეთი შეფასებით ისინი ამართლებენ თავიანთი მკაცრი ხელმძღვანელობის სტილს.

ასევე მნიშვნელოვანია პედაგოგიური ზემოქმედების სტრუქტურის პრობლემა. გამოკვლევებით დადგენილია, რომ მაღალი დონის პედაგოგებისათვის პირველ ადგილზე დგას მოსწავლეებზე ზემოქმედების ორგანიზაციული ზომები, ხოლო დაბალი დონის პედაგოგებისათვის კი – მადისციპლინირებელი ზომები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უწესრიგობა არ არის ადამიანების მიდრეკილება. იგი წარმოიშობა სასწავლო პროცესის არასაკმარისი ორგანიზაციით. დადგენილია აგრეთვე, რომ ერთი გაკვეთილის განმავლობაში

მაღალი დონის პედაგოგი 17-ჯერ ახდენს კლასზე ზემოქმედებას მაშინ, როცა დაბალი დონის პედაგოგს ასეთი ზემოქმედების გატარება 69-ჯერ უხდება, ანუ მაღალი ორგანიზებულობის შედეგი ზემოქმედების შემცირებაში გამოიხატება. თუ დავფიქრდებით კოეფიციენტ 69-ზე ადვილი მისახვედრია, რომ დაბალი დონის პედაგოგს 45 წუთის განმავლობაში განუწყვეტლივ უწევს მოსწავლეთათვის შენიშვნების მიცემა. ნამდვილად განსაცვიფრებელია ენერგია და უარყოფითი ემოცია, რომელსაც ასეთი პედაგოგი ხარჯავს და აფრქვევს თავის ირგვლივ. ასევე დადგენილია, რომ მაღალი დონის პედაგოგის ვერბალურ რეპერტუარში 34-მდე ზემოქმედების ზომაა, ხოლო დაბალი დონის პედაგოგისა კი – სულ 24. თუ ამ ციფრებს შევაფასებთ, ზემოთ მოყვანილი სურათი მართლაც შთამბეჭდავია. 17 რეალურ ზემოქმედებაზე, გაკვეთილის განმავლობაში, მაღალი დონის პედაგოგს აქვს 34 პოტენციური შესაძლებლობა, ხოლო დაბალი დონის პედაგოგს კი პირიქით – 69 რეალურ შესაძლებლობაზე არსენალში მხოლოდ 24 ზემოქმედების ბერკეტი გააჩნია.

პედაგოგიური ურთიერთობებისა და მოსწავლეთა პიროვნებათაშორისი ფასეულობების საკითხი მნიშვნელოვანია. ძნელია ეფექტურად გადაწყვიტო პიროვნებათა შორის დამოკიდებულების საკითხი კოლექტივში, თუ ცნობილი არ არის მასში ორიენტაციის რესურსი. რეალურ ფასეულობათა შესახებ, როგორც მთლიანობაში, ისე კონკრეტული წარმომადგენლების დონეზე პიროვნებათა შორის ურთიერთობის შემაფასებელ პარამეტრებად გამოიყენება ისეთი სიმპტომები, როგორებიცაა: კეთილმოსურნეობა, გულწრფელობა, სიტყვის ერთგულება, ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა, ცოდნა, ინტელექტი, ფიზიკური ძალა, სპორტული მიღწევები, პროფესიონალიზმი.

კოლექტივში პიროვნებათა შორის ურთიერთობის საკითხი შეიძლება აყვანილ იქნეს მაღალ დონეზე მხოლოდ მაშინ, როცა ცნობილია მისი წევრების წარმოდგენა პიროვნების დადებითი სიმპტომების შესახებ. შედარებით დაბალი წონა აქვს თვისებების ისეთ ბლოკს როგორებიცაა: სწავლაში წარმატება, მრავალმხრივი ცოდნა, ინტელექტის განვითარება (შეხსენების სიხშირე – 0,18). კიდევ უფრო დაბალია შრომითი მიღწევები, შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი (შეხსენების სიხშირე – 0,11). მოსწავლეები აფასებენ თავის

თანატოლებში კეთილმოსურნეობას, გულისხმიერებას, კაცურ თვისებებს, ნებისყოფას, სიტყვის ერთგულებას. საგანგაშოა ის გარემოება, რომ ეცემა ფრიადოსნების პრესტიჟი, ხოლო მოწოდება პედაგოგისა, რომ მიბაძონ ფრიადოსნებს, კიდევ უფრო დაბლა სწევს ამ უკანასკნელთა რეიტინგს და აღრმავებს გაუცხოებას.

და ბოლოს, ანალიზის ბოლო ბლოკი დაკავშირებულია სპორტულ მიღწევებთან და ფიზიკურ ძალასთან. ასეთმა გამოვლინებებმა ვერ მიიღეს ხმების გადამწყვეტი რაოდენობა (შეხსენების სიხშირე – 0,18).

თუ ადამიანთა თვისებებს დავყოფთ 5 ჯგუფად: ა, ბ, გ, დ, ე და აქედან ა იქნება ფიზიკური ძალა და სპორტული მიღწევები; ბ – ცოდნა და ინტელექტი; გ – შრომისმოყვარეობა და პროფესიონალიზმი; დ – ნებისყოფა, ვაჟკაცობა, სიტყვის ერთგულება; ე – კეთილმოსურნეობა და გულწრფელობა.

როგორც გამოკვლევები აჩვენებენ კანონზომიერია ერთობლივი ურთიერთობები ბ და ე ერთეულებისა, ანუ ის მოსწავლეები, რომლებისთვისაც სწავლა, ცოდნა და ინტელექტი განსაზღვრავს ორიენტაციას პირად დამოკიდებულებაში, ერთდროულად აფასებენ სხვებში ისეთ თვისებებს, როგორებიცაა კეთილმოსურნეობა, გულწრფელობა, თუმცა უკუმტკიცებულება აღნიშნულისა შეუძლებელია.

საგულისხმოა „ე" და „ა" ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებაც, ანუ ის მოსწავლეები, რომლებიც საუკეთესო პირად თვისებებად მიიჩნევენ ფიზიკურ ძალას და სპორტულ მიღწევებს ერთდროულად აფასებენ ამხანაგების ისეთ თვისებებს, როგორიცაა კეთილმოსურნეობა და გულწრფელობა.

საგულისხმოა „დ" და „ა" ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებაც, აქ მოსწავლეები, რომლებიც ორიენტირებული არიან ფიზიკურ ძალაზე, ერთდროულად არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთ თვისებებს, როგორებიცაა ნებისყოფა და ვაჟკაცობა. აქ შესაძლებელია საუბარი უკუკავშირებზეც.

სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტზე, სწავლაში, მაღალი მიღწევები ნეგატიურ როლს თამაშობს პიროვნებათაშორის ურთიერთობებში, ამიტომ დაუშვებელია სხვებთან ერთად მოსწავლის ქება ან ლანძღვა. ამით, როგორც ერთ ისე მეორე შემთხვევაში, მხოლოდ ზიანი მოგვაქვს.

მოსწავლეთა პიროვნებასთან პოზიტიური დამოკიდებულება და წახალისების სისტემა მნიშვნელოვანი ფაქტორია პედაგოგიურ ურთიერთობაში, თუმცა თვით წახალისება შეიძლება იყოს, როგორც ეფექტური, ასევე არაეფექტური.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეფექტური და არაეფექტური წახალისების პროცესს. როდესაც ეფექტური წახალისება ხორციელდება სისტემატურად; თან ერთვის ახსნა-განმარტება, რისთვისაა წახალისება; მასწავლებელი დაინტერესებულია მოსწავლის წარმატებაში; მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს მიღებული შედეგების მნიშვნელობას; მასწავლებელი ადარებს მოსწავლეთა ახლანდელ და წინანდელ მიღწევებს.

თავის მხრივ არაეფექტურ წახალისებას ადგილი აქვს, თუ ხორციელდება შემთხვევიდან შემთხვევამდე; კეთდება ზოგადად; მასწავლებელი არ იჩენს ინტერესს მოსწავლეთა წარმატებაში; მასწავლებელი აღნიშნავს მოსწავლეთა მონაწილეობას ზოგადად; წახალისება გაკეთებულია იმისდამიუხედავად, თუ რა ენერგიაა დახარჯული მოსწავლეთა მიერ ამა თუ იმ ამოცანის გადაწყვეტისათვის.

პედაგოგიურ ურთიერთქმედებაში თავისებურად შერწყმულია, როგორც წინასწარ განზრახული, მიზანდასახული, გააზრებული, ისე სტიქიური, არა წინასწარ განზრახული, გაუაზრებელი პედაგოგიური ზემოქმედება მოსწავლეებზე.

ჩვენთვის ცნობილია ისეთი პედაგოგები, რომლებიც პირისპირ საუბრის დროსაც იქცევიან ისე თითქოს ვინმეს ტრიბუნიდან ელაპარაკებოდნენ. ისინი გაურბიან მოსაუბრესთან პირისპირ ყურებას. ასეთ პედაგოგებს არ შეუძლიათ თავისი გამონათქვამები შეათანხმონ მოსაუბრის შინაგან მდგომარეობასთან, გაუღვიძონ მათ გულახდილი დიალოგის სურვილი, მაგრამ ამავე დროს გულწრფელად სურთ გამოიწვიონ თანამოსაუბრის თანაგრძნობა. ასეთი ცალმხრივობის მიზეზი

შეიძლება იყოს ელემენტარული მოუმზადებლობა, რომლის დასაძლევადაც საჭიროა სპეციალური მომზადების გავლა სკოლის ფსიქოლოგის დახმარებით.

სასწავლო საგანი ეს იქნება მათემატიკა, მშობლიური ენა თუ ბიოლოგია, აძლევს მასწავლებელს და მოსწავლეს ურთიერთობის საგანს, აყალიბებს საერთო სასაგნო ველს, რომელსაც მასწავლებელი და მოსწავლე ერთობლივად ამუშავებენ. შესაბამისად პედაგოგიური ურთიერთზემოქმედება საგნის მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ხორციელდება არა მარტო პიროვნებათაშორის ურთიერთობის დონეზე არამედ, საგნობრივი ურთიერთობის დონეზეც.

ფსიქოლოგების მიერ შესწავლილ იქნა სოციალურ – ფსიქოლოგიური შედეგები იმისა, რომ სკოლის კლასებში რიგ-რიგობით ურთიერთმოქმედებს რამოდენიმე მასწავლებელი. როგორ მიიღება ეს ორივე მხრისგან – მოსწავლეებისა და მასწავლებლებისაგან? ერთი შეხედვით გასაკვირია, მაგრამ სიტუაციის ცვლილება მოსწავლეების მიერ შეიცნობა უფრო სწრაფად და მწვავედ ვიდრე მასწავლებლების მიერ.

პედაგოგი, საგნის მასწავლებელი კლასთან რჩება მარტო და როგორც წესი მუშაობს ისე, თითქოს მანამდე კლასში სხვა მასწავლებელი არ ყოფილა და არც მის შემდეგ შევა ვინმე. იგი ვერ ითვალისწინებს, რომ ის მოსწავლეთათვის წარმოადგენს იმ მასწავლებელთა ჯგუფიდან ერთ-ერთს, რომლებიც მუშაობენ ამ კლასთან. მოსწავლეები მკაფიოდ ყოფენ «ჩვენ და ისინი", ჩვენ იგულისხმება მოსწავლეები, ისინი – მასწავლებლები. იმისათვის, რომ განხორციელდეს პედაგოგიური თანამშრომლობა უნდა შეიქმნას თითოეული კლასისათვის მასწავლებელთა ჯგუფი, რომლებიც მოიაზრებიან, როგორც ერთი გუნდი საერთო მიზნის მისაღწევად, ასეთი გუნდის ფორმირება სკოლის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

მკვლელობების თავიდან აცილების ზომათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ კრიმინოგენური სიტუაციების პროგნოზირებას, რომლებიც წარმოიშობა მეძავი ქალების დევიანტური ქცევის შედეგად. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში პროსტიტუციის გავრცელების პრობლემის გადასაწყვეტად დასახულია ზოგიერთი ლოკალური ხასიათის ზომა. ჯერ კიდევ 1996 წელს

«არასრულწლოვანთა სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამაში" დასახული იყო ახალგაზრდების სექსუალური და სხვაგვარი ექსპლუატაციის პრობლემის გადაწყვეტის ზომები მოსახლეობის მასობრივი დაუსაქმებლობის, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების და ა.შ. დაძლევის სახით. შემდგომ წლებში - 1998 წლის 22 ივლისს საქართველოს მთავრობის მიერ კვლავ ისახება მიუსაფარ ბავშვებთან, პროსტიტუციასთან, მცირეწლოვან მათხოვრებთან დაკავშირებული ძალადობის და სისასტიკის თავიდან აცილების ზომები და ა.შ.

მსოფლიოში ამ მიმართულებით ისახება პრევენტულ ზომათა შემდეგი მიმართულებები: პრევენტულ ზომათა ობიექტის დადგენა, ე.ი. იმ პირთა წრის განსაზღვრა, რომლებიც ეწევიან პროსტიტუციას ან/და ხელს უწყობენ ამ საქმიანობას; მეძავების ოჯახური მდგომარეობის (მშობლების, მცირეწლოვანი ბავშვების და ა. შ.) და ცხოვრების პირობების განსაზღვრა; მეძავეთა კრიმინალური კავშირების დადგენა; მეძავეთა მომსახურების მომხარებელთა გარემოსა და პიროვნების დადგენა (განსაკუთრებით იმ სახელმწიფო მოხელეთა ცხოვრების წესის და შემოსავლების დადგენა, რომლებიც არიან მეძავების კლიენტები); პროსტიტუციის ვიქტიმოლოგიური პრობლემების შემუშავება; ორგანიზებულ პროსტიტუციასთან ბრძოლის ზომების შემუშავება; [80, 201-202]

მკვლელობის კავშირი ჩხუბებთან, ეჭვიანობის გამო მტრულ დამოკიდებულებასთან და სხვა საყოფაცხოვრებო კონფლიქტების მოვლენებთან პოლიციის რაიონული ორგანოების, რესოციალიზაციის სამსახურების წინაშე წარმოშობს სათანადო პრევენტული ზომების განხორციელების აუცილებლობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახში არაჯანსაღი ვითარების ან მეზობლების კონფლიქტური ურთიერთობების შემთხვევების შემოწმება, დროული სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ან აღმზრდელობითი ზომების გამოყენება მკვლელობის მუქარის შემთხვევებში; ჩხუბებისა და მუქარის შესახებ განცხადებებისა და საჩივრების დროული განხილვა და ა.შ. [125]

საქართველოში ძალადობის საკითხს ამწვავებს გარემოება, რომელიც კანონში ვერ აისახა. ეს ქონების უფლებებს ეხება. მსხვერპლს არ შეუძლია მოძალადესთან

ცხოვრება, მაგრამ წასასვლელი არსად აქვს და ამიტომ ითმენს. მას არ იღებს საკუთარი ოჯახი, რომელსაც ასევე საკმარისი საცხოვრებელი ფართი არ გააჩნია. ამ კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვანია თავშესაფარი, მაგრამ არც ესაა გამოსავალი, რადგან თავშესაფარში მუდმივად ვერავინ დარჩება. მე მაინც ყველას მოვუწოდებდი, რომ ეფიქრათ საქორწინო ხელშეკრულებებზე. ეს ერთადერთი რამაა, რაც ქალს ქუჩაში დარჩენისაგან იხსნის, მხოლოდ მას შეუძლია იხსნას მსხვერპლი.

უკვე ერთ წელზე მეტია მიღებულია კანონი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც მართალია დასახვეწია, მაგრამ უკვე დიდი როლი შეასრულა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეში. ძირითადი მექანიზმები, რაც ჩადებულია კანონში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნით, არის დამცავი და შემაკავებელი ორდერები. აღსანიშნავია, რომ კანონის მიღებამ დიდად შეუწყო ხელი პოლიციელებს მუშაობაში. ადრეულ წლებთან შედარებით პოლიციის მუშაობა ამ კუთხით გაცილებით ეფექტური გახდა. [144, 80-86]

კანონის მიზანი მოძალადის ციხეში ჩასმა არ არის. არც ის მიგვაჩნია სწორად რომ ყოველი ძალადობის ფაქტს გაყრა მოყვეს. ამისათვის უნდა გააცნობიერო, რომ მოძალადეც ადამიანია და მასთანაც ისე უნდა იმუშაო, როგორც მსხვერპლთან. სწორედ მოძალადემ უნდა გაიაროს ისეთი პროგრამა, რომლის შედეგადაც იგი ნაკლებად გახდება.

რაც შეეხება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულებას, მათი პოზიცია მკვეთრად კრიტიკულია: „მათთან რეგულარულად ვთანამშრომლობთ და ინფორმაციას ვცვლით. მათი რეკომენდაციები, პირველ რიგში, იმ ოფიციალური ვალდებულებების შესრულებას ითვალისწინებს, რასაც საქართველომ ხელი სხვადასხვა წლებში მოაწერა. ეს არის ეუთოს, ევროსაბჭოს რეკომენდაციები და სხვა. ერთ-ერთი ბოლო რეკომენდაცია კონკრეტულად საქართველომ გასული წლის 13 აგვისტოს მიიღო, როდესაც ნიუ-იორკში ქალის დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით საქართველოს ანგარიში განიხილეს.“

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პრობლემას არეგულირებს სისხლის სამართლის კოდექსი და ამ საკითხის მომწესრიგებელ მუხლებს ვხვდებით, როგორც ზოგადად ოჯახურ დანაშაულთა თავში, ასევე ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშიც. "ოჯახში ძალადობის დაძლევისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების" კანონი საქართველოში 2006 წელს მიიღეს. ერთი წლის შემდეგ 2007 წლის 30 ივლისს ქვეყნის ხელისუფლებამ დაამტკიცა მოქმედების სახელმწიფო გეგმა იმ ღონისძიებების ჩასატარებლად, რომლებიც 2007 -2008 წლებში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად უნდა ჩაეტარებინათ. მართალია, ეს ნორმატიული აქტები აუცილებლად უნდა დამტკიცებულიყო, მაგრამ პრობლემის მოსაგვარებლად მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. [144, 81]

ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა იქნეს განხილული გენდერულობის პრობლემა თუ რამდენად არის იგი დაცული საქართველოში და რას გვეუბნება ამის შესახებ კანონმდებლობა. ბუნებრივია, გენდერული პრობლემები სააშკარაოზე არ გამოდის, თუმცა, ქალების დიდი ნაწილი სწორედ ამ პრობლემას უჩივის. პირად მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ მე ჩემი ოჯახის მონა ვარ, თუმცა, სხვა გამოსავალი არ მაქვს.

2007 წლის 26 სექტემბრის №211 ბრძანებულებით საქართველოში შეიქმნა გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისია, რაც სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმის ნაწილია. ამ ბრძანებულების შესაბამისად კომისია ვალდებული იყო უზრუნველეყო "იმ საკითხების განხილვა, რომლებიც გენდერულ პრობლემატიკას უკავშირდება (ტრეფიკინგი, ოჯახში ძალადობა). მას ამ სფეროებში არსებული სიტუაცია უნდა შეესწავლა, ხელი შეეწყო სახელმწიფო პოლიტიკისა და მონიტორინგის შექმნისთვის, მოქმედებისა და ღონისძიებების სახელმწიფო გეგმის შესრულებისთვის და ამ დოკუმენტებთან შესაბამისი სახელმწიფო ღონისძიებები ჩაეტარებინა".

რაც შეეხება კანონმდებლობას, არა ერთი საერთაშორისო დოკუმენტი თუ ნორმატიული აქტი არსებობს, რომელიც გენდერულ ბალანსს იცავს და

ყოველგვარ ძალადობას გმობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“ იმავე დეკლარაციის მე-5 მუხლით: „არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაჰუმანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს“.

გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო აქტით: „არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა თუ სასჯელს“ (მე-7 მუხლი). „თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და წესისა“ (9.1 მუხლი). [144, 82]

რაც შეეხება სტატისტიკას გენდერული ბალანსის შესახებ, მსგავსი ციფრები საქართველოში არ არსებობს. 2005 წლის მონაცემებით კი 15 წლის ზევით ეკონომიურად აქტიურ მოსახლეობაში მამაკაცთა ოდენობა 1461.0 ათასს შეადგენდა, ქალთა - 1699.0-სს; სამუშაო ძალა 1074.0 ათასი იყო კაცი, 945.5 ათასი - ქალი; დასაქმებული იყო 915.2 კაცი, 829.4 ქალი; თვითდასაქმებული - 600.5 კაცი, 542.8 ქალი; დასაქების დონე პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა - 62.6% კაცი, 48,8% ქალი.

პრაქტიკამ გამოავლინა, რომ მათი უმრავლესობა ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებული პირები არიან, თუმცა, მოძალადეებად სავსებით ჯანმრთელი ადამიანებიც გვევლინებიან. საქართველოში მოძალადე მამაკაცთა უმეტესი ნაწილი არ თანხმდება ტრენინგების გავლას და მათი მხოლოდ მცირე ნაწილი თვლის, რომ ისინი ნამდვილად საჭიროებენ დახმარებას, რადგან პერიოდულად, მათ არ შესწევთ უნარი მართონ საკუთარი თავი. ეს პრობლემა, როგორც აღვნიშნეთ, საყოველთაოა და ის მარტო საქართველოში არ არის აქტუალური, თუმცა პრობლემის სიმწვავის ხარისხი ამა თუ იმ ქვეყანაში, ალბათ, საზოგადოების შინაგანი ინტელექტის დონესა და ზნეობის ხარისხზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება ოჯახური ძალადობის ფაქტების სტატისტიკას, შსს-ს მონაცემებით 2007-2008 წლებში 358 შემთხვევა დაფიქსირდა (საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როცა საქმეში პოლიცია ჩაერთო). აქედან 313 მსხვერპლი ქალბატონი იყო, 45 კი მამაკაცი. როგორც ქალთა საკონსულტაციო ცენტრი - "სახლის" ხელმძღვანელი რუსუდან ფხაკაძე "ადამიანის უფლებათა ცენტრთან" საუბრისას აცხადებს, რეალობასთან მიახლოებული სტატისტიკა იმიტომ არ არსებობს, რომ ქალები ამ საკითხზე საუბარს თავს სხვადასხვა მიზეზების გამო არიდებენ.

ახლა განვიხილოთ სტატისტიკა მსოფლიოს მასშტაბით, რათა მოვახდინოთ შედარება საქართველოს სტატისტიკასთან. გაეროს მონაცემების თანახმად მსოფლიოს მასშტაბით ყოველი მესამე ქალი პარტნიორი მამაკაცის მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის, ხოლო ქალთა [144, 40] გარკვეული პროცენტი კი უცნობი პირის მხრიდან ფიზიკური ძალდობის მსხვერპლი ხდება. ოჯახური ძალადობა განსაკუთრებით შეინიშნება განვითარებად ქვეყნებში. როგორც გაეროს ოფიციალური პირები იტყობინებიან ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის ყველაზე ბევრი შემთხვევა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაფიქსირდა. გასულ წელს ქვეყანაში სექსუალური ძალადობის 27 ათას ინციდენტს ჰქონდა ადგილი. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით 2007 წლიდან 2008 წლის პირველ ივნისამდე საქართველოში ოჯახში ძალადობის, მოძალადეთა და მსხვერპლთა სტატისტიკა ასეთია: მოძალადეთა ყველაზე დიდი რაოდენობაა 25-დან 44 წლამდე ასაკში - 182; მსხვერპლთა უდიდესი ნაწილიც ამ ასაკისაა: 25-დან 44 წლამდე - 183; მოძალადეთა და მსხვერპლთა დიდი ნაწილი დაფიქსირებულია თბილისში -184-184; ყველაზე ცოტა ძალადობის ფაქტი დაფიქსირებულია სამეგრელოსა და ზემო სვანეთში - (4-4);

ოჯახური ძალადობა, როგორც პრობლემა, საქართველოში კვლავაც ინტენსიური და მწვავეა. ძალადობის მსხვერპლნი კვლავინდებურად სუსტი სქესის წარმომადგენელნი რჩებიან, ხოლო მოძალადეები საკუთარ ქცევას აღიქვამენ როგორც წესს, როგორც ოჯახის მართვის ტრადიციულ მეთოდს, სადაც მამაკაცი უნდა ბატონობდეს ქალზე.

სპეციალისტების აზრით ეს არის მცდარი შეხედულება, რადგან აქ არ იგულისხმება ერთმანეთის ურთიერთპატივისცემა, რაც აუცილებელია სრულფასოვანი ურთიერთობისათვის. ანუ ეს არის ქართული ტრადიციების დამახინჯებული ფორმა, რადგან ტრადიცია არ შეიძლება ძალადობაზე იყოს დაფუძნებული. მოძალადე ადამიანები, სამწუხაროდ, ხშირად ვერ აცნობიერებენ საკუთარ შეცდომებს, რასაც ხშირ შემთხვევაში საბედისწერო შედეგები მოჰყვება, ამიტომ არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც ნებაყოფლობით მისულ მოძალადე ადამიანებზე სპეციალურად მათთვის შემუშავებული პროგრამით იმუშავებენ. [144, 40]

ასევე ყურადსაღებია იურისტების შეხედულება არსებულ კანონმდებლობასთან მიმართებაში. იმ იურისტების განცხადებით, რომლებიც ოჯახში ძალადობის საქმეებზე მუშაობენ, კანონში არსებული შეცდომები ხელს უშლის სასამართლო ოჯახში ძალადობის ფაქტზე აღძრულ იქნა 17 სისხლის სამართლის საქმე გაირჩა, 16 ხელახლა გამოსაძიებლად დაბრუნდა.

მკვლელობების თავიდან აცილებისათვის მნიშვნელოვანია იარაღის უკანონო შეძენის, დამზადების და შენახვის წინააღმდეგ მიმართული ზომები. ამ ზომათა შორის მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან მუშაობა; იარაღის კრიმინოგენური მნიშვნელობის წინააღმდეგ მიმართული მიზანდასახული პროპაგანდა; სამართალდამცავ ორგანოებში იარაღის უკანონო ტარების შესახებ სიგნალებზე შემოსვლის წახალისებების სისტემის განვითარება; იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარების სტიმულირება; სპორტულ და სანადირო იარაღებზე კონტროლის გაძლიერება; იარაღზე  დაუდევარი მოპყრობის და მისი ხმარების წესების კონტროლი; სპორტული და სანადირო იარაღის შეძენის შესახებ ინფორმაციის სრულყოფა;  იარაღის შემძენის პიროვნების შესახებ სპეციალური მონაცემების შედგენა და ა.შ. [138]

## §3. მკვლელობების პრევენციის სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომები

მკვლელობების თავიდან აცილების სპეციალურ-კრიმინოლოგიურ ზომათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასამართლოს პროფილაქტიკურ მუშაობას, კერძოდ სასამართლოს მიერ მკვლელობის მიზეზებისა და პირობების დადგენა, შესაბამისი ზომების მიღება და კონტროლის განხორციელება სასამართლოს წინადადების შესრულებაზე; მკვლელობის განსაკუთრებით მძიმე სიტუაციის შესახებ სასამართლო პროცესის აღმზრდელობითი და პრევენტული ზემოქმედების გაძლიერება;

მკვლელობათა განხილვის სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და სათანადო განმარტებითი რეკომენდაციების შემუშავება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე კონფერენციების ჩატარება და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოკვლევისა და გამოძიების მიერ იმ მოგროვილი მტკიცებულებების გამორკვევა, რომლებიც ასახავენ მკვლელობის მიზეზებს და პირობებს, ჯგუფური მკვლელობის ყველა გარემოებას და აღმსრულებლის პიროვნებას. სასამრთლოს როლი მეტად მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც განიხილება საოჯახო და სამეზობლო მკვლელობა. ამასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მიერ კონფლიქტის მონაწილეთა მიმართ ადრინდელი პრევენციის ზომების მიღების საკითხის შესწავლა.

განსაკუთრებულ აქტუალობას ინარჩუნებს სასამართლოს კერძო განჩინება. ახალი სსსკ-ს მიღებამდე მოქმედებდა 45-ე მუხლი, რომლის შესაბამისად სასამართლო კერძო განჩინებით დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების და სხვა პირების ყურადღებას აქცევს მიზეზებსა და პირობებზე, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას და ითხოვს შესაბამისი ზომების მიღებას. კერძო განჩინება მნიშვნელოვანია არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც იხილება განსაკუთრებით საშიში მკვლელობა, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც იხილება დამამძიმებელ გარემოებების გარეშე ჩადენილი მკვლელობა. გამომძიებლის ან პროკურორის წარდგინების არასრულყოფის შემთხვევაში კერძო განჩინება განსაკუთრებულ როლს იძენს. კერძო განჩინების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები, რომლებიც ასევე ატარებენ პრევენტულ ფუნქციას. ახალ საპროცესო კოდექსში აღნიშნული ნორმა არ არსებობს, თუმცა მე-3 მუხლის

თანახმად სასამართლოს შეუძლია ნებისმიერ საკითხზე გამოიტანოს კერძო განჩინება.

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 და 21-ე მუხლების შესაბამისად სასამართლო პრაქტიკის განზოგადება ეკისრება რაიონული და სამხარეო სასამართლოს თავმჯდომარეს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ინფორმაცია კრიმინოგენური სიტუაციის, მკვლელობის ხერხის, დაზარალებულის და ა.შ. შესახებ.

სპეციალურ-კრიმინოლოგიურ ზომათა შორის გამოიყოფა მომხდარ მკვლელობაზე საგამოძიებო ორგანოების რეაგირების ზომები. მკვლელობის გამოძიებისას მოქმედი კანონმდებლობა განსაკუთრებულ როლს ანიჭებს პროკურატურას.

მოქმედი კანონმდებლობა პროკურატურის ორგანოებისაგან ითხოვს იმ მიზეზებისა და პირობების დადგენას, რომლებიც ხელს უწყობენ კანონის დარღვევების ჩადენას. მკვლელობის მიზეზების და პიროვნების დადგენის პროცედურის არსი მეტად რთულია და მოიცავს რამოდენიმე ელემენტს:

1.პროკურატურის შესახებ კანონი ყურადღებას ამახვილებს სამართალდარღვევებზე და არა მარტო დანაშაულზე  და ამიტომ მკვლელობების მიზეზების დადგენა ვრცელდება დევიანტურ ქცევაზეც;

წარდგინება წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქცევის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების შესახებ მონაცემების პროცესუალური გაფორმების ხერხს. პროკურატურის  წარდგინება ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ ის ითვალისწინებს “სამართლებრივ ურთიერთობებს”, ე.ი. როგორც დანაშაულის უშუალო მიზეზებსა და პირობებს, ასევე იმ განზოგადოებულ ინფორმაციას, რომელიც ნათელს ფენს განსახილველ კრიმინალურ შემთხვევას. აქედან გამომდინარე დანაშაულის ცალკეულ სახეებზე განზოგადოებულ მაჩვენებლებში მოთხოვნილება წარმოიშობა.

შესაბამისი ინფორმაციის მოთხოვნის უფლება პროკურორს ანიჭებს გარკვეულ პრეროგატივას. მოთხოვნას საპროკურორო აქტის ძალა აქვს და

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. მკვლელობებთან მიმართებაში აქტუალურია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ოჯახური და საყოფაცხოვრებო კონფლიქტების მოწესრიგების, განსაკუთრებით მძიმე მკვლელობების ჩადენის კრიმინოგენური სიტუაციის, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ მკვლელობათა და რეციდივის პირობების, გარკვეულ რეგიონში (ქალაქში, სოფელში და ა.შ.) მკვლელობების გავრცელების, მკვლელობებთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოვლენისა და აღმოფხვრის მეთოდების და ხერხების, რეკომენდაციების დანერგვის და ა.შ. შესახებ ინფორმაციის შეტანა.

მკვლელობები, ხშირად, ძალადობით დანაშაულობასთან არიან კავშირში, ამიტომ იმისათვის, რომ პროკურატურამ შესძლოს მათთან ბრძოლის ამოცანების დაგეგმვა, ის ვალდებულია: ა) შეაგროვოს და შეისწავლოს ინფორმაცია ძალადობითი დანაშაულების გამოვლენის პირობების, მდგომარეობის, სტრუქტურის, დინამიკის შესახებ; ბ) გაანალიზოს ძალადობითი დანაშაულების გავრცელება საქართველოს ფარგლებში და ყოველ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ასევე ობიექტებისა და მეურნეობის დარგების, ადმინისტრაციული დაწესებულებების, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიხედვით; გ) შეისწავლოს გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულების ჩადენას, და ძალადობით დანაშაულობასთან ბრძოლის სპეციალური ზომების ეფექტურობა; დ) მოსთხოვოს სახელმწიფო ორგანოებს, თანამდებობის პირებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს განზოგადებული მონაცემები და მასალები, აუცილებელი ძალადობითი დანაშაულობის შესასწავლად; ე) აუცილებლობის შემთხვევაში დაავალოს მათ კრიმინოლოგიური გამოკვლევების ჩატარება ძალადობითი დანაშაულების ჩადენის მიზეზების დასადგენად. [50, 130]

და ბოლოს, საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ძალადობის, კონფლიქტების შესახებ ფორმალური პასუხების, მასალების აღრიცხვისაგან დამალვის ფაქტების გამოვლენა და საზედამხედველო კონტროლი.

შინაგან საქმეთა ორგანოების პრევენტულ ზომათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ”პოლიციის შესახებ” კანონს, რომლითაც მათ ევალება სამართალდარღვევათა და მომხდარი დანაშაულთა მიზეზებისა და პირობების დადგენა. მკვლელობებთან მიმართებაში აღნიშნული პროცედურა მოიცავს:

- მკვლელობის ხელშემწყობ სიტუაციაზე სრული ინფორმაციის დადგენას; - კონფლიქტურ პირებზე და იმ პირებზე, რომლებზეც ეჭვი არის მიტანილი დანაშაულის მომზადებაში ან დაფარვაში ოპერატიული ინფორმაციის მოგროვებას;

- დევიანტებზე (ნარკომანებზე, მიუსაფრებზე, მეძავებზე, გარკვეული საქმიანობის არმქონე პირებზე და ა.შ.) მონაცემების რეგულარულ შემოწმებას;

- იარაღის უკანონო შეძენისა და ხმარების შემთხვევების გამოვლენას;

- კრიმინალური ელემენტების თავშეყრის, გავლენის სფეროების ძალადობითი განაწილების შესახებ ინფორმაციის დადგენას;

- გაუხსნელი მკვლელობების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის კორექტირებას სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ინფორმაციასთან.

- პროფესიულ დამნაშავეთა შესახებ ინფორმაციული ბანკის შექმნას [83, 14][167, 278-279]

აშშ-ს პრევენტული პრაქტიკის მიხედვით მოძალადე დევიანტის კრიმინოგენური გარემოს შესწავლის მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება:

-პოლიციის კრიმინალისტიკური ტექნიკის უზრუნველყოფას;

- მონაცემების ბანკის შექმნას;

-ქალაქების, ქუჩების, რაიონების ელექტრონული ზედამხედველობის სისტემის შემუშავებას;

-პოლიციელთა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად რეგულარული რეიდების ჩატარებას;

-კონფლიქტური სიტუაციების პირობებში წარმოშობილი კონფლიქტების პრევენციაში პოლიციის ორგანოთა და დაინტერესებულ სუბიექტთა ურთიერთობების დამყარებას და ა.შ. [172, 20-24][182, 14-17]

ამასთან ერთად აშშ-ს სამართალდამცავი ორგანოები ხშირად მიმართავენ ოპერატიულ-ინფორმაციულ დაკვირვებას პირის გასამართლების ან/და სასჯელის მოხდის შემდეგ. აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებს მკვლელობების თავისებურებას. განსაკუთრებით გამოყოფენ ოპერატიულ-ინფორმაციულ დაკვირვებას იმ პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს სერიული მკვლელობა [118][120][123] - ე.წ. რეციდივული მკვლელობა [109][121] და მკვლელობა დაქირავებით [119]. ამასთან ერთად, როგორც მართებულად აღინიშნება, კრიმინოლოგიაში რჩება უხვი ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც ეხება კრიმინალური დაჯგუფებების ძებნაში მყოფ პირებს. [200, 99-100]

როგორც უცხოეთის ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკა გვიჩვენებს, სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომების მიზანდასახულობა ფასდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სრულყოფილად აისახება მოკვლევის მიერ მოძალადის (დევიანტის ან მკვლელის) და დაზარალებულის პიროვნული თვისებები. ამისათვის მნიშვნელობას იძენენ დაკვირვების სპეციალური ტესტები, პირველადი ბარათები, ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული ანკეტები და ა.შ. განსაკუთრებით ინერგება ახალგაზრდთა შორის ძალადობის გაზომვის მეთოდიკა, რომელიც აპრობირებულია სიტუაციურ მკვლელობებზე, განსაკუთრებით საოჯახო მკვლელობებზე. [102, 160-167][110][124][195][196]

პოლიციის საქმიანობაში მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ოპერატიული ინფორმაციის გასაიდუმლოება, რადგან ხშირია გამოძიებაზე კრიმინალური დაჯგუფებების ზეწოლის, დაზარალებულის, მისი ახლობლების და მოწმეების შეშინების ფაქტები [80, 273]

პოლიციის საქმიანობაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პოლიციის რიგებში ძალადობრივი სუბკულტურის აღმოფხვრას.

წარსულში პოლიციაში ძალადობითი სუბკულტურა განსაკუთრებით იყო გავრცელებული, შესაბამისად მისი შეფასებაც არ იყო თანმიმდევრული. ამაზე მეტყველებს ანგარიში ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკის შესახებ ქვეყნების მიხედვით – 2006 - ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი - დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიურო (6 მარტი, 2007 წელი).

2006 წ. ივლისში შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 თანამშრომლის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს და დამნაშავედ სცნეს იმაში, რომ მათ იანვრის თვეში სასტიკად სცემეს სანდრო გირგვლიანი, რის გამოც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. გენერალურ პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები იმ პოლიციელების წინააღმდეგ, რომლებმაც, სავარაუდოდ, სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილების დაკავებისას ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს ისინი. აგვისტოში გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს პოლიციის ოფიცერს, რომელმაც 2004 წელს იარაღის გასროლით მოკლა ამირან რობაქიძე. არსებობდა ინფორმაცია, რომ ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს მიღმა მყოფ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონებში ჩადენილი იყო უკანონო მკვლელობები.

27 მარტს თბილისის 5 საპყრობილეში, რომელიც დროებითი დაკავების იზოლატორს წარმოადგენს და 1500 პირისათვისაა განკუთვნილი, მაგრამ სადაც 3700 პატიმარი იმყოფებოდა, ამბოხის ჩასახშობად სპეციალური დანიშნულების რაზმი შევიდა, რის შედეგადაც, სულ მცირე, შვიდი პატიმარი გარდაიცვალა. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის მტკიცებით მთავრობამ გამიზნულად შეამცირა ოპერაციის შედეგად დაღუპული და დაჭრილი პატიმრების რიცხვი და ამ ოპერაციის დროს სერიოზულად დაჭრილ პატიმრებს არ გაუწიეს სამედიცინო დახმარება. სახალხო დამცველმა, ეუთოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოითხოვეს საჩივრებში მოყვანილი ფაქტების - სპეციალური დანიშნულების რაზმის მიერ არეულობის შესაწყვეტად გადამეტებული ძალის გამოყენების თაობაზე - შესახებ დამოუკიდებელი გამოიძიების ჩატარება. გენერალურ პროკურატურაში დაიწყეს გამოძიება ამ ინციდენტის დროს სამართალდამცავების ქმედებების კანონთან

შესაბამისობის დასადგენად. საანგარიშო წლის ბოლოსათვის გამოძიება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

ივლისში შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ოფიცრები გია ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა და მიხეილ ბიბილური დამნაშავედ სცნეს, იანვარში სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში და მათ შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს.

სამთავრობო უწყებების მესვეურებმა ძირფესვიანად არ შეისწავლეს ის მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც საქმეში მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხი მაღალჩინოსანი. არასამთავრობო ორგანიზაციები ამტკიცებდნენ, რომ მას შემდეგ, რაც ბარში მოხდა შელაპარაკება დასახელებულ პირებსა და გირგვლიანსა და ბუხაიძეს შორის, სამინისტროს მაღალჩინოსნებმა ამ ორი პიროვნების ცემა შეუკვეთეს. თუმცა, ხელისუფლების მაღალჩინოსნები ამტკიცებდნენ, რომ მათ შესთავაზეს მსჯავრდებულ ოფიცრებს საპროცესო გარიგება, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქმეში სხვა პირების მონაწილეობის არანაირი მტკიცებულება არ გამოიკვეთა.

სახელმწიფოში ორგანიზებულ დანაშაულთან წარმოებული ფართომასშტაბიანი ბრძოლის ერთ-ერთი ფაქტი გახლდათ საპყრობილეების მესვეურების მიერ კანონიერი ქურდების პრივილიგირებული საკნებიდან გამოსახლება – ისინი მთლიანად იზოლირებულები იყვნენ საპყრობილის სხვა პატიმრებისაგან და საკნებში ხშირად ფუფუნების საგნებიც ჰქონდათ მაგალითად: ბრტყელეკრანიანი ტელევიზორები. არასამთავრობო ორგანიზაციები იუწყებოდნენ იმასაც, რომ გამოსახლების პროცესის დროს და მის შემდგომ პატიმრებს სასტიკად სცემდნენ საპყრობილის თანამშრომლები, რომლებსაც თავიანთი ვინაობის დასაფარავად ნიღბები ეკეთათ. არსებობს დაუდასტურებელი ინფორმაცია, რომ ამ ქმედებების დროს დაიღუპა სამი პატიმარი.

10 აგვისტოს პოლიციის ოფიცერს გიორგი ბაშალეიშვილს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს 2004 წელს ამირან რობაქიძის მკვლელობის გამო. თავდაპირველად შინაგან საქმეთა სამინისტრო იტყობინებოდა, რომ ამირან

რობაქიძე მოკლეს იმ დროს, როდესაც პოლიციელები შეიარაღებული ბანდის დაკავებას ცდილობდნენ და ვიდეომასალაც კი გაავრცელა, სადაც ნაჩვენები იყო ვითომდა იმ ავტომობილიდან ამოღებული ავტომატური იარაღი, რომელშიც რობაქიძე იჯდა. შემდგომი გამოძიების დროს აღმოჩნდა, რომ პოლიციელებმა ეს ნივთმტკიცებულებები მანქანაში "შეაგდეს". საანგარიშო წლის ბოლოს გენერალურ პროკურატურაში კვლავაც გრძელდებოდა ამ საქმის გამოძიება იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომ შსს-ს თანამშრომლებმა გააყალბეს მტკიცებულებები, რათა დაეფარათ პოლიციელის ბრალეულობა რობაქიძის მკვლელობაში.

საანგარიშო წლის განმავლობაში მთავრობამ გამოაცხადა "ნულოვანი შემწყნარებლობის" პოლიტიკა კრიმინალური სამყაროს მიმართ, რათა გადაეწყვიტა ის სერიოზული პრობლემა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდან არსებობდა – იმ დროიდან, როდესაც ორგანიზებული დანაშაულებრივი შეიარაღებული ჯგუფები ღიად მოქმედებდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებდნენ ამ პოლიტიკას, რომელიც, მათი აზრით, არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას და რომლის შედეგადაც თბილისში 12 ადამიანი დაიღუპა პოლიციის მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენების გამო.

მაისში გაკეთებულ განცხადებაში შინაგან საქმეთა მინისტრმა უარყო არასამთავრობო ორგანიზაციების ბრალდებები, რომლებიც ეხებოდა დაპატიმრებების დროს პოლიციელების მიერ გადამატებული ძალის გამოყენებას. მან განაცხადა, აგრეთვე, რომ მთავრობის წარმატებული ანტიკორუფციული ძალისხმევის შედეგად დამნაშავეები ვეღარ სთავაზობენ ქრთამს პოლიციელებსა და მოსამართლეებს სასჯელის თავიდან აცილების მიზნით და ამის მაგივრად დაპატიმრების თავიდან ასაცილებლად ძალისმიერ მეთოდებს მიმართავენ.

საანგარიშო წლის ბოლოს გენერალურ პროკურატურაში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოვლენილი ზემოხსენებული 12 სიკვდილის ფაქტიდან 5 ფაქტის გამოძიება; ესენია: მაისში მომხდარი შემთხვევა, როდესაც პოლიციელებმა მოკლეს შეიარაღებულ

თავდასხმაში ეჭვმიტანილი ალექსანდრე ხუბულოვი და ზურაბ ვაზაგაშვილი და კრიმინალური ბანდის წევრობაში ეჭვმიტანილი მურმან მოვსესიანის, გელა გაიდენინისა და ლევან დარსაძის მარტში მომხდარი მკვლელობა. დეკემბერში გენერალურ პროკურატურაში საქმის გამოძიების შედეგად დაასკვნეს, რომ თებერვალში შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფების წევრობაში ეჭვმიტანილების - ზვიად ბაბუხადიას, ბათხურ კიზირიასა და ვალერი ბენდელიანის - დაკავებისას პოლიციელებს გადამეტებული ძალა არ გამოუყენებიათ და ცეცხლი მხოლოდ ეჭვმიტანილების ცეცხლის საპასუხოდ გახსნეს.

პოლიციის ორი ოფიცერი დროებით გათავისუფლებული იყო სამსახურიდან გამოძიების მიმდინარეობის დროს, რომელიც 6 დეკემბერს ქუთაისში ვალერი ფხაკაძის დაღუპვის ფაქტს ეხებოდა: როგორც იტყობინებოდნენ, იგი ყაჩაღობის შემთხვევის გამოსაძიებლად გამოსულმა პოლიციელებმა სცემეს და მოკლეს.

საანგარიშო წლის ბოლოს ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული 2004 წელს მსჯავრდებული როლანდ მინაძის საქმის სააპელაციო სასამართლო განხილვა, რომელსაც ბრალად ედებოდა მტკიცებულებების გაყალბება 2004 წელს ხვიჩა კვირიკაშვილის ცემისა და შემდგომ მისი გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც 2005 წლის ოქტომბერში რ. მინაძის გამამტყუნებელი განაჩენი უზენაესმა სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოში დააბრუნა ხელახალი განხილვისთვის, მინაძე პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ გათავისუფლებული იქნა ხელახალი მოსმენის ჩატარებამდე. შემდგომში მინაძე გაუჩინარდა და 2005 წლის დეკემბერში მას სასამართლოზე დაუსწრებლად შეეფარდა თავისუფლების 4 წლით აღკვეთა.

მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმისა, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონის კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის მიერ მაინც ხორციელდებოდა მკვლელობები. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება არ ახდენდა ამ ფაქტების გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას ან ვინმეს დასჯას წინა პერიოდში მომხდარი მკვლელობების გამო, მაგალითად ისეთებისა, როგორიცაა 2005 წლის ოქტომბერში გივი ჩუხრუხიძის მკვლელობა.

ძალადობის ფაქტებს აფხაზეთშიც ჰქონდა ადგილი. თებერვალში შეიარაღებული ბანდის წევრებმა მოკლეს 16 წლის ზვიად ფირცხალავა, როდესაც სოფელ ბარღბში თავს დაესხნენ მის ოჯახს. როგორც იტყობინებიან, აგვისტოში მოკლეს აფხაზეთის დე ფაქტო სამართალდამცავ სტრუქტურებში პატიმრობაში მყოფი დემურ გოგოხია და მანუჩარ ფაცულაია. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას არანაირი გამოძიება არ წამოუწყია: 2005 წლის მარტში შეიარაღებული ბანდის მიერ მერი ჯალაღონიას მკვლელობისა და მისი ოჯახის წევრების ცემის ფაქტების გამო; 2005 წლის აპრილში ლაშა რიგვავას მკვლელობისა (ამ ინციდენტში რუსეთის მშვიდობისმყოფელებიც მონაწილეობდნენ) და 2005 წლის მაისში აფხაზი სამხედრო დაჯგუფების მიერ მოკლული ციური მარღანიას მკვლელობის შემთხვევის გამო.

საქართველოს სამთავრობო და აფხაზურმა ძალებმა 1992-93 წლებში საბრძოლო მოქმედებების ტერიტორიაზე ათობით ათასი ნაღმი ჩადეს. საანგარიშო წლის განმავლობაში არ ყოფილა შეტყობინება იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ვინმე ნაღმზე აფეთქებულიყო, მაგრამ ნაღმების აფეთქების გამო ცალკეულმა პირებმა დაზიანებები მიიღეს. დეკემბერში გალის რაიონის სოფელ რეფის დე ფაქტო მთავრობის თანამდებობის პირმა დიმიტრი კაციამ ნაღმის აფეთქების შედეგად დაზიანებები მიიღო.

ნაღმები საფრთხეს სამხრეთ ოსეთშიც წარმოადგენენ. აგვისტოში რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცი სოფელ ქეხვთან ახლოს მომხდარი ნაღმის აფეთქების გამო დაიჭრა. ოქტომბერში იმავე სოფელ ქეხვის მახლობლად დაიღუპა ერთი ქართველი მამაკაცი, ხოლო მეორე დაიჭრა ნაღმის აფეთქების შედეგად.

წამება და სასტიკი მოპყრობა ასევე წარმოადგენდა ძალადობრივი სუბკულტურის დაძლევის პრობლემას. როგორც იტყობინებიან, 12 თებერვალს ბათუმის საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა მამუკა ჯინჭარაძემ თავისი რევოლვერით სასტიკად სცემა ჯემალ ბარამიძეს მას შემდეგ, რაც იგი სიჩქარის გადაჭარბებისათვის გააჩერა. ჯემალ ბარამიძეს მძიმე ჭრილობები ჰქონდა მიყენებული. აგვისტოში ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ ჯინჭარაძე

დამნაშავედ სცნო უფლებამოსილების გადამეტებაში და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

მაისში ედუარდ ჯაოღლიმ საჩივარი შეიტანა იმის თაობაზე, რომ ისანი-სამგორის პოლიციის განყოფილებაში მას სასტიკად მოეპყრნენ აღნიშნული განყოფილების თანამშრომლები. წლის ბოლოს ამ საქმის ოფიციალური გამოძიება მიმდინარეობდა.

სექტემბერში გია რაზმაძემ არასათანადო მოპყრობაში დაადანაშაულა ქვემო ქართლის რეგიონის პოლიციის ოფიცრები. წლის ბოლოს ამ საქმის ოფიციალური გამოძიება მიმდინარეობდა.

ნოემბერში ავთანდილ ხვინჩიაშვილმა, განაცხადა, რომ გლდანი-ნაძალადევის პოლიციის განყოფილებაში მას შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციელებმა. წლის ბოლოს ამ საქმის ოფიციალური გამოძიება მიმდინარეობდა.

საანგარიშო წლის ბოლოს ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული სპეციალური კომისიის მიერ წარმოებული გამოძიება, რომელიც 2005 წლის აპრილში პატიმარ ელდარ კონენიშვილის ცემის ფაქტს ეხებოდა (შეტყობინების თანახმად) 1 საპყრობილეში და შემდეგ გურჯაანის პოლიციის განყოფილებაში. ამ გამოძიების ფარგლებში სპეციალური კომისიის წევრებმა დაკითხეს 1 საპყრობილის პატიმრები, საპყრობილის თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი, ბადრაგირების თანამშრომლები, სამართალდამცავები და გურჯაანის პოლიციის განყოფილებაში მყოფი სხვა თვითმხილველები. კომისიამ შეისწავლა 2005 წლის აპრილში ჩატარებული კონენიშვილის სამედიცინო შემოწმების შედეგები. მასში შედიოდა მისი გამოკვლევა კომპიუტერულ ტომოგრაფზე, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია და რენტგენი. 2005 წლის დეკემბერში სამსახურიდან დაითხოვეს პოლიციის ოფიცერი, რომელმაც სავარაუდოდ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კონენიშვილს.

წლის ბოლოს გენერალურ პროკურატურას არ ჰქონდა გამოქვეყნებული 2004 წელს დროებითი დაკავების იზოლატორში კონტროლის პალატის ყოფილი

ხელმძღვანელის სულხან მოლაშვილის წამების ფაქტის გამოძიების შედეგები. წლის ბოლოსათვის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იყო მიღებული. გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები იტყობინებოდნენ, რომ გამოძიების პროცესს ხელი შეუშალა მოლაშვილის გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმამ. ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს დირექტივის თანახმად მთავრობამ მოლაშვილის ჯანმრთელობის შესამოწმებლად პარიტეტული კომისია დააარსა. გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, აგრეთვე, რომ ამ კომისიის მუშაობასაც თავიდან ხელი ეშლებოდა მოლაშვილის მიერ თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო. ივნისში სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა მოლაშვილის განაჩენი – რვა წლით თავისუფლების აღკვეთა – რომელიც მას თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვისა და ფინანსური სახსრების მითვისების ბრალდებით შეეფარდა. მოლაშვილის ადვოკატები აპირებდნენ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას სტრასბურგის ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოში, სადაც იხილება კიდევ ერთი საჩივარი იმის შესახებ, რომ მოლაშვილის წინააღმდეგ წარმოებული საქმე პოლიტიკურად იყო მოტივირებული. წლის ბოლოს სულხან მოლაშვილი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებოდა.

ადამიანის უფლებათა დამცველები იტყობინებოდნენ, რომ პოლიციის განყოფილებებში სამართალდამცავების მიერ დაკავებულების შეურაცხყოფის ფაქტების სიმცირეს განაპირობებდა ამ განყოფილებების ხშირი მონიტორინგი, რომელიც პოლიციელების გაუფრთხილებლად და შემთხვევითი შერჩევის პრინციპის მიხედვით ტარდებოდა. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე პირები იტყობინებოდნენ, რომ იმ დაკავებულ პირთა რიცხვი, რომელთაც ფიზიკური შეურაცხყოფის კვალი აღენიშნებოდათ პოლიციის განყოფილებებსა ან წინასწარი პატიმრობის საკნებში მიყვანისას საკმაოდ დიდი იყო. ორგანიზაცია "ამნისტი ინტერნაციონალ", ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველის ოფისი იტყობინებოდნენ, რომ ბევრ შემთხვევაში, პოლიციელებმა დაკავებულებს დაპატიმრების პროცესში მიაყენეს ჭრილობები. პოლიციელები კი ირწმუნებოდნენ, რომ ეს დაზიანებები

დაკავებულებს ან მანამდე აღენიშნებოდათ ან მათ ისინი პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის დროს მიიღეს.

როგორც იტყობინებოდნენ, პოლიციის ოფიცრები აწამებდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ დაკავებულებს მათივე სახლებში ან მანქანებში წინასწარი დაკავების საკნებში მათი გადაყვანისას. იყო საჩივრები იმის შესახებაც, რომ უსაფრთხოების სამსახურის სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი თანამშრომლები თავს დაესხნენ რამოდენიმე ადამიანს ქუჩაში, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ ხალხს უკაცრიელ ადგილებსა ან სასაფლაოებზე. იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში მანქანაში ჩასვეს სანდრო გირგვლიანი და ლევან ბუხაიძე, სასაფლაოზე აიყვანეს ისინი და იქ სცემეს. ამის შედეგად სანდრო გირგვლიანი დაიღუპა; ივლისში ოთხ ოფიცერს ამ დანაშაულის გამო შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ. ბუხაიძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით არავისთვის სასჯელი არ შეუფარდებიათ. (იხ. ნაწილი 1.ა.).

სახალხო დამცველის ოფისი იტყობინებოდა, რომ საანგარიშო წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში მონიტორინგის ჯგუფებმა 307-ჯერ დაათვალიერეს პოლიციის განყოფილებები მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2005 წელთან შედარებით ეს უფრო დაბალი მაჩვენებელია, რადგანაც მაშინ მონიტორინგის ჯგუფები 1 763-ჯერ შევიდნენ დასათვალიერებლად პოლიციის განყოფილებებში. სახალხო დამცველის ოფისმა პოლიციის განყოფილებების საკნების მონიტორინგზე გამოყოფილი რესურსები მიმართა წინასწარი დაკავების იზოლატორებისა და საპყრობილეების გაძლიერებულ მონიტორინგზე, რადგანაც ამ დაწესებულებებში ბევრად უფრო სავალალო ვითარება იყო.

საანგარიშო წლის განმავლობაში უფლებამოსილების გადამეტებისათვის რამოდენიმე პოლიციელი გაასამართლეს, ზოგი სამსახურიდან დაითხოვეს და ზოგიც დააქვეითეს; მიუხედავად ამისა, დაუსჯელობის სინდრომი კვლავაც პრობლემად რჩებოდა, განსაკუთრებით დედაქალაქს მოშორებულ რეგიონებში (იხ. ნაწილი 1.დ.). არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, აგრეთვე, რომ სასამართლო ხელისუფლებაში პროფესიონალი კადრებისა და

დამოუკიდებლობის არარსებობის გამო რეაგირება არ ხდება  წამების ფაქტების შესახებ შემოსულ საჩივრებზე. ამის შედეგად კი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები იტყობინებოდნენ, მიუხედავად პოზიტიური რეფორმების გატარებისა, სამართალდამცავები კვლავაც მიმართავენ წამებას ან სასტიკ მოპყრობას, რადგანაც დაბალია რისკი იმისა, რომ მათი ქმედებები გამოვლინდება ან დაისჯება. არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, აგრეთვე, რომ ვითარების გაუმჯობესებას ხელს უშლის ის ფაქტიც, რომ სამართალდამცავებს არ უტარდებათ შესაფერისი ტრენინგები, ხოლო საზოგადოება კი, ნაკლებად არის გათვითცნობიერებული, თუ რა ახალი დამცავი მექანიზმებია დაწესებული მოქალაქეებისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საანგარიშო წლის განმავლობაში ქვეყანაში არსებული 18 083 პატიმრიდან 2 963 პატიმარს (16 პროცენტს) ოფიციალურად დაუდგინდა დაზიანებების არსებობა; აქედან 191 პატიმარმა განაცხადა, რომ ისინი პოლიციელების მიერ იყვნენ ნაცემი. შსს-ს გენერალური ინსპექციის განყოფილებაში წარმოებული 105 გამოძიებიდან 70 საქმე გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. სახალხო დამცველის ოფისის ინფორმაციით საანგარიშო წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში პოლიციის განყოფილებების წინასწარი დაკავების საკნების მონიტორინგის ჯგუფმა გამოავლინა 384 დარღვევა 307 დათვალიერების დროს – მაგალითად, პატიმრებს აყენებდნენ შეურაცხყოფას, ატარებდნენ მათ არასანქცირებულ ჩხრეკას და არ უმარტავდნენ მათ უფლებებს. ომბუდსმენის ოფისი აღნიშნავდა, რომ მონიტორინგის ჯგუფებს განყოფილებებში შემოყვანილი დაკავებულების არაზუსტი რეგისტრაციის არცერთი შემთხვევა არ დაუფიქსირებიათ – ადრე კი ასეთი არაზუსტი რეგისტრაციის წყალობით პოლიციელები თავისი გადაცდომების დაფარვას ახერხებდნენ.

სასამართლოებმა ძალაში გაატარეს 2005 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი შესწორებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სამართალდამცავების მიერ წამებისა და შეურაცხყოფის პრაქტიკის გამოყენების თავიდან აცილებას. ამ შესწორებების თანახმად მიუღებელია ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც კანონის დარღვევით არის მოპოვებული, ხოლო

პატიმრების მიერ წინასწარი პატიმრობის დროს მიცემულ აღიარებით ჩვენებებს არ ექნებათ მტკიცებულების სტატუსი მანამ, სანამ მათ არ დაამტკიცებს სასამართლო.

სამართალდამცავი ორგანოებისა და პროკურატურის ყველა წარმომადგენელს, პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის გარდა, მოეთხოვებოდათ დაკავებულებთან და პატიმრებთან შეხვედრისას პირადობის დამადასტურებელი საშვების ტარება. პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლები ასეთი მოთხოვნისაგან გათავისუფლებულები იყვნენ ანონიმურობის შენარჩუნების მიზნით. არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევდნენ, რომ ასეთი პრაქტიკის გამო სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლები აღარ გრძნობდნენ პასუხისმგებლობას თავისი ნებისმიერი სამსახურეობრივი გადაცდომის გამო. მიუხედავად 2005 წლის საკანონმდებლო რეფორმებისა, პატიმრები კვლავაც იტყობინებოდნენ, რომ მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ საპყრობილეების ნიღბიანი თანამშრომლები, რომლებსაც ტანსაცმელზე არ ჰქონდათ საიდენტიფიკაციო ნომრები ან სიმბოლოები.

კვლავაც არსებობდა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები, რომლებიც პოლიციელების მიერ ჩადენილი წამებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტების გამოააშკარავებას უშლიდა ხელს. არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, დაზარალებულები ხშირად არ იტყობინებიან მათ წინააღმდეგ განხორციელებული შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ, რადგანაც ეშინიათ, რომ პოლიციელები მათ ან მათი ოჯახის წევრებს სამაგიეროს გადაუხდიან. სახალხო დამცველის ოფისში ცნობილი იყო პატიმრების შეურაცხყოფის რამოდენიმე აშკარა ფაქტის შესახებ, მაგრამ დაკავებულებმა, რომლებსაც დაზიანების ნათელი კვალი აღენიშნებოდათ, შემდგომ თავი შეიკავეს ამ ფაქტების შესახებ ოფიციალური განცხადების გაკეთებისგან, უარი განაცხადეს თანამშრომლობაზე ან საერთოდ გაიტანეს თავიანთი ადრე შემოტანილი საჩივრები.

შემდგომ წლებში გაიზარდა საზოგადოების ნდობა პოლიციის მიმართ, რაც განაპირობა კორუფციის ფაქტების შემცირებამ. ხელფასების მნიშვნელოვანი

ზრდა წამახალისებელი ფაქტორი გახდა პოლიციელებისათვის, რათა მათ თავი შეეკავებინათ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა (მოსახლეობისაგან ფულის გამოძალვის მიზნით) და პატიმრების შეურაცხყოფისაგან – ეს ყველაფერი საფრთხის ქვეშ დააყენებდა მათ თანამდებობებს.

ამასთან შემცირდა პოლიციელების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რიცხვი მაგალითად: მტკიცებულებების გაყალბება ან "ჩაგდება"; თუმცა, შემოდიოდა საჩივრები იმის შესახებ, რომ მაღალჩინოსნები კვლავაც იყენებდნენ მუქარას ეჭვმიტანილებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ, რათა "შეეგდოთ" ან გაეყალბებინათ მტკიცებულებები. საანგარიშო წლის ბოლოსათვის გენერალურ პროკურატურაში კვლავ მიმდინარეობდა აგვისტოში დაწყებული გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების წინააღმდეგ, რომლებმაც, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გააყალბეს მტკიცებულება, რათა დაემალათ პოლიციის ბრალეულობა ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმეში (იხ. ნაწილი 1.ა.).

არსებობდა ფართოდ გახმაურებული საქმეები, რომელიც ეხებოდა პოლიციელების მიერ ფიზიკური ძალის გამოყენებას ან საპყრობილეებში პატიმრების გარდაცვალებას – ამ საქმეების გამოძიების შედეგად ზოგი პოლიციელი დააპატიმრეს, ზოგს კი, ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდეს. გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება რეგულარულად აქვეყნებდა განახლებულ ინფორმაციას საქმეების სტატუსის, სასამართლო პროცესებისა და ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტების გამოძიების შესახებ. ამ განყოფილების მონაცემების თანახმად, საანგარიშო წლის განმავლობაში გენერალურ პროკურატურაში განიხილეს 137 სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხებოდა სამართალდამცავების თანამდებობრივ გადაცდომებს, მათ მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და წამების განხორციელებას; აქედან 16 სამართალდამცავს ბრალი უკვე წაუყენეს. გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს თანამდებობის შვიდ პირს.

სპეციალურ-კრიმინოლოგიურ ზომებს ჩვენ უნდა მივაკუთვნოთ საერთაშორისო კონვენციების მიერ დასახული ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია წამების

წინააღმდეგ [199]. ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად: «არავინ შეიძლება დაექვემდებროს  წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.» როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს,  მოპყრობას თუ სასჯელს სისასტიკის მინიმალური ხარისხი უნდა ახასიათებდეს, რათა მან პრეცედენტული სამართლით დადგენილ ზღვარს მიაღწიოს. ამ მინიმუმის შეფასება, გამომდინარე მოპყრობის ხასიათიდან, შედარებითია. იგი საქმის ყველა ისეთ გარემოებაზე არის დამოკიდებული, როგორიცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და სულიერი შედეგები, ზოგ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

საერთაშორისო სისხლის სასამართლოს განმარტების მიხედვით, ეს მოთხოვნა უპირობოდ კრძალავს წამებას, არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობასა თუ სასჯელს და მისი გარანტიები პირზე მისი გასაკიცხი საქციელის მიუხედავად ვრცელდება.

წევრ სახელმწიფოებზე ევროპული კონვენციის მიერ დაკისრებული ვალდებულება აუცილებელია ყველასათვის. ამ მოთხოვნის თანახმად, აღიარებული ვალდებულება «სახელმწიფოებისგან მოითხოვს ღონისძიებების გატარებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ იურისდიქციაში მყოფი ფიზიკური პირები არ დაექვემდებარონ წამებას... კერძო პირთა მხრიდან არამართებული მოპყრობის ჩათვლით... ეს ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფდეს განსაკუთრებით ბავშვებისა და სხვა დაუცველ პირთა ქმედით დაცვას.»

საერთაშორისო სამართლის მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი ფუძემდებლური დებულებები:

- წამება: განზრახ არაადამიანური მოპყრობა, რომელიც ძალზე მძიმე და სასტიკ ტანჯვას იწვევს.
- არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელი: ძლიერი ფიზიკური და სულიერი ტანჯვის მიყენება.

• დამამცირებელი მოპყრობა: არამართებული მოპყრობა, რომელიც მიზნად ისახავს მსხვერპლში შიშის, ტკივილის, არასრულფასოვნების განცდის აღძვრას, რომელსაც შეუძლია დაამციროს და დააკნინოს იგი და, სავარაუდოდ, გატეხოს მისი ფიზიკური და მორალური წინააღმდეგობა.

1990 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე – სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (შელმოუნი ვ. რანცე) – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: «გარკვეული ქმედებები, რომლებიც წარსულში კვალიფიცირდებოდა როგორც «არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა» და არა «წამება», მომავალში შეიძლება სხვაგვარად იქნეს კლასიფიცირებული... ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში არსებული სულ უფრო და უფრო მზარდი სტანდარტი შესაბამისად და გარდაუვლად მოითხოვს უფრო მეტ განუხრელობას დემოკრატიული საზოგადოების ფუძემდებლური ფასეულობების შეფასებაში.»

აღნიშნული არ ნიშნავს, რომ პატიმრობის პირობებმა არ შეიძლება საერთაშორისო კონვენციების დარღვევა გამოიწვიოს. საბერძნეთის საქმესთან დაკავშირებით არაადამიანურ მოპყრობად ჩაითვალა საკნების გადატვირთვა და არასათანადო გათბობა, საპირფარეშოების, საძინებლების მდგომარეობა, არაადეკვატური საკვები, დასვენება და გარესამყაროსთან კავშირი და ა.შ.

აგრეთვე ახალგაზრდა დამნაშავისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებამ შეიძლება მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი წამოჭრას. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ჯანმრთელობის დაცვის კონტექსტში ევროპულმა კომისიამ და ევროპულმა სასამართლომ 1998 დაადგინა, რომ განმცხადებელი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი იყო ხელისუფალთა ხელთ მყოფი პირის გაუჩინარებისა და ქმედითი გამოძიების არარსებობის გამო.

ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს ამა თუ იმ ქვეყანაში შესვლის, იქ ცხოვრებისა თუ დარჩენის უფლებას, ისევე როგორც პირდაპირ არ ითვალისწინებს თავშესაფრის უფლებას. როგორც ევროპული სასამართლოს მიერ იქნა დადგენილი, სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან, გააკონტროლონ, თუ ვინ ტოვებს და ვინ შედის მათ ტერიტორიაზე, მაგრამ სახელმწიფოში

შეშვებისა თუ გაძევების შესახებ გადაწყვეტილებამ კონვენციის არც ერთი უფლება, მათ შორის არც მე-3 მუხლი, არ შეიძლება დაარღვიოს.

დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, პირის დეპორტაციამ ან ექსტრადიციამ შეიძლება წამოჭრას კონვენციების დარღვევის საკითხი, როდესაც არსებობს გასათვალისწინებელი მიზეზები ვარაუდისათვის, რომ პირი მიმღებ სახელმწიფოში ამ მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას დაექვემდებარება. ეს პრინციპი გამოყენებულ იქნა აგრეთვე გაძევების მიმართაც.

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის გამოყენება უფრო ტიპურია ევროპული სასამართლოს მიერ იმ კონტექსტში, სადაც პირის საფრთხე, დაექვემდებაროს მოპყრობის აკრძალულ რაიმე ფორმას, მომდინარეობს მიმღებ ქვეყანაში საჯარო ხელისუფლების ან არასამთავრობო ორგანიზაციების განზრახ ქმედებებისაგან. მაგრამ მე-3 მუხლის ფუძემდებლური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი მოქმედება შეიძლება სხვა კონტექსტზეც გავრცელდეს.

მიმღებ ქვეყანაში აკრძალული მოპყრობის საფრთხის წყარო შეიძლება იყოს ფაქტორები, რომლებიც არ შეიძლება პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამ ქვეყნის საჯარო ხელისუფალთა პასუხისმგებლობას იწვევდეს, ან გარემოებები, რომლებიც, ცალკე აღებული, ამ მუხლის სტანდარტებს თავისთავად არ არღვევს.

განსაკუთრებით გამძევებელ სახელმწიფოში განმცხადებლის პიროვნული მდგომარეობა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ტერიტორიაზე დაშვების და გაძევების პოლიტიკასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით ევროპული კონვენციის კონტექსტში აქცენტი დისკრიმინაციაზე არის გადატანილი. როგორც კონვენციაში არის აღნიშნული: «განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს რასაზე დაფუძნებულ დისკრიმინაციას, იმას, რომ რასობრივ საფუძველზე განსხვავებული მოპყრობის მიზნით პირთა ჯგუფის საჯაროდ გამოცალკევებამ შეიძლება, გარკვეულ ვითარებაში, ადამიანის ღირსების შელახვის განსაკუთრებული ფორმა შეიძინოს და რომ ამის გამო რასის საფუძველზე პირთა ჯგუფის განმასხვავებელი მოპყრობა შეიძლება დამამცირებელ მოპყრობად ჩაითვალოს, მაშინ როცა რაიმე სხვა საფუძველზე განმასხვავებელი მოპყრობა ასეთ პრობლემას არ წარმოშობს.»

ყველა განმასხვავებელი მოპყრობა არ შეიძლება მე-3 მუხლის დარღვევად ჩაითვალოს. ყურადღება მახვილდება ღირსებასა და პატივზე. დისკრიმინაციამ შეიძლება მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი წარმოშვას, როდესაც მოპყრობა ზიზღს ან უპატივცემულობას გამოხატავს, რაც პირის დამცირებას ან დაბეჩავებას ისახავს მიზნად. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვთა მიმართ ძალის გამოყენება მე-3 მუხლთან შესაბამისობის განსაკუთრებულ პრობლემებს წამოჭრის. 1-ლი მუხლი ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან ერთობლიობაში «სახელმწიფოებისაგან მოითხოვს ღონისძიებების გატარებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ იურისდიქციაში მყოფი ფიზიკური პირები არ დაექვემდებარონ წამებას ..., კერძო პირების მიერ არამართებული მოპყრობის ჩათვლით. ეს ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფდეს, განსაკუთრებით, ბავშვებისა და სხვა დაუცველი  პირების ქმედით დაცვას».

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია ამ მხრივ ადგენს გარკვეულ გარანტიებს. კონსტიტუციის  მე-17 მუხლი ითვალისწინებს:  "ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.  დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება".

კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: «დაუშვებელია დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.» თუ გავითვალისწინებთ იმ ადგილს, რომლებიც ადამიანის უფლებათა იერარქიაში უკავია პირის უფლებას, არ დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობასა თუ სასჯელს, შედარებით ლოიალური მითითება ამგვარი მოპყრობის «დაუშვებლობაზე» სათანადოდ ვერ გადმოსცემს აღნიშნული  უფლების მნიშვნელობას. ამასთან, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში «და» კავშირი დაუშვებლობასთან მიმართებით მოპყრობისა და სასჯელის სავალდებულო კუმულაციურ არსებობაზე მიუთითებს.

კონსტიტუციის 46-ე მუხლით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს ნორმაში მითითებული ზოგიერთი მუხლით განსაზღვრული

კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები. მე-17 მუხლი არ არის იმ მუხლების ჩამონათვალში, რომლებშიც განსაზღვრულ უფლებათა შეზღუდვაც დასაშვებია, მაგრამ 46-ე მუხლი ითვალისწინებს მე-18 მუხლით განსაზღვრული უფლებების შეზღუდვას ისე, რომ ამით ნებას რთავს ქმედებებს, რომლებიც პოტენციურად კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაა.

Travaux préparatoires-ის მიხედვით, სიტყვა «სასტიკი» კონვენციის მე-3 მუხლის თავდაპირველი რედაქციიდან ამოღებულ იქნა გარკვეულ მიზეზთა გამო, რომლებიც ოქმში არ შეუტანიათ. სასამართლო წამების საწინააღმდეგო გაეროს კონვენციის 1-ლი მუხლის დეფინიციასაც იყენებს. სიტყვა «სასტიკის» გამო, როგორც ქართველი მეცნიერები თვლიან საქართველოს კონსტიტუცია უფრო მეტად ემსგავსება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლს, «სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ» საერთაშორისო აქტის მე-7 მუხლს, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-5 მუხლს და ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-5 მუხლს.

«წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ» გაერთიანებული ერების 1984 წლის კონვენცია საქართველოსათვის ძალაში შევიდა 1994 წლის 22 დეკემბერს. საქართველომ კომიტეტის უფლებამოსილება, კონვენციის 21-ე და 22-ე მუხლების თანახმად, 2002 წლის 7 ივლისს სცნო. «წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ» 1987 წლის ევროპის საბჭოს კონვენცია საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2000 წლის პირველ ოქტომბერს. 1-ლი და მე-2 ოქმები საქართველოსათვის 2002 წლის პირველი მარტიდან არის ძალაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის VII თავი, რომლის სათაურია «დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ», კონვენციის მე-3 მუხლის ტერმინოლოგიას არ იყენებს, თუმცა იგი ითვალისწინებს მთელ რიგს დანაშულის შემადგენლობებისას, რომლებმაც შეიძლება მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობა შეადგინონ. ეს შემადგენლობები მოიცავს როგორც ფიზიკური, ისე სულიერი ტანჯვის მიყენებას.

სახელდობრ, სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად აცხადებს: ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, ესე იგი, სხეულის დაზიანებას, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ანდა გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოსა თუ მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება; ჯანმრთელობის სხვაგვარ, ისეთ დაზიანებას, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით, დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით, პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან (117-ე მუხლის 1-ლი ნაწილი 89).

სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად აცხადებს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას (118-ე მუხლი), ჯანმრთელობის დაზიანებას სასიკვდილო შედეგით (119-ე მუხლი) და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას (120-ე მუხლი), ცემას ან სხვაგვარ მოპყრობას. საქართველოს ხელისუფლებას გაკეთებული აქვს დათქმა, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო არ აგებს პასუხს კონვენციის ნორმების დარღვევაზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე და აღნიშნულ ტერიტორიებზე კანონიერი ხელისუფლების სრული და ეფექტიანი კონტროლის დამყარებამდე. მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს და ძალაშია 2000 წლის 1-ლი ივნისიდან.

117-ე მუხლის მე-2 ნაწილი დანაშაულებრივად განსაზღვრავს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ იმავე ქმედებებს: ინტერ ალია, წინასწარი შეცნობით, ორსული ქალის მიმართ; განსაკუთრებული სისასტიკით; რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; დაზარალებულის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია (125-ე მუხლი).

126-ე მუხლი («წამება») ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი დანაშაულებრივად გასაზღვრავს სისტემატურ ცემას, სხვაგვარ ძალადობას, რამაც

დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი; მეორე ნაწილი დასჯადად აცხადებს იმავე ქმედებას, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებებში (ინტერ ალია, წინასწარი შეცნობით, ორსული ქალის მიმართ; არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან/და დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ; რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით). თუმცა ფიზიკური ტანჯვის მიყენება შეიძლება მოცული იყოს ზემოაღნიშნული მუხლებით, მაგრამ სულიერი ტანჯვის მიყენება, როგორც ეს კოდექსით არის დანაშაულებრივად განსაზღვრული, არ მოიცავს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას ისე, როგორც ეს ცნებები ევროპული სასამართლოს განმარტებაშია მოცემული. ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და ევროპული კონვენციის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით განსაზღვრულ ცნებებს შორის არსებული სხვაობა აშკარაა. არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ელემენტებია მოცემული 115-ე მუხლში, რომელიც დანაშაულებრივად და დასჯადად აცხადებს თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანას მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით, ან/და მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით.

თუმცა 115-ე მუხლი შეიცავს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ელემენტებს ისე, როგორც ეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით იქნა განმარტებული, იგი, ცხადია, ვერ ადგენს პატივის შელახვისა თუ ღირსების დამამცირებელ იმ ქმედებათა დანაშაულებრიობასა და დასჯადობას, რომლებსაც პირი თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე არ მიყავს. აღსანიშნავია 39-ე მუხლი, რომელიც სასჯელის მიზნებს განსაზღვრავს. იგი ითვალისწინებს, რომ «სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.» თუმცა ცხადია, რომ სისხლის სამართლის კოდექსმა შეძლო მოეცვა განსაზღვრული ელემენტები, რომლებიც სასამართლოს პრეცენდენტული სამართლით განიმარტა, როგორც კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო, წამების, არაადამიანური თუ

ღირსების შემლახველი მოპყრობის კრიმინალიზაციაში ხარვეზი აღინიშნება, რამდენადაც კოდექსი ევროპული სასამართლოს პრაქტიკით გამოკვეთილ ზოგიერთ მნიშვნელოვან მიდგომას არ ასახავს.

ზემოთ ციტირებული 115-ე მუხლი შედის XIX თავში, რომლის სათაურია «დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ», მაშინ როდესაც 117-ე-126-ე მუხლები XX თავს განეკუთვნება, სათაურით – «დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ». კონსტიტუციური ნორმა, რომელიც საერთაშორისო აქტების ანალოგიით არის შედგენილი, აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალი ვერ იქნება, რადგანაც სისხლის სამართლის კოდექსი არის ლეხ სპეციალის, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ქმედითი მექანიზმი კონვენციით აკრძალული ქმდებების აღსაკვეთად. ტერმინოლოგიასა და მოქმედების სფეროს შორის სხვაობა კი ამ მიზნის მიღწევას წინ ეღობება.

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, კანონიერების, პიროვნების ხელშეუხებლობის, მისი ღირსების პატივისცემის, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის ზოგადსამართლიანობის პრინციპები სისხლის სამართლის პროცესის საფუძველია. დაუშვებელია პროცესის მონაწილეთა თუ სხვა პირთა მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში, აგრეთვე მათი პატივისა თუ დამამცირებელი მეთოდების გამოყენება.

საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედება, რომელიც პიროვნების ხელშეუხებლობას ეხება, შეიძლება იძულებით ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, თუ ამას უშუალოდ კანონი ითვალისწინებს. საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედების ჩატარებისას დაუშვებელია მაძიებლობის, მუქარის, შანტაჟის, წამების, ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის სხვა ხერხების გამოყენება. დაუშვებელია დაკავებულისა და დაპატიმრებულის მიმართ სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარება, ძილის, წყლის, საკვების აკრძალვა ან ზღვრულ

ნორმაზე მეტად შეზღუდვა, ისეთ პირობებში ჩაყენება, რაც მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ლახავს მის ღირსებას. დანაშაულის გახსნისა და სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით პირის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი საფუძვლითა და წესით (მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი).

მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, საკმარისი არ არის მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად ჩვენების მისაღებად ფიზიკური და ფსიქიკური იძულების გამოყენება აკრძალულია.

წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სისხლის სამართლებრივი დევნის 4 სახეს ითვალისწინებდა: საჯაროს, სუბსიდიურს, კერძო-საჯაროსა და კერძო სისხლისსამართლებრივს.

საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე ხორციელდება. იგი ტარდებოდა მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების, სახელმწიფო ორგანოთა და არასახელმწიფო ორგანიზაციათა შეტყობინებების, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობების საფუძველზე. საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას მოკვლევის ორგანო, პროკურორი და გამომძიებელი შებოჭილნი არ არიან დაზარალებულისა და სხვა პირთა პოზიციით. ისინი დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში ვალდებულნი არიან, საჯარო ბრალდების საქმე აღძრან ეხ ოფფიციო, მიიღონ ზომები დანაშაულის საქმის გასახსნელად და დამნაშავის დასადგენად, არ დაუშვან უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა (წინა სსსკ-ის 24-ე მუხლი).

სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა გულისხმობდა, რომ დაზარალებული და მისი წარმომადგენელი უფლებამოსილნი არიან, მხარი დაუჭირონ სახელმწიფო ბრალდებას. თუკი პროკურორი უარს იტყოდა

ბრალდებაზე, ან შეცვლის თავდაპირველ ბრალდებას, დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილი იყო, მხარი დაუჭიროს წინანდელ ბრალდებას. ასეთ შემთხვევაში საქმე არ წყდება, ხოლო პროკურორს საქმის შემდგომ განხილვაში მონაწილეობის უფლება აღარ აქვს (წინა სსსკ-ის 25-ე მუხლი).

კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა დაზარალებულის განცხადების საფუძველზე ხორციელდებოდა განსაზღვრული კატეგორიის დანაშაულებზე (გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება; სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება; სიტყვის თავისუფლების ხელყოფა; პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა; ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა; შვილად აყვანის საიდუმლოს გამჟღავნება; ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა). სამართალწარმოება არ წყდებოდა დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის შემდგომმა გამოძიებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს. თუ რომელიმე ზემოაღნიშნული დანაშაულის შესახებ საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და, ამასთან, დაზარალებულს უმწეო მდგომარეობის ან ბრალდებულზე დამოკიდებულების გამო არ შეეძლო დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, პროკურორი უფლებამოსილი იყო აღძრას საქმე, თუნდაც დაზარალებულის საჩივრის არარსებობისას, იმ პირობით, თუ დაზარალებული ქმედუნარიანია და წერილობითი თანხმობა აქვს მიცემული (წინა სსსკ-ის 26-ე მუხლი).

კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების დანაშაულზე, ცემის, ცილის წამების დანაშაულებზე დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე. შერიგების გამო სამართალწარმოება წყდებოდა.

მაგრამ, აღნიშნული მუხლების ნაწილში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ევროპულ კონვენციასა და მასზე არსებულ პრეცენდენტულ სამართალთან შესაბამისობაში იყო.

ახალი სსს-კ თანახმად, პოლიციაში ბრალდებულის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს.

ამ დროის განმავლობაში გამომძიებელი ბრალდების წაყენების საკითხის გადაწყვეტის მიზნით აწარმოებს ბრალდებულის დაკითხვას და ატარებს სხვა აუცილებელ საგამოძიებო მოქმედებებს. ბრალდებულისათვის ბრალის წაყენების შემთხვევაში მოსამართლეს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე შესაბამისი შუამდგომლობა ეგზავნება. მოსამართლემ მომდევნო 24 საათის განმავლობაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული პირის დაპატიმრების ან აღკვეთის სხვა ღონისძიების გამოყენების (მაგ., პატიმრობა, გირაო და ა.შ.), ან განთავისუფლების შესახებ. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულმა პირმა პოლიციის განყოფილებაში შეიძლება დაყოს არა უმეტეს 72 საათისა. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ პატიმრობაშეფარდებული ბრალდებული უნდა გადაიყვანონ საპყრობილეში.

წინა სსსკ-ის ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ დაკავებული პირის ეჭვმიტანილად ფორმალურ-საპროცესო აღიარებას, რაც დაკავებული ეჭვმიტანილის პოლიციის განყოფილებაში მიყვანიდან 12 საათის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო, საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადდა.

მოქმედი სსსკ-ის 38-ე მუხლის თანახმად ბრალდებულს უფლება აქვს შეატყობინოს ნათესავებს ან ახლობლებს დაკავების ადგილი ან ადგილსამყოფელი, ხელმისაწვდომი ხდება დაკავებული პირისათვის პოლიციის განყოფილებაში მიყვანის მომენტიდან.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა, აგრეთვე, სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.

სსსკ-ს 38-ე მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად ბრალდებულს უფლება აქვს გაასაჩივროს გამომძიებლის მოქმედება პროკურორთან, პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება – ზიმდგომ პროკურორთან და სასამართლოში.

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა უარი თქვა სისხლისსამართლებლივი დევნის ოთხი სახის (საჯარო,კერძო საჯარო,კერძო და სუბსიდიური) ბრალდებაზე და დისკრეციული სისხლისსამართლებლივი დევნის უფლება დააკისრა მხოლოდ პროკურორს,რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს საჯარო ინტერესებიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე იბადება ერთი შეკითხვა - ასეთ პირობებში ხომ არ შეილახება დაზარალებულის უფლებები, რომელსაც შესაძლებელია არ აქვს სურვილი დაწყებულ იქნეს სისხლისსამართლებლივი დევნა. ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში შეიძლება უფრო ხშირად დადგეს სექსუალური დანაშაულის ჩადენის დროს. არადა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი და ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი მკაცრად იცავენ ადამიანის პირად ცხოვრების ხელშიუხებლობას. ამიტომ ვფიქრობ პროკურორს ძალზედ ფრთხილად მოუწევს განახორციელოს აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებიზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, იმისათვის რომ არ შეილახოს ადამიანის პირადი ცხოვრების საიდუმლოება.

მოკლედ შევეხოთ სასჯელაღსრულების პრობლემატიკას. ადრე «პატიმრობის შესახებ» საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებდა პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან, დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს პატიმრობის აღსრულების ორგანოთა სისტემასა და სტრუქტურას, აღსრულების პრინციპებსა და წესებს, პატიმართა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, ძირითადად მე-3 მუხლის მოთხოვნებს შეესაბამება ერთადერთი, რაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, არის ერთსაწოლიან საკანში სადღეღამისო დაკავება, რომელიც ევროპული კომისიისა და ევროპული სასამართლოს ადრეულ განჩინებებსა და გადაწყვეტილებებში კონვენციის საწინააღმდეგოდ არ მიიჩნეოდა.

მოქმედი სასაჯელაღსრულების კანონმდებლობის თანახმად, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს ამყოფებენ სადღეღამისო დაკავების ერთსაწოლიან საკანში, სადაც შესაძლებელია მუდმივი ვიზუალური კონტროლი. უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს უფლება აქვს ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნისა საპყრობილის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ სადგომში. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის სრული იზოლაცია იკრძალება და ოჯახთან, ნათესავებთან, ახლობლებთან მსჯავრდებულის ურთიერთობის კონტროლი უნდა განხორციელდეს მისი პატივისა და ღირსების შეულახავად.

როგორც ლიტერატურაში აღინიშნება, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ საქართველოს მთავრობისადმი წარდგენილი მოხსენების თანახმად, უვადო მსჯავრდებულებს საშუალება არა აქვთ ჩაებან სამუშაოში და ა.შ.

აქტუალურია ფსიქიატრიული დაწესებულებების პრობლემატიკაც. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული ფსიქიატრიული დაწესებულებები 106 უზრუნველყოფს იმ პირთა მკურნალობას, რომლებიც შეურაცხადად არიან მიჩნეულნი, ჩაიდინეს დასჯადი ქმედება და სასამართლოს გადაწყვეტილებით ფსიქიატრიული მკურნალობის გავლას ექვემდებარებიან. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრები, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთის განმავლობაში ფსიქიატრიული პრობლემები განუვითარდათ, ასევე ჰოსპიტალში გადიან მკურნალობას.

«ფსიქიატრიული დახმარების შესახებ» საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, ექიმ-ფსიქიატრს უფლება აქვს, განსაზღვრული ვადით, გამოიყენოს პაციენტის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდი, თუ დაასკვნის, რომ სხვაგვარად პაციენტისათვის დახმარების გაწევა ან სხვების დაცვა შეუძლებელია. კანონმდებლობაში არ არის მოცემული დეტალური მითითებები ფიზიკური შეზღუდვის მეთოდის ხასიათზე, რაც არამართებული მოპყრობის შესაძლებლობას განაპირობებს. ეს დაფიქსირდა კიდეც წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ ფოთის მკაცრი რეჟიმის ფისქიატრიულ საავადმყოფოში ვიზიტისას 2001 წლის 6-8 მარტს.

ასევე აქტუალურია შეიარაღებული ძალების პრობლემატიკა. კანონმდებლობა არ აწესრიგებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დისციპლინური სასჯელის დაკისრების საპროცესო საკითხებს. სანქციის შეფარდებამდე არ ხდება იმ ჯარისკაცის საქმის განხილვა, რომელსაც ბრალად ედება დისციპლინური გადაცდომა და მას არ შეუძლია სასჯელის ღონისძიების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრება. გარდა ამისა, სტანდარტულ ანკეტაში, რომლის საფუძველზეც ხდება ჯარისკაცის მოთავსება ჰაუპტვახტში, ფიქსირდება დაკავების ხანგრძლივობა, მაგრამ არა კონკრეტული ბრალდება.

შევეხოთ თავისუფლების აღკვეთის ზოგადი პირობების საკითხებს. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის, საქართველოში 2001 წლის 6-8 მაისს ვიზიტისას დელეგაციამ თავისუფლების აღკვეთის პირობები არადამაკმაყოფილებლად და ზოგიერთ შემთხვევაში შემაშფოთებლად მიიჩნია.

საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც, ინტერ ალია, მოკვლევასა და სასჯელის მოხდას ზედამხედველობს.

«საქართველოს პროკურატურის შესახებ» საქართველოს კანონი პროკურატურის ამოცანად განსაზღრავს ზედამხედველობას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდისას, იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას, აგრეთვე დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში. პროკურატურა ხელმძღვანელობს ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრინციპით. პროკურატურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კანონი და საქართველოს კანონმდებლობა.

პროკურატურის ორგანოთა სისტემაში სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურატურა არა არის სპეციალიზებული ორგანო, რომელიც, ზედამხედველობას უწევს კანონით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვას დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სხვა ადგილებში. მოქმედი კანონდებლობის თანახმად კი ამ ფუნქციის

შესასრულებლად პროკურორი უფლებამოსილია შეამოწმოს სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები და დროებითი დაკავების საკნები. პროკურატურა რეგულარულად ამოწმებს პოლიციის განყოფილებებში დაკავების საკნებს. ამ დროს მოწმდება პირის თავისუფლების აღკვეთის კანონიერება და ხანგრძლივობა. პროკურატურა ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას და იხილავს პატიმართა საჩივრებს.

საქართველოს პენიტენციური დაწესებულებების შემოწმებას ახორციელებს სხვადასხვა უწყება, მათ შორის, ზედამხედველი პროკურორი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, სახალხო დამცველი და საზოგადოებრივი კონტროლის საბჭო, რომელშიც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები შედიან.

მოქმედი სასაჯელარსრულების კანონმდებლობის თანახმად სჯავრდებულს უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის, მოსამსახურეთა, დეპარტამენტის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების უკანონო მოქმედებაზე.

«ფსიქიატრიული დახმარების შესახებ» საქართველოს კანონის 113 მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს პაციენტის უფლებას, საჩივარი და განცხადება შეიტანოს სასამართლო და სახელმწიფო ორგანოებში. პაციენტს შეუძლია იჩივლოს ზემდგომ პროკურორთან.

რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთის ადგილებს სამხედრო ნაწილებში, რაიონის სამხედრო პროკურორი, რომელსაც სამხედრო სამსახურში თავისუფლების აღკვეთაზე ევალება ზედამხედველობა, ჰაუპტვახტს ორ თვეში ერთხელ ამოწმებს. გარდა ამისა, ადგილობრივი სანიტარული სამსახურები პერიოდულ სანიტარულ შემოწმებებს ახორციელებენ. უკანასკნელ პერიოდში, თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ჰაუპტვახტს არასამთავრობო ორგანიზაციები ნახულობენ.

ჯანმრთელობის დაცვა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ასევე მნიშვნელოვანი პრევენტული ზომაა. «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ»

საქართველოს კანონით, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები, ინტერ ალია, არის სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში მყოფ პაციენტთა დისკრიმინაციისგან დაცვა (მე-4 მუხლის ე) პუნქტი). დაუშვებელია სასჯელაღსრულების  დაწესებულებაში მყოფი პაციენტის დისკრიმინაცია სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი).

წინასწარ პატიმრობაში ან სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირისთვის სამედიცინო დახმარება, მათ შორის შიმშილობის დროს, დასაშვებია მხოლოდ  მისი ინფორმირებული  თანხმობის შემთხვევაში. სამედიცინო დახმარება ხორციელდება კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით (მე-13 მუხლი).  ექიმი ვალდებულია, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ პირს დახმარება გაუწიოს მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და მძიმე მდგომარეობაში ყოფნის გამო თანხმობის მიღება შეუძლებელია.

იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შექმნილი იუსტიციის სასწავლო ცენტრი, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირია, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა პერსონალისათვის სწავლების პერიოდულ კურსებს აწყობს. კურსები ფინანსდება გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) მიერ და მოიცავს ადამიანის უფლებათა კურსს, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს: ევროპული კონვენციის შესაბამის მუხლებსა და მათზე არსებულ პრეცედენტულ სამართალს; წამების საწინააღმდეგო ევროპულ კონვენციასა და მის დამატებით ოქმებს; ევროპულ პენიტენციურ წესებსა და მინისტრთა კომიტეტის სხვა რეკომენდაციებს; წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოხსენების  მიმოხილვას. 2002 წლის ივლისიდან მოყოლებული, ამ კურსებში იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების 150 თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

პრევენტულ სისტემას უნდა მივაკუთვნოთ მიმღებ ქვეყანაში არამართებული მოპყრობის თავიდან აცილების ზომები. კონსტიტუციის 47-ე მუხლის შესატყვისი პუნქტების თანახმად:

2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქლაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისთვის, ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.» სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც უშვებს უცხო ქვეყნის მოქალაქეების, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირების, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან,სისხლისსამართლებრივ საერთაშორისო კონვენციები პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემას, კრძალავს იმ შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემას, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე იმ პირის გადაცემას, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით უნდა გადაწყდეს. ზემოგანხილული პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ არც კონსტიტუცია და არც სისხლის სამართლის კოდექსი არ გამორიცხავს პირის ექსტრადიცია/დეპორტაცია/გაძევებას მე-3 ქვეყანაში იმ გარემოებებში, რომლებმაც შეიძლება მე-3 მუხლის დაღვევა გამოიწვიოს.

მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებებმა, რომლებიც ოჯახებს ყოფს, ან ხელს უშლის მათ ხელახალ გაერთიანებას (იქნება ეს გაძევებისა თუ ქვეყანაში დაშვებაზე უარის თქმის გზით), შეიძლება მე-3 მუხლის დარღვევა გამოიწვიოს. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს შესატყვისი ნორმა, რომელიც

ავალდებულებს საემიგრაციო მოხელეებს, ამ თვალსაზრისით მე-3 მუხლის მოთხოვნები მიიღონ მხედველობაში.

მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის პრევნციის საკითხები. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

საქართველოს კონსტიტუციისა და «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, უცხოელებს საქართველოში საქართველოს მოქალაქეთა თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. უცხოელები კანონის წინაშე თანასწორნი არიან, მიუხედავად წარმოშობისა, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა, რასისა, ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, განათლებისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, საქმიანობის სფეროსა და სხვა გარემოებებისა. საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელთა სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს (მე-3 მუხლის 1-3 პუნქტები). უცხოელებს საქართველოში უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს თავიანთი ქონებრივი, პირადი არაქონებრივი და სხვა უფლებების დასაცავად. ისინი საქართველოს მოქალაქეების თანაბრად სარგებლობენ საპროცესო უფლებებით. ყოველ უცხოელ მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირს შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, რომელიც უფლებამოსილია დაიცვას იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა ინტერესები, რომლის მოქალაქეც არის უცხოელი, ან რომელშიც მუდმივად ცხოვრობს მოქალაქეობის არმქონე პირი (მე-20 მუხლი).

კანონი ითვალისწინებს საქართველოში შემოსვლისას განსაზღვრული დოკუმენტების წარდგენას (23-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა უცხოელს შეიძლება აეკრძალოს ქვეყანაში შესვლა. უარის

თქმის ეს საფუძვლები ყველასთვის საერთოა. პირს შეიძლება აეკრძალოს საქართველოში შესვლა, თუ: მან ჩაიდინა მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული; მას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჩადენილი აქვს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული; სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესების თვალსაზრისით; ეს აუცილებელია საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად; მხილებულია საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებაში; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესების თვალსაზრისით; საქართველოში წინანდელი ყოფნის დროს დაარღვია ამ კანონისა და საქართველოს სხვა კანონთა მოთხოვნები; საქართველოში შემოსვლაზე შუამდგომლობის აღძვრისას წარადგინა ყალბი ცნობები (23-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

უცხოელი მოქალაქეები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც დროებით იმყოფებიან საქართველოში, შეიძლება გაძევებულ იქნენ ქვეყნიდან ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში, რომლებიც «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს კანონითაა გათვალისწინებული: ა) თუკი აღარ არსებობს საქართველოში მათი შემდგომი ყოფნის საფუძველი; ბ) თუ ისინი უკანონოდ შემოვიდნენ ან იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე; გ) თუ მათი საქართველოში ყოფნა ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; დ) თუ ეს აუცილებელია საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მყოფ სხვა პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის; ე) თუ ისინი განზრახ სისტემატურად არღვევენ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას; ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

უცხოელთა გაძევების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს (29-ე მუხლის მე-4 პუნქტი). კანონი გამონაკლისს ითვლისწინებს. დაუშვებელია საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოდან გაძევება. ამ შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სხვა ზომები გამოიყენება (31-ე მუხლი).

33-ე მუხლი ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმების უპირატესობას კანონით დადგენილ სამართალწარმოებაზე. «იმიგრაციის შესახებ» საქართველოს კანონის119 მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უცხოელი, რომელმაც საქართველოში ცხოვრების უფლება მოიპოვა, ქვეყანაში შემოსვლისას ექვემდებარება საპასპორტო კონტროლს, რომლის დროსაც მან უნდა წარმოადგინოს საქართველოში ცხოვრების ნებართვა, შემოსასვლელი ვიზა, პასპორტი ან მისი შემცვლელი დოკუმენტი და შეავსოს მიგრანტის ბარათი. საქართველოში შემოსვლისას ყველა იმიგრანტი გადის სავალდებულო სამედიცინო კონტროლს. არ არსებობს საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნას აღნიშნული სამედიცინო კონტროლის ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვით ჩატარების თაობაზე. გარდა იმ საფუძვლისა, რომ უცხოელი ვერ წარადგენს კანონით დადგენილ დოკუმენტებს, მას საქართველოში შემოსვლაზე უარი შეიძლება კანონით გათვალისწინებული სხვა გარემოებების საფუძველზეც ეთქვას, რაც «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების მსგავსია.

კანონი ითვალისწინებს საიმიგრაციო კვოტის ყოველწლიურად განსაზღვრას იუსტიციის სამინისტროს  მიერ და პარლამენტის მიერ მის დამტკიცებას. პრეზიდენტის წინადადებით, პარლამენტს შეუძლია შეზღუდოს იმიგრაციის კვოტა სახელმწიფო, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად (მე-11 მუხლი). «იმიგრაციის შესახებ» საქართველოს კანონი დისკრიმინაციის აკრძალვას არ ითვალისწინებს. ამ ხარვეზიდან გამოსავალი არ შეიძლება იყოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმადაც, საქართველოში იმიგრაციას აწესრიგებს «უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ» საქართველოს კანონი, «იმიგრაციის შესახებ» საქართველოს კანონი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები.

კონსტიტუცია უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

ადგენს, რომ საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადასაცემ პირს უფლება აქვს, დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. მიაჩნიათ, რომ პრაქტიკაში ეს ხარვეზი ანალოგიის მეშვეობით არის გამოსწორებული.

ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლზე დაყრდნობით. 242-ე მუხლი ითვალისწინებს მომკვლევის, გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნას სასამართლოში გამოძიების ადგილის მიხედვით 15 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მომჩივანისათვის ცნობილი გახდება მოქმედება თუ გადაწყვეტილება, რომელიც მას უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მიაჩნია. სასამართლო უფლებამოსილია აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადა. სასამართლოს გამოაქვს დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან მასზე უარის თქმის შესახებ. სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. მომჩივანისათვის უზრუნველყოფილია საპროცესო გარანტიები.

კიდევ ერთხელ შევეხოთ ფიზიკური ძალადობის საკითხს. «განათლების შესახებ» საქართველოს კანონი განსაზღვრავს მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) უფლებას, მოითხოვონ მათი უფლებების დაცვა, აგრეთვე ვალდებულებას, იზრუნონ შვილების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (44-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი).

კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს ბავშვების სხეულებრივი სასჯელის აკრძალვას. თუმცა ფიზიკური ზიანის მიყენება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ დასჯადად არის გამოცხადებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების კრიმინალიზაციით (117-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ) ქვეპუნქტი) და «სისტემატური ცემის, სხვაგვარი ძალადობის» დასჯადობით, «რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია» (126-ე მუხლი - «წამება»). ეს დებულებები, ბუნებრივია, ვრცელდება ბავშვზეც.

მნიშვნელოვანია ასევე სამედიცინო-ეთიკური საკითხები. სამედიცინო და ბიოლოგიურმა საკითხებმა შეიძლება მე-3 მუხლის დარღვევები გამოიწვიოს. «ბიოლოგიისა და მედიცინის გამოყენებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვის კონვენცია: «ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ» კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ საქართველოსათვის 2001 წლის პირველ მარტს შევიდა ძალაში.

«ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» საქართველოს კანონი ითვალისწინებს დეტალურ დებულებებს სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის შესახებ, რომელიც უნდა ჩატარდეს საქართველოს კანონმდებლობისა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლის მხარესაც საქართველო წარმოადგენს (105-ე მუხლი). კანონი უზრუნველყოფს ადამიანის ინტერესების უპირატესობას მეცნიერებისა თუ საზოგადოების ინტერესებთან (108-ე მუხლი). გენური თერაპია მხოლოდ კონვენციის მე-13 მუხლთან შესაბამის შემთხვევებში არის დაშვებული (52- ე მუხლი). ადამიანის კლონირება გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით აკრძალულია (142-ე მუხლი). კანონი ითვალისწინებს დეტალურ დებულებებს აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არ შეუძლიათ მისცენ თავიანთი თანხმობა სამედიცინო-ბიოლოგიურ კვლევაზე (110-ე-111-ე მუხლები). კვლავწარმომშობი ორგანოების შესახებ აკრძალვები და აქედან გამონაკლისები კონვენციის შესატყვისი ნორმების ანალოგიურია.

სამედიცინო საქმიანობის აღსრულებისას სამედიცინო პერსონალი უნდა ხელმძღვანელობდეს ეთიკური ფასეულობებით – ადამიანის პატივისა და ღირსების აღიარების, სამართლიანობისა და თანაგრძნობის, აგრეთვე პროფესიული ეთიკის ნორმებით (30-ე მუხლი).

«ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ» კონვენციის 25-ე მუხლი მოითხოვს შესაბამის სანქციებს, რომლებიც კონვენციის დებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უნდა იქნეს შეფარდებული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად აცხადებს: სამკურნალოდ, გადასანერგად, ექსპერიმენტისათვის ან სამკურნალო პრეპარატის დასამზადებლად ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულებას (134-ე მუხლი); გენეტიკურ მანიპულაციას ანუ ადამიანის მსგავსი არსების შექმნას (136-ე მუხლი).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სახდელს ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის აღებისა და გამოყენების შესახებ წესების დარღვევისათვის (461-ე მუხლი).

## §4. სოციალური რეაბილიტაციის ზომები

იმ სიტუაციების ნეიტრალიზაციისათვის, სადაც სავარაუდოა მკვლელობების გავრცელება, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალური რეაბილიტაციის ზომებს. ამ მიმართულებით საქართველოში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციის პენიტენციური მოდელი, რომელიც აისახა 1999 წლის 28 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულ «მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო ცენტრის დებულებაში». როგორც აღნიშნულია, სარეაბილიტაციო სამუშაო უტარდებათ : ა)მსჯავრდებულებს, რომელთაც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებამდე დარჩათ ერთი წელი, და ბ) სასჯელმოხდილ პირებს (გათავისუფლებიდან ერთი წლის განმავლობაში). [127, 201-244][128]

«დებულებაში» განსაზღვრულია ამოცანების ზოგადი მონახაზი და არაა მოცემული ფუნქციების დეტალიზაცია, კერძოდ, მითითებულია ისეთი ფუნქციები როგორიცაა:

-ცენტრის თანამშრომლების შეხვედრები შესაბამისს სახელმწიფო უწყებებთან და მსჯავრდებულთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებთან;

-მსჯავრდებულებთან და გათავისუფლებულ პირებთან სისტემატიური შეხვედრები;

-სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული პირების შრომითი მოწყობის ღონისძიების განხორციელება;

-ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გაცნობა;

-ახლობლებთან შეხვედრების ორგანიზება;

-კულტურული ღონისძიების ორგანიზება და ჩატარება;

-საჭირო კონსულტანტების მოწვევა;

-სარეაბილიტაციო პირთა განცხადებების განხილვა და სათანადო ორგანოებში რეკომენდაციების მიცემა;

-რეკომენდაციის გაცემა. [35, 274-275]

საქართველოში სოციალური რეაბილიტაციის იდეა ჯერჯერობით ამოიწურება აღნიშნული ნორმატიული აქტით და არაა განხორციელების პროცესში. ამ თემის აქტუალობაზე მიუთითებს მკვლელობების და მკვლელობებისათვის მსჯავრდებულთა შეფარდების ზრდის ტენდენცია.

სოციალური რეაბილიტაციის მოდელი მნიშვნელოვნად განსხვავდება საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც  რეაბილიტაციის პროცესი ძირითადად ხორციელდება არა ციხეში, არამედ ღია ტიპის დაწესებულებებში. სოციალურ რეაბილიტაციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია თემის «პენიტენციურ»

ზემოქმედებას, სადაც ადამიანური ურთიერთდამოკიდებულების კორექციას პრიორიტეტული  როლი ენიჭება.

ამ მიმართულებით ინტენსიურად იყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა  მსჯავრდებულთა ურთიერთობა თავის ოჯახთან, სკოლასთან (თუკი საუბარია მოზარდზე), მეზობლებთან, შრომით კოლექტივთან და იმათთან, ვისთანაც ატარებს თავისუფალ დროს და ა.შ. ამასთან ერთად სოციალური რეაბილიტაცია მიზნად ისახავს ვიქტიმოლოგიური ხასიათის ამოცანას: მსხვერპლთან შერიგებას, ზარალის ანაზღაურებას და ა.შ.

გ. ყვარელაშვილის აზრით სოციალური რეაბილიტაციის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს მსჯავრდებულთა კლასიფიკაციას [45, 103-108]. ავტორისეული მოდელი მნიშვნელოვანია, ასევე, მკვლელების სოციალური რეაბილიტაციის პროცესში. ამ მიმართულებით ყურადსაღებია პატიმრის პიროვნებისა და პენიტენციური ზემოქმედების ღრმა შესწავლა. ამ ორი საკითხის დაკავშირება მკვლელების რეაბილიტაციაში მეტად აქტუალურია, რადგან რეჟიმისა და სხვადასხვა მკვლელის ტიპის პიროვნების ადეკვატურობის ოპტიმალური მოდელის შექმნა არის სასჯელაღსრულების ეფექტურობის მაჩვენებელი.

აშშ-ში ოფიციალურად მიღებული კლასფიკაციის თანახმად, ციხეებში მოქმედებს «საზოგადოებრივი მეურვეობის'' ინსტიტუტი. მსჯავრდებულთა საზოგადოებრივი მეურვეობის ფუნქციებია: თვით ქალაქში, ან მასთან ახლოს სოციალურ ჯგუფში ცხოვრების  ნების მიცემა და ზედამხედველობის გარეშე ამ პირობებში მოთავსება ; მოსწავლე მსჯავრდებულის მოთავსება ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში;  კლასიფიკაციის ცენტრის წინაშე ყოველკვირეული ანგარიშის წარდგენა ;შრომის პირობების შექმნა იჯარით აღებულ ობიექტზე;

ღია ტიპის პირობებში სოციალური რეაბილიტაციის ძირითადი ამოცანაა მსჯავრდებულის საზოგადოებაში ნორმალური ცხოვრების გადასვლისათვის მომზადება. ამ მიმართულებით ხორციელდება  შემდეგ ღონისძიებათა სისტემა: საერთო საცხოვრებლებში ან სამეურნეო ოჯახებში მოთავსება; მუშაობის ან სწავლის დამთავრების შემდეგ ადგილზე დაბრუნების უზრუნველყოფა;

ნახევრადღია ტიპის პირობებში სოციალური რეაბილიტაციის ძირითადი ამოცანაა მსჯავრდებულთა შეზღუდული იზოლაცია. თუმცა, აქაც ხორციელდება საზოგადოებაში ნორმალური ცხოვრების გადასვლისათვის მზადება.

მკაცრი იზოლაციის პირობებში პენიტენციური ზემოქმედება, ასევე, დაკავშირებულია სოციალური რეაბილიტაციის პროცესთან, რომელიც უშვებს პენიტენციალური ზემოქმედების გამკაცრებას ან შერბილებას. კერძოდ, დაშვებულია მსჯავრდებულის გადაყვანა ერთი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მეორეში კლასიფიკაციის ცენტრის წარდგინების და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამ პენიტენცირი ფორმების შესაბამისად, განსაზღვრული უნდა იყოს კლასიფიკაციური ტიპები. გასაგებია, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული კლასფიკაცია სრულყოფილი არ არის. საჭიროა ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების აქტიური მონაწილეობა. კლასიფიკაციური მოდელის საკითხის დაყენება კი სავალდებულოა. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ გ. ყვარელაშვილის მოდელი და ძალადობით დანაშაულობასთან დაკავშირებით პენიტენციური ზემოქმედების სისტემა შესაბამისად დავყოთ სამ ჯგუფად:

შემთხვევითი სამართალდამრღვევების ჯგუფი. მათთვის დამახასიათებელი ნიშანია მერყეობა. ამ ჯგუფში შემავალი პირი გრძნობს, რომ დანაშაულის ჩადენა სამარცხვინოა, მაგრამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილზე უარს ვერ ამბობს. შეუძლია მოახდინოს დანაშაულის ჩადენის ცდა, ან უარი თქვას მასზე, თუ მორცხვობის ფაქტორი, განცდები საწინააღმდეგო მოქმედებას მოახდენს. აქ ჩნდება განსაზღვრული ტენდენცია, დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილება, მაგრამ დანაშაულის მიმართ პიროვნება უარყოფითად არის განწყობილი და უარყოფით ემოციურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს.

ზოგიერთი მეცნიერი მიუთითებს იმ პირებზე, რომლებმაც ნაკლებადმნიშვნელოვანი დანაშაული, შესწავლისა და კლასიფიკაციის ცენტრის მიერ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ჩაიდინეს. ასეთი მსჯელობა არასწორია. შემთხვევითი დამნაშავის ტიპს შეიძლება ჰქონდეს, როგორც ნაკლებად საშიში დანაშაულის პირველად ჩამდენი, ასევე მძიმე დანაშაულის

ჩამდენი პირის ხასიათი. დანაშაულის საშიშროების მიხედვით, არ შეიძლება ვიმსჯელოთ ტიპზე. ეს დახასიათებები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. შეიძლება ეს ტიპი გაიგზავნოს ღია ან ნახევრადღია პენიტენციარში.

პარცილარულ სამართალდამრღვევთა ჯგუფი. მათთვის დამახასიათებელია: ყოყმანი, სირცხვილის გრძნობა ჩადენილი დანაშაულის გამო, მაგრამ დანაშაულის ჩადენა მაინც გადაწყვეტილი აქვთ. დანაშაულის მიმართ ამჟღავნებენ დადებით ემოციურ დამოკიდებულებას, თუმცა თვით დანაშაულის ფაქტს უარყოფითად აფასებენ. მოტივაციურ სტრუქტურაში არსებობს კონფლიქტურობა.

ბოროტ დამნაშავეთა ჯგუფი. მათთვის დამახასიათებელია ის, რომ დანაშაულის ჩადენის დროს არ ყოყმანობენ, თვით დანაშაულის ფაქტს დადებითად უყურებენ. ანალოგიური დადებითი ნიშნები აღმოჩენილია ემოციურ დამოკიდებულებაში დანაშაულის ჩადენასა და მის შეფასებაში.

ასეთია, მოკლედ, მსჯავრდებულთა კლასიფიკაციური დაყოფის მოდელი. თუ მათ პენიტენციური ზემოქმედების ფორმას შევადარებთ, აღნიშნავს გ. ყვარელაშვილი, ისინი ასეთნაირად განაწილდებიან: შემთხვევეითი დამნაშავე – ღია (ნახევრად ღია) ზემოქმედების პენიტენციარი; პარცილარული დამნაშავე – ნახევრადღია ზემოქმედების პენიტენციარი; ბოროტი დამნაშავე – დახურული ზემოქმედების პენიტენციარი. კლასიფიკაციური მოდელი ჩვენ სქემატურად გადმოვეცით.

რეჟიმის ფორმებისა და მსჯავრდებულთა პიროვნების განხილვა – პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა, რომლის გადაწყვეტის გზა შემოგთავაზეთ. მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების გავლენა, მისი მონაწილეობა პენიტეციალურ ზემოქმედებაში. მაშასადამე, ჩვენ უნდა განვიხილოთ მესამე ფაქტორი – საზოგადოებრივი გავლენა არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ქცევის დეკრიმინალიზაციაზე. [45, 107][187, 215][192, 389-430][193, 112-124]

# დასკვნა

გარდამავალი პერიოდის საქართველოში წარმოშობილი სოციალური წინააღმდეგობები ხარისხობრივად განსაზღვრავენ მკვლელობების დეტერმინაციას. ამიტომ, პერსპექტივაში, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია დანაშაულთა, დამნაშავეთა სოციალური წარმოშობის განაწილების და გარდამავალ პერიოდში მკვლელობათა სტრუქტურის სხვა საკითხების დადგენა.

ნაშრომში მკვლელობების შესწავლის აქტუალობა განპირობებულია მათი ტენდენციით და ამავე დროს მათთან ბრძოლის თავისებურებით.

ამ მიმართულებით აღნიშნულია, რომ განზრახმა მკვლელობამ "ტრადიციულად" შეინარჩუნა საყოფაცხოვრებო კომფლიქტის გადაწყვეტის ხასიათი. ამასთან ერთად ის გახდა ტრანსნაციონალური და სხვა ჯგუფური დანაშაულობის განხორციელების საშუალება.

ამასთან ერთად ხასგასმულია, რომ მკვლელობა როგორც, ტრანსნაციონალური და ტერორისტული დანაშაულობის ერთ-ერთი ხერხი, საშიშროებას წარმოადგენს უშუალოდ ბავშვებისათვის და ქალებისათვის, რაზეც მიუთითებდა 1995 წ. კაიროში ჩატარებული გაერთიანებული ერების მეცხრე კონგრესი.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში მკვლელობების კრიმინოლოგიური გამოკვლება არ არსებობს. აქედან გამომდინარე კი გურკვეველი რჩება ქვეყნის დანაშაულობის საშიშროების პროგნოზი. უფრო მეტი პრაქტიკაში დაუზუსტებელი რჩება კრიმინოგენური სიტუაციების მოდელები, კრიმინოტიპების კლასიფიკაცია და მკვლელობებთან ბრძძოლის სხვა მნიშვნელოვანი საკითხი. მკვლელობების მთლიანი სურათის დადგენა საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ შედარებით-კრიმინოლოგიური პრობლემები, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას ჩვენი ქვეყნის პრევენტულ პრაქტიკაში.

განსაკუთრებით აქტუალურია იმ სოციალური სფეროების განსაზღვრა, სადაც ძალადობა აკუმულირდება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია მკვლელობების ისტორიის გამოკვლევების განხორციელება, რაც კომპლექსური პროგნოზის საფუძველს აყალიბებს.

მნიშვნელოვანია მკვლელობების სოციოლოგიური გამოკვლევების რეგულარულად ჩატარება. მარტო ამ მიმართულებით შესაძლებელი ხდება იმ პირობების დადგენა, რომელთა ნეიტრალიზაციის ან შესუსტების გათვალისწინება ხელსაყრელია მკვლელობების შემცირებისათვის და ეფექტურია პროფილაქტიკური ზომების მიღებისათვის.

დროულია შეიქმნას მოსახლეობის კრიმინალური ვიქტიმიზაციის აღწერის ეროვნული ბიურო, რომელიც, როგორც აშშ-ი, სახელმწიფო რეგისტრაციის გარდა შეიმუშავებს და განახორციელებს მკვლელობებზე საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევას.

მკვლელობების ახსნის პროცესში პერსპექტივაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავონ ღრმა მიზეზების გამოკვლევის მეთოდებმა. მკვლელობების თანამედროვე გამოკვლევამ სულ უფრო ნაკლებად უნდა გამოიყენოს შემთხვევითი კორელაციური თეორიები. ფაქტორთა თეორია თანამედროვე კრიმინოლოგიაში უნდა იყოს უარყოფილი.

საზოგადოებაში არსებული ნეგატიური პროცესები (უმუშევრობა, დასაქმების ეპიზოდურობა, ეკონომიკური ზრდის შეჩერება, ხელფასის დაცემა საარსებო მინიმუმს ქვევით, ოჯახის დეზორგანიზაცია, დაზარალებულის ქცევა და სხვ.) არსებით ზეგავლენას ახდენენ ძალადობის სუბკულტურის გავრცელებაზე და აქედან - მკვლელობის მოტივაციაზე. ამ მიმართულებით უფრო ნათლად უნდა იყოს ახსნილი ის ურთიერთობები, რომლებიც გარკვეულ ზეწოლას ახდენენ საზოგადოების ცალკეულ წევრებზე, უბიძგებენ მათ უფრო

დაუმორჩილებლობისაკენ, ვიდრე ისეთი მოქცევისაკენ, რომელიც საზოგადოებაში მიღებულ წესებს ექვემდებარება.

სოციოლოგიური მიდგომის გარდა უნდა დაინერგოს მეთოდები, რომლებიც მეთოდოლოგიურად ითვალისწინებენ მკვლელის ფსიქოლოგიურ სამყაროს. გამოკვლევის ასეთი პერსპექტივა სადავოა, რადგან საფუძველს უყრის გაუცხოების მდგომარეობის გამოვლენას, რომელიც ვითარდება ღირებულებათა გადაფასების სახით და თავს იჩენს მკვლელობებში.

მკვლელობების ანალიზის დროს მომავალში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ვიქტიმოლოგიურ ასპექტს, რადგან ამ დანაშაულის ჩადენაში გარკვეული როლი უკავია მსხვერპლის მოქმედებას, ამიტომ მკვლელობების მიზეზების დადგენისას მნიშვნელოვანია მსხვერპლის და დამნაშავის ურთიერთობის გამოკვლევების გაფართოება.

მკვლელობების თავიდან აცილების პრაქტიკაში რეალურად უნდა იყოს ცნობილი საზოგადოების ძირითადი მოთხოვნა ადამიანის უფლებათა და თავისუფლების დაცვის მიმართ, მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვის მექანიზმი.

მკვლელობებთან ბრძოლა ძირითადად არ უნდა იყოს ორიენტირებული სამართალდამცავ ორგანოების ზომების გამკაცრებაზე. დემოკრატიულ ქვეყნებში წინა პლანზე უნდა იყოს რესოციალიზაციის ღონისძიებათა სისტემა. სამართალდამცავი ორგანოების ზომებთან შედარებით სწორედ ამ ზომათა წილი უნდა სჭარბობდეს.

მკვლელობათა თავიდან აცილების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს სოციალური პროგრამების (იარაღის უკანონო ბრუნვის არასაიმედო პროფილაქტიკის; ლოთობის, ნარკოტიზმსა და ტოქსიკომანიასთან არაეფექტური ბრძოლის; საყოფაცხოვრებო და სხვა სახის კონფლიქტების ადრინდელი პროფილაქტიკის სისუსტის; ძალადობის კულტისა და პორნოგრაფიის პროპაგანდის აკრძალვის, დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მოზარდის ჩაბმის აკრძალვის და ა.შ.) შექმნის აუცილებლობას. არსებითია საზოგადოებრიობისა და სამართალდამცავი ორგანოების კავშირების გაძლიერება. აქ მნიშვნელოვანი

როლი უნდა შეასრულოს სპეციალურმა სოციალურმა სამსახურმა, რომელმაც მზრუნველობა უნდა გაუწიოს სოციალურად სუსტად ადაპტირებულ ადამიანებს. საუბარია პირებზე, რომლებიც იმყოფებიან «რისკის ზონაში».

მკვლელობის ჩამდენ პირთა შორის გარკვეულ პროცენტს წარმოადგენენ პირები, რომლებიც იყვნენ პენიტენციალური ზემოქმედების ქვეშ. აქედან გამომდინარე მკვლელობებთან ბრძოლის პრაქტიკაში მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მდგომარეობისა და მკვლელობების გავრცელების არსებული კავშირების რეგულარული შესწავლა. პენიტენციალური პრაქტიკის გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის საკითხების გადაწყვეტისას.

მკვლელობებთან ბრძოლის პრაქტიკის ეფექტურობა არსებითად არის დაკავშირებული მის სამართლებრივ უზრუნველყოფასთან. ამიტომ რეკომენდაციების შემუშავებისას მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანია კანონთა იმ ხარვეზების გათვალისწინება, რომლებიც ხელს უწყობენ კონფლიქტების, დაძაბულობის გაძლიერებას. ამიტომ კანონპროექტების კრიმინოლოგიური ექსპერტიზის უზრუნველყოფის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

და ბოლოს ხაზი უნდა გავუსვათ ინდივიდუალური ქცევის გამოკვლევის მნიშვნელობას, რადგან კვლევის მეთოდოლოგია ითხოვს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის პიროვნების ღრმად შესწავლას.

## ბიბლიოგრაფია

**მონოგრაფიები და წიგნები:**


1. არასრულწლოვანთა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის დაგეგმვა და ორგანიზაცია. თბილისი, 1985.

2. ბაძაღუა მ., ჯგუფური დანაშაულობა. თბილისი, 1998.

3. ბექაია მ., წულაძე გ., გოქაძე ზ., მელაძე გ., ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები. თბილისი, 1998.

4. გაბრიჩიძე ნ., საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა. თბილისი, 2004.

5. გაბრიჩიძე ნ., ოჯახურ-მეზობლური კონფლიქტები, როგორც სამართალდაცვის მნიშვნელოვანი პრობლემა, სამართალი. - 1999. 6-7.

6. გამყრელიძე ოთარ, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, სამართალი. 1996. 3-4.

7. გამყრელიძე ო., განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბილისი 2002.

8. გვენცაძე რ. განზრახ მკვლელობისა და სხეულის მძიმე დაზიანებათა პროფილაქტიკისათვის, საბჭოთა სამართალი, 1988. 4.

9. გოგიჩაიშვილი თ., იურიდიული ფსიქოლოგიის საკითხები, თბილისი, 1994.

10. გოთუა ზ., ტერორიზმი. პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი. თბილისი 1997, 2.

11. გოძიაშვილი ი., კრიმინოლოგია, თბილისი, 1998წ.

12. გოძიაშვილი ი., ორგანიზებული დანაშაულის ცნება. პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი. თბილისი, 1997, 2.

13. გოძიაშვილი ი., საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის შესახებ. პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბილისი, 1997 წ. 1.

14. დაუთაშვილი პეტრე, საქართველოს სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი თბ. გრიგოლ რობაქიძის სახელ. უნივერსიტეტის საგამომც. ცენტრი, 2008.

15. ებრალიძე თამარ, ყაჩაღობა თუ ძარცვა ძალადობით, [საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით], ადამიანი და კონსტიტუცია. 2005. 1.

16. თოდუა ნ., სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ბრალის დასაბუთება, საბჭოთა სამართალი. 1988. 5.

17. თოდრია გ., დანაშაულის ორგანიზებული ფორმების ზოგიერთი საკითხი, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბილისი, 1997წ. 3.

18. თოდრია გ., ძალადობრივი დანაშაულობა, კრიმინოლოგია. თბილისი 2008.

19. კვარაცხელია რ., სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის. თბილისი, 2010

20. კვაშილავა ა., ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული «ბონა კაუზა» 2008;

21. კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა, აშშ-საქართველო, 2003.

22. კრებული "არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები", "მეცნიერება", თბილისი 1983 წ.

23. კრიმინოლოგიის განვითარება და ჩამოყალიბება საქართველოში - კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა. კრებული გამოცემული აშშ-ს საელჩოს მიერ. 2003.

24. კუხიანიძე ალ., კუპატაძე ალ., გოცირიძე რ., კონტრაბანდის პრობლემა საქართველოში, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. თბილისი, 2004.

25. მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, “მეცნიერება”, თბილისი. 1980.

26. მურღულია თ., ორგანიზებული დანაშაულის წარმოშობის მიზეზები საქართველოში, სამართალი. 1999. 4.

27. მჭედლიშვილი ქ., დედის მიერ ახალშობილის მკვლელობის საკანონმდებლო რეგულირების საკითხისათვის, საბჭოთა სამართალი. 1989. 9.

28. ობოლაძე რ., განზრახ მკვლელობის სუბიექტი, ადამიანი და კონსტიტუცია. 1999. 4.

29. ობოლაძე, რ., ანგარებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიციისათვის, ადამიანი და კონსტიტუცია.1999. 2.

30. პაპასკირი ზ., აფხაზეთი საქართველოა, თბილისი, «აღმაშენებელი», 1998.

31. პაჭკორია ს., დამნაშავეთა ეთიკური თვითშეფასების საკითხისათვის. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, 1975წ.

32. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბილისი, «აზრი», 1996.

33. საქართველოს შსს სასჯელთა აღმასრულებელი დეპარტამენტის კრებული. თბ., 1998.

34. საქართველოს მთავარი პროკურატურა – 2009 წელს არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის ანგარიში.

35. სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა. თბილისი, 2000.

36. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2005წ.

37. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), თბილისი, 2002წ.

38. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი: სახელმძღვანელო / [რედ.: გ. ტყეშელიაძე]. თბილისი, მერიდიანი, 2005.

39. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ), თბილისი, 2008 წ.

40. ტაბლიაშვილი ზ., მამნიაშვილი მ., დევიაცია. თბილისი, 2000.

41. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია. გამომცემლობა "აღმაშენებელი," ტომი III–IX, თბილისი, 1998.

42. ფალავანდიშვილი მ., სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. სამართლის სერია. 1993. 3.

43. ფურცხვანიძე ბ., დანაშაული პიროვნების სიცოცხლის წინააღმდეგ /საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიხედვით/ საბჭოთა სამართალი. 1961. 5.

44. ქარუმიძე ვ., დარგალი ე., არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება. თბილისი 1998.

45. ყვარელაშვილი გ., არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ქცევის დეკრიმინალიზაციის პრობლემები, თბილისი, 1996.

46. წიკლაური ი. ე., ორგანიზებული დანაშაულის განსაზღვრება და მისი ძირითადი მიმართულებები. პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბილისი, 1997წ. 3.

47. წერეთელი თ., მაყაშვილი ვ., შავგულიძე თ., მაჭავარიანი მ. - დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. თბილისი, მეცნიერება, 1980

48. წულაია ზ., სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. ტომი I. თბილისი, «ინტელექტი" 2003წ;

49. წულაია დ., კრიმინოლოგიაში გამოყენებული კვლევის მეთოდების შესახებ /დ. წულაია// კორპორაცია "ლეგია და კომპანიის" უნივერსიტეტის შრომები, ტ. II, 1998.

50. ჯანაშია გ., ძალადობითი დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება, თბილისი, 2001.

51. ჯანაშია გ., ძალადობითი დანაშაულის კვლევის აქტუალობის საკითხი, სამართალი. 1999. 4.

52. ჯანაშია გ., ძალადობითი დანაშაულობის თავისებურებანი, ადამიანი და კონსტიტუცია. 1999. 3.

53. Аракелян С.В., Убийства в сфере семейно-бытовых отношений и их предупреждение (По материалам Республики Армении). Авт. канд. диссерт. Ереван. 1999.

54. Афанасьев С.А., Криминалистическая характеристика и типовая программа расследования сексуально-садистких убийств. Авт. канд. дис. 1992.

55. Беккер Г., Преступление и наказание, экономических подход. 1974.

56. Варламов В.А., История возникновения детектора лжи, «Омега Консалтинг», info@omegaconsulting.ru

57. Вишер К., Рецидивисты и контроль преступности – Криминология (под ред. Дж. Шелли), «Питер», 2003.

58. Гололобова Ю.И., Средства массовой информации и преступность (Криминологический аспект). Авт. канд. диссерт. 2002.

59. Горшков И.В., Зулкарнеев Р.М., Тяжкие преступления в семье. 1997.

60. Денисов Н.Л., Влияние криминальной субкультуры на становление личности несовершеннолетнего преступника. Авт. канд. диссерт. 2002.

61. Дунаев С.А., Криминологическая характеристика и предупреждение рецидивных преступлений, связанных с насилием против личности. Авт. канд. диссерт. 1998.

62. Зулкарнеев Р.М., Преудпреждение убийств членов семьи. Авт. канд. диссерт. 2001.

63. Ильяшенко А.Н., Основные черты насильственной преступности в семье, Социологические исследования. 2003, № 4.

64. Костыря Е.А., Внутрисемейное преступное поведение женщин в контексте проблем семейной криминологии. Авт. канд. дис. 1999.

65. Криминология. М., “Зерцало”. 1998.

66. Криминологические и уголовно-правовые идеи борьбы с преступностью. ИГПРАН, 1996.

67. Кудрявцев В.Н., Генезис преступления. Опыт криминологического моделирования. “ИНФРА – М”, 1998.

68. Кудрявцев В.Н., Борьба мотивов в преступном поведении. Норма. 2009.

69. Кури Х., Исследование проблем виктимизации в Германии. Криминологические исследования в мире. 1995.

70. Лиманская И.В., Виктимологическая профилактика насильственных преступлений против личности. Авт. канд. диссерт. 2002.

71. Лунеев В. В., Мотивация преступного поведения. 1991.

72. Лювимов Н.И., Охрана человека и преодоление социальных противоречий. 1980.

73. Максимов С.В., Ревин В.П., Насильственные преступления в сфере семейно-бытовых отношений и проблемы их профилактики. 1993.

74. Машинская Н.В., Насилие в семье (Криминологические и уголовно-правовые аспекты), Авт. канд. диссерт. 2001.

75. Мертон Р., Социальная структура и аномия. Сб.: Социология преступности. «Прогресс», 1966.

76. Митин И.О., Социальные конфликты, их последствия и уголовно-правовая охрана человека. Саратов, 1991.

77. Михайлов Н.Н., Умышленное убийство и личность преступника. Авт. канд. дис. 2000.

78. Надтока С.В., Виктимологические аспекты профилактики насильственных преступлений против личности. Авт. канд. диссерт. Ростов н/Д. 1999.

79. Никифоров А.С., США, новый закон о контроле над насильственной преступностью. Сб. Об эффективности программ перевоспитания трудовых подростков. 1986, №10.

80. Основы борьбы с организованной преступностью. М., “ИНФРА-М”, 1996.

81. Пак А., Лихолат И.Г., Сущенко С.А., Криминология в вопросах и ответах. Ростов-на-Доную «Феникс», 2000.

82. Преступления против малолетних в США, Сб.: Проблемы преступности в капиталистических странах, 1986, №5.

83. Репецкая А.Л.. Виктимологическая характеристика региональной преступности и ее предупреждение. ACADEMIA. 2009.

84. Соболева С.В., Виктимологический аспект конфликтных ситуаций в семье. Вопросы борьбы с преступностью, “Юрид. лит-ра”, 1976.

85. Социальные отклонения. Введение в обшую теорию (В.Н.Кудрявцев), “Юрид. лит-ра”, 1984.

86. Старков О. В. Криминальная субкультура, спецкурс. Волтерс Клувер. 2010.

87. Судакова Т.Н, Убийцы и их жертвы (Криминологическое, виктимологическое и уголовно-правовое иссл), Авт. канд, юрид, диссерт. Владивосток. 2002.

88. Тайсон Ф., Тайсон Р., Психоаналитические теории развития. Екатеринбург, "Деловая Книга", 1998

89. Тард Г, Преступник и преступление. 1906.

90. Тарновская В.Н., Женщины убийцы. 1902.

91. Теперман В.В., Страны закавказья на пути к финансовой стабилизации, Проблемы прогнозирования. 1997, № 2.

92. Тихомиров В.В., Криминологическая характеристика и профилактика преступлений, совершаемых лицами, ранее судимыми за убийство. Авт. канд. диссерт. Тюмень. 1997.

93. Усманова Д.Р., Криминологические проблемы внутрисемейного преступного насилия. Авт. канд. дис. 2000.

94. Ферри Э., Уголовная социология (Сост. и предисл.: Овчинский В.С.). Инфра - М, 2005.

95. Фрейд З., «Я» и «Оно». “АСТ.Фолио”. 2001.

96. Фромм А., Анатомия человеческой деструктивности.М.,1994, с. 23

97. Харламов В.С., Противодействие внутрисемейным насильственным преступлениям участковыми уполномоченными милиции. 2002.

98. Чабаянц М.Б., Криминологические аспекты влияния жестокости и насилия в средствах массовой коммуникации на агрессивное поведение несовершеннолетних.- Авт. канд. диссерт. Ставрополь. 2002.

99. Чавкин С., Похитители разума. 1981.

100. Шавгулидзе Т.Г., Психологическая структура поведения и уголовная ответственность. "Прововедение", 1970 г. №4;

101. Шавгулидзе Т. Г.. Потребность и установка преступного поведения, сб.: Проблемы формирования социологических потребностей. Тб. 1975 г

102. Шелли Д., Изучение насилия в США. Молодёжь и смертоносное оружие. Сб.: Криминологические исследования в мире. 1995.

103. Шестаков Д. А., Семейная криминология, «Юридцентр». 2003.

104. Шиханцов Г.Г. Криминология, М. Издательство Гревцова. 2009.

105. Юрков Г.А. Насильственные преступления несовершеннолетних: характеристика, типология личности, предупреждение (По материалам Удмуртской Республики), Дис. канд. юрид. Наук. Москва, 2006.

106. Akers R., Criminological theories, Los Andeles, California. 1997, “Roxbury Publisching Company,”.

107. Allard T., Stewart A., Chrzanowski A., Ogilvie J., Birks D. and Little S. Police diversion of young offenders and Indigenous over-representation. “Trends & Issues. Australlian Institute of Criminology. # 390, 2010.

108. A Law Enforcement Guide on International Parental Kidnapping: Report by Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention by Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention. Office of Justise. Washington. 2002.

109. Apsche J., Probing the mind of a serial killer / foreword by A. Charles Peruto, International Information Associates, 1993.

110. Baumann E., Murder next door, how police tracked down 18 brutal killers. Chicago, Bonus Books. 2009.

111. Beeghley L.,http://catalog.loc.gov/cgi-bin/Pwebrecon.cgi?SC=Author&SEQ=20050214124002&PID=26992&SA=Beeghley,+Leonard. Homicide: a sociological explanation. Rowman & Littlefield. 2003

112. Between probation and legalization: Dutch experiment in drug police. Amsterdam. 1994.

113. Broun C., Manchild in the Rromised Land. New York, 1965.

114. Chesney-Lind M. and R.Shelden. Juvenile Crime, Juvenile Justice by Treatment, and Control Panel on Juvenile Crime: Prevention, Committee on Law and Justice, Youth, and Families Board on Children, and National Research Council. National Academy Press. 2001.

115. Chester G., Berserk, motiveless random massacres. New York: St. Martin's Press, 1995

116. Clark T., C. Feehan, C. Tinline, P. Vostanis. Autistic Symptoms in Children With Attention Deficit Hyperactivity Disorder- European Child And Adolescent Psychiatry, 1999, Vol. 8.

117. Conroy M. and D. Murrie. Forensic Assessment of Violence Risk: A Guide for Risk Assessment and Risk Management. N.Y. 2007.

118. Contemporary perspectives on serial murder / Ronald M. Holmes, S.Holmes, editors/. CA, Sage Publications. 1998.

119. Dietz M.,http://catalog.loc.gov/cgi-bin/Pwebrecon.cgi?SC=Author&SEQ=20050214125016&PID=26992&SA=Dietz,+Mary+Lorenz. Killing for profit: the social organization of felony homicide. Chicago, Nelson-Hall.1983.

120. Egger S., Serial murder: an elusive phenomenon. New York, Praeger. 1990.

121. Fisher J.,http://catalog.loc.gov/cgi-bin/Pwebrecon.cgi?SC=Author&SEQ=20050214125538&PID=26992&SA=Fisher,+Joseph+C. Killer among us: public reactions to serial murder. Westport. 1997.

122. Gacono C. B., Meloy J. R. The Rorschach and DSM-III-R antisocial personality of clinical psychology, 1992, Vol. 48, № 3.

123. Gameron G., Clues from killers: serial murder and crime scene messages Westport, by Dirk C. Gibson. 2004.

124. Goetting A., Homicide in families and other special populations. New York, NY, Springer Pub. Co. 1995.

125. Hoge R., PhD, N. Guerra, P. Boxer. Treating the Juvenile Offender. New York, London. 2008.

126. Junger J. Tas and F. Dünkel. Reforming Juvenile Justice. London.New York. 2009.

127. Juvenile Justice, The Essentials by Richard A. Lawrence and Dr. Mario L. Hesse. London. Washington, 2009.

128. McCaghy C., Capron T., Jamieson J. Deviant behavior: crime, conflict and interest groups, Texas, State University, 2000.

129. Parker K. Unequal Crime Decline, Theorizing Race, Urban Inequality and Criminal Violence. London. 2008.

130. Presdee M., Carver G., Cultural criminology and the carnival of crime. London and New York, 2000.

131. Prevention and Youth Crime, Is Early Intervention Working? (by Maggie Blyth and Enver Soloman). University of Bristol, 2008.

132. Randy R. Gainey; Brian K. Payne, Family Violence and Criminal Justice, A Life-Course Approach, 3rd Edition, 2009.

133. Reforming Juvenile Justice. Editors by Josine Junger - Tas and Frieder Dünkel. New York, 2009.

134. Regoli R., Hewitt J. and DeLisi M., Delinquency in Society (Eighth Edition). London, 2009.

135. Riedel M, Welsh W., Criminal Violence. Publisher Oxford University Press, 2007.

136. Rodman B., Reclaiming youth: what Restorative Practices add to the thinking. (crisis prevention briefs) an article from Reclaiming Children and Youth. Pennsylvania, 2009.

137. Rowe D.C., Almedia D.A., Jakobcon K.C, Genetic and Schull Context Influences on Aggression in Adolenscence – Psychological Science, 1999, № 10.

138. Seifert K., How Children Become Violent, Keeping Your Kids Out of Gangs, Terrorist Organizations and Cults. Acanthus Publishing, 2006.

139. S. Cruze, S. Walklate, S. Pegg and H. Croall. Murder - Social and historical approaches to understanding murder and murderers (Crime and Society Series). N.Y. 2006.

140. Tannenbaum F., The Dramatization of Evil - Perception in Criminology, 1975.

141. J. Wessels, Hettinger M. Strafrecht. Besonderer Teil: In 2 Bnden. – Heidelberg: C.H. Mller Verlag, 2000.

**პერიოდული გამოცემები**

142. გაბრიჩიძე ნ., საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა. თბილისი, “ინტელექტი”, 2004.

143. გაბრიჩიძე ნ., ოჯახურ და მეზობლურ კონფლიქტებზე ჩადენილ დანაშაულთა კრიმინოლოგიური დახასიათება, სამართალი, 2003, 6-7.

144. გიგაშვილი გ., ქალი, როგორც დანაშაულის ობიექტი და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. - კრიმინოლოგი. 1 (4). 2009.

145. გრიგოლაშვილი ა., ევროკავშირი, კანდიდატები, საქართველო, ეკონომიკა. 2003, 5.

146. თევზაძე გ., ინსტიტუციონალური ცვლილებების სოციოლოგია. თბ. "მეცნიერება", 2002

147. იმედაძე ნ., აგრესიის გენეზისისათვის. არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები. თბილისი, «მეცნიერება», 1983წ.

148. იაგობიძე ს., მოსახლეობის საარსებო მინიმუმი და რეალური მოხმარების დინამიკა საქართველოში, ეკონომიკა. 2003, 3.

149. კელენჯეიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზები და პირობები. ალმანახი, 2004, 14.

150. კიკნაძე დ., დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისათვის, ალმანახი, 2000, 13.

151. კიკნაძე დ., სამართლებრივი ცოდნის მართლშეგნებად ჩამოყალიბების პრობლემები, მაცნე, სამართლის სერია, 2005, 1.

152. მანჯავიძე ი., მოზარდის ფსიქო-საოციალური თავისებურებები და მოტივაცია ნარკოტიკების მოხმარებისათვის. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი "კრიმინოლოგი", 2008. 2(3).

153. მაღრაძე გ., არასრულწლოვან დამნაშავეთა ფიქსირებული განწობის ტიპის თავისებურებანი, "მაცნე", 1980 წ. 3.

154. ნიშნიანიძე გ., ვიქტიმოლოგია – კრიმინოლოგიის ახალი დარგი, "საბჭოთა სამართალი", 1978 წ., 3.

155. პაჭკორია ს., დანაშაულებრივ ქცევაში ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების ადგილი და მნიშვნელობა, "მაცნე", თბილისი, 1975წ. 3;

156. საღარეიშვილი ო., დასაქმება და უმუშავრობა საქართველოში, ეკონომიკა. 1998, 5.

157. საქართველოს რესპუბლიკა, 17 ივნისი, 1998 წ.

158. შავგულიძე. თ., საზოგადოებრივი აზრი მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა, თბილისი, «საბჭოთა საქართველო», 1981.

159. შეაჩერეთ პრივატიზაცია. დილის გაზეთი. 22. 02. 1999 წ.

160. ჩაჩავა ნ., საერთაშორისო ტერორიზმის იურიდიული ბუნება. ცხოვრება და სამართალი, თბილისი, 1998წ. 2.

161. ჭითანავა ნ., სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და კონცეფტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები, ეკონომიკა, 1998, 10-12.

162. Абельцев С.Н., Личность преступника и проблема криминального насилия, «ЮНИТИ», 2000.

163. Борьба с насильственными преступлениями в США. Борьба с преступностью за рубежом. 1995, № 5.

164. Габиани А.А., Опыт социально-экономического исследования проблемы пьянства и алкоголизма. Актуальные вопросы предупреждения правонарушений. Тб., «Сабчота Сакартвело», 1986, вып 2.

165. Гобечия Ф.В., Психологические факторы поведения несовершеннолетних правонарушителей. Тб., «Мецниереба», 1979.

166. Гурев М.С., Убийства на «разборках» (методика расследования). «ПИТЕР», 2001.

167. Гуров А.И., Профессиональная преступность. Прошлое и современность. «Юрид. лит -ра», 1990.

168. Гуров А.И., Красная мафия. МИКО "Коммерч. вестн." 1995.

169. Дискуссия о праве общества США на самозащиту с помощью огнестрельного оружия. Борьба с преступностью за рубежом., 1995, №8.

170. Дриль Д.А., Уголовная социология. Фрагменты работ разных лет, Журнал социологии и социальной антропологии. 2002. № 4.

171. Дюркгейм Э., Норма и паталогия. Социология преступности. «Прогресс».1966.

172. Информационное обеспечение в системе правоохрангительных органов США. Борьба с преступностью за рубежом. 1993, №10.

173. Иншаков С. М., Зарубежная криминология. “Норма”, 1977.

174. Криминология, «БЕК», 1998.

175. Личность преступника., “Юрид. лит-ра”, 1975.

176. Лунеев В. В., Контроль над преступностью: надежны ли показатели. Государство и право. 1995, № 7.

177. Лунеев В.В., Преступность XX века. «Норма», 1997.

178. О мероприятиях по снижению оборота торговли огнестрельным оружием. Борьба с преступностью за рубежом, 1994, №10.

179. О насилии в небольших американских городах. Борьба за преступностью за рубежом. 1993, №5.

180. О перспективах переориентации функций систем уголовного правосудия и здравоохранения в предотвращении насильственных преступлении в США, Борьба с преступностью за рубежом. 1995, №5.

181. Паркер Р., Андерсон-Фасиль Д., Тенденции насильственной преступности, Криминология, под ред. Дж.Шелли. «ПИТЕР», 2003.

182. Проект создания системы “добровольной стражи” в Великобритании, Борьба с преступностью за рубежом. 1995, №7.

183. Сайкс Г., Матза Д., Метод нейтрализации. Теория деликвентности. Социология преступности. «Прогресс», 1966.

184. Сатерленд Э., Являются ли преступленя людей в белых воротничках преступлениями?, Социология преступности. «Прогресс», 1966.

185. Селлин Т., Социологический подход к изучению причин преступности. Социология преступности. “Прогресс”, 1966.

186. Селлин Т., Конфликтное поведения, Социология преступности. «Прогресс», 1966.

187. Уеда К., Преступность и криминология в современной Японии. “Прогресс” 1989.

188. Уличные банды – разновидность организованной преступности. Борьба с преступностью за рубежом. 1993.

189. Фокс В., Введение в криминологию. “Прогресс”, 1980.

190. Фрейд З., Достоевский и отцеубийство (пер. Р.Ф. Додельцева) - З. Фрейд. Художник и фантазирование. Республика, 1995.

191. Шавгулидзе Т.Г., Аффект и уголовная ответственность.Тб., «Мецниереба». 1973.

192. Шнайдер Г., Криминология., “Прогресс”, 1994.

193. Шур Э. Наше преступное общество. Прогресс, 1977.

194. Юрга М., Порнобизнес, Скандал в ФРГ. “За рубежом”, 1990. №3.

195. Bean C., Women murdered by the men they loved. New York, Haworth Press, 1992.

196. Blinder M., Lovers, killers, husbands and wives. New York, St. Martin's Press. 1985.

197. Marte R., Adolescent Problem Behaviors: Delinquency, Aggression and Drug Use, Criminal Justice, May 9, 2008.

198. Platt A., Prospects for a Radical Criminology. Podolsky E., The chemical brew of ciminal behavior, The Journal of criminal law, criminology and police science, 1955. V. 45. № 6.

**საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები:**

199. კორკელია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004

200. Вадин Ю.А., Борьба с организованной преступностью в Украине, итоги и проблемы, Вестник межпарламентской ассамблеи. 1995.

201. Доклад Девятого Конгресса ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями. A/CONF/169/16, 12 Май, 1995.

202. Доклад Европейского регионального подготовительного совещания к IX конгрессу ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями. Вена, 28.02 – 4.03 1994 г. A/CONF. 169/RPM. 3.10 March 1994.

203. Искоренение насилия в отношении женщин - Девятый конгресс ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями, A/CONF 169/16 12 May, 1995.

204. Меры борьбы с международным терроризмом. Сборник стандартов и норм ООН в области предупреждения преступности и уголовного правосудия. ООН, Нью–Йорк, 1993.

205. Насилие в семье. Материалы седьмого конгресса ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями. ООН, Нью–Йорк, 1986.

206. Сборник стандартов и норм ООН в области предупреждения преступности и уголовного правосудия. ООН, Нью-Йорк, 1992.

207. Juvenile Justice and Delinquency Prevention and Runaway Youth; Hearings before the Subcommittee on Equal Opportunities of the Committee on by United States. United States. Congress. Washington, 2010.

## ინტერნეტი და სხვა წყაროები:

208. http://news.mail.ru/incident

209. Россия – «самая опасная страна в мире» - www.bbcrussian.com

210. Полемика о детских психосексуальных травмах - http://www.freud.psy4.ru/index.htm

211. Новые границы в области международного предупреждения преступности, Международное обозрение уголовной политики (Материалы департамента ООН по экономическим и социальным вопросам), Нью-Йорк. 1973.

212. Crime trends in Sweden, 1988.

213. Louise Shelly, Crime as Defining Problem, Voices of another Criminology. ANNEX. 2001, volume 39- 1/ 2 – http://kiev-security.org.ua/box/4/106.html

214. Youth Violence and Juvenile Justice: Causes, Intervention and Treatment Programs (by N. Ramsay and C. Morrison), 2010.

# დანართი




| | მკვლელ | რეგისტ.დანაშ |
|---|---|---|
| წლები | აბს | აბს |
| 1994 | 578 | 17543 |
| 1995 | 391 | 15735 |
| 1996 | 232 | 14483 |
| 1997 | 270 | 13876 |
| 1998 | 213 | 14874 |
| 1999 | 244 | 14148 |
| 2000 | 239 | 15029 |
| ჯამი | 1646 | 105688 |

სქემა 1.




| | მკვლელ | რეგისტ.დანაშ |
|---|---|---|
| წლები | აბს | აბს |
| 2001 | 263 | 115662 |
| 2002 | 292 | 116658 |
| 2003 | 302 | 17397 |
| 2004 | 281 | 24856 |
| 2005 | 380 | 43266 |
| 2006 | 323 | 62283 |
| 2007 | 311 | 54746 |
| 2008 | 265 | 41879 |
| ჯამი | 2417 | 276747 |

სქემა 2.




სქემა 3.




სქემა 4.




სქემა 5.




სქემა 6.




სქემა 7.




სქემა 8.




სქემა 9.




სქემა 10.




სქემა 11.




სქემა 12.




სქემა 13.




სქემა 14.




სქემა 15.




სქემა 16.




სქემა 17.




სქემა 18.




სქემა 19.




სქემა 20.




სქემა 21.




სქემა 22.




სქემა 23.




სქემა 24.




სქემა 25.




სქემა 26.




სქემა 27.




სქემა 28.




სქემა 29.




სქემა 30.




სქემა 31.




სქემა 32.




სქემა 33.




სქემა 34.

# ანკეტა

**წინამდებარე ანკეტა ძირითად მიზნად ისახავს მკვლელობების შესახებ ახალი მეცნიერული ცოდნის მიღებას. ამასთან გვარის და სახელის მითითება არაა საჭირო. გმადლობთ ყურადღებისათვის.**

**სქესი:**

1. მამრობითი -
2. მდედრობითი -

**რომელ ასაკში ჩაიდინეთ მკვლელობა:**

1. 18 წლამდე
2. 18 - 27 წლამდე
3. 27 - 45 წლამდე
4. 45 წელზე უფროსი

**თქვენი განათლება:**

1. არასრული-
2. საშუალო-
3. უმაღლესი განათლება-
4. უმაღლესი განათლება არ მაქვს დასრულებული-

**დაასახელეთ განათლების მიღების წყარო (მიუთითეთ კონკრეტული დასახელება):**

1. ვიდეოფილმი----------
2. ჟურნალი----------
3. კინო----------
4. წიგნი----------
5. გაზეთი ----------

**სამუშაო ადგილი:**

1. გლეხი-
2. მუშა –
3. მოსამსახურე
4. უმუშავარი –

**მიუთითეთ მამის განათლება:**

1. არასრული საშუალო –
2. სარული საშუალო-
3. უმაღლესი –

**მიუთითეთ დედის განათლება:**

1. არასრული საშუალო –
2. სარული საშუალო-
3. უმაღლესი –

**ქალაქში თუ სოფელში ჩაიდინეთ დანაშაული:**

1. ქალაქში-
2. სოფელში –

**სად ჩაიდინეთ დანაშაული:**

1. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით-
2. ქუჩაში-

**რომელ ხერხს იყენებდით დანაშაულის ჩადენისას:**

1. დანას -
2. ცეცხლსასროლ იარაღს –
3. სხვა საშუალებას -

**რამდენი წლის იყო დაზარალებული (მიუთითეთ დაახლოებით):**

1. 18 წლამდე
2. 18 - 27 წლამდე
3. 27 - 45 წლამდე
4. 45 წელზე უფროსი

**მსხვერპლის სქესი:**

1. ქალი -
2. კაცი -

**ჰქონდათ ნასამართლობა დანაშაულის ჩადენამდე:**

1. კი -
2. არა –

**დანაშაულის ჩადენამდე რამდენჯერ იყავით გასამართლებული:**

1. ერთხელ -
2. ორჯერ –
3. ორზე მეტი-

**დანაშაულის ჩადენამდე ჰქონდათ ჩადენილი წვრილმანი გადაცდომა:**

1. კი -
2. არა –

**ჩაგიდენიათ ადრე ძალადობა ადამანის მიმართ:**

1. ცემა-
2. სასტიკი მოპყრობა-
3. სხეულის დაზიანება-
4. ვერ გიპასუხებთ –
5. არ ჩამიდენია -

**წარსულში სად მუშაობდით:**

1. გლეხი-
2. მუშა –
3. მოსამსახურე –
4. არარეგულარული სამუშაო

**დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის იყავით დაოჯახებული:**

1. კი -
2. არა -

**დანაშაულის შემდეგ შეგიწყდათ თუ არა ქორწინება:**

1. კი –
2. არა -

**რა მოტივით ჩაგიდენიათ დანაშაული:**

1. თავისი სიმართლის დამტკიცება-
2. რეაქცია შეურაცხყოფაზე-
3. შურისძიება-
4. დაბრკოლების აცილება-
5. მატერიალური ინტერესი-
6. მიჭირს პასუხის გაცემა –

**მკვლელობის წინ პიროვნება აღელვებულია, თუ არა?:**

1. ხშირად არის აღელვებული-
2. არ არის აღელვებული-

**რა ინტერესი უნდა ამოძრავებდეს ადამიანს დანაშაულის ჩადენის დროს:**

1. გამდიდრებას ნებისმიერი გზით -
2. თავისი თავის დამკვიდრებას-
3. საიმედო სამუშაოს ძებნის მომენტი –

**რა გწამთ ადამიანთა ურთიერთობებში:**

1. პირადი კეთილდღეობა-
2. მეგობრებთან ურთიერთობას-
3. ოჯახი-
4. საზოგადოება –

**დაასახელეთ ადამიანთა ურთიერთობების მიზეზი:**

1. მატერიალური ინტერესი-
2. ოჯახი-
3. დროის გატარება-
4. მეგობრებთან ურთიერთობა-
5. ჩვევა-
6. მოვალეობა-
7. კულტურა და განათლება-